# ახალი საუნჯე

ტექსტების და კონტექსტების ჟურნალი

№7 (73) ნოემბერი, 2019 წელი ფასი 2 ლარი

## ნომრის ავტორები

ნაყრო დავითაშვილი

1970
2019

& ლოიყმა იავიძჩყვი

**პოეზია**
თეა თოფურია
ბექა ჩანტლაძე

**პროზა**
ნათია ჩხაიძე
ნიკუშა ანთაძე

**კრიტიკა**
ლელა კოდალაშვილი – მიხეილ იოვანზე
დავით ჩიხლაძე – სოცრეალიზმზე
ვლადიმირ გრიბი – ბალზაკზე

**ახალი თარგმანები**
დინო ბუცატი
სადაი ბუდაგლი




ეროვნული ბიბლიოთეკა

ADVERTISING COMPANY
INNO STUDIO

ყველაფერი ჩვენს წარმოებაში

სავიზიტო ბარათები; მოსაწვევები და მისალოცები;
დიპლომები; სერთიფიკატები; ბროშურები; ფლაერები;
ბუკლეტები; კატალოგები; მენიუები; კალენდრები;
პოსტერები ბლანკები; კონვერტები;
ბლოკნოტები; CD/DVD შეფუთვა
ნებისმიერი სირთულის ყუთები;
ასევე ყუთებზე ბეჭდვა;
ყველა სირთულის კვეთები;
ეტიკეტები და სხვა თვითწებადი
პროდუქტები; ბილეთები;
აფიშები, ბანერები, ვიტრინების
და ავტომობილების გაფორმება;
საათების ბრენდირება;
ბეჭდვა ოქროს და ვერცხლის ფოლგაზე,
ნატურალურ ტილოზე;
პლასტიკური ბარათებზე ბეჭდვა;
მაისურებზე, ჩანთებზე, კალმებზე ბეჭდვა

ADVERTISING COMPANY
INNO STUDIO

ციფრული,
ოფსეტური
ბეჭდვა

ქუთათელაძის 8. ტელ.: 597 39 55 87; 2 39 55 87; 2 14 12 14 innostd@gmail.com

PUBLISHING HOUSE გამომცემლობა

ჟურნალი გამოდის საქართველოს განათლების,
მეცნიერების, კულტურისა და სპორტის
სამინისტროს მხარდაჭერით

მწიგნობართა
სახლი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ნომრის ავტორები

*ნატო დავითაშვილი*

ნატო დავითაშვილი – ნატო დავითაშვილის „სამყაროები" – 3
ნატო დავითაშვილი – ...და ავსულთა გაჩნდა სპა – 10
*ამონარიდი* – 18

*ლიუბა იაკიმჩუკი*

*ბიოგრაფია* – 19
ლიუბა იაკიმჩუკი: „მე ცნობიერად უკვე გამოვეთხოვე იმას,
რასაც სახლს ვუწოდებდი" (ინტერვიუ) – 20
ლიუბა იაკიმჩუკი – ლექსები (თარგმნა შოთა იათაშვილმა) – 24

## პოეზია

თეა თოფურია – 32
ბექა ჩანტლაძე – 34

## პროზა

ნათია ჩხაიძე – წითელი ცხელი მწარე წიწაკა – 38
ნიკუშა ანთაძე – დედლაინი – 42

4

5

### კრიტიკა

ლელა კოდალაშვილი – გზა თავისუფლებისკენ მხოლოდ ულმობელ დაპირისპირებებზე გადის – 46
დავით ჩიხლაძე – ფორმალიზმის და სოციალისტური რეალიზმის შესახებ – 49
ვლადიმირ გრიბი – ბალზაკი ბურჟუაზიულ საზოგადოებაში პიროვნების ბედის შესახებ
(რუსულიდან თარგმნა ნორიკ ბადოიანმა) – 57

### ახალი თარგმანები

დინო ბუცატი – ძაღლი, რომელმაც ღმერთი ნახა
(იტალიურიდან თარგმნა მაია ტურაბელიძემ) – 65
სადაი ბუდაგლი – გვალვიანი ამინდები
(აზერბაიჯანულიდან თარგმნა იმირ მამედლიმ) – 77

პროექტის ავტორი:
ვაჟა წოწკოლაური

მთავარი რედაქტორი:
შოთა იათაშვილი

რედაქტორი-სტილისტი:
ლელა კოდალაშვილი

დიზაინი და დაკაბადონება:
ნიკა ხვედელიძე

სარედაქციო კოლეგია:
დავით ანდრიაძე
გია ეძგვერაძე
დათო ტურაშვილი
ეკა ქევანიშვილი
ზაზა შათირიშვილი
დავით ჩიხლაძე
გია ხადური

ნომერზე მუშაობდნენ:
ელისო მეტრეველი
ნატო დავითაშვილი
შოთა იათაშვილი
თეა თოფურია
ბექა ჩანტლაძე
ნათია ჩხაიძე
ნიკუშა ანთაძე
ნორიკ ბადოიანი
დავით ჩიხლაძე
ლელა კოდალაშვილი
მაია ტურაბელიძე
იმირ მამედლი

გამომცემლობა – „საუნჯე"
მის.: ალ. ყაზბეგის 32/34
ტელ.: 2141214, 2395587, 2397188
ელ-ფოსტა: akhalisaunje@gmail.com
Facebook: გამომცემლობა საუნჯე/Saunje publishing http://www.facebook.com/saunjee
www.newsaunje.ge

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# 1 ნომრის ავტორები

# ნატო დავითაშვილის „სამყაროები“

*ელისო მეტრეველი*



ნატო დავითაშვილის ბოლო წიგნი „დაბრუნება – ადამიანები და სხვები“ წელს „საბას“ ფინალში გავიდა. როცა „ახალი საუნჯის“ ეს ნომერი გამოვა, „საბა“ შეიძლება ჩავლილი იყოს. რა თქმა უნდა, არავინ იცის, გაიმარჯვებს თუ არა, თუმცა მისთვის ამ ამბავში მთავარი ის იყო, რომ რაღაც დაიძრა, რაღაც შეიცვალა ფენტეზისა და სამეცნიერო ფანტასტიკის ქართველი ავტორების სასიკეთოდ.

„ამბავი ლილე იროელისა“ ათ წელზე მეტი ხნის წინ წავიკითხე. რამდენადაც არაფერს ამბობდა ავტორის ფსევდონიმი, იმდენად მეტის ლაპარაკი შეიძლებოდა თავად ავტორზე. იმ დროს ისიც კი თქვეს, რომ „ლილე“ ვიღაც „ცნობილმა“ დაწერა, რადგან თითქმის წარმოუდგენელი იყო, რომელიმე ახალბედას ასე სცოდნოდა მითოლოგია და მერე ეს ცოდნა ასე ოსტატურად ექცია მხატვრულ ტექსტად. მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს ყოველწუთს შუქი აღარ მიდიოდა და უფრო ხშირად გაიგონებდი „დისისა“ თუ „მარველს“, იცოდნენ ტოლკინი, კინგი თუ როულინგი, ფენტეზი მაინც უცხო და მიუღებელი იყო, ჟანრის სახელწოდებაც კი, რომლის თარგმნასაც ყველა თავის „წმინდა მოვალეობად“ მიიჩნევდა.

„იროელთა ქრონიკებში“ სულ ექვსი წიგნი შევიდა: „ამბავი ლილე იროელისა“, „როცა ფრთოსანი ლომები დაბრუნდებიან“, „აიას გზა“, „ლურჯი სუფრის მოცეკვავე“, „ოთხი მხარე და ოთხი სვეტი“ და „ნისლებში და ნისლებს მიღმა“. ნატო დავითაშვილი ახლა მეშვიდე წიგნზე მუშაობს, რომელსაც „...და ავსულთა გაჩნდა სპა“ ერქმევა, ამით დაასრულებს კიდეც ქრონიკებს. ბოლო ორ წელიწადში სამი წიგნი გამოსცა, სრულიად ახალი და ორიგინალური სამყაროებით: „ორსის ორდენის სამხეცე“, „მთვარის შვილობილები“ და „დაბრუნება – ადამიანები და სხვები“ – ეს ბოლო წიგნი სამეცნიერო ფანტასტიკაა.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ უნდოდა თავისი შვილისთვის ქართული მითოლოგია ესწავლებინა. ვერსად იპოვა წიგნი, რომლითაც ამას შეძლებდა. ბავშვისთვის რთული აღმოჩნდა ძველ მითოლოგიურ ენციკლოპედიებსა თუ ლექსიკონებში „ჩამწყვდეული“ პერსონაჟების შეყვარება. სამაგიეროდ, იცოდა ტროლები და ორკები, ჰერკულესის ამბებს უყვებოდა.

„იმ დროს გამომცემლობაში ვმუშაობდი და რამდენიმე ფოლკლორისტს ვთხოვე, მოდი, სიუჟეტებს მოგიგონებთ და დაწერეთ, ქართულ მითოლოგიას მოარგეთ-მეთქი. ერთმა მითხრა, ეს არის აბსოლუტურად ახალი სიტყვა ლიტერატურაში, ალბათ, ფინანსურად მომგებიანი იქნება და შენთან ერთად რატომ უნდა გავაკეთოო. ძალიან გულსატკენი იყო. გააკეთე, ოღონდ გააკეთე და ნუ იქნება ჩემთან ერთად-მეთქი. ბოლოს მივხვდი, რომ ბავშვი იზრდება და არაფერი ჩანს. ჩემმა ქმარმაც მითხრა, ხომ ხედავ, შენ მეტი ამას მაინც არავინ გააკეთებს, მიდი, რა, დაწერეო. ჩემი ქმარი, ალექს ფეიქრიშვილი სამეცნიერო ფანტასტიკისა და ფენტეზის დიდი მოყვარულია. თარგმნის

**კიდეც. სამეცნიერო ფანტასტიკის მოთხრობების კრებული გამოსცა გამომცემლობამ „წიგნები ბათუმში", მასში მისი ხუთი თარგმანია შესული".**

40 წლის იყო, მითოლოგიის სწავლა რომ დაიწყო. კითხულობდა ყველაფერს, სამეცნიერო კვლევებს, ფოლკლორისა და მითოლოგიის გამოცემებს, და არა მხოლოდ ქართულს. იცოდა, რომ დევი არსებობს, კოპალა არსებობს, მაგრამ რა აცვია კოპალას, რა იარაღი აქვს, სად არიან იახსარი და ღვთის შვილები, რა უნარები აქვთ – ეს ყველაფერი უნდა გაეგო. რკინის დამუშავება უნდა ესწავლა, მინანქრის, რამდენნაირი სევადა არსებობს, კოშკი როგორ შენდება, რომელი ისარი რა მანძილზე მიდის. შეცდომა არ უნდა დაეშვა. პირველი წიგნი 2007-ში გამოვიდა – „ამბავი ლილე იროელისა" ჯორჯი ვაშატელის ფსევდონიმით.

**„2006 წელს უკვე მზად მქონდა პირველი წიგნი. თუმცა ოთხმა თუ ხუთმა გამომცემლობამ უარი მითხრა დაბეჭდვაზე. თან ყველას ვიცნობდი, ზოგმა მეგობრულად, ზოგმა ფენტეზის კანონებს არ ითვალისწინებო. ამას მეუბნებოდა ის, ვინც პირველი ფენტეზი, რაც წაიკითხა, ჩემი წიგნი იყო. ან: შენი პერსონაჟი მოტივირებული არ არისო. არ ვიცი, რამდენად კორექტული ვიქნები, ამას რომ ვიტყვი, მაგრამ თხუნელა რომ დადის და ეძებს, ვინ უქნას თავზე, ის არის მოტივირებული და არ არის ლილე, რომელმაც სამყარო უნდა იხსნას?.. მე მესმის, რომ მათ უარს სხვა მიზეზები ჰქონდა. ეს ჟანრი აბსოლუტურად უცნობი იყო ქართული საგამომცემლო გარემოსთვის; ძალიან თავისუფლად ვექცეოდი ქართულ მითოლოგიას და კაციშვილმა არ იცოდა, ვინ ვიყავი; 400-500-გვერდიანი წიგნის დაბეჭდვა არ იყო იოლი ბიზნესისთვის. ბოლოს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ" დაბეჭდა მცირე ტირაჟით. ბაკური და თინა ლონდონში იყვნენ ფესტივალზე. ეს ჩემი დაწუნებული წიგნის ამონაბეჭდი სახლში, მაგიდაზე დატოვეს. მათმა შვილმა აიღო, წაიკითხა და ლონდონში ურეკავს, სად არის მეორე ნაწილიო. ქრონიკების მეორე წიგნის დაწერას არ ვაპირებდი, ზარმაცი ვარ შინაგანად, თუმცა ამბავი მაინტერესებს. ამიტომ პირველ წიგნში – „ამბავი ლილე იროელისა" ხაფანგი დავუგე ჩემს თავს, გმირი კართან მივიყვანე და დავტოვე. მერე თვითონაც მაინტერესებდა ამ კარის გაღება".**

მეორე წიგნი 2008 წელს დაწერა. „გია ქარჩხაძის გამომცემლობას" ჰქონდა კონკურსი „ოქროს ბუმბული", იქ მიიტანა და მერე აღარც გახსენებია. 29 დეკემბერს დაურეკეს, დაჯილდოებაზე ხომ მოხვალო. გაიმარჯვა. გია ქარჩხაძემ გამოსცა ეს წიგნი, რომელსაც უკვე ნატო



*დასთან (მარცხნივ) ერთად*

დავითაშვილი ეწერა. კარგად ახსოვს ის დღეც, როცა 2007 წლის წიგნის ფესტივალზე მივიდა და დაინახა, როგორ ყიდულობდა ვიღაც მის პირველ წიგნს. შორიდან უყურებდა და უხაროდა, უკვე მარტო აღარ იყო. მეორე წიგნის მერე უფრო თავდაჯერებული გახდა და გადაწყვიტა, ის სამყაროები, რაც მის თავში ტრიალებდა, გარეთ გამოეტანა. თუ პირველ წიგნზე ფიქრობდა, რომ მთავარი იყო მითოლოგიის ბავშვამდე მიტანა, ახლა უკვე ის სამყარო იყო მთავარი, რომლის კარიც პირველმა შეაღო საქართველოში და სადაც სხვებსაც დიდი მონდომებით ეპატიჟებოდა.

**„ზოგადად ძალიან არაამბიციური ვარ. რაღაც სიუჟეტებს ხმამაღლა ვყვები ხოლმე, იქნებ ვიღაცამ დაწეროს. ჩემნაირად მაინც ხომ ვერ დაწერს, თავისებურად დაწეროს და კარგია, ორივე თუ იქნება. ერთხელ პაატა შამუგიამ მითხრა, ამ იდეას ტელევიზიით რომ ჰყვები ხმამაღლა, ვინმემ რომ გააკეთოსო?.. ოღონდ გააკეთონ-მეთქი. საერთოდ, ზოგადი რაც არის, ის უფრო მიხარია ხოლმე, ვიდრე ჩემი კონკრეტული ამბავი. პრაქტიკული ადამიანი ვარ, მაგალითად, ახლა საქართველოში ამ ჟანრის განვითარება უფრო მნიშვნელოვანი მგონია, ვიდრე ჩემი რომელიმე კონკრეტული წიგნის წარმატება. სამეცნიერო ფანტასტიკასაც კი უფრო მაღლა აყენებენ, ვიდრე ფენტეზის – აქ კი არა, სხვაგანაც, დიდი ტრადიცია რომ აქვთ. თუმცა „სატახტოთა თამაშებზე" მთელმა მსოფლიომ აღვარღვარა ცრემლები. გიჟებივით ელოდებოდნენ იმ 10 სერიას".**

ვიღაც თუ ამბობს, რომ ფენტეზი არასერიოზულია, რეალობიდან გაქცევა და დამალვაა, ნატო დავითაშვილისთვის ეს პირიქითაა – შეიძლება, რეალობას ყველაზე კარგად სწორედ ფენტეზი და საიფაი ასახავდეს. განსაკუთრებით იმ დროს, როცა რეჟიმია, როცა სისტემა ადამიანების თავისუფალ ნებას ებრძვის. ასე მოხდა საბჭოთა კავშირშიც, როცა სამეცნიერო ფანტასტიკის საუკეთესო ავტორები გაჩნდნენ. თუმცა ფენტეზი არ განვითარდა, ახალი სამყაროს გამოგონება მაინც დაუშვებელი აღმოჩნდა. მისთვის ეს ჟანრები თავისუფალი და ორიგინალური აზროვნების

სიმბოლოა. სხვანაირად ფიქრს იწყებ, როცა უამრავი სამყაროს ვერსია გიდევს ხელისგულზეო, ამბობს.

**„ძალიან საინტერესო ამბავს ჰყვება გეიმანი. ჩინეთში იმართებოდა დიდი კონფერენცია ფანტასტიკაზე. ადრე მსგავსი არაფერი იყო. ჩავიდა და იკითხა, რა ხდება, რა მოგივიდათ, რამ გაგაგიჟათო.. უთხრეს, ჩვენ შეგვიძლია ყველაფრის შესანიშნავად გამეორება, მაგრამ ახალს, ინოვაციურს ვერაფერს ვაკეთებთო. წავიდნენ იმ კომპანიებში, ჩვენს მომავალს რომ ქმნიან – გუგლი და სხვა – პროგრამირების, ხელოვნური ინტელექტის მიმართულებით რომ მუშაობენ და აღმოჩნდა, რომ ეს ხალხი, ეს ნოვატორები ფანტასტიკისა და ფენტეზის მკითხველები არიან. რამდენმა ამოიცნო თავი „სატახტოთა თამაშებში", რა ხდებოდა იქ ისეთი, რაც შეიძლება აქ, ჩვენ გვერდით არ ხდებოდეს ან არ მომხდარა"? პირდაპირ რომ დაწერო, შეიძლება ჯვარს გაცვან, მაგრამ ფენტეზიში ამას თავისუფლად გააკეთებ. რა არის სტრუგაცკის „ძნელია ღმერთობა"? ბერიას პროტოტიპიც კი ჰყავს. „სტალკერი" რა არის? ვინმემ იმ წლებში ასე ასახა საბჭოთა სინამდვილე? შეიძლება ოდესღაც ფენტეზი იყო გაქცევა, მაგრამ არა ახლა. თუ დაუკვირდები, მხატვრული პროზა პატარავდება, მოკლე ტექსტები იწერება, დიდებიც, მაგრამ ტენდენცია შემცირებისკენ მიდის, ადამიანს აღარ აქვს დრო დიდი ტექსტების წასაკითხად. და ამ დროს ფენტეზი იზრდება, მკითხველი მეტ ტექსტს მოითხოვს. „მთავრის შვილობილებზე" მეკითხებიან, მეორე როდის იქნებაო, არადა, მე დავასრულე ის ტექსტი".**

ნატო დავითაშვილი ამბობს, რომ ბედნიერი ბავშვობა ჰქონდა. ბედნიერი და ბევრი რამისგან თავისუფალიც. ისე თავისუფალი, რომ კომკავშირში მიღება გამორჩათ. კომაროვის სკოლა დაამთავრა. საბუთები რომ მიიტანა უმაღლესში, გაირკვა, რომ კომკავშირელი არ არის. გაიქცა კომაროვში, და უთხრეს: მარტო შენ კი არა, მთელ სკოლას არ იღებენ, არც ერთი კომკავშირელი არ არისო. თუმცა ეს არ ნიშნავდა რეალობის არდანახვას და არშემჩნევას. იშვიათად გადიოდა საინტერესო ფილმი და ისიც მხოლოდ ოფიცერთა და კინოს სახლებში. „სტალკერი" იქ ნახა პირველად და ამან ყველაზე მეტად იმოქმედა. პიონერთა სასახლის მწერალთა წრეზე წაიკითხა აკუტაგავა პირველად. იქ გაიგო პირველად, „უსიერ ტყეში" რომ არსებობდა და რას ნიშნავდა „გოდოს მოლოდინი". თუმცა ამბობს, რომ ბევრმა წიგნმა, ფილმმა თუ ინფორმაციამაც გვერდი აუარა იმ თაობას.

**„რეჟიმი, შიში ადამიანის ფსიქიკას ცვლის. ჩემი მეგობრის მამა ჰყვებოდა, რომ მამამისი დაიჭირეს და გადაასახლეს, დედამისი გზაში მოკვდა, მის სანახავად ციმბირში რომ მიდიოდა. ორი ძმა მოუკვდა, ეს დაუხვრიტეს, ის დაუხვრიტეს... და სტალინი რომ მოკვდა, ტიროდა. მართლა მეგონა, რომ ამ კაცის სიკვდილით ჩვენი ცხოვრება დამთავრდაო. ბაბუაჩემი ვასილ დავითაშვილი პირველი რესპუბლიკის მთავრობის წევრი იყო. არ წავიდა ემიგრაციაში, ბოლომდე იბრძოდა. რამდენჯერმე გადაასახლეს და გამოიქცა, სოლოვეცკიდან გამოიქცა. საფრანგეთში გამოსცეს გაზეთი, სადაც აღწერილი იყო, როგორ აწამეს ვასილ დავითაშვილი. ყურის ბარაბანი გაუხვრიტეს, ორ საათში ერთხელ სცემდნენ. ასე ექცეოდნენ კაცი, რომელიც რესპუბლიკის მთავარი ეკონომისტი იყო, განათლებული, გერმანულის მცოდნე. მის პირად საქმეში რვა თვის შვილის სურათიც კი იყო ჩაკერებული".**

ნატო დავითაშვილი მეშვიდე წელია, სკოლაში მუშაობს. აღმოჩნდა, იქ მისი მკითხველებიც იყვნენ და როცა მასწავლებლობა შესთავაზეს, იფიქრა, ალბათ, მათემატიკა უნდა ვასწავლოო, კომაროვის შემდეგ პოლიტექნიკური ინსტიტუტის გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტი დაამთავრა, ასპირანტურაც. მაგრამ დისერტაციამდე აღარ მისულა. ბიზნესი, კომპიუტერები და წიგნი უფრო მაინტერესებდაო. ბიზნესს ცოტა გვიან დავუბრუნდეთ, მანამდე კი სკოლა, სადაც უთხრეს, მათემატიკა არა, მითოლოგია უნდა ასწავლოო. სასწავლო გეგმაში არის მითოლოგია და ფოლკლორი და სწორედ ამას მოარგო თავისი პროგრამაც. 260 მოსწავლე ჰყავს.

**„ბავშვებს ძალიან მოსწონთ იმის გააზრება, რომ ეს ზღაპარი არ არის და ამის იქით სხვა რაღაცას ხედავენ. კარგი თაობაა, მაგრამ რთულია მათთან ურთიერთობა. ბევრი რამ უნდა იცოდე, თორემ უცხო იქნები. მათთან ერთად კინოში დავდივარ; ვთამაშობ კომპიუტერულ თამაშებს და ხანდახან ვუგებ კიდეც, თვითონაც გეიმერების ოჯახიდან ვარ. პრინციპული სხვაობაა ჩვენსა და მათ შორის. ორობით კოდზე ისე დაგელაპარაკებიან, როგორც ხუთს რომ ხუთი მიუმატო და აქაც ჩვენგან განსხვავდებიან. პასუხი ასეთია – კი ათია, მაგრამ გააჩნია, რომელ სისტემაში... ხშირად მართლა დიდ გასაჭირში არიან. ვგრძნობ, როგორ ვექაჩები მე აქეთ და იქით კიდევ – გარემო. ამ დროს როგორ უნდა გიყვარდეს ბავშვი, რომ ისე არ გადმოქაჩო, რომ დააზიანო. რამდენჯერ ხელები ამიწევია, რომ მას თავისი გარემოს მიმართ პატივისცემა არ დაეკარგა".**





ცდილობს, ძალიან ფრთხილი იყოს, თუმცა არის საკითხები, რომელთა მიმართაც შეუპოვარია. იმ დროს, როცა ხელებანეული დგას, იცის, რომ მხოლოდ ცოდნის მიცემა, ინფორმაციის მიწოდება და ამ ყველაფრის გააზრებაში დახმარება შეუძლია. სთავაზობს, თავიანთი ამბები და პერსონაჟები მოიფიქრონ. რადგან ძალიან იოლია ვილაც უცხოს შეძულება, გარიყვა, მაგრამ როცა ის შენი პერსონაჟია, შენ ასწავლი, აცოცხლებ, ხიფათს დაატებ და იქიდან უნდა გამოიყვანო, იოლად ველარ იმეტებ, მის მიმართ გრძნობა გიჩნდება. სად ჩავარდება, რა მოუვა, ამაზე ფიქრი, სხვა ადამიანად აქცევთ. რატომ სძულთ? არ იცნობენ და მის მიმართ გრძნობა არ აქვთ. თუ გაიცნობ, მიუახლოვდები, მერე სხვანაირად ფიქრს იწყებ, „უცხო“ აღარ არის.

**„ახლა ისევ ცდილობენ, რალაც ჩარჩოებში აგვიმწყვდიონ და რალაც „ბუა“ გამოიგონონ. გუშინ, რაც ამ ფილმის პრემიერაზე თბილისში ხდებოდა, მხოლოდ იმას ვფიქრობდი, რომ კიდევ კარგი, ესენი არ კითხულობენ, თორემ კოცონზე ხალხის დაწვას ისევ დაიწყებდნენ-მეთქი. მარტო ურსულა ლე გუინის წიგნები რომ წაიკითხონ... ადამიანებს სქესი საერთოდ არ აქვთ, ერთმანეთს რომ ხვდებიან, მაშინ წყვეტენ, რომელი ქალი იყოს და რომელი კაცი. პერსონაჟი ამბობს, ხუთი შვილი მყავს, სამის დედა ვარ და ორის მამა. მე არ ვიცი, რა დაემართა იმ ხალხს, ვინც ჩემი თაობის იყო, ვისაც ვიცნობდი, ვინც იმ კინოსახლის ჩვენებებზე დადიოდა და ხელით გადაბეჭდილ წიგნებს კითხულობდა. ალბათ, უფრო ძალაუფლების ამბავია. უბედურება ისაა, რომ აგრესიულები არიან, საშიშები. ფსევდოპატრიოტები, ფსევდოპროფესიონალები. მითხარი, შსს-მ როგორ უნდა დაადგინოს, ფილმში პორნოგრაფია არის თუ არა. „ენკავედემ ყველაფერი იცის“-მდე გვინდა მისვლა. და ის, რომ ვილაცას ცენზურის დაბრუნება უნდა, საბჭოთა კავშირის და სულაც სტალინის, ეს მეორე უბედურებაა – ისტორიის არცოდნა, უახლესი ისტორიის, სადაც ცენზურა, რეჟიმი, სისტემა ყველას კართან მიდის. მათ ჰგონიათ, რომ ეს სისასტიკე მხოლოდ სხვებს შეეხებათ“.**

ბევრი ინფორმაცია მისთვის გავლენის საფრთხე კი არა, ინსპირაციის შესაძლებლობაა. უყვარს ეს დრო, როცა ყველაფრის ნახვა და წაკითხვაა შესაძლებელი. მოსწავლეებსაც ამას ეუბნება, იკითხეთ ბევრი, არა მხოლოდ ქართული და არა მხოლოდ მხატვრული ლიტერატურა. მიაჩნია, რომ პროფესიული ლიტერატურების გარეშე მწერლის შესაძლებლობები ძალიან მწირია. ადამიანის გლობალურ აზროვნებას კი საიფაი და ფენტეზიც უწყობს ხელს. მისთვის ამ თაობის მთელი ამბავი ის არის, რომ მათ ხელი მიუწვდებათ ყველაფერზე, რაც ახლა იქმნება, ისინი მთელი სამყაროს შვილები არიან, დედამიწელები.

**„ინსტიტუტი, რომელიც სულიერებაზე უნდა ზრუნავდეს, თუ არ იქნება თანადროული და არ ილაპარაკებს სხვა ენით, უბრალოდ, დაკარგავს ამ ხალხს. „კუპრში მოხარშვის“ შიშით დღეს ამ თაობას ვერაფერს გააკეთებინებ. მასკულტურა ბევრ სფეროში გადასწონის ამ მხარეს. რეალობა მეუბნება, რომ ვილაც სუპერგმირია და მხოლოდ მისი იმედი უნდა მქონდეს, მასკულტურა კი ამბობს, რომ სუპერგმირი ყველა ადამიანშია, შენ თვითონ ხარ სუპერგმირი. არ მინდა „სუპერგმირების თამაშობები“, დაანებონ თავი, დაუტოვონ ეს საქმე „დისის“ და „მარველს“, კარგად გამოსდით. ერთხელ ჩემს შვილს ვუთხარი, მე ყველაფერს ვერ გასწავლი, შეუძლებელია დედამ, მასწავლებელმა, ყველაფერი გასწავლოს. აი, ამ წიგნებში წერია ყველაფერი და მივეცი ჩემი წიგნები. ცხრა-ათი წლის იქნებოდა. წაიკითხა და მადლობა მითხრა, ეს იყო ყველაზე ბედნიერი დღე, მისი დაბადების შემდეგ. ახლა 20 წლის არის, ილიაუნიში სწავლობს და „საქართველოს ბანკმა“ ინოვაციური ინფორმაციული საბანკო ტექნოლოგიების მენეჯერად აიყვანა. არ ვზღუდავდი, 14 წლიდან ონლაინ მუშაობდა უცხოელებთან. ამ ბავშვებს კიდევ სხვანაირად მოწყობილი ტვინი აქვთ, სხვანაირი კრეატიულობა. არც მხოლოდ ჰუმანიტარულ და არც მხოლოდ ტექნიკურ მიმართულებას არ ირჩევენ, რალაც სხვას იგონებენ და აკეთებენ, ხვალინდელ ცხოვრებას სხვანაირად გეგმავენ“.**

მიაჩნია, რომ ძალიან თავისუფალი ადამიანია, დამოუკიდებელი და მისი დაჩაგვრა არც თუ ისე იოლია. თუმცა რთული არ არის იმის წარმოდგენაც, დღეს და აქ, რა პრობლემების წინაშე დგანან ადამიანები, გოგოები, ქალები, რასთან ბრძოლა უხდებათ, როგორ იბრძვიან და ზოგჯერ როგორ ნებდებიან. სკოლა რომ დაამთავრა, უკვე მათემატიკაში ამზადებდა აბიტურიენტებს. ინსტიტუტის შემდეგ სამი წელი მუშაობდა „ალგორითმში“. იქ მიიტანეს პირველად კომპიუტერები და საგამომცემლო პროგრამები იქ ნახა პირველად. 1990 წლიდან უკვე საკუთარი გამომცემლობა ჰქონდა და ეს გრძელდებოდა 2008 წლამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**„თავიდან რუსთაველზე ვიყავით და მიტინგი რომ ჩაიელიდა, სულ მცირე, სამი კაცი თვლიდა, რომ თან ეს კომპიუტერები უნდა გაეყოლებინა ხელს. არასოდეს გამიტანებია. რამდევჯერ მოტაცებული გოგო გამოქცევიათ და შემოვარდნილა ჩვენთან. კარი გადამიკეტია და არ შემომიშვია ის ტიპები. დათმობა არ შემეძლო და ამან მიშველა. ასეთ დახვედრას ქალისგან, გოგოსგან არ ელოდნენ ხოლმე. ალბათ, ფიქრობდნენ, ვიღაცის ვიღაცაა, თორემ ამას როგორ გაბედავსო. ჩემს მოსწავლეებსაც სულ ამას ვეუბნები: მოძალადის არ შეგეშინდეთ! არ შეგეშინდეთ! მაშინ კომპიუტერები სულ ორ კომპანიაში იყო. ჩემს გამომცემლობაში გააკეთეს მალაზონიებმა ქართული პასპორტი. მე ვიჯექი კომპიუტერთან. ძალიან მალე შეიცვალა ყველაფერი. ჩემთან კეთდებოდა გაზეთი, სადაც უნდოდათ, დაებეჭდათ სტატია, რომ კომპიუტერი ეშმაკის მანქანაა. დაახვიეთ ახლა აქედან-მეთქი. ბოლოს მარჯანიშვილზე, წიგნის სახლში დავასრულე მუშაობა, კარები რომ აჭედეს, 2008 წელს. იმ წელს ყველაფერი თავზე დამემხო: დედა გარდამეცვალა, სამსახური ჩამოინგრა, ქვეყანაში ომი იყო. თანამშრომლებს ვუთხარი, ვინც სადაც სხედხართ და რა ტექნიკაც გაქვთ წინ, წაიღეთ, მეტს ველარ ვიმუშავებთ".**

თბილისის ომის დროს სამსახურში ვერ დადიოდა და „დინოზავრი დინდინელა" დაწერა, უბრალოდ, წიგნად აქცია, თორემ ამ ამბავს ხშირად უყვებოდა ბავშვებს. ცოტა ხნის წინ საავტორო უფლებების სააგენტოს შეკვეთით დაწერა „ჭიამაია მეფე", სადაც ბავშვებს იოლად უჩვენებს საავტორო უფლებების არსს. როცა ბავშვები ეკითხებიან, თუ რატომ უნდა ისწავლონ, მაგალითად, კოპალა რაში გამოადგებათ, შეკითხვითვე პასუხობს: მზად ხართ, აიღოთ პასუხისმგებლობა და გაწყვიტოთ ის ჯაჭვი, რაც ქართული მითოლოგიის არსებობისთვისაა საჭირო? – ჩვენ რატომ, მას?.. თუ არ ისწავლით, ეს თქვენ იქნებით, თქვენ დაამთავრებთ... გააკეთებთ? – არა, მას!..

**„ბავშვებთან რომ შევდივარ, ვეუბნები: აბა, ხელები დურბინდივით მიიდეთ თვალებზე, რას ხედავთ? მხოლოდ თქვენ, მას... აბა, ახლა გაშალეთ ხელები, რას ხედავთ? ყველაფერს, მას... ვუხსნი, რომ ეს არის სწავლა, „ყველაფრის დანახვა". საიფაის მწერალი წერს მომავალს, შენ კითხულობ მომავალს და საკუთარ თავს ხედავ მომავლიდან წარსულში. ფენტეზის ამბავი მთლად საოცრებაა – აქ ახალი სამყარო უნდა შექმნა. საიფაიში ტექნოლოგიურ სამყაროს ქმნი და ის მაინც ამ სამყაროს გაგრძელებაა, ფენტეზიში კი სრულიად ახალი სამყაროა, ურთიერთობები, ფიზიკაც კი. მტრისას, თუ რალაც შეგეშალა და ფეხი გადაგიბრუნდა, ისეთი კირკიტები არიან.. მაგალითად, კოპალამ ისროლა ისარი და აი, იმ მთას გადაავლო. მეუბნებიან, ეს ისარი ამ მანძილზე არ მიდის, მიუხედავად იმისა, რომ ისრები შესწავლილი მაქვს სულხან-საბათი დაწყებული, თუ სადმე რამე ეწერა. ვეუბნები, გვერდით კოპალას ყვავი რომ ელაპარაკება, ეს არ გაწუხებს და ისარი 10 მეტრით იქით თუ დავარდა, ეს შენთვის მტკივნეულია? არსებობს კანონები. ნარნიაში რომ ლომი ლაპარაკობს, ვიცი, რომ იქ ლომები და ცხოველები ლაპარაკობენ. თუმცა „წითელქუდაში" რომ მგელი ლაპარაკობს, ეს ვიცი, რომ ზღაპარია. ყველაფერი შეგიძლია მოიფიქრო, მაგრამ იმ სამყაროს ლოგიკას არ უნდა გადაუხვიო, ზღაპარი არ უნდა იყოს, რადგან ეგ უკვე სხვა ჟანრია. ერთ სამხედრო პირს ვიცნობ, ჩემი მკითხველია. ავღანეთში რომ მიდის, ჩემი წიგნები მიაქვს. „ლილე" თილისმასავით დააქვს და მერე იქ სხვებსაც აკითხებს. რაღაც რომ მავიწყდება ხოლმე, მაგას ვწერ, აი, ის იქ რომ იყო, რა ერქვა, რა ქნა?.."**

პირველი ჩნდება სათაური. ახლაც [illegible]ილი აქვს ოთხ-ხუთი სათაური. აი, იმ ბუნდოვან იდეას, ამორფულ სხეულს, რომელიც გონებაში ტრიალებს, ჯერ სახელს არქმევს, როგორც „პირველად იყო სიტყვა". აზრზე არ არის, რა ხდება, რა მოხდება. მაგრამ იცის სახელი და კიდევ ყოველთვის იცის ფინალი. ძირითადად, ჭურჭლის რეცხვის დროს და ტრანსპორტით მგზავრობისას ალაგებს თავში რაღაცებს. ახლაც აქვს რამდენიმე სათაური: „სიზმარი, შენ რომ ცხადი გეგონა", „ლურჯი ჩიტის ამბავი"... ადრე სათაურები უფრო მეტი ჰქონდა, ვიდრე წიგნები, ახლა პირიქით არის. პოლიტკორექტულობის გამო კი არაფერი დამიწერია და ვერც დავწერო.

**„ვხუმრობ ხოლმე, კარგი, თურმე „სერიოზულ" წიგნებს არ ვწერ, ეს ვიცი, მაგრამ ძალიან მაგარი პერსონაჟები მყავს – ჩემი გოგოები თავს არავის დააჩაგვრინებენ, ჩემი ბიჭები კი არ იკადრებენ და სხვას არ დაჩაგრავენ. თვითნასწავლი მწერალი ვარ, ჩემს ნაწერებზეც ვსწავლობდი და სხვის ტექსტებზე. წერას რომ ვიწყებ, უნდა დავინახო მთელი ეს სტრუქტურა, არქიტექტურა. „ლილეში" ნაწნავივით არის თხრობა, რამდენიმე ამბავი ერთმანეთს სცილდება და უახლოვდება; „ნისლებში და ნისლებს მიღმა" ორი წრფეა, პარალელურად მიდის მთის აქეთ და მთის იქით. რა ხდება: „მთვარის შეილობილებში" მთავარი ცენტრია, გული და მერე ყვავილის ფურცლებივით იშლება ამბები. ჯერ უნდა მქონდეს არქიტექტურულად გააზრებული ნახაზი, ბლოკ-სქემა, პროგრამირებაში რომ არის. პირველად ეს უნდა დავინახო და რაც მეტად საინტერესოა ეს ნახაზი, მით მეტად საინტერესოა შინაარსიც მერე".**

მისთვის ყოველი ახალი სამყარო ახალი გამოცდილებაა, რომელიც ზოგჯერ ისე მოქმედებს, როგორც ნამდვილი. „მთვარის შეილობილებში" ზოგჯერ „უჩემოდ" მოქმედებდნენ პერსონაჟები და ლამის მხოლოდ თვალს ვადევნებდი, ვის სად მიიყვანდა ძალაუფლებისკენ სწრაფვა, ან პირიქით, ძალაუფლებისგან გაქცევაო. აქტიურად როცა მუშაობს, შეიძლება დღეში 20 გვერდიც კი დაწეროს. არის ჩავარდნებიც, როცა ტექსტთან მიბრუნება უჭირს. და მერე უცებ ჩნდება ნიშნები. მაგალითად, მიდის სადღაც და მის თვალწინ იმ სიმბოლოებით სავსე კედელი აღმოჩნდება, რაზეც წერს; ჩართავს ტელევიზორს და ამ თემაზე გადაცემაა; ნაცნობი ბუკინისტი ურეკავს და ეუბნება, ნატო, საინტერესო წიგნი მაქვს და ეს წიგნი იმაზე აღმოჩნდება, რაზეც წერს.

**„და არის ალექსი – ჰა, არ უნდა წამაკითხო?.. როდის წავიკითხავ?.. სად არის ახალი ტექსტი?.. რა, 20 გვერდზე მეტი არ დაგიწერია?.. ვეუბნები ხოლმე, როგორ გაგიმართლა, საქართველოში ერთადერთი ქალი წერს ფენტეზის და ისიც შენი ცოლია-მეთქი. ხედავს ყველა შეცდომას, გავლენას, ყველაფერი ახსოვს. მას არ გამოეპარება ის, რაც შეიძლება ყველაზე მაგარ რედაქტორსაც გამორჩეს – იდეის თუ სიუჟეტის ორიგინალურობა. სათაური მაქვს-მეთქი და „სიზმარი, შენ რომ ცხადი გეგონა“-ს იდეაზე რომ ვუთხარი, იქვე მომიყვა დაახლოებით სამი წიგნის, ერთი ფილმის და ორი სერიალის შინაარსს ამავე თემაზე. ასეთი საუბრის დროს ნელ-ნელა ვაყალიბებ ჩემი იდეის ორიგინალურობას, გზადაგზა ვცვლი, რომ ჩემი სიუჟეტი სხვა იყოს. სოფელში რომ მივდივართ დასასვენებლად, დაახლოებით ორი კვირა ინტენსიურად ვლაპარაკობთ ამაზე. არ მაძლევს იმის საშუალებას, რომ რამე შემეშალოს“.**

„იროელთა ქრონიკების“ გაგრძელებას აღარ აპირებს. ამ ქრონიკებმა მოიცვა მითოლოგია, ახალი სამყაროები და გამოუვიდა; მერე კვესტები აინტერესებდა, ისიც შეძლო; მერე დრაკონებზე ფიქრობდა, როგორ დაეწერა, რომ თან ორიგინალური ყოფილიყო და თან „დრაკონებს დრაკონობა არ დაეკარგათ“. „დრაკონმცოდნეებმაც“ კი აღიარეს, რომ გამოუვიდა... და სხვა სამყაროს დროც დადგა – ნელ-ნელა გამოჩნდა აბელ ნასან მურის, უდაბნოს ქვიშით დაფარული მისტიკური ქალაქის კონტურები, საიდაც ერთმანეთის მიყოლებით ჩნდებოდნენ მთვარის შვილობილები. ამბობს, რომ ამ წიგნმა დიდი სიკეთე გაუკეთა, ეს იყო მისი ცხოვრების ყველაზე რთული პერიოდი, ის დრო, როცა სიმსივნის დიაგნოზი დაუსვეს.

**„თავიდან იმდენად გაოგნებული ვიყავი, რომ გემო დავკარგე, ვჭამდი და ვერაფერს ვგრძნობდი. რაღაც დროის მერე, პირველად პიტნის ჩაის გემო ალვიქვი... და შემრცხვა. როგორი სასიამოვნოა ეს სამყარო, რამდენი კარგია და ამ კარგს უნდა ჩაებღაუჭო. სკოლაც კი არ გამიცდენია, ჩვეულებრივ ვატარებდი გაკვეთილებს. ცხოვრების წესი არ შემიცვლია. ბავშვებთან ყოფნა ჩემთვის იოლი იყო. თუმცა რაღაც სხვანაირად ვიყავი, შინაგანი ემოციები აქ, სადღაც ყელში მიგროვდებოდა და მტკიოდა. მერე პიტნის გემო მოვიდა და დავწყნარდი. ოპერაციამდე გავიარე რაღაც დრო. ჯერ მითხრეს – არის, მერე – არ არის, მერე მითხრეს – არის და გავიკეთე ოპერაცია, ცოტა ხანში მეუბნებიან, რომ ისევ არის და კიდევ ერთი ოპერაცია უნდა გავიკეთო. შემდეგ კიდევ სამი ოპერაცია გავიკეთე, მაგრამ ეს ყველაფერი პროზაული ამბავია. მეხუთე ოპერაცია რომ გავიკეთე, „დაბრუნებას“ ვწერდი. სამი დღით შევწყვიტე მუშაობა, წავედი, გავიკეთე ოპერაცია, მოვედი და გავაგრძელე. ზოგჯერ ჩემი თავისთვის შემიძახებია, აბა, ნატო, მიხედე წესიერად ახლა შენს ემოციებს, საყვარელი ადამიანები გიყურებენ. „მთვარის შვილობილები“ გამოვიდა დიაგნოზის და პირველი ოპერაციის დროს. არავისთვის მითქვამს, არ ეფიქრათ, რომ ამის გამოყენება და რაღაც შეღავათები მინდა. ამაზე მხოლოდ ორი წლის შემდეგ, ორი თვის წინ ვილაპარაკე პირველად, როცა ძუძუს კიბოსთან ბრძოლის კვირეული იყო. მიმაჩნია, რომ უნდა იცოდნენ, ეს დიაგნოზი განაჩენი მართლა არ არის. ყველა სხვადასხვანაირად იქცევა ამ დროს, მაგრამ ყოჩაღად უნდა იყვნენ, შეუძლიათ, ყველაფერს აჯობონ, პოზიტიური განწყობა უნდა ჰქონდეთ“.**

ბოლო ორ წელიწადში სამი წიგნი დაწერა, მეხუთე ოპერაცია გაიკეთა და კიბოც დაამარცხა. ახლა უბრალოდ, „კარგად უნდა მოიქცეს“, საკუთარ თავს ხელი შეუწყოს და გადასხვაფერებულ, პრიორიტეტებშეცვლილ სამყაროში გააგრძელოს წერა და ცხოვრება. წერას რომ იწყებს, პირველ გვერდებს ხმამაღლა კითხულობს, ერთი ათჯერ მაინც. როგორ მიდის რიტმი, ტემპი, წინადადებები, მუსიკა უნდა დაიმახსოვროს, რომ არსად ამოვარდეს.

**„ისეთ ხასიათზე ვწერდი „დაბრუნებას“, რომ თავს ვგრძნობდი მეცხრე ცაზე. ეს სამეცნიერო ფანტასტიკა იყო და გამომდიოდა. ვიღლები ხოლმე, ქიმიოთერაპიამ იცის ეს ქრონიკული დაღლილობის შეგრძნება და რაკი ვიცი, რატომაცაა, არ ვაქცევ ყურადღებას. ვთქვი, რომ დავამთავრე. ალექსიც მომყვებოდა ფეხდაფეხ და მითხრა, ვიცი, რომ დაიღალე, მაგრამ სამუშაო კიდევ გაქვს, არ მოგატყუებო. დაახლოებით ერთი კვირა, ყოველდღე 4-4 საათს ვწერდი. ეს მოთხრობები ერთმანეთში გადადის, ფაქტობრივად, ერთ-ერთი პერსონაჟის, იზის ცხოვრებიდან თუ შევხედავთ, ერთი რომანია. ყველა ჩემი წიგნი ერთმანეთთან არის დაკავშირებული. ეს ჩემი სამყაროა, აი, მანდაც პეპლები რომ გაფრინდებიან საიდუმლოს დასავიწყებლად ორსის სამყაროა. ამ სამყაროზე მთელი წიგნი დავწერე – „ორსის ორდენის სამხეცე“. მომავლის სამყაროებში მოხვედრა ადრე უფრო მინდოდა, ახლა მეშინია. ახლა უფრო რა-**



*მეუღლესთან ერთად*

**ციონალურად ვუყურებ რადიაციულ გამოსხივებასა თუ კოსმოსში მოგზაურობისთვის რეალურად საჭირო დროს. ისე, იმედი მომეცა ტელეპორტაციის ამბავი რომ გავიგე. მართალია, ჯერ მხოლოდ რაღაც უმცირესი ელემენტის პორტირება შეძლეს, მაგრამ თუ ამ გზით განვითარდება ყველაფერი, ბრეგვაძე როგორც ამბობს, „თუ ღმერთს უნდა, რა დოუშლის“.**

ყველაზე კარგად ზაფხულში მუშაობს. ყველა წიგნი თავისი იმის აგარაკზე აქვს დაწერილი, წეროვანში. აივანზე ზის და წერს. აქ რასაც შეიძლება მთელი წელი მოუნდეს, იქ ორ თვეში ამთავრებს, რადგან ყველა ხელს უწყობს. ამბობს, რომ სამეცნიერო ფანტასტიკას სხვა ცოდნა და მომზადება უნდა, ფენტეზისთვის კი სხვა ცოდნაა საჭირო. ნებისმიერი რამის გამოიყენება შეუძლია – ცრურწმენები, მისტიკა, ქალაქური ლეგენდები... რაღაც სისულელეში შეიძლება იპოვოს ფენტეზის მარცვალი. ხშირად რეალური ამბავი ხდება ინსპირაცია. ასე მოვიდა მექოლგეთა და ჭაშნაგირთა ამბავიც, ვირუსულად გავრცელებული საჯარო მოხელის ფოტოდან, „მექოლგე“ რომ მიჰყვებოდა. გამოფენაზე ნახა ლურჯი სუფრა და „ლურჯი სუფრის მოცეკვავე“ დაწერა. ბოლო პერიოდში უფრო „მიზნობრივ“ ლიტერატურას კითხულობს ხოლმე.

**„სულ ვეუბნებოდი ალექსს, ოდესმე ისე „გავიზრდები“, სამეცნიერო ფანტასტიკასაც დავწერ-მეთქი. მთელი იმ მძიმე პერიოდის შემდეგ მომავალზე ფიქრი ძალიან სასიამოვნო აღმოჩნდა. ახლა კვანტური ფიზიკის რაღაც კვლევებს ვკითხულობ. „ორსის ორდენის სამხეცეზეც“ ტელეპორტების, შავი ხვრელების შესახებ ინფორმაციებმა მომცა ინსპირაცია. კარგი სამეცნიერო ფანტასტიკა ასეთია, თუ მცოდნე წაიკითხავს, ყველაფერს მიხვდება და – თუ საკითხში გაურკვეველი, უბრალოდ, ისიამოვნებს. ყველა არც „მარსელს“ და „დიუნს“ კითხულობს, არც „ბნელ კოშკს“. ცოტა გვიან წავიკითხე კოტე ჯანდიერის „გლობალიზაცია“ და მივხვდი, რომ ასე ოსტატურად და „უბრალოდ“ წერაც შეიძლება. ახალგაზრდობაში რჩეულიშვილი მომწონდა, მისი გმირები ჩემ გვერდით ცხოვრობდნენ, ჩემი ენით საუბრობდნენ და მეც მხოლოდ მათთან მინდოდა მეგობრობა. ძალიან დიდ პატივს ვცემ ოთარ ჭილაძეს, მაგრამ ეს უფრო გააზრებული პატივისცემა და მოწონებაა. მახსოვს, ბესო ხვედელიძის „თაგვის გემო“ რომ წავიკითხე, რაღაც დროის განმავლობაში ფიზიკურად ვგრძნობდი, პირში მქონდა ეს გემო. ჩემთვის მნიშვნელოვანია ტექსტების ფიზიკურად აღქმა. როცა ახალი სამყაროს შექმნას ვიწყებ, სუნი მომდის, სიმხურვალეს ვგრძნობ, ტუჩები მისკდება. „ნისლებსა და ნისლებს მიღმა“ ექვს თვეში დავწერე და შემდეგ ორი თვე ფეხზე ვერ ვდგებოდი. ახლა ვისწავლე „მართვა“. მაშინ ახალი იყო და ვერ ვეთიშებოდი“.**

ეს გამოგონილი სამყაროები ზოგჯერ ძალიან შორს არის და უნდოდა, იქ, მომავალში მისი ადგილიც ყოფილიყო. ამიტომაც ვიღაც ფიროსმანის ნახატს ყიდულობს; ხომ შეიძლება, მომავალში რომელიღაც პლანეტაზე ქართველიც აღმოჩნდეს, ისე, როგორც გოგი ბედია, და მისი ბედი მნიშვნელოვანია ნატო დავითაშვილისთვის. პერსონაჟის სახელები და სათაურებიც, თითქოს სამაგრებია, რომლებიც ავტორის თანამედროვეობასა და მომავალში ყოფნის სურვილებს იჭერს. არასდროს ნერვიულობს გამოცემულ წიგნზე. მაგაზე რომ ვინერვიულო, წელიწადში ერთი წიგნის დაწერას კი ველარ მოვასწრებო. ამბობს, რომ მისი ცხოვრება შედგება სამი კომპონენტისგან – ოჯახი, სკოლა და წერა. ისე, მეტსაც შევძლებდი, ჯერ საინტერესო ვერაფერი მოვიფიქრეო.

**„ქრონიკების მეშვიდე, ბოლო წიგნში ახალ რასებზე ვლაპარაკობ. შინაარსით ეს პირველი წიგნი გამოდის. მომავლიდან წარსულის დანახვაზე რომ ვამბობდი, აქაც ეს გამომივიდა. ისე დავწერე ექვსი წიგნი, რომ წარსული ვერ დავინახე. ვისაც არ წაუკითხავს ნატო დავითაშვილი, ვურჩევ, ამ წიგნით დაიწყოს. ისევ ქართული მითოსური სამყარო იქნება, ჯერ ქაჯებიც რომ არ არიან, ის დრო. წელს ვერ მოესწრება, ალბათ მომავალ წელს გამოვა. კიდევ ეს წიგნი დამჭირდა კომპიუტერული თამაშისთვის, რომლის გაკეთებასაც ერთი ძალიან საინტერესო ჯგუფი აპირებს. ფილმი, სერიალი, ანიმაცია, გრაფიკა ძალიან ძვირია, ყველაზე რეალური კომპიუტერული თამაში აღმოჩნდა... მინდა, რომ ბევრმა დაწეროს ფენტეზი, სამეცნიერო ფანტასტიკა. მე ყველაზე მეტად ველოდები ახალი სამყაროების დაბადებას. „ინსომნია“ რომ ტარდებოდა, ერთმა მწერალმა მითხრა, რას ექაჩები სხვებს, არ გირჩევნია, მარტო შენ წეროო? არ მირჩევნია, არანაირად. სტამბოლში ვიყავი წიგნების დასაბეჭდად და იქ არის სტამბების მთელი ქალაქი. ერთს ვკითხე, არ სჯობს, სხვადასხვა ადგილას რომ იყოთ-მეთქი? არაო, თუ ვინმეს რამის დაბეჭდვა უნდა, ყველა აქ მოდის და აქ გაცილებით მეტი შანსია, კლიენტი ჩვენთანაც შემოვიდესო. ასეა აქაც, მეტი ავტორი ნიშნავს მეტ წიგნს, მეტ პოპულარობას, მეტ მკითხველს, ეს ყველაზე მნიშვნელოვანია ახლა“.**

ბოლო წლებმა დაარწმუნა, რომ არაფერი შეცვლილა, რომ ძველებურად შეუძლია მუშაობა. არავის გაურბის და ნებისმიერთან სათანამშრომლოდ მზად არის. როცა ქრონიკების მეშვიდე წიგნს დაასრულებს, უნდა, ყველა ერთად გამოსცეს, ერთი კონცეფციის ქვეშ. ამბობს, რომ წიგნი გამომცემელმა უნდა გამოსცეს და კიდევ ამბობს, რომ ნატო დავითაშვილის ცხოვრებაზე საინტერესო ნატო დავითაშვილის წიგნებია...

ბოლოს „მთვარის შვილობილები“ წავიკითხე და მგონია, რომ კიდევ ბევრჯერ მივუბრუნდები აბელ ნასან მურსა და მის მთვარის შვილობილებს, როგორც ერთ-ერთ ყველაზე დიდ და მასშტაბურ მოზაიკას, გამორჩეულს და ორიგინალურს – ნატოს დავითაშვილის კიდევ ერთ, შთამბეჭდავ სამყაროს. რაც შეეხება ცხოვრებას, „ხშირად პეპლის ფრთებისგან გაჩენილი ნიავი ყველაფერს თავიდან დასალაგებელს გვიხდის. ეს იმიტომ, რომ დაუსრულებელი წიგნები ვართ და ჩვენი მწერლები, არ ვიცი, ჩვენდა სასიკეთოდ თუ უბრალოდ თავის შესაქცევად, სულ უფრო და უფრო მოულოდნელობებით სავსე თავებს იგონებენ...“ („მთვარის შვილობილები“).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ...და ავსულთა გაჩნდა სპა
## ციხის მონაყოლი – პირველი

წიგნს, რომელსაც ახლა ვწერ, „...და ავსულთა გაჩნდა სპა“ ერქმევა. „დასაწყისი“ უფრო მოუხდებოდა, რადგან იროელთა შვიდწიგნიანი ქრონიკების პირველი წიგნია, მაგრამ შეგნებულად არ ვარქმევ, რადგან მიმავლის გარკვევის გარეშე მის დაწერას ვერ შევძლებდი. ეს ზუსტად ის შემთხვევაა, როცა მოვლენებს მხოლოდ შორიდან თუ დაინახავ. ჩემს მკითხველსაც მინდა ვურჩიო, რომ ქრონიკების ქრონოლოგიურად პირველი წიგნი სულ ბოლოს წაიკითხოს. ასე უფრო მეტს აღმოაჩენს. ამ სტრიქონების წერისას წიგნის ორი მესამედი დაწერილი მაქვს, მაგრამ ამონარიდის ამორჩევა გამიჭირდა, ვცადე, სპოილერი არ გამომდგარიყო. ამით კიდევ ერთხელ გამოვხატავ ჩემი მკითხველისადმი და, ზოგადად, ფენტეზის მოყვარულთა მიმართ დიდ პატივისცემას.



ჯერ ერთი ბზარი გაჩნდა, სულ პატარა და უმნიშვნელო. ერთს მეორე მოჰყვა, მეორეს – მესამე, ფუნჯა ფესვივით დაიტოტა და კლდის ზედაპირი ლოდებად აქცია. თავდაპირველად ლოდები დაიბნენ. რა ვქნათ, რა ვქნათო, – გაიძახოდნენ. გაჩენისა და აფორიაქების მიზეზს ვერ ხვდებოდნენ. არადა, მათი გულისცემა სადაცაა კლდეს მთლიანად ჩამოაქცევდა. ეს ბორგვა და შფოთი უმიზეზო როგორ უნდა ყოფილიყო?! – პასუხის გამცემი არავინ ჰყავდათ. ლოდების ფუსფუსზე მიწა იძრა, მთა შეზანზარდა, ექომ იქაურობა აიკლო, დიდი ქედი გადალახა და ცხრა მთას იქით ბარსაც კი მოედო.

გაოგნებული ლოდები ისევ თვითონ მოწესრიგდნენ, ჯერ ერთმანეთს მხარი გაჰკრეს, უფრო მომცროები მისწი-მოსწიეს, რომ არ მიეფშენათ, შემდეგ ძმებივით ხელი გადახვიეს და საშვილიშვილოდ ისე ჩაღუღაბდნენ, ასეთ დუღაბს ვერც ერთი ციხის საძირკველი ვერ დაიკვეხნიდა.

ასე მოულოდნელად დავიბადე – თვალხილულთათვის უხილავი და უჩინართათვის ხილული – ლანდის ციხე. ვშენდებოდი, მაგრამ მშენებელს ვერ ვხედავდი, მის ხელს ვერ ვგრძნობდი. ერთი სული მქონდა, საძირკველს როდის ავცდებოდი, იქნებ ოსტატი მაშინ მაინც გამეცნო. ძლივს ამოვიწვერე. როგორც იქნა, ოთხივე კედელი საძირკველს ასცდა და მიწასაც დავაჩნდი, მაგრამ... სიახლოვეში ერთ მუშაკსაც ვერ მოვკარი თვალი. კლდეზე დაყრდნობილი მარტო ვიდექი. როგორც თქვენ არ მოგიტანიათ ერთი ქვა და ლოდი, ისე არავის მოუზიდია და ჩემს აშენებაზეც ოფლი არავის დაუღვრია. არადა, ამ ალაგას, ისეთი სისწრაფით ვიზრდებოდი, მშენებელთა მთელი რაზმი უნდა მყოლოდა.

დროდადრო ჩემს კედლებს თითქოს მარილი შეაყარესო, მომლაშო გემო დამჰყვებოდა; ხან თითქოს გახეთქილი ნაღველა ნაუსვესო, ისე მწარე იყო ალაგ-ალაგ, ხან საკუთარი ტკბილი სურნელით ვბრუვდებოდი. გვიან მივხდი, რა იყო ეს სიმლაშე, სიმწარე თუ სიტკბოება. ბოლოს და ბოლოს უხილავი მშენებლებიც გავიცანი და ის ძალაც ვიპოვე, რომელიც ჩემს კედლებს ცისკენ ეზიდებოდა.

ეს ამბავი სწორედ ჩემს მშენებლებზეა, მათ დარდსა და ჯავრზე, სიხარულსა და სასოწარკვეთაზე, სიყვარულსა თუ სიძულვილზე, გვერდში დგომასა და გაუტანლობაზე, ორჭო-

ფობასა თუ მიზანდასახულობაზე. შიშის ხსენება დამავიწყდა. დიდ შიშზეა, თვალებს რომ გიფართოებს და გულს რომ გიკუმშავს. მოკლედ, ყველაფერ იმაზეა, რამაც ხელდაუკარებლად ამაშენა და ლანდის ციხედ მაქცია.

* * *

გაზაფხულის მიწურულს დიდი მთების, იგივე მთიანეთის მთავარს შმაგის მაცნემ ახიელში ჩრდილოეთის კარიბჭესთან დასახლებული დევებისგან შემაშფოთებელი ამბავი მიუტანა: დევებს ადამიანებისთვის შემოეთვალათ, ხეობიდან გადასახლებას ვაპირებთ, კარიბჭის დაცვაზე თავად იზრუნეთ, დღეიდან სოფელი პიტალო მაღაროებიანად თქვენთვის დაგვითმიაო.

მთიელებსა და დევებს შორის ძლივსდადებული პირობის მიხედვით, ადამიანებმა ხეობის ზემო ნაწილის ანუ მყინვარების ფსკერი დათმეს. იქ აღარც სანადიროდ დადიოდნენ და მოპოვებული რკინის მადნიდანაც მხოლოდ მცირე ნაწილს ითხოვდნენ. თავის მხრივ, დევებმა კარიბჭის შეჩერებული მშენებლობა დაასრულეს.

ხელოვნურად აღმართული კედელი ბუნებრივ კლდეებზე უკეთ იცავდა მთიანეთს მყინვარების იქითა მტრისგან – გიმრებისგან, რომელთა ჩამოსახლების შესახებ მთიელებმა ჯერ მზვერავებისგან შეიტყვეს, შემდეგ მათ მიერ სასაკლაოდ ქცეული სოფლებით.

გიმრებმა დაუსრულებელი კარიბჭის გავლით მთიანეთს მხოლოდ ორჯერ შეუტიეს. კარის გვერდის ავლით მცირე რაზმებით მთების გადმოვლაც სცადეს, მაგრამ მყინვარები არ ეპუებოდნენ. ამიტომ ამ გზით გიმრები მთიანეთისთვის ზიანის მიყენებას იშვიათად თუ ახერხებდნენ.

პირველი დიდი ბრძოლისას ჩრდილოეთის კარიბჭის მშენებლობა ახალი დაწყებული იყო, შმაგის მამას ჯერ სანადიროდაც კი არ უშვებდნენ. ვეებერთელა ღრეჩო ბრძოლისთვის დაბადებულ ჩრდილოელ ხალხს ადვილად ატარებდა. თავდაპირველად მრავალრიცხოვანი ჯარით არ გადმოსულან. ამან უშველა მთიელებს, – ასევე ჩინებულ მეომრებს, ქაჯავეთთან ომებში მრავალჯერ გამოცდილებსა და გამობრძმედილებს. ცოცხალი ერთი არ დატოვოთ, არავინ გაუშვათ, – ღრიალებდა ხმლის ქნევით მთიელთა მთავარი. არც დაუტოვებიათ, უკან ერთიც არ დაბრუნებულა. დაკარგულთა მოსაძებნად გიმრებმა მთიანეთს მეორედ შეუტიეს. ამჯერად უფრო მრავალრიცხოვანი რაზმით. ჩუმად შემოიპარნენ და კარიბჭის მშენებლებსა და მცველებს თავს მოულოდნელად დაესხნენ, უკან ადვილად მოიტოვეს და მთიელთა რამდენიმე დასახლებაში ერთდროულად შეცვივდნენ, რათა მათი ჯარის მრავალრიცხოვნების შესახებ ცრუ წარმოდგენა გაეჩინათ. მთიელები გიმრების სისასტიკეს დღემდე მწარედ ახსენებდნენ.

ადამიანთა გარდა გიმრები დევების ერთ სოფელსაც მიუხტნენ. მათ მიწებამდე ისე მივიდნენ, გზად ცოცხალი არავინ დაუტოვებიათ. დევებს საომრად მისული ადამიანების დანახვა ძალიან გაუკვირდათ. ვერ იხსენებდნენ, იარაღმომარჯვებული კაცისძენი თავს ბოლოს როდის დაესხნენ. მალე მიხვდნენ, მტრები უცხოელები იყვნენ და მეტოქედ ვინ ამოირჩიეს, თავად ვერ ხვდებოდნენ. დევებმა თავი დაიცვეს, იქით შეუტიეს და ამით ძალაუნებურად კაცისძეთა მხარდამჭერები და მოკავშირენი აღმოჩნდნენ.

ადამიანთა და დევების ერთობას სწორედ გიმრების შემოსევამ ჩაუყარა საფუძველი. დევებს მთიელთა ჯარმაც მიუსწრო და საერთო ძალისხმევით მტერი სანახევროდ აშენებული კარიბჭის მიღმა გაყარეს. მას შემდეგ გადასცეს მყინვარების ფსკერი ადამიანებმა დევებს, რომლებსაც რკინის მადნის გამო იმ ადგილებზე თვალი ისედაც ეჭირათ, მაგრამ კაცისძენი არა და არ თმობდნენ. მთიანეთში მიმოფანტული მჭედლობის მცოდნე დევები მყინვარების ფსკერში გადასახლდნენ და სოფელი პიტალო დააარსეს.

მყინვარების იქიდან გადმოსვლის მსურველთა შესაჩერებლად კარიბჭის მშენებლობა დაიწყო. კარიბჭეს ეძახდნენ, თორემ ხეობაზე გადებულ, ხელით აშენებულ განიერ კედელს წარმოადგენდა, რომელსაც ძირში იმხელა გვირაბი დაუტოვეს, რომ მის ქვეშ გამავალი მდინარე ადიდებისასაც ადვილად გამოტეულიყო. წყალს გიმრები რომ არ გამოჰყოლოდნენ, დევებმა ფაცერი დააგეს და დროდადრო იჭერდნენ კიდეც. შეპირებისამებრ, თავისთან არ იტოვებდნენ, ან კლავდნენ ან მთიელთა მთავარს უგზავნიდნენ. ერთხელ ფაცერმა ექვსი-შვიდი წლის ბიჭი დაიჭირა. ბავშვი შიშისგან ტუჩებს იკვნეტდა, ცრემლებს მალავდა, მაგრამ დევებისთვის და მთიულებისთვის თვალის გასწორებას მაინც ცდილობდა. მთავარმა ბავშვი არ მოკლა და ტყვე ტახტის მემკვიდრე შმაგისა და ქალიშვილს – სალომეს აჩუქა. ერთ თვეში შეშინებული ბავშვი დამშვიდდა, მთავრის შვილების გვერდით გამოკვებილს ფერ-ხორცი მოუვიდა და გამოცოცხლდა. მასზე რამდენიმე წლით უფროს შმაგის ლეკვივით დაჰყვებოდა და ენას არ აჩერებდა, სულ რაღაცას ჰყვებოდა. როგორ არ ეცადნენ, რომ ბიჭისთვის ენა ესწავლებინათ, მაგრამ ბავშვი ჯიუტობდა და უცხო სიტყვას ერთს არ გაიმეორებდა. ვერაფერი მოახერხეს, სამაგიეროდ, და-ძმა – შმაგი და სალომე – გიმრების ენაზე ალაპარაკდნენ. ბიჭის გამოჩენიდან ხუთი წლის შემდეგ მთიანეთს ხარის ყვავილი ეწვია. დაავადებამ ბევრი იმსხვერპლა, მათ შორის წყალსგამოყოლილი გიმრიც.

დროდადრო ახიელები კარიბჭეში დაყოლილი საიდუმლო ხვრელის გავლით გიმრებთან მზვერავებს გზავნიდნენ. უკანდაბრუნებულები მათ შესახებ შეძრწუნებულები ყვებოდნენ. ირწმუნებოდნენ, გიმრებს ჯარი არ ჰყავთ, რადგან ყველა – დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი გამოცდილი მეომარიაო. ქაჯავეთი რომ არა, მთიელებს მყინვარების გადაღმა საომრად გადასვლა იქნებ ეფიქრათ კიდეც, მაგრამ ყურისძირში ასეთი მტრის არსებობა მხოლოდ თავდაცვაზე აფიქრებინებდა მათ.

ბოლო ხანებში მთიანეთს მოუხელთებელი მტერი შეუჩნდა. სოფლებს შუაღამისას მოულოდნელად თავს ესხმოდნენ. ცოცხალს არავის უშვებდნენ. სახლებს გადაწვავდნენ და უჩინარდებოდნენ. სიბნელეს შეფარებული ტანადი გიმრები შესახედავად ქაჯებში ადვილად ერეოდათ, მაგრამ მტერი ქაჯები რომ არ იყვნენ, ცხადი იყო: არც საქონელი მიჰყავდათ და არც ადამიანებს მიერეკებოდნენ ტყვეებად. ერთ-ერთ ასეთ თავდასხმას შემთხვევით გადარჩენილმა მთავარს ის სიტყვები გაუმეორა, რასაც მის ოჯახში შევარდნილები ყვიროდნენ. გიმრების ენა შმაგიმ მაშინვე ამოიცნო. თუმცა, თავდასხმების მიზანს ვერ ხვდებოდა. აი, სალომემ კი ივარაუდა, ალბათ ჩვენს ნელ-ნელა განყვეტას ცდილობენ, დიდი შემოტევის წინ რომ დაგვასუსტონო. მთიელთა მიწებზე რა გზით ხვდებოდნენ, ესეც უნდა გაერკვიათ. დევები ირწმუნებოდნენ, კარიბჭის მიდამოებში ფეხი ერთ გიმრსაც კი არ დაუდგამსო.

ქაჯავეთში ალერტის მკვლელობის შემდეგ დევების ახსნა-განმარტების გარეშე ჩრდილოეთის კარიბჭის მიმდებარე სოფლებიდან მოულოდნელად აყრა და ქაჯებთან ახლოს დასახლება მთიელებმა მოსალოდნელი ომის წინაპირობად მიიღეს. დევები ქაჯებს მთიელთა სამეფოში შესაჭრელედ დერეფანს უქმნიდნენ. მოლაპარაკებამ არ გაჭრა. ელჩებს არც კი იღებდნენ და უკან ისტუმრებდნენ. ერთხელაც ელჩები აღარ დაბრუნდნენ. სად არ ეძებდნენ, მაგრამ მათ კვალს ვერსად მიაგნეს. დევები ცივი უარით ისტუმრებდნენ, კაცისძეთა ამზავი ადამიანებში მოიკითხეთო. ძნელი მისახვედრი არ იყო, ქაჯავეთის ახალმა ბნელთმეუფემ დევებს ხელსაყრელი გარიგება შესთავაზა და ისინიც დასთანხმდნენ.

დევების გადასახლებიდან ერთ თვეში მთიელმა მეომრებმა ორი უცხოელი შეიპყრეს. ეს შმაგის მოახსენეს ასე, თორემ უცხოელები – ახალგაზრდა გოგონა და შუახნის კაცი ერთ-ერთ ციხეს თავად მიადგნენ.

გოგონას, მიუხედავად ტანადი აღნაგობისა და სიმაღლისა, ბავშვური იერი ჰქონდა, ასე ცამეტი-თოთხმეტი წლისა იქნებოდა. ეს რომ არა, კაცს ზრდასრული ეგონებოდა. ორი გრძელი შავი ნაწნავი წელამდე სცემდა. კაცის ბრინჯაოსფერი ნაკვთებისგან განსხვავებით თოვლივით თეთრი პირისახისა იყო, თითქოს მის კანს მზის სხივი არც კი გაჰკარებოდა. ორივეს მწვანე თვალები ჰქონდა, პირველს – ახლადამოწვერილი ბალახის მსგავსი, მეორეს – ჭაობისფერი. კაცი რომ მეომარი იქნებოდა, სახეზე იარებითა და ცალი ათლილი ყურით ემჩნეოდა.

მთიელებმა უცნობები ახიელში, მთიელთა მთავრის კოშკში მიიყვანეს. ტყვეები თავდაპირველად სალომემ მოინახულა. როგორც კი უცნობმა კაცმა ხმა ამოიღო, მთავრის დამ მათში გიმრები ამოიცნო. ტყვე რაც უფრო მეტს ჰყვებოდა, მით უფრო კარგად იხსენებდა ბავშვობაში გაგონილი და ნასწავლი სიტყვების მნიშვნელობებს სალომე.

მთიელთა მთავარმა ტყვეების მოსმენა დარბაზთან ერთად მოინდომა. სალომეს ძმის საქციელი არ გაჰკვირვებია. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების წინ ყველას აზრის მოსმენა სჩვეოდა.

მთიანეთის მთავრის, ახიელის ციხესიმაგრე კლდეებს შეზრდილ ოთხ კოშკს აერთიანებდა. კოშკები ერთმანეთს სამ დონეზე ორსართულიანი ქვის ხიდებითა და დერეფნებით უკავშირდებოდა. მეორე დონიდან გამომავალი ხიდები თავს მთავრის სათათბირო დარბაზთან იყრიდა. კოშკებისგან განსხვავებით დარბაზი ხის მორებით იყო აწყობილი, მაგრამ ქვის ნაგებობების მსგავსად პირქუშად გამოიყურებოდა. [illegible] ოსტატების მიერ კედლებზე უხვად დატანილი ნაჭრელები ცვლიდა. მოთათბირეებისთვის ორი გრძელი მაგიდა იდგა, რომელთაც მომცრო ამაღლებიდან მთავრის სკამი გადმოჰყურებდა.

სალომე ტყვეებს დარბაზში შემოუძღვა. მთავრის დამ თხრობა გოგონას სთხოვა, თავად კი თარჯიმნობა ითავა.

– გიმრი ვარ და სახელად ანვეა მქვია, – დაიწყო გოგონამ, – ხუთი წლისა დედას ატირებული დავხვდი. მხოლოდ ერთ სიტყვას გაიძახოდი, – ბნელა, ბნელაო. დედაჩემმა, მიავემ, დიდი ოგდენის ერთგულმა მეუღლემ გულში ჩამიკრა და დამშვიდება დამიწყო, მაგრამ რა დამამშვიდებდა, როცა მოულოდნელად თვალის ჩინი დავკარგე: ჯერ კარვის ფერადი ნაყშები ჩაიძირა სიბნელეში, შემდეგ ჩემს საყვარელ თოჯინებს შავი ნისლი გადაეფარა, შემდეგ ხელებიც გამიქრა, მათ ნაცვლად შავ ლაქას ვხედავდი, ბოლოს ჩემ გარშემო ყველაფერი ბნელმა შთანთქა. გაგიკვირდებათ, ასეთმა პატარამ ყოველი წვრილმანი როგორ გავიმახსოვრე, მერწმუნეთ, ეს დღე არც თქვენ დაგავიწყდებოდათ, მოულოდნელად უსინათლო რომ გამხდარიყავით.

თავდაპირველად დედა ვერ მიხვდა, რა სიბნელის მეშინოდა და ჩვეული მზრუნველობით მეფერებოდა და მარწმუნებდა, ცუდი სიზმარი ნახეო, ეგონა, თამაშისას ჩამძინებოდა. მერე მამის ომახიანი ხმა მოისმა, ვინ გამიბრაზა ჩემი გოგონაო? ტირილი შევწყვიტე. დარწმუნებული ვიყავი, გიმრების ყველაზე ღონიერი მეთაური, მისი ერთი შეძახილი ცხენების ვეებერთელა რემას რომ რეკავდა, ჩემ გარშემო ჩამოწოლილ სიბნელეს ადვილად მოერეოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. ორივე მშობლის ხელი რომ ვიგრძენი, ძალა მოვიკრიბე და ამოვისლუკუნე, დავბრმავდი, ვეღარ ვხედავ-მეთქი. თუმცა, ვტყუი, მთლად ბრმა არ ვიყავი, კოცონს, ჩირაღდანზე მოკიდებულ ცეცხლსა და მზეს მბჟუტავ წერტილებად ვხედავდი.

მე გიმრების მეფის, ოგდენის ერთადერთი შვილი ვარ, რომელიც საგვარეულო ნიშნით დავიბადე, ამიტომ მემკვიდრეობას ძმები ვერ შემეცილებოდნენ. ხომ წარმოგიდგენიათ, ეს რა სიხარული იქნებოდა მეფისთვის: მას ტახტის გამგრძელებელი ჰყავდა, მაგრამ დიდი დარდიც გავუჩინე, მე ხომ ვაჟი არ ვიყავი! ჩემი უფროსი ძმები, ხუთივე, დაბადებიდანვე, როგორც მოქიშპესა და მტერს, ისე მიცქეროდნენ. როცა ძმები

მექიდავებოდნენ და ბრძოლას მასწავლიდნენ, ყოველ შემთხვევაში მაშინ ასე მწამდა, ვცდილობდი, ტკივილისთვის თუ ჩალურჯებებისთვის ყურადღება არ მიმექცია და ჩემი ცრემლი არ დაენახათ. მეშინოდა, რომელიმეს უმადურად არ ჩაეთვალე, ისინი ხომ მხოლოდ და მხოლოდ მავარჯიშებდნენ და კი არ მაწვალებდნენ, როგორც ერთხელ დედამ შესჩივლა მამას. დაბრმავებულს მამაჩემი აღარ მეფერებოდა, აღარც მხრისთავზე გამოსახულ ნიშანზე მკოცნიდა, – ანვეამ მომსახსხამი მოიცილა და ვარსკვლავის გამოსახულება გაიშიშვლა. – ღამით ჩემს საწოლთან აღარ მოდიოდა, აღარ მეძახდა მანათობელ ვარსკვლავს და ნიშნიდან გამომავალ სხივს ხელისგულებს აღარ უშვერდა.

ვინ არ მმკურნალობდა, საიდან არ მოჰყავდათ, მაგრამ სულ ამაოდ. ერთხელ დედამ ერთი მათხოვარი ქალი, ყველას გიჟი რომ ეგონა, ძაღლებს პირიდან გამოსტაცა. მცველები იდგნენ და სეირს უყურებდნენ, როცა დედამ მათ რისხვა დაატეხა: ცხოველი ადამიანს ჭამს, თქვენ კი ერთობით. იმ ქალმა დაარიგა დედაჩემი, შენს შვილს თვალი რომ აეხილოს, ერთ დღეს ზღვაზე ამომავალი მზეც უნდა ნახოს და ჩამავალიცო.

იმ ღამეს მამამ დედას პირველად უღრიალა, გიჟის სიტყვების თუ გჯერა, თავადაც გაგიჟებულხარო! დედამ დაჟინებით მოითხოვა, ჩემი თავი ერთ დღეში ზღვაში ჩამავალ-ამომავალი მზის სანახავად მისი ძმისთვის – ტუასპასთვის გაეყოლებინა. ეს კი ეამა მამაჩემს. ისეთ ორ ადამიანს იშორებდა თავიდან, რომელთა დანახვა არ სიამოვნებდა. უკვე რვა წლისა ვიყავი.

ჩვენი მოგზაურობის შესახებ არაფერს მოგიყვებით. გრძელი იყო და ხიფათით სავსე. ბიძაჩემმა მაინც მოახერხა და იპოვა ის საოცარი ადგილი, სადაც ერთი დღის განმავლობაში მზის ამოსვლაც ვნახე და მზის ჩასვლასაც მივუსწარით. შეშლილი ქალი მართალი აღმოჩნდა. ათი წლისას თვალის ჩინი დამიბრუნდა. უკანა გზა არანაკლებ ძნელად გასავლელი გამოდგა. ცამეტი წლისა ტუასპამ დედაჩემს თვალხილული ჩამაბარა. მამა ცოცხალი აღარ დამხვდა. ჩრდილოელ ველურებთან ბრძოლაში შხამიან ისარს ემსხვერპლა. ერთ დროს გიმრებიც ჩრდილოელები ვიყავით, მაგრამ ჩვენმა წინაპრებმა სამხრეთისკენ იმდენ ხანს იარეს, სანამ მყინვარების მხარეს არ მოადგნენ, – ენვეას პირი გაუშრა. რამდენიმეჯერმე ჩაახველა. დარბაზში მტრულად უცქერდნენ. წყლის მიწოდება არავის უფიქრია. ისევ ტუასპამ სთხოვა ერთ-ერთ მეომარს, ენვეას წყალი მიუტანეო. სანამ სალომემ თვალით არ ანიშნა, ტყვეს თხოვნა შეუსრულეო, მეომარი ადგილიდან ძვრას არ აპირებდა.

ენვეამ თასიდან რამდენიმე ყლუპი მოსვა და ღრმად ამოისუნთქა. მეომარი არ დალოდებია, გოგონა სმას გააგრძელებდა თუ არა, თასი მაშინვე ხელიდან გამოსტაცა.

– რა მოგივიდათ, მხოლოდ მყინვარები გვყოფს, იქით ჩვენი სახლია, აქეთ – თქვენი! – წამოიძახა ტუასპამ.

– ჰაჰ... – გადაიხარხარა მთავარმა, – კეთილმეზობლებადაც რომ მოგაქვთ თავი. რაც ერთმანეთთან გასასვლელი კარი ჩავრაზეთ, გვირაბებს რად თხრით? ძლივს მივხვდით, ზურგში მახვილის ჩასაცემად აქეთ როგორ მოიპარებოდით. ქაჯავეთიც კი არ ასწორებს მიწასთან ჩვენს დასახლებებს ისე, როგორც თქვენ – გიმრები! რამდენჯერაც კარს გამოაღწიეთ, იმდენჯერ არნახული ნგრევა მოგვიტანეთ. ხანდახან მგონია, ადამიანებსაც კი არ გელაპარაკებით, ჩემ წინაშე ავსულები დგახართ! მიუხედავად ამისა, მაინც გისმენთ და თქვენიანებისგან განსხვავებით, თავი მხრებზე დაგიტოვეთ, სარებზე არ ჩამოგვიცვამს! გოგო, გააგრძელე, რასაც ჰყვებოდი! – მკაცრად მიმართა შმაგიმ.

– ძმებს ჩემს დანახვას სიკვდილის დანახვა ერჩიათ! დიდი ხნის უნახავი დედა ველარ ვიცანი, ლოგინად ჩავარდნილი და ხეიბარი დამხვდა. ლაპარაკი უჭირდა. რას ლუღლუღებდა, არ მესმოდა, ცხელი ცრემლით ტიროდა, მათი სიმხურვალე ახლაც მახსოვს. მამაჩემის სამეფო დანაწევრებული დამხვდა, ჩემს ძმებს დაენაწილებინათ, დიდ ნაწილზე ჩრდილოელი ველურები დასახლებულიყვნენ. თქვენ ჩვენ გიმრებს გვეძახით სასტიკებს, ეს იმიტომ რომ ისინი არ გინახავთ, ხალხი, რომელიც დედმამასა და და-ძმას, როგორც ნათესავს არ ცნობს. ხომ დიდებული მეომრები ვართ გიმრები, ჩვენს ორლესულ ცულს ცოტა ვინმე თუ გადაურჩება, ჩვენი მჭედელი ღმერთი ხომ მფარველობას არ გვაკლებს, მაგრამ ველურების შემოსევის შემდეგ ბრძოლის ველი გიმრების გვამებით ივსებოდა.

ძმებმა დაბრუნებისთანავე ამითვალწუნეს. მითხრეს, თუ სამეფოს გაერთიანებასა და ტახტზე დაბრძანებას მოვითხოვდი, ჯერ მხარზე დახატულ ვარსკვლავს ამომიშანთავდნენ და შემდეგ ორივე თვალს. ცოტა ხანში ძმებმა იმ მიწების მფლობელად გამომაცხადეს, რომელსაც ველურები დაპატრონებოდნენ და მათ წინამძღოლთან ჩემი საჩუქრად გაგზავნა გადაწყვიტეს. გასაქცევი არსად მქონდა. ისევ ტუასპამ გადამარჩინა და საიდუმლო გვირაბით მყინვარებს იქით, ანუ თქვენთან გადმომიყვანა. ახლა თქვენ წინაშე არ დგას დიდი ოგდენის შთამომავალი და ნიშნიანი მემკვიდრე, არც იქითა მიწების მფლობელი ან მფლობელობის მსურველი, არამედ დგას ერთი უბრალო გოგონა, რომელმაც ათი წლის წინ მხედველობა დაკარგა, მაგრამ ათი წლისამ ისევ დაიბრუნა. ყველაზე ძვირფასი რაც გამაჩნია, თვალის ჩინია, სხვა არაფერი მაქვს.

შმაგი, მთიელთა მთავარი გიმრ ლტოლვილებს ხმას არ ამოაღებინებდა. მათგან იმდენი სიმწარე ახსოვდა, ანვეა ვინც არ უნდა ყოფილიყო და რა ასაკისა, სწორედ იმ გვირაბის გამოსასვლელში მიაჯაჭვავდა კლდეზე, საიდანაც შემოიპარა. სხვებისთვის მშვენიერი ნიშანი იქნებოდა, – მთიელები მტრად შემოსულს არავის ინდობენო. სალომემ, მისმა უმცროსმა დამ, უთხრა, ამ გოგოს ცხოვრებამ იმდენი ჭდე დაასვა, ჩვენ მაინც ნუ გაუმეტებთ, მოვუსმინოთ, დავინყებისთვის არ გავწიროთო. შმაგი მხოლოდ მოსმენას შეჰპირდა, მეტს არაფერს.

– შენ რაღას გვეტყვი? – მიმართა მეფემ ტუასპას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– ანვეა შეიფარეთ. მეტს არაფერს გთხოვთ. მე სიცოცხლე მხოლოდ მის დასაცავად მჭირდება. მაცოცხლებთ – გვერდიდან არ მოვშორდები. მოკვლას თუ წიპირებთ, გვირაბს მიგასწავლით და უკან გამიშვით, გიმრებს რომ კვალი ავურიო. ვეტყვი, იქ გავაპარე, სადაც თვალის ჩინი დაიბრუნა-მეთქი. მეომარი ვარ. წამების არ მეშინია. ყველაფერს გავუძლებ!

ტყვეები გაიყვანეს. მოდარბაზეებმა მტერს თვალი მრისხანედ გააყოლეს. ემჩნეოდათ, ანვეას მონაყოლს მათზე ზეგავლენა ვერ მოეხდინა.

– აბა, რას იტყვით? – იკითხა მთავარმა, – გისმენ, ბაბუკი! – მიმართა მხედართმთავარს, შავწვეროსან კაცს, სახეზე უკმაყოფილება რომ დასთამაშებდა.

– მე ის გავიგე, რომ გიმრების გარდა ჩრდილოეთით სხვა მტერიც გვყოლია. ამ გოგომ ველურებად რომ დაასახელა. გიმრების ძველებური დიდება მათ დაუჩრდილავთ. ჩრდილოეთის კარიბჭის შემონგრევას იქნებ ამის გამოც დიდი ხანია აღარავინ ცდილობს. აი, გვირაბები კი საფრთხილოა. ვერც ერთი ციხიდან თვალყურს ვერ მივადევნებთ.

– ამ გოგოს რა ვუყოთ? – დაუზუსტა კითხვა შმაგიმ.

– მე მეომარი ვარ და ბრძოლის ველზე მეომრების ბედს ვწყვეტ! – მოკლედ გასცა პასუხი მხედართმთავარმა.

– შენ რას იტყვი? – მთავარმა ახლა ხეობის უხუცესს, მდუმარე სემენს მიმართა. სემენი თავად არასდროს ლაპარაკობდა, მხოლოდ კითხვებზე პასუხობდა.

– ეგ გოგო ჩემი საფიქრალი არ არის! უცხოთა ბედზე ზრუნვა მე არ მიკისრია. აქაურზე თუ მკითხავ, პასუხს არ დავაყოვნებ!

ყოველ ჯერზე შმაგი დას მრავალმნიშვნელოვნად გადახედავდა. თითქოს ანიშნებდა, გიმრების დამცველს აქ ვერ იპოვიო. სალომეს მინიშნება რად უნდოდა. თავადაც კარგად იცოდა, მთიელები გოგონას მოკვლას არ მოითხოვდნენ, თუმცა, მის დასაცავად სიტყვას არავინ დაძრავდა. ერთ-ერთმა შიშიც კი გამოთქვა, შესაძლებელია, გიმრებმა მისი გატაცება ან მოღალატისთვის თავშესაფრის მიცემა დაგვაბრალონ და ომის საბაბად გამოიყენონო. ბოლოს მეფემ კაცმაცუნების მთავარ სწავლულს, ზანზარაკსაც მიმართა.

– კაცმაცუნებს წესი გვაქვს ასეთი, ჩვენს მღვიმეებსა თუ გვირაბებში უცხოს არავის ვუშვებთ. ერთმა სტუმრობამაც კი შეიძლება საფრთხე შეგვიქმნას. ამიტომ გოგონას ჩვენთან ვერ წავიყვანთ, მაგრამ იმ გვირაბის ჩამონგრევას ვითავებთ, რომლითაც აქ შემოაღწია, – ზანზარაკი ფეხებით იატაკს ვერ სწვდებოდა, ამიტომ სხვა მოდარბაზეებისგან განსხვავებით პატარა სკამზე ელაგა.

– იქნებ კლდეკარს სურს გოგონას ბედის შესახებ აზრის გამოთქმა? – იკითხა მეფემ.

– არ გვსურს. მეფის ნებისმიერ გადაწყვეტილებას მხარს დავუჭერთ, – თქვა კლდეკარის მთავარმა ხანდომ, ახოვანმა ახალგაზრდა მთიელმა.

– გასაგებია, გოგონას ადგილი აქ არ არის! – თქვა მეფემ.

– მთიელთა მთელი სამეფო ერთ გოგოს ვერ მფარველობს! – წამოიძახა დამცინავად სალომემ, – დარწმუნებული ვარ, დარბაზში დასწრების უფლება თქვენს ცოლებს, დებსა და ქალიშვილებს რომ ჰქონოდათ, გოგონას სულ სხვა განაჩენს გამოუტანდნენ.

– ეს იმიტომ, რომ ქალებს მხოლოდ დღევანდელი დღე გაფიქრებთ და ხვალინდელის გაჭვრეტა არ შეგიძლიათ, – შმაგის კითხვას არ დაერიდა მხედართმთავარი და სალომეს უკმეხად მიმართა.

– რომელ ხვალინდელ დღეზე მელაპარაკები, სირცხვილნაჭამ დღევანდელს რომ უნდა მოჰყვეს? მთავარო, – მიუბრუნდა სალომე ძმას, – როგორც გავიგე, დალები გეწვივნენ. ერთ-ერთი მათგანი დალების დედოფლის ქალიშვილიაო. მიკვირს, აქ რატომ არ არიან? არ გვიკადრეს, თუ ჩვენ არ ეიკადრეთ?

– სტუმრები მოვალენი არ არიან, რომ ჩვენს ბჭობას დაესწრონ! – უპასუხა უხუცესმა, მდუმარე სემენმა.

– შესთავაზეთ და უარი თქვეს?

– არა.

– მთავარო, ვუხმოთ! ქალებმა ქალის ბედი იქნებ უკეთ გადაწყვიტონ?

– მოიყვანეთ დალები! – ბრძანა შმაგიმ და მათ მოსვლამდე კლდეკარში ციხის მშენებლობა მოიკითხა.

დარბაზში სამი დალი შემოვიდა. მეომარ ქალებს იარაღი დარბაზის გარეთ დაეტოვებინათ, მაგრამ იარაღის გარეშეც ისე გამოიყურებოდნენ, თითქოს წუთი-წუთზე ბრძოლის ველზე უნდა გაჭრილიყვნენ. მსახურებმა ქალები მთავრის მარჯვნივ მაგიდასთან მიიყვანეს და დასვეს. კაცებს მათკენ მზერა ეპარებოდათ, მაგრამ დალები ამას არ იმჩნევდნენ. დაძახების მიზეზის ახსნის მოლოდინში მეფეს შესცქეროდნენ. შმაგიმ დას ანიშნა, შენ აუხსენიო. სალომე ადგა, დალებთან მივიდა და მათ წინ დადგა.

– თქვენი რჩევა გვჭირდება, – დაიწყო სალომემ, – მთიელთა სამეფოში გიმრების გაჭრილი გვირაბით მათი ყოფილი მეფის ქალიშვილი გამოექცა ძმებს, რომლებსაც მისი თავიდან მოშორება სურდათ. ჩრდილოელ ველურებთან უპირებდნენ გაგზავნას. ტახტის მემკვიდრეა, მხარზე საგვარეულო ნიშანი მხოლოდ მას აქვს. ძმები მის ხელში ჩაგდებას მოისურვებენ. ცოცხალი სადაც არ უნდა იყოს, მეტოქედ ჩათვლიან. რომ შევიკედლოთ და მოგვადგნენ, გამკლავება გაგვიჭირდება. ჩრდილოეთის კარიბჭის მიმდებარე მიწები გიმრებისგან თავდასაცავად დევებს გადავეცით. ამბავი მოგვიყიდა, დევები აყრილან და მიზეზს არ ასახელებენ, მაგრამ მიზეზის მიხვედრას რა უნდა? ქვესკნელის ახალი ბნელთმეუფე შეჰპირდებოდა მათთვის სახარბიელოს, ანუ ჩვენს მიწებს. რაც იმას მიშნავს, რომ ქაჯავეთთან ომიც გარდუვალია. იქით – გიმრები, აქეთ – ქაჯავეთი! ღირს ერთი გოგოს გამო თავის ატკივება?

დალებმა ერთმანეთს გადახედეს. ყველა ელოდა, პასუხს დალების დედოფლის ქალიშვილი ფთა გასცემდა, მაგრამ ფეხზე სხვა წამოდგა.

– გიმრებმა თქვენამდე გვირაბები გათხარეს, დევები ბნელეთმეუფეს შეეკრნენ და ჩრდილოეთის ჭიშკრის დაცვაზე უარი თქვეს, ქაჯავეთთან ბრძოლისთვის ემზადებით. ხომ ასეა?! ხომ არაფერი დამიმატებია ან გამომრჩენია, მთავარო? – თქვა აგუნდამ, ფთას გამზრდელმა დალიმ.

– ასეა! – კვერი დაუკრა შმაგიმ.

– თუ ასეა, თავი ტკივილით ისედაც უნდა გისკდებოდეთ. ამ ბავშვს ნუ დააბრალებთ. გოგონა რამდენი წლისაა?

– ასე თოთხმეტის ან თხუთმეტის, – სწრაფად მიუგო სალომემ.

– ჩვენ ოკშში ჯერ ვერ დავბრუნდებით, – ნათქვამის სისწორის დასადასტურებლად აგუნდამ ფთას გახედა. მან უარის ნიშნად თავი გააქნია, – ამიტომ, სალომე, გოგონას ოკშში წაყვანა შენ უნდა ითავო.

– ეს ბეჭედი ოკშში ცხოვრების საშვია, – ფთამ თითიდან ბეჭედი წაიძრო და სალომეს გაუწოდა.

– გოგონას ბიძა რომ ახლაეს?! – იკითხეს დარბაზიდან.

– ბიძასაც შეუძლია, რომ მიაცილოს, – უპასუხა ფთამ, – ჩვენთან თავშესაფარს რომ ვერ მიიღებს, ამას კი ხვდებით.

– სალომე, ოკშამდე გზას გაიკვლევ? – იკითხა აგუნდამ.

– გავიკვლევ! – თავი დაუქნია სალომემ.

– ბიძის ბედი ჩვენ არ გვაღელვებს, სამეფოში შემოპარვის გამო შეგიძლიათ დასაჯოთ. ლალატისაც არ შეგეშინდებათ! – თქვა აგუნდამ.

– ჩვენ მხოლოდ გოგონას შესახებ გკითხეთ! – შუბლი შეკრა შმაგიმ.

– რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა! – მაშინვე დაეთანხმა ფთა.

სალომე დარბაზში მიღებული გადაწყვეტილებით კმაყოფილი დარჩა. დალებთან შეხვედრას დიდი ხანია ნატრობდა. იმედოვნებდა, დაარწმუნებდა, რომ მხოლოდ საკუთარი სამეფოს დაცვაზე არ ეზრუნათ და ქაჯავეთთან სამომავლო ბრძოლებში მთიელთა მოკავშირენი გამხდარიყვნენ. ამასთან, კარგად ხედავდა, თავისუფალი ცხოვრების წესით ძმას ხშირად გამოუვალ მდგომარეობაში აგდებდა. შმაგის რომელ ერთზე უნდა ეფიქრა, ქაჯავეთისგან და დევებისგან თავდაცვაზე, თუ მთიელ ვაჟკაცთა შემოტევაზე, რომლებსაც მთავრის კარზე სალომესთან თანასწორობა დამცირებად მიაჩნდათ.

დალებმა დარბაზი დატოვეს, სალომეც გაჰყვა. როგორც კი დაიმარტოხელა, წინ დაუდგა და მადლობის ნიშნად თავი დაუკრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– არა, ნურაფერს გვეტყვი, – შეაჩერა ფთამ, – დალები ასე ვიქცევით.

– ასე რომ იქცევით, დასახმარებლად სწორედ ამიტომაც გიხმეთ, – უპასუხა სალომემ.

– სიმართლე გითხრა, ძალიან გამაკვირვე, ჩვენი დახმარების გარეშე რომ არ მოაგვარე, – უთხრა აგუნდამ.

– იმდენ კაცს ერთად რას ვაჯობებდი?! – გულწრფელად მიუგო მთავრის დამ.

– რომ გეთქვა, ამ გოგონას შვილად ვიღებო, რომელიმე კაცი დედას წინააღმდეგობას გაგიწევდა?

– დედობაზე არ მიფიქრია, – დაიბნა სალომე.

– დედობაზე ჩვენ – მეომარი ქალებიც კი ვფიქრობთ! – აგუნდამ თანმხლებ დალებს მრავალმნიშვნელოვანად გადახედა.

სალომე დარბაზისკენ შებრუნდა. გზაში რამდენჯერმა დაყოვნდა, აგუნდას ნათქვამზე და ფიქრობდა. თითქოს დალიმ ის კითხვა დაუტოვა, რომელზეც პასუხს სასწრაფოდ ითხოვდა. სალომეს კი სათქმელი არაფერი ჰქონდა.

მსახურები მაგიდებზე ნადიმისთვის კერძებს ალაგებდნენ. უზარმაზარი თასებითა და დოქებით დაქროდნენ. უმეტესად ნანადირევი შემოჰქონდათ. მოდარბაზეების ნაწილი აშლილიყო. ნაწილი ერთმანეთს ესაუბრებოდა და შთაბეჭდილებებს უზიარებდნენ. სახეზე ყველას ნათლად ეწერა, ვინ იყო შეხვედრაზე მიღწეული გადაწყვეტილებით კმაყოფილი და ვინ – არა. მხოლოდ კაცმაცუნა ზანზარაკს, იგივე მორგვს, არ ემჩნეოდა არაფერი, კლდეკარელების თხოვნებს ყურადღებით ისმენდა. მთავარიც მათთან იდგა. ამიტომ სალომემ გეზი ზანზარაკისკენ აიღო.

– კლდეკარისკენ ორი ახალი გვირაბი გავჭერით. ერთი რკინის მადნის ძარღვს მიადგა. თქვენთან სულ ახლოსაა. ერთი სასიხარული ამბავიც გვაქვს. ხვალ ვაპირებდი ამის თქმას, საბოლოო პასუხს რომ მივიღებდი, მაგრამ გული არ მითმენს. მოხუცი კი ვარ, მაგრამ ახალგაზრდული სულსწრაფობა ისევ მახასიათებს, – ჩაიქირქილა სწავლულმა. ყველამ მზერა მოხუცს მიაპყრო, ის კი პატარა სკამზე შემოწყობილ ფეხებს ათამაშებდა.

– ნეტა, კაცმაცუნებს ყველაფრის მალვა არ გიყვარდეთ, რას ფიქრობთ, რის თქმას აპირებთ, კაცი ვერ გაგიგებთ, – უსაყვედურა შმაგიმ.

– ჰო, სულ იმიტომ გვაქვს მორგვებს თიხა თავზე წასმული, რომ ფიქრები და აზრები უსაფრთხოდ შევინახოთ, – საყვედურზე ხუმრობით უპასუხა კაცმაცუნამ, – ამჯერად არაფერს დაგიმალავთ, გეტყვით! ოქროს მივაგენით! იმდენია, მარტო მორგვები ვერ მოვერევით. თქვენი დახმარება დაგვჭირდება!

ოქროს ხსენებაზე სწავლულ ზანზარაკს სხვა მთიელებიც შემოეხვივნენ.

– გაიგეთ ოქრო და შეგულიანდით! – ამრეზით თქვა სალომემ, – რკინაზე ლაპარაკობდა ზანზარაკი, მაგრამ, ეტყობა, თქვენს ყურადღებას ოქრო უფრო იმსახურებს. პიტალოში დევებმა სამჭედლოები დატოვეს. იქიდან გუშინწინ ჩამოვედი. ათიოდე მცველი იცავს კარიბჭეს. ჩვენიანი ერთი მჭედელიც კი ვერ აღმოვაჩინე. ახლა იარაღის დამზადებაზე უნდა ვზრუნავდეთ, ოქროს თასებისა და ბარძიმების ჭედვაზე კი – არა!

– რა სამწუხაროა, ოკშში რომ უნდა წაიყვანო გოგონა, მთიანეთის იარაღით მომარაგებას ხომ მოგანდობდით! – მოესმა სალომეს ძმის სიტყვები.

– შენი ხელი დაგვაკლდება, – მთავრის გულის მოსაგებად მხარი აუბა მხედართმთავარმა.

დას ძმის გულწრფელობაში ეჭვი არ შეპპარვია. აი, ბაბუკს კი უნდობლად შეხედა. შმაგის მსახურთუხუცესმა ანიშნა, სუფრა გაშლილიაო და მთავარმა სტუმრებს სანადიმოდ უხმო.

– დარჩი, საქმე მაქვს! – უთხრა შმაგიმ დას.

– მოგვიანებით შემოგივლი. ოკშში დალებთან წასვლამდე პიტალოს სამჭედლოების ამუშავებაზე უნდა ვიზრუნო! აქ მხოლოდ დროს დავკარგავ! ტუასპას თავს ხომ მარუქებ?

– როგორც გინდა, – თანხმობის ნიშნად ხელი ჩაიქნია შმაგიმ.

სალომემ დარბაზი სწრაფი ნაბიჯით დატოვა. ქვის ორკოშკურიანი ხიდი გადაიარა. კოშკში შესვლის წინ შეჩერდა და შორეთს გახედა. ჩამავალი მზის სხივებში გახვეული მთიანეთი შეკითხვის მოლოდინში გარინდებული ბრძენკაცივით შესცქეროდა. სადაც მიდიოდა, ოკშში, იქაც სალი კლდეები და ზვიადი მთები დახვდებოდა, მაგრამ უცხონი. აქ კი სად არ უნდა გაეხედა, რომ ყოველი ხედის ყველა სახეცვლილება არ სცოდნოდა. ახლაც ურჩხულივით გაწოლილ ჩრდილს აკვირდებოდა, რომელიც მხოლოდ მაშინ იცრიცებოდა, როცა მზე, უკანასკნელი სხივების აკრეფისას, თვალს შეაცლებდა ხოლმე. ამ დროს მუქლურჯი ლაქის უკან ცროლის მთის ნაოჭები გამოიკვეთებოდა ხოლმე.

სალომემ ტყვეებს მიაკითხა. ბიძა-დისშვილი ერთ პატარა, სანახევროდ ჩაბნელებულ სენაკში მოეთავსებინათ. კარის გაღებისთანავე ტუასპა ფეხზე წამოიჭრა და ანვეას აეფარა.

– მშვიდად! – მიმართა სალომემ გიმრთა ენაზე, – ანვეას დალები შეიკედლებენ, გვყავს ასეთი მეომარი ქალები, ერთი გოგოს პატრონობაზე უარს რომ არ თქვეს.

– გმადლობ, დედოფალო! – მუხლებზე დაეცა გიმრი.

– მადლობა დალებს ეკუთვნით, ეს ერთი, მეორეც – მე დედოფალი არ ვარ!

– სალომე ჩვენი დედოფალი, – ანვეამ და ტუასპამ გულზე ხელი დაიდეს.

– რამდენიმე დღეში ახიელს დავტოვებთ! შორი გზა გველის. ტუასპა, ანვეას გაცილება შენც შეგიძლია.

– მხოლოდ გაცილება? – თქვა დაღვრემით გიმრმა.

– მხოლოდ გაცილება, რადგან დალების ქალაქში – ოკშში მხოლოდ ქალები ცხოვრობენ. ზღურბლს ერთი ნაბიჯითაც რომ გადასცდე, მოგკლავენ. წესი აქვთ ასეთი. გამგზავრებამდე კი მასწავლებელს მოგიჩენთ, ჩვენებური ენა უნდა ისწავლოთ!

– როგორც დედოფალი გვიბრძანებს! – უპასუხა ტუასპამ.

სალომემ დედოფლობა აღარ იუარა, ივარაუდა, გიმრები ამ შემთხვევაში სიტყვას სულ სხვა მნიშვნელობით ამბობდნენ, რომელსაც ენის ცუდად ცოდნის გამო ვერ ხვდებოდა, სხვა დროს დაეაზუსტებო.

სალომემ პირადი რაზმის, მეთაურს ბორჩა ზვიადაურს უხმო და პიტალოში ასასვლელად მომზადება უბრძანა. სწორედ ბორჩას მიაბარა მამამ ცხენოსნობისა და საბრძოლო ხელოვნების შესასწავლად. მაშინ მთავრის ასული თორმეტი



წლისა იქნებოდა. არც ბორჩას ეთქმოდა დიდად ასაკოვანი, თუმცა სალომეზე ორჯერ უფროსი და ქაჯებთან ბრძოლებში გამოცდილი მეომარი იყო. სწორედ ბორჩას რაზმმა ჩაკეტა ქაჯავეთის მთავარ კარიბჭესთან გაწოლილი ხეობა და მთიანეთის ჯარის შესაგროვებლად დრო მოაგებინა. ამ ბრძოლიდან ბევრი მთიელი შინ არ დაბრუნებულა, მაგრამ ქაჯავეთი ვერ გაფართოედა და კაცისძეთა მიწებისკენ კედელი ერთი გოჯითაც ვერ გადაწია. ბორჩა ზვიადაურის რაზმიდან მხოლოდ სამნი გადარჩნენ. მძიმედ დაჭრილი მეთაური სამი თვე ლოგინიდან ვერ დგებოდა. მეოთხე თვეს კი ახალი რაზმის შექმნის თხოვნით, ნაიარევი სახითა და ძლივს შეზრდილი ძვლებით, სიარულში ხელს ხომ უშლიდა, მთავრის წინაშე წარსდგა. რაზმის ნაცვლად სხვა დავალება მიიღო – სალომეს მეომართა თანასწორად ქცევა. ბორჩა ამ გადაწყვეტილებას ვერ ხვდებოდა, არ ამართლებდა, გულში ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ გოგონასთან პირველივე შეხვედრის შემდეგ შეცდომას მიხვდა. საცოდაობა იყო სალომეს საბრძოლო ჟინის ჩახშობა და ოთხკედელშუა გამოკეტვა.

– მთელი რაზმით უნდა წავიდეთ, თუ რამდენიმე მეომარიც საკმარისია? – იკითხა ბორჩამ.

– რამდენიმეც საკმარისია. თან მჭედლებსაც წავიყოლებთ.

– რატომ? – გაუკვირდა მთიელს.

– პატალო მჭედლების სოფლად მინდა ვაქციო. დევების მიტოვებული სამჭედლოების ამუშავებას ვაპირებ. მათი უმოქმედოდ დაგდება საცოდაობაა. ჩრდილოეთის კარიბჭის დასაცავად მარტო რაზმის ჩაყენება საკმარისად არ მიმაჩნია. კარიბჭე მხოლოდ მეომრებმა კი არა, სოფელმა უნდა დაიცვას – მჭედლების სოფელმა. ჩვენს ბედად, დევებმა მაღაროები და სამჭედლოები ხელუხლებლად დატოვეს. რად არ უნდა გამოვიყენოთ?

– კი, ასე აჯობებს! – დაეთანხმა ბორჩა, – მართალი ხარ, დიდი რაზმის წაყვანა აუცილებელი არაა. დევებს გულში ცუდი რომ ჰქონოდათ, მთელს სოფელს საცხოვრებელ-მაღაროებით ხელუხლებელს არ დაგვიტოვებდნენ, მაგრამ იქნებ სიბრიყვით დაემართათ. ასეა თუ ისე, სამჭედლოები დანგრეული არაა.

– რა თქვი? სიბრიყვითო?

– ჰო. დევების სიბრიყვე პირველად გაიგე?

– იქნებ გამართული სამჭედლოები მართლა სიბრიყვით დატოვეს? – ჩაფიქრდა სალომე.

– ადრე თუ გვიან აუხსნიან, მტერს რა გამოგვილევს და ისინიც შეცდომის გამოსწორებას შეეცდებიან. ორიოდე დღის წინ პიტალოში ერთი დევი ასულა, ვითომ სახლში რაღაც დარჩენია და წაღება სურდაო.

– პიტალო მთლად დაუცველია! – წამოიძახა სალომემ, – სანამ შმაგი მის დასაცავად რაზმს შექმნის, ჩვენ მივხედოთ.

– გამოდის, მთელი რაზმი მივდივართ.

– ასე გამოდის. დაღამებამდე უნდა გავიდეთ, – სალომემ სარკმელში გაიხედა, – მთვარიანი ღამე იქნება, სიარული არ უნდა გაგვიჭირდეს. კაცმაცუნებიც წამოიყვანე, მაინც ღამით ვივლით.

სალომეს რაზმში ორი კაცმაცუნა ირიცხებოდა. მთიელებს მხოლოდ მშვიდობიანი მგზავრობისას დაჰყავდათ თან. სალომე ისე ოსტატურად უხსნიდა, შინ რატომ უნდა დარჩენილიყვნენ, რომ ნაწყენები არ რჩებოდნენ. არადა, უცხოსთან ხშირად ჩიოდნენ, ყველაფერი ისე ეწყობა, ხმალი ბრძოლის ველზე ერთხელ ვერ გამოვცადეთო. სალომეს ყველაზე ნაკლებად მათი ხმალი ეიმედებოდა, სამაგიეროდ, კაცმაცუნების სხვა უნარით, მათ ხომ ქვის ბუნების მართვა შეეძლოთ, აღფრთოვანებული იყო და არაერთხელ გამოუყენებია. ადამიანებისგან განსხვავებით მორგვები, იგივე კაცმაცუნები, მხოლოდ მზის ჩასვლის შემდეგ ხედავდნენ და რაც უფრო ბნელდებოდა, ნივთებსა და გზას მით უფრო კარგად არჩევდნენ. დღისით სასიარულოდ თვალებზე ფერშეცვლილ გამჭვირვალე მთის ბროლის ფირფიტებს იფარებდნენ.

გამგზავრების წინ სალომემ ძმა მოინახულა. მთავარი თავის მოსასვენებელში იყო. მთავრის ოთახი ერქვა, თორემ ერთი ჩვეულებრივი სენაკი იყო: ხის ტახტით, სკივრით და [illegible]ქვის სამუშაო მაგიდით, რომელთანაც მხოლოდ ერთი ზურგიანი სკამი იდგა. ცეცხლის დასანთები ადგილის წინ რამდენიმე უზურგო დაბალი სკამი იდგა. შმაგიმ და ერთ-ერთზე დასვა და წინ დაუჯდა. მზე მთებს მოფარებოდა, ამიტომ ოთხივე კუთხეში ჩირაღდანი ენთო, რომელთა ცეცხლი და-ძმის ჟღალ ყავისფერ თვალებსა და თმას მენამულ ელფერს აძლევდა. უცხოს რომ ენახა, ორივე ცეცხლოვანთვალებიანი გრძნეული ეგონებოდა.

– აბა, რა გადაწყვიტე, ტოვებ ახიელს, ოკში როდის მიდიხარ?

– ჯერ არა. სხვა უფრო მნიშვნელოვანი საქმე გვაქვს. ჩრდილოეთის კარიბჭესთან მთიელი მჭედლები უნდა დავასახლოთ. გავმართავ სამჭედლოებს და მერე, – სალომემ ძმას არც კი ჰკითხა, თანახმა ხარ თუ არაო. ძმასთან უსიტყვო თანხმობა ჰქონდა: სალომეს მთიანეთის მთავარი არ ერქვა, თორემ მთავრის უფლებებით სარგებლობდა. ეს თანხმობა ნდობაზე იყო აგებული, რომელსაც საფუძველი მშობლებმა ჩაუყარეს. დიდი მთავარი ქალიშვილის გონიერებასა და მებრძოლ ხასიათს პატივს სცემდა და ვაჟსაც ამას ასწავლიდა. რჩევებს ორივეს ერთად აძლევდა, დარიგებას თანაბრად უნაწილებდა.

შმაგის დის გადაწყვეტილება მოეწონა. ერჩია, სალომეს მთიანეთი, რაც შეიძლება გვიან, დაეტოვებინა.

– ერთი თხოვნა მაქვს. თუმცა, უფრო დაწვრილებით, პიტალოდან რომ ჩამოხვალ, მერე გეტყვი.

– რაზმსა და მომავალ პიტალოელებს რომ გამოგზავნი, იქაურობას მაშინვე დავტოვებ. რაღა მინდა. რა თხოვნა, ბარემ მითხარი.

– დიდი არაფერია. კოლხეთში ტახტის მემკვიდრეები დაბადებულან, – უთხრა შმაგიმ.

– ეგ ამბავი რამდენიმე თვის წინ გავიგე...

– შეიძლება მეც ადრე გავიგე, მაგრამ ყურადღება არ მიმიქცევია და დამავიწყდა.

– ახლა რამ გაგახსენა?

– დარბაზობაზე გავიგე ზანზარაკისგან, კოლხებს რაღაც ყველაფრის გამანადგურებელი ჩრდილის განდევნაში ქაჯები დახმარებიან, – მიუგო შმაგიმ.

– სულ მაოცებდნენ კაცმაცუნები. მიწის ქვეშ ცხოვრობენ და მიწის ზევით რაც ხდება, ყველაზე უკეთ იციან, – გაეცინა სალომეს.

– კარგი იქნებოდა, უფლისწულების დაბადების მისალოცად ფასისში გაგევლო. საჩუქრებს მიართმევდი, თან სიმართლეს გაიგებდი. ქაჯაეთი კოლხებს უმიზეზოდ არ დაეხმარებოდა, სანაცვლოდ რამეს მოითხოვდნენ, – უთხრა შმაგიმ.

– გზას კი ძალიან გავიმრუდებ, მაგრამ ეს იმასთან, რაც შენ მომიყევი, ისეთი უმნიშვნელოა, არ დავეძებ, – უპასუხა სალომემ და წამოდგა, – ჩემი წასვლის დროა.

– ფრთხილად იარეთ. ტოზიკი ახლოვდება. დევებს აღნიშვნის დაწყება ადრიანად უყვართ ხოლმე. ფხიზლებს რა მოეკითხებათ, მთვრალებს რომ მოეკითხოთ, – სიტყვა დაადევნა შმაგიმ დას.

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნატო დავითაშვილის „დაბრუნება – ადამიანები და სხვები“

[…] ეს არის წიგნი, უფრო ადამიანებსა და ურთიერთობებზე, ვიდრე სამეცნიერო ფანტასტიკისათვის დამახასიათებელ ინოვაციურ ტექნოლოგიურ ამბიციებზე. მწერალს უყვარს ადამიანი თავისი სისუსტეებით და მიზანსწრაფულობით, ნაკლოვანებებით და ღირსებებით. სამეცნიერო ფანტასტიკისათვის დამახასიათებელი მომავლის შესაძლო ალტერნატიულ სამყაროთა რაციონალურობის აღწერა მოთხრობებში ძირითადი ფონია. მოთხრობები ძალიან ჰგავს ფენტეზის ჟანრს, მაგრამ გამოირჩევა იმით, რომ თხრობის ელემენტები ეფუძნება მეცნიერული საფუძვლის მქონე ფაქტებს ან ბუნების კანონების მეცნიერულ პოსტულატებს. ალბათ ამ შემთხვევაში აჯობებდა, გვეხმარა სამეცნიერო ფენტეზი და ან ჰუმანიტარული სამეცნიერო ფანტასტიკა. […]

„პეპლის მტვერი“ უაღრესად საინტერესო მოთხრობაა, სადაც აფრიელების ცხოვრების შესახებ არის მოთხრობილი. ისინი თავს ბედნიერად გრძნობენ, თუ პეპლის ცხოვრების უმთავრეს ეტაპებს გაივლიან. პირველი – როცა ორი შეყვარებული ჭუპრიდან ერთი პეპელა წარმოიქმნება; მეორე – როცა ერთი პეპელა ორად იყოფა და მესამე – ხელახალი შეერთება. აფრიელი ჭუპრები ვალდებულები არიან, შეყვარების შემდეგ დაბადონ პეპელა და შექმნან ალმასი, ხოლო პეპელა მოვალეა, ორად გაიყოს და შექმნას პეპლის მტვერი. […]

აფრია დახურული პლანეტაა და იქ დედამიწიდან აგენტებად შეაგზავნიან ორ ადამიანს, – უცხო სხეულში ხელოვნურად ჩატვირთულ ჰუგოს და ელის, რომლებიც მათი წესის მიხედვით უნდა გაიყონ და გაიარონ აფრიული ყოფის ეტაპები. მათ უფრო მეტი ინფორმაცია უნდა მოიპოვონ ალმასის, პეპლის მტვრის და ტექნოლოგიების შესახებ. აფრიელების ცხოვრება გარკვეულწილად იძულებითი ბედნიერების ლიბერალური ტოტალიტარიზმია. ის მცირე ნაწილი, ვინც არ არის ბედნიერი, ტანჯვაში ხდება სული. მას შემდეგ, რაც ელი და ჰუგო აფრიელების ცხოვრებას გაეცნობიან, პეპლებად ქცეულ ადამიანებს აღარ სურთ დედამიწაზე დაბრუნება და ცნობიერებაში ჩადებული თვითგანადგურების კოდის (კოდი გააქტიურდება თუ მისიის შესრულება ეჭვქვეშ დადგება) გაუქმებას ცდილობენ, რასაც წარმატებით შეძლებენ კიდეც. […]

ჩემი ფავორიტი მოთხრობა მაინც „დაშლილების მეფეა“, ეს არის ტექსტი ერთ კაცზე (გოგი ბედიაზე), რომელსაც ჯანმრთელობის პრობლემების გამო კოდი 7249 მიანიჭეს, არათუ პილოტობა, ეკიპაჟის წევრობაც აუკრძალეს. ტვინის რეკონსტრუქციისთვის საჭირო ფული კი საკმაოდ სოლიდური თანხაა, რაც გოგის არ აქვს. პლანეტა კეშზე მხოლოდ დამხმარე რობოტები არიან, ე. წ. ჯართის პლანეტაზე საპლანეტთაშორისო ჩამოწერილი ხომალდები, კოსმოსური ზონდები და ორბიტალური სადგურები შემდგომი დაშლა-დახარისხებისათვის იგზავნება. გოგი ბედია უვადო 45 წლიანი კონტრაქტით წავა კეშზე და თავს ბედნიერადაც გრძნობს. იგი ერთადერთი სულიერია პლანეტაზე, ვიდეობლოგს წერს და დედამიწაზეც პოპულარულია გარკვეულ წრეებში.

სიტუაცია რადიკალურად იცვლება, როდესაც ერთ-ერთ გამოგზავნილ ხომალდში იზიელი ბავშვი აღმოჩნდება. როგორც კრებულის სხვა მოთხრობებში, ამ მოთხრობაშიც მთავარი გმირი ტექსტის ბოლოს სხვა პლანეტაზე, მისი აზრით უკეთეს დრო-სივრცულ და წესრიგის სამყაროში გამგზავრებას ესწრაფვის.

ნატო დავითაშვილის წიგნში ადამიანური არსებობის მთავარი სამყოფელი – სახლი მოიაზრება, როგორც დედამიწა. მოთხრობების მთავარი გმირები გარბიან პლანეტიდან. გაქცევების სერიული კასკადი არსებითად არა დატოვებაა, არამედ დრო-სივრცული განზომილებიდან გასვლა და საკუთარ თავში დაბრუნება. დედამიწიდან გადახვეწა, როგორც შინიდან გასვლა, ერთდროულად გაქცევაც არის და დაბრუნებაც. უპირველეს ყოვლისა, ეს გულისხმობს, როგორც აღვნიშნე, დრო-სივრცული კონტინუუმიდან გასვლას, მაგრამ სამყაროს ხედვის ადამიანური წერტილი – ადამიანური აღქმა, გარდაუვალია და ის მუდამ თან მიჰყვება ადამიანს, სადაც არ უნდა წავიდეს. ამდენად, გაქცევა კარგი საშუალებაა საკუთარ თავში დაბრუნების. დაბრუნების, როგორც საკუთარი თავის შეცნობის. ამ მხრივ საინტერესო მოთხრობაა „გინდათ მოგიყვეთ ზღაპარი“? […]

ალექსი მთელი წელი ეძებდა გასაქცევს. მას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი წასვლა. დედამიწაზე ცხოვრება აღარ უნდოდა. პლანეტათა კატალოგებში იქექებოდა. უმარტივესი კრიტერიუმი ჰქონდა: სადაც წავიდოდა, იმ პლანეტაზე ყველაფერი მოწესრიგებული უნდა ყოფილიყო. ასეთ პლანეტას „მიქსს“ მიაგნო კიდეც. მას მოეჩვენა, რომ ადამიანთა დაარსებულ კოლონიას, თითქოს დედამიწიდან გაყოლილი ცოდნიდან, უნარებიდან თუ თვისებებიდან მხოლოდ მისთვის ღირებული დაეტოვებინა და დანარჩენი კი გენეტიკურ დონეზე გაენადგურებინათ. ალექსის იმედი ჰქონდა, რომ იმ პლანეტაზე ბედნიერი იქნებოდა, რადგან ყველაფერი ზედმიწევნით მოწესრიგებული იყო. სინამდვილეში მიქსზე დახვდა წყობა, სადაც ცნობიერება და ყოფიერება გამოშიგნულია ყოველგვარი მხატვრული და მეტაფორული გააზრებებისგან. არ არსებობს მცირედი, არაპირდაპირი და ქვეტექსტით გაჯერებული სასაუბრო მიმართვები. ალექსი სკოლაში იწყებს მუშაობას, სადაც ბავშვებს „წითელქუდას“ ზღაპარს უყვება. ეს მომენტი მოთხრობაში გარდამტეხია. ზედამხედველი ყოველ სიტყვაზე ალექსის შენიშვნას აძლევს და უსწორებს. თუმცა ევას, უფროსის ქალიშვილს და ბავშვებს უზომოდ აინტერესებთ და ხიბლავთ დედამიწელების ზღაპარი. პლანეტა მიქსისთვის კი „წითელქუდას“ ნარატივი ყოვლად მიუღებელია. […] ისევე, როგორც ყველა მოთხრობა, ამ მოთხრობაშიც პლანეტის დატოვება გარდაუვალი გადაწყვეტილებაა. ამჯერად, ალექსის მიერ დედამიწაზე მიქსელის წაყვანით სრულდება.

„ავეჯის გადაზიდვის სერვისი“ დეტექტიური ელემენტების შემცველი მოთხრობაა, რომელიც ხის მაგიდის გადატანის ამბავს გვიყვება. სინამდვილეში კი ამ მაგიდაში დამამლული სხვა რესურსების გადატანის საშუალებაა. ეს მოთხრობა ერთგვარად ასრულებს და კრავს წინა სამ მოთხრობას და რეზიუმეს უკეთებს მათ.

*ლევან გელაშვილი, „ელექტროლიტი“, 15.03.2019*

# ლიუბა იაკიმჩუკი

ეროვნული ბიბლიოთეკა



© ნატა კოვალის ფოტო

# ЛЮБА ЯКИМЧУК

უკრაინელი პოეტი, კინოსცენარისტი, დრამატურგი და მთარგმნელი. დაიბადა 1985 წელს, ლუგანსკის ოლქის ქალაქ პერვომაისკში. ამჟამად ცხოვრობს კიევში.

ავტორია პოეტური კრებულების „როგორც მოდა“ (2009) და „დონბასის გარგარები“ (2015). პირველი დაჯილდოვდა სამი სხვადასხვა ეროვნული პრემიით, ხოლო მეორე – ნიუ-იორკის International Poetic Award of the Kovalev Foundation-ის მიერ და მოხვდა „Forbes“-ის რეიტინგში „10 საუკეთესო უკრაინული წიგნი ომზე“.

თანასცენარისტია ფილმების „სახლი 'სიტყვა'“ (უკრაინა) და „Some Men Must Die“ (შვეიცარია-უკრაინა). მისი პიესა, „კედელი“ იდგმება ივან ფრანკოს სახელობის ეროვნულ აკადემიურ თეატრში.

მისი ლექსები ნათარგმნია 18 ენაზე, მათ შორის ინგლისურად, გერმანულად, ფრანგულად, შვედურად, რუსულად და ივრითზე.

2015 წელს ჟურნალმა „ნოვოე ვრემია“ ლიუბა იაკიმჩუკი შეიყვანა უკრაინის 100 ყველაზე გავლენიანი კულტურის სფეროს ადამიანის სიაში.

2020 წლის მაისში მოწვეულია თბილისის მეექვსე საერთაშორისო ლიტერატურულ ფესტივალზე.

# ლიუბა იაკიმჩუკი: „მე ცნობიერად უკვე გამოვეთხოვე იმას, რასაც სახლს ვუწოდებდი“

(ფეისბუქ-დიალოგი შოთა იათაშვილთან; 18 ნოემბერი, 2019 წელი)

**შოთა იათაშვილი: ძვირფასო ლიუბა, კარგი იქნება თუ მოგვითხრობ, თუ რა გზით მიდიოდა შენი პოეზია იმ პოეტიკისაკენ, რომელიც გამოკვეთილია „დონბასის გარგარებში“. თავიდანვე გქონდა მიდრეკილება ასეთი სოციალური თემატიკისადმი თუ რაღაც მომენტში მოხდა გარდატეხა?**

**ლიუბა იაკიმჩუკი:** გამარჯობა, შოთა! პირველი ლექსი მე ცხრა წლის ასაკში დავწერე და ცხადია, ჩემს მაშინდელ ფიქრებში სოციალური თემატიკა არ ყოფილა. მე ვყვებოდი ცხოველებზე და მცენარეებზე და იმ პერიოდშივე ვატარებდი პირველ ცდებს მათზე: ვუკეთებდი ინექციებს პანანკინტელა ფოთლებს, ვჭრიდი მატლებს და ველოდი მათ რეგენერაციას – თუ როდის გამოიზამდა განახევრებული მატლი ახლიდან კუდს თუ თავს. მაგრამ როცა ყმაწვილქალობის პერიოდი დამეწყო, გაჩნდა უსამართლობის მძაფრი განცდა, აღშფოთება პოლიტიკით და იმით, თუ რა მძიმე პირობებში მუშაობენ ჩემი მშობლები, რა ბევრი ნაგავია ქუჩაში და ა.შ. სწორედ მაშინ დავიწყე სოციალური პოემების წერა. და ეს ძალიან არატიპიური იყო იმ ბავშვებისთვის, რომლებიც იმ დროს ასევე რაღაცას წერდნენ. მაგრამ მაშინ უკვე 90-იანების მეორე ნახევარი იდგა, 1996 წელი, და მამაჩემი, მაღაროელი, 90 კილომეტრის მანძილზე ფეხით დადიოდა პერვომაისკიდან ლუგანსკში მაღაროელების გაფიცვებზე და ეს სვლა პროტესტის ნაწილი იყო – მაშინ დონბასზე მათ ყოველთვიური ხელფასის მხოლოდ და მხოლოდ 2-7%-ს უხდიდნენ ხოლმე. იმ დროს ჩვენ აგარაკის ბაღჩით გაგვქონდა თავი, სადაც ბოსტნეული მოგვყავდა, და კიდევ გარგარის მოსავლით, რომელიც ვედროებით მიგვქონდა მოსკოვის მატარებელზე გასაყიდად. ამიტომაცაა, რომ ჩემი ახლანდელი ტექსტების სოციალური სიმკვეთრე სრულიად ბუნებრივია ჩემთვის.

**შ. ი. თუმცა მაინც არსებობს პარალელური, ალტერნატიული ხაზები შენს ახლანდელ პოეზიაში. შესაძლოა, ისინი ნაკლებად მოჩანს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ისინი ნაკლებად მნიშვნელოვანია შენთვის. რას იტყვი მათზე?**

**ლ. ი.** მართალია, არსებობს. როგორც ნებისმიერ პოეტს, მეც მაქვს ბევრი სასიყვარულო ლირიკა და ეროტიკული ლექსი. მიყვარს ავანგარდული თამაშები, ფორმაზე მუშაობა. თუკი ვერლიბრს ვწერ, მაშინაც კი მასში მუდამაა რიტმი და შიდა რითმები. ფართოდ რომ შევხედოთ, ანაფორა და ეპიფორაც ხომ ასევე რითმაა. მოკლედ რომ ვთქვათ, მე მიყვარს ზუსტი კონსტრუქციების აგება. მთავარი პრინციპია ის, რომ ლექსი კარგად უნდა ჟღერდეს. პოეზია დასაბამიდან ზეპირსიტყვიერი ჟანრია, ეს – აუცილებლობის გამო დაიწყეს ადამიანებმა მისი ჩაწერა, არადა, ძველი ბერძნები მას მღეროდნენ და ასე დეკლამირებდნენ... გარდა ამისა, ძალიან მიყვარს იდეოლოგიური მომენტებით თამაშიც. წიგნში, რომელსაც ახლა ვწერ, შევა ლექსი „გაუპარსავი ფეხი“, რომელიც თითქოსდა იმ ქალზეა, რომელსაც ერთი ფეხი გაპარსული აქვს, მეორე კი არა, მაგრამ ამავე დროს არის მემარჯვენე (პატრიარქალურ) და მემარცხენე (ფემინისტურ) იდეოლოგიებზე. მე მომწონს ირონიული, და თან, ამავე დროს, პოლიტიკური და ეროტიკული ლექსების წერა. ერთ-ერთ შედარებით ახალ ასეთ ლექსს, სახელწოდებით „ასეთებზე ამბობენ, შიშლები არიანო“, ციტირებდა რამდენიმე ფსიქოლოგიური გვერდი ინტერნეტში, და იმავე ფეისბუქზე იგი ერთმა მღვდელმაც გააზიარა. ეს ლექსი პირველ სექსუალურ გამოცდილებაზეა, თუმცა სინამდვილეში იმ ახლობლებზეა, რომლებიც ცხოვრებაში ხელს გვიშლიან, გვაიძულებენ, მათ აზრს მივაქციოთ ყურადღება. ამ ლექსმა ყველგან დიდი მოწონება და ძალიან ბევრი ლაიქი დაიმსახურა. მე მიყვარს ასეთი რაღაცებით მუშაობა და მათთვის ფორმის ძიება – და მომწონს, როცა ასეთი ტექსტების კითხვისას ადამიანები იცინიან.

**შ. ი. კარგია, რომ თანდათან წამოვიწყეთ ფორმაზე საუბარი. ისედაც მსურდა, შემდეგი კითხვა ამ თემაზე დამესვა. შენ თქვი, რომ გიყვარს ზუსტი კონსტრუქციების აგება. ეს ჩემთვის ძალიან ახლოა, მეც ასეთი ვარ. და მეც ვფიქრობ, რომ ზუსტი კონსტრუქცია კი არ ბორკავს, არამედ მეტ სიმსუბუქეს ანიჭებს ლექსს, და მგონია, რომ ზუსტი კონსტრუქციებით უფრო იოლია ირონიისა და იუმორის გამოხატვა. მაინტერესებს, რომელმა პოეტებმა და პოეტურმა მიმართულებებმა გასწავლა ყველაზე უკეთ ლექსების სწორად და ზუსტად აგება და კონკრეტული იდეისა და თემისთვის საჭირო ფორმის მოძიება.**

**ლ. ი.** მათ შორის იქნება ბევრი ფრანგი ავანგარდისტი – ალბათ იმიტომ, რომ სკოლაში ფრანგულს ვსწავლობდი და შემეძლო ორიგინალის კითხვა, მაშინ, როცა ინგლისური ზრდასრულ ასაკში გახდა ჩემთვის ხელმისაწვდომი. ამ სიას დავიწყებდი ვერლენით და რემბოთი, გავაგრძელებდი სანდრარით და აპოლინერით,

და ალბათ დავასრულებდი ანრი მიშოთი. ამას შეიძლება დავუმატო უკრაინული ბაროკოული პოეზია, რომელიც ძალიან მათემატიკურია და რომელშიც ყველაფერი საოცრად და საზიზღრად ზუსტი და გალოკილია. ჩემთვის ეს გალოკილობა, სიპრიალე – არაბუნებრივია. მე ვაგებ ზუსტ კონსტრუქციას, მაგრამ მაინც მიყვარს, როცა ჩნდება შემთხვევითობის, ბუნებრიობის განცდა, ხოლო თუ ვწერ სილაბურ-ტონურ ლექსს, რასაც პრინციპში ძალიან იშვიათად ვაკეთებ, ვცდილობ, იქ იყოს ერთგვარი აბურძგნულობა, ვინაიდან ამ საზომებით უკვე იმდენია დაწერილი, რომ ეს კონსტრუქციები ყველამ უკვე ზეპირად იცის, და ისინი გახდნენ ფუტურო, ისინი გასაგებია, როგორც კარი (ჩვენთან ასე ამბობენ), ნამდვილი პოეზია კი უნდა ანცვიფრებდეს ადამიანს – ის კარი კი არა, მთელი შენობა უნდა იყოს. სხვათა შორის, მუშების თემატიკაზე წერის სიყვარულიც ბაროკოული პოეზიიდან მაქვს მე (იყო ასეთი ავტორი – კლიმენტი ზინოვიევი) და უკრაინელი ფუტურისტებისაგან, რომლებმაც დონბასში ტურიც კი მოაწყვეს, რათა დაეწერათ ლექსები მაღაროებზე და მეტალურგიულ ქარხნებზე. ჩვენი ფუტურისტები 30-იან წლებში დახვრიტეს და ჩვენ დღემდე ვიკვლევთ მათ ცხოვრებას და საინტერესო აღმოჩენებს ვაკეთებთ ხოლმე. მე ზოგჯერ შემიძლია ძალიან უცნაური რამ ჩავიდინო, მაგალითად, გამოვაქვეყნო წიგნში ჩეკი ცნობილი სუპერმარკეტიდან, რომელშიც უკვე დიდი ხანია, არის რაღაც წინასწარმეტყველება. ეს უბრალოდ ჩეკი კი არა, კონკრეტული ჩეკია, რომლის წინასწარმეტყველებაც ძალიან კარგად ეხამება იმ ლექსს, რომელიც მის გვერდითაა დაბეჭდილი. ეს ფაქტის პოეზიაა, და მოვიდა ფუტურისტებისაგან. ისინი ჩეკებს არ აქვეყნებდნენ, მაგრამ ფუნქციონალური პოეზიით კი იყვნენ დაკავებულები.

მე შემიძლია ბევრი ვილაპარაკო საყვარელ პოეტებზე, მაგრამ თუ გულწრფელი ვიქნები, შემიძლია მათი რაოდენობა ორამდე დავიყვანო – მიხაილ სემენკომდე და ვასილი გოლობოროდკომდე. პირველი – XX საუკუნის დასაწყისის უკრაინელი ფუტურისტია, რომელიც ენას დაუჯერებელ ექსპერიმენტებს უკეთებდა, სიტყვებს ნაწილებად შლიდა. ხოლო მეორე – ჩემი თანამემამულეა ლუგანსკის ოლქიდან, „კიევის პოეზიის სკოლის" ვერლიბრისტია (წერა დაიწყო 60-იანების ბოლოს, როცა კიევში სწავლობდა). და თუ პირველი მათგანის ტექსტებს მე ვსწავლობდი, დავდიოდი არქივებში, რათა მისი ბლოკნოტები, წერილები და ღია ბარათები წამეკითხა, რათა გამეგო, თუ რატომ აკეთებდა [illegible]მეებს, მეორესთან უკვე ათ წელზე მეტია, რაც პირადი ურთიერთობა მაქვს.

რაც შეეხება ინგლისურენოვან ავტორებს, ესაა სილვია პლათი, რომელსაც მე ვთარგმნიდი – პოეტი თავისი ენით აუწერელი ქალურობით და გახსნილობით, ხოლო პოლონელებიდან მიყვარს ვისლავა შიმბორსკა, რომელიც მაოცებს იდიომებზე მუშაობის თავისი ხერხებით. საერთოდ, პოეტებს მე ძირითადად ვკითხულობ ორიგინალში და ახლა ვლაპარაკობ იმათზე, რომლებიც ასე მაქვს წაკითხული. და მე გული მწყდება, რომ ამ თვალსაზრისით ჩემთვის მიუწვდომელია გერმანული კონკრეტული პოეზია, ვინაიდან თარგმანებით ვგრძნობ, რომ იქ ბევრი რამაა ჭკუის სასწავლი. ცხადია, საინტერესოა თანამედროვე გერმანული პოეზიაც. აი, მაგალითად, დრაგიცა რაიჩიჩი, რომელიც ჩვენთან მარკ ბელორუსეცმა თარგმნა – ვგრძნობ მასში რაღაც განსაკუთრებულს, მაგრამ სანამ არ დავიწყებ გერმანულის სერიოზულად შესწავლას, ვერ მივხვდები, სინამდვილეში რა ხდება იქ. ეს „რამშტაინის" ტექსტი ხომ არაა, რომლის გაგება ბწკარედიდანაც შეიძლება. ასეთ შემთხვევებში ხშირად კარგი თარგმანიც კი არაა ხოლმე საკმარისი.



© კატია მოტილიოვას ფოტო

**შ. ი. ლიუბა, მოდი, პუბლიკაზეც გავისაუბროთ. ალბათ წაგიკითხავს შენი „დონბასის გარგარები" მაღაროელებისთვის. როგორ აღიქვამდნენ ისინი ამ ლექსებს?**

**ლ. ი.** არაა მასე. კი, ერთხელ მიმიწვიეს კიევში, მაღაროელის დღეზე, მაგრამ არ ვიყავი მაშინ ქალაქში და ვერ შევძელი მაღაროელების წინაშე წარვმდგარიყავი. თუმცა მე მყავს მამა, რომელიც ჩემს ლექსებს, როგორც რაღაც არასერიოზულს, ისე აღიქვამდა, სანამ არ ვთხოვე, რომ წაეკითხა „დონბასის გარგარები". მან პოემაში ერთი ფაქტობრივი შეცდომა იპოვა და მითხრა, რომ დანარჩენი ყველაფერი წესრიგშია. მაგრამ მერე დედაჩემისგან გავიგე, რომ ის თავის მეგობრებს უკითხავდა ამ პოემას. და ეს იყო ის აღიარება, რომელსაც მე მისგან დიდი ხანი ველოდი.

**შ. ი. საერთოდ, როგორი ხარ შენ პუბლიკის წინაშე? აკვირდები მას და აქედან გამომდინარე წყვეტ, მოცემულ მომენტში რა წაიკითხო, იმპროვიზაციულად ცვლი, ეძებ უფრო შესაფერის რეპერტუარს თუ არა? გაქვს შენი არტისტული თუ ფსიქოლოგიური თამაშები, თუ ეს ყველაფერი შენთვის მეორეხარისხოვანია და ტექსტი მთავრდება იქ, სადაც მას წერტილი ესმება და პოეტური საღამოები და ლექსის კითხვა შენთვის ასე თუ ისე მექანიკური პროცესია?**

**ლ. ი.** არა, დეკლამაცია ჩემთვის არაა მექანიკური, ვინაიდან პოეზია ჩემთვის ზეპირსიტყვიერი ჟანრია. მე მუდამ ვცდილობ, პუბლიკისთვის რაღაც შესაფერისი მოვძებნო, შემიძლია, გამოსვლამდე ორი წუთით ადრე ყველაფერი შევცვალო. ერთხელ დავწერე, რომ ჩემი სიკვდილის შემდეგ აღარ იარსებებენ ჩემი ლექსები, იქნება მხოლოდ მათი რეპროდუქციები. ანუ ჩემი ლექსების კითხვა სხვა ხმით – ეს უკვე აღარაა ორიგინალი. მე ძალიან ყურადღებიანი ვარ ჩემი პუბლიკის მიმართ და მნიშვნელობა აქვს ყველაფერს, იმასაც კი, თუ რა ლექსები ჟღერდა ჩემ გამოსვლამდე, თუკი ეს რამდენიმე ავტორის საღამოა. ერთხელ იყო, ჩემ წინ გამოდიოდა პოეტი, რომელმაც ერთი ჩემი ლექსის ძალიან მსგავსი ლექსი დაწერა (შემიძლია დავამტკიცო, რომ ჩემი რამდენიმე წლით ადრე იყო გამოქვეყნებული და პუბლიკაციამდე მე ის წავიკითხე დარბაზში, რომელშიც ისიც იჯდა), და ამიტომ გადავწყვიტე, აღარ წამეკითხა იგი. არც სკანდალის მოწყობა მომინდა და არც მისთვის ზედმეტი პიარის გაკეთება. ჩემთვის ეს ყველაფერი მხოლოდ სასაცილო იყო. უბრალოდ, ავდექი და ამოვიღე ეს ლექსი ჩემი გამოსვლიდან.

**შ. ი. თანამედროვე უკრაინული პოეზია ძალიან მრავალფეროვანი და ძლიერია. მესმის, რომ რთულია, მაგრამ იქნებ მოკლედ დაახასიათო იგი. შენი აზრით, რა არის მისი ძლიერი მხარე, ან, თუ სუსტი მხარე მაინც არსებობს, რაზეა საჭირო კიდევ მუშაობა. და რუსულენოვან უკრაინელ პოეტებზე მინდა გკითხო: ზოგიერთი მათგანი ჩემთვის უკრაინული კულტურის ორგანული ნაწილია. ალბათ არიან ისეთებიც, რომელთა ასე აღქმა შეუძლებელია. და კიდევ ეს დიქოტომია, რაც უკრაინელ მწერლებთან მიმართებაში სულ მესმის: დასავლეთელი-აღმოსავლეთელი.**

**ლ. ი.** თანამედროვე უკრაინული პოეზია ძლიერია, ვინაიდან საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ ჩვენ აღგვიდგა კავშირი ჩვენს წინამორბედებთან, მაგალითად, იმავე აკრძალულ ფუტურისტებთან, რომაც მეტი ძალა შეგვმატა. უკრაინული პოეზია ძალიან მრავალფეროვანი და მრავალთემატურია, მაგრამ, ჩემი აზრით, საჭიროა ფორმისთვის მეტი ყურადღების მიქცევა. ყველა თემა უკვე დიდი ხანია კლასიფიცირებულია, ახალი თემები უკვე აღარ იქნება, ამიტომ ფორმა და ენა, ის, რაც ფორმას განსაზღვრავს – პოეტის სამუშაო ველია.

რაც შეეხება რუსულენოვან პოეტებს: ისინი წერენ უკრაინულ რეალიებზე, ამოზრდილნი არიან უკრაინული კულტურიდან, და ამ გაგებით, ისინი, ცხადია, უკრაინული კულტურის ნაწილს წარმოადგენენ, ის ავტორებიც კი, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიებზე ცხოვრობენ და მკვლელ ბოევიკებს განადიდებენ, ანუ პროპაგანდას წერენ, სამწუხაროდ, ასევე უკრაინული კულტურის ნაწილი არიან, იმიტომ, რომ ოკუპირებული დონბასის რეალიები – ეს ჯერ კიდევ უკრაინის რეალიებია. მაგრამ თუკი ყირიმის სიახლეებს მოვუსმენთ, იქ უკვე სრულიად რუსული რეალიებია – სიტყვის თავისუფლების პრობლემები, პოლიტიკური დაპატიმრებები – და იქ ალბათ მალე გაჩნდებიან წმინდა წყლის რუსულენოვანი პოეტები, რომლებიც უკვე რუსული კულტურის ნაწილი იქნებიან.

რაც შეეხება დიქოტომიას: მე მგონია, რომ უკრაინული პოეზიის შემთხვევაში არ არსებობს არავითარი ასეთი დიქოტომია. ჩვენ თავად ვართ დასავლეთიც და აღმოსავლეთიც – გააჩნია, საიდან შევხედავთ. ხოლო თუ მსოფლიო კონტექსტზე ვილაპარაკებთ, შემიძლია აღვნიშნო, რომ უკრაინული პოეზია წარმატებებით გამოირჩევა საერთაშორისო ფესტივალებზე. პოეზიაში ყველაფერი კარგადა გვაქვს, რასაც ვერ იტყვი პროზაზე. ახლა უკრაინაში იოლია პროზით სახელის განთქმა, პოეტებს შორის კი მაღალი კონკურენციაა.

**შ. ი. მაგრამ კარგი პროზაიკოსები თქვენთან ხშირად სწორედ პოეტები არიან: ანდრუხოვიჩი, ჟადანი... შენ მუშაობ პროზაში ან ფიქრობ, რომ ბოლოს მაინც მიადგები მას?**

**ლ. ი.** ყველა პროზა, რაც კი დამიწყია, გარდაიქმნებოდა ხოლმე ან კინოსცენარად, ან პიესად. მე ვიგონებ ისტორიებს, ვამუშავებ სიუჟეტს, მერე კი მოდის კინორეჟისორი ან თეატრის რეჟისორი და მეუბნება: „არ გინდა სცენარი/პიესა დამიწერო?". და მეც ვწერ. ასე, შემთხვევით გავხდი კინოსცენარისტი (ორ-

ჯერ), მერე კი დრამატურგი (ასევე ორჯერ). დეკემბერში ყველაზე დიდ უკრაინულ თეატრში – ფრანკოს სახელობის ეროვნულ თეატრში – იქნება ჩემი პიესის, „კედელი“ პრემიერა, რომელიც შვეიცარიელი რეჟისორის, თომას მეტლერის მიერ მოწერილი წერილის შემდეგ შემთხვევით იქცა პიესად. „კედელის“ ისტორია ოკუპაციაში, ომში მყოფ ადამიანებზეა. მათ არ შეუძლიათ ომიდან გაქცევა, მსგავსად ჩემი მშობლების, დის და ბებიისა. ისინი კვდებიან იქ, კედელს მიღმა, ბლოკპოსტებს მიღმა, ცეცხლის ქვეშ ფრონტის ხაზზე. და ყველანი ამბობენ, რომ კვდებიან სიბერისგან. აქ ბავშვებიც კი სიბერისგან კვდებიან. და ამავე დროს მათ ადანაშაულებენ იმაში, რომ მათ დაიწყეს ეს ომი, მაშინ, როცა სადღაც იქვე ზის ამ ომის ავტორი და ამბობს: „ჩვენ აქ არა ვართ“. ისინი მთვარეულებივით იქცევიან, სანამ რაღაც მომენტში არ იღვიძებენ და არ იწყებენ კედლის ნგრევას. როცა ეს ისტორია პროზის სინოპსისიდან პიესის სახეს იღებდა, ძალიან იცვლებოდა. რეჟისორს სურდა მეტი სიმბოლიზმი, და მე მისი თხოვნა შევასრულე. და კიდევ, ჩავდე ბევრი ირონიაც. თავად სპექტაკლს ბევრი აქვს პინა ბაუშის ფიზიკური თეატრისგან, და ეს ახალია უკრაინისთვის, თუმცა კი ჩემი რეჟისორი 30 წელზე მეტია აკეთებს ამას. პიესაში არის რამდენიმე ლექსი, რომელთა ინგლისურ თარგმანში წაკითხვის შემდეგაც მომძებნა მე თომასმა და ამ ერთობლივი პროექტის განხორციელება შემომთავაზა.

**შ. ი. მეც ვთარგმნე ის ლექსი, რომელშიც ყველა სიბერისგან კვდება და ჟურნალის ამ პუბლიკაციაში იქნება წარმოდგენილი. ისე, ბოლოსკენ მინდოდა ყველაზე მტკივნეულზე მეკითხა, იმაზე, რომ ლუგანსკიდან ხარ, სადაც უკვე რამდენიმე წელია, ომი მიდის. თავისთავად მივედით ამ თემამდე და როგორც აღმოჩნდა, შენი ყველაზე ძვირფასი ადამიანები ახლაც იქ არიან. რატომ მოხდა ეს ყველაფერი და რატომ გრძელდება? ცუდი პოლიტიკის გამო? იმ გაგებით, რომ როცა არსებობს კრემლი, ოდნავი შეცდომის დაშვების უფლებაც კი არა გაქვს, რადგან უნდა იცოდე, რომ ის ნებისმიერ მცირე შეცდომასაც კი შემოგიტრიალებს და საკუთარი თავის სასარგებლოდ გამოიყენებს... და რა ხდება ახლა? არის იმედი, რომ ეს ყველაფერი დასრულდება?**

ლ. ი. თუ შენ გაქვს საერთო საზღვარი რუსეთთან, რაც არ უნდა აკეთო, როგორი სანიმუშო ქვეყანაც არ უნდა იყო, ჩათვალე, რომ არ გაგიმართლა,ვინაიდან ადრე თუ გვიან კრემლი გადაწყვეტს, რომ საჭიროა „დაგიცვას“, და შენთან მოვლენ რუსი ჯარისკაცები და ქვეყნის ნაწილს „აგახევენ“. შემდეგ კი რომელიღაც რუსი მწერალი პრილეპინი ინტერვიუს მისცემს იმის შესახებ, თუ როგორ ხვრეტდა შენს თანამემამულეებს შენს სახლში. შენ კი შეგშურდება მეორე რუსი ბოევიკის (შესაძლოა, რუსი მწერლის დაქვემდებარებაში მყოფის), რომელიც შენი მშობლების ბინაში ჩასახლდა. ჰო, ასე იყო, მე მშურდა, რომ მას ეძინა ჩემი მშობლების საწოლში. ახი აღარ ვიზამ ასე. მე არ შემიძლია, სულ ვიცხოვრო მკვდართან ერთად სახლში და სულ ვიდარდო მის სიკვდილზე, მე მინდა, დავიცვა ჩემი თავი, არ გავგიჟდე, ამიტომ მე ცნობიერად უკვე გამოვეთხოვე იმას, რასაც სახლს ვუწოდებდი... რაც შეეხება მდგომარეობას, სამწუხაროდ იქ ცუდად იქნება კიდევ ძალიან დიდხანს.

**შ. ი. მე კიდევ ეს პრილეპინი გავიცანი კიევში, პოეტურ ფესტივალ „კიევსკიე ლავრი“-ზე. მგონი 2011 წელი იყო. ის თქვენთან ჩამოდიოდა, გამოდიოდა უკრაინელ მწერლებთან ერთად, საღამოობით იჯდა მათთან ერთად, საუბრობდა, სვამდა, იცინოდა. მე ეს ყველაფერი ჩემი თვალით მაქვს ნანახი. მაშინ ძალიან ძნელი იყო მასში მტრის აღმოჩენა. არ ვიცი, შეიძლება, მაშინ მან თვითონაც არ იცოდა, რომ ის თქვენი მტერია. შესაძლოა, მანაც მოგვიანებით აღმოაჩინა თავის თავში ის ადამიანი – ავტომატით ხელში.**

ლ. ი. ჰო, მახსოვს. ჩამოდიოდა. ახლა კი თავის ახალ რომანს წარადგენს იმის შესახებ, თუ როგორ ხოცავდა ხალხს დონბასზე...

**შ. ი. ძვირფასო ლიუბა, სულ ბოლოს, ამ განწყობაზე რომ არ დავასრულეთ საუბარი, ერთ კითხვასაც დაგისვამ: როგორ ფიქრობ, რა ფენომენია პოეზია დღევანდელ სამყაროში და სად დგას ადამიანი, რომელიც ლექსს წერს? თითქოს რაც უფრო გლობალური ხდება სამყარო, მით უფრო კლებულობს პოეზიის ზეგავლენა მასზე. თუ ეს ყველაფერი ილუზიაა და არაა საჭირო, პესიმისტები ვიყოთ? თუ ეს რეალობაა, მაგრამ ეს მაინც არ გვაძლევს საბაბს ვიფიქროთ, რომ პოეზიის დრო წასულია და ის წარსულში დარჩა?**

ლ. ი. უკრაინაში პოეზიის ინტერესი დიდია. ამავე დროს მე ხშირად გამოვდივარ საზღვარგარეთ და ვიცი, რომ იქ პოეტურ საღამოებზე ასობით ადამიანი არ მიდის, როგორც ეს ჩვენთან ხდება ომის შემდეგ. ამას წინათ სლავიანსკში გამოვდიოდი, სადაც საღამოს 800 მსმენელი ესწრებოდა. მე ვფიქრობ, უკრაინელებმა ომის დაწყების შემდეგ პასუხების ძიება დაიწყეს არა პოლიტიკაში, ვინაიდან პოლიტიკოსები ცრუობენ, არამედ პოეზიაში. ხოლო თუ მსოფლიო ტენდენციაზე ვილაპარაკებთ, საჭიროა, თავი არ მოვიტყუოთ. წიგნს ყოველთვის ცოტა ადამიანი კითხულობდა, ხოლო მათ შორის, ვინც კითხულობს, მხოლოდ მცირე ნაწილია, ვისაც პოეზიის კითხვაც უყვარს. ჩვენ ყოველთვის ცოტანი ვიყავით. და სანამ იქნება ენები, იქნება პოეზიაც, რომელიც მათზე მუშაობს მუდამ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლიუბა იაკიმჩუკი



© ვალენტინ კუზანის ფოტო

# დონბასის გარგარები

*(პოემის ფრაგმენტები)*

*იქ, სადაც გარგარი აღარ იზრდება,*
*იწყება რუსეთი*

## სახის ნახშირი

ზღვის ლურჯი თვალით
და სელის თმით
გახუნებულით
დგას მაღაროში
მუხლებამდე სწვდება წყალი და
დროშა კი არა
მამაა ჩემი.

პირისახე მიუგავს ნახშირს
მინდვრის შვიტას
ნარღვნამდელი ანაბეჭდით
გაქელილით საუკუნეთა განმაელობაში
ზღვას ამყარებს მარილი
ხოლო ბალახს – ნახშირი
მამა კი ვაციწვერასავით
ჭალარავდება
მამაკაცია
მამაკაცები კი არ ტირიან –
რეკლამაში ასე ამბობენ
თუმცა მაღარომ მის ლოყებზე
გააჩინა ბევრი თხრილი
და ნახშირი მოპოვებული

მისი სახიდან
დაიწვა დონბასის ლუმელებში
და კოცონებში

სადღაც მაღლა
მინაყრილია
აბზეკილა მინაყრილი
როგორც სფინქსი როგორც დრაკონი
რომ დაიცვას საკუთარი ტუტანხამონი

და მხოლოდ მე ვარ რომელმაც ვიცი
რომ მინაყრილი შუაგულ სტეპში
საცობებია იმ ბოთლების
მამა რომ სვამდა
და ფერფლია
მოწეული სიგარეტების

## მაურდის მინაყრილები

წვრილი ჯაგნარი –
ეს ფანქრებია სხვადასხვა ფერის
ჩარჭობილი გზის გაყოლებაზე
ზოგჯერ კრაზი ჩაივლის ხოლმე
სტეპს გადაკვეთს და დაზოლილი ტყისაკენ მიდის...
დონბასი! დონბასი!
უშიშინებს ნზეს მილი ყურში

შენ კი გაცვია
სპეცტანსაცმელი
და ნახშირის გაყიდვების აგენტივით
დგახარ და აფრქვევ
სურნელს სხვადასხვა რეაგენტების:

მე ქალი ვარ
წყალი ჩემი სტიქია არის
ეს არაა მხოლოდ ჩაის მოდუღება
ან ჭურჭლის რეცხვა!
მართალია მაღაროში არ მიჰყავთ ქალი
მაგრამ მიჰყავთ ფაბრიკაში
რომელიც ნახშირს ამუშავებს
მე ვრეცხავ ნახშირს
ისე თითქოს ვიბანდე ნაწნავს
ვაქუცმაცებ ნახშირს თითქოს
კარტოფილს ვჭრიდე
ან ხორცს ვატარებ
ხორცსაკეპში ფაბრიკის და
ზეთით ვანელებ
ანუ ზემოდან ვასხამ ამ ბორშს
ჩემს რეაგენტებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისმინე, ეს კომპლიმენტები
დონბასელი გოგონების სილამაზეზე
სულაც არაა აზრსმოკლებული
თუკი ნახავ ამ ფაბრიკა-ქარხნებს
თუ ჩაეშვები მაღაროებში
თუ იბანავებ შხამიან წყლებში
სალექარების
სადაც ამ ჩემი ბორშის სითხეს
ასხამენ ხოლმე
თუ აძვრები მიწაყრილზე
და მის ქვეშეთში გადაეშვები
უფრო სწორად – მის სწორ ნაწლავში
ხოლო მანამდე
დაინახავ გარგარებს – ნაზებს და მოთეთროებს
შემოდგომით კი
ცას გაკიდული ვაგონეტების სიმაღლიდან –
ყვითელთმიანებს

## გარგარები ჩაჩქანებში

დაჭკნენ დონბასის გარგარები
ცის ელფერი უთვალავი მოედოთ კანზე
გარგარებმა ჩაჩქანები ჩამოიფხატეს
და გაზაფხული წავიდა უკვე

ოცნი იყვნენ
სუყველანი გულადები და
ოცდაათ წლამდე ასაკის ყველა
მიწასთან რომ გასწორდნენ გახდნენ
კვლავ ოცი თუმცა
ამ ტოლობის გამსწორებელი არავინ დარჩა

ფოლადის ტროსზე
როგორც ძაფზე ისე ეკიდნენ
ლიფტში იდგნენ
როგორც ნოეს კიდობანში
თან ნარლვნის შემდეგ

ტონა ბეტონი
დაეცა ლიფტს და
გადაცვივდნენ
და გაბრტყელდნენ
დაბლა ვარდნისას
უცებ გახდნენ თავისუფლები
ვით გარგარის ხეები
ფესვებმოგლეჯილები

ოცნი იყვნენ და
კვლავ ოცნი გახდნენ
დაეტოლნენ ერთიმეორეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სნორდებოდა
როცა მათი
საფლავის რიგი
მხოლოდ მამამ ვერ მოასწრო
გატოლებოდა
ნახშირთან წახრილი გაშეშდა იგი
ხოლო ისინი ადიოდნენ მაღლა და მაღლა
რეზინის ჩექმებით
გამოცლილი მათარებით
მათარებივით სხეულებით
ადიოდნენ იქ –
ანგელოზებთან...
ბებიები კი შვილიშვილებს
ახლა ზღაპრებს უყვებიან
გარგარებზე ჩაჩქანიანზე

## ჩემი ბებოს ზღაპარი

როცა ცრემლი
ქვის მარილად იქცევა ხოლმე
როცა მუცლის ზღვა
მაღარო ხდება
მამონტები იხოცებიან
და გულღია სულიერები იბადებიან
ისინი ცვლიან გაბედულებას ბოთლ არაყზე და
ეწყობიან სამუშაოზე

მოიცადე!
შენ მაღარო გადაგყლაპავს
შავგვრემანო
ქვის ლამაზმანო
მოიცადე!
ის გაგიჩენს იცოდე მკვდარ ზღვას
და სამოცი სანტიმეტრი არ ექნება მას წელის ზომა
ძუძუები კი წელამდე დაეკიდება
არ შეხვიდე მასში რადგან
შეიძლება ველარ დაბრუნდე
როგორც ბავშვი დედაში რომელსაც
აღარა სურს მშობიარობა

კაცმა მაშინ ჩაყვინთა და
ცრემლით ხელში დაბრუნდა უკან
კაცმა მასში მეორეჯერაც ჩაყვინთა და
ცრემლით ხელში დაბრუნდა უკან
კაცმა მასში მესამეჯერაც ჩაყვინთა და
ნახშირით სავსე ხელებმა იგი
ჩაითრია მიწისქვეშა ზღვის
ღრმაზე ღრმა ფსკერზე


© ნატა კოვალის ფოტო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გარგარის ხეებმა კი ხელები
ცისკენ გაშალეს
გარგარებმა დაიხურეს
ჩაჩქანები ნარინჯისფერი
და ახლა როცა მიირთმევ გარგარს
ნახშირის ნატეხს პოულობ შიგნით –
დასასრულს ზღაპრის

## ანგელოზების წიგნი

შენი კბილები – ქიანი და ჩამავებული
ისე როგორც ეს მიწაყრილები
შენი თვალები – ნაცრისფერი და წვის შეგრძნებით
ისე როგორც ფესვებივით ამოთხრილი
ალჩევსკის კვამლი
რომ იზრდება ზემოთკენ როგორც
ტირიფის ხე და
ეგუება ყველაფერს ირგვლივ
– მე ჯანმრთელობა არ მივარგა
მაგრამ არაა საჭირო რომ მითანაგრძნობდეთ
მე უბრალო ბალახ-ბულახის
მოპოვებით კი არა ვარ დაკავებული
არამედ ვეძებ
მიწაში და ცაში
ქვაბალახს:
ოდესღაც აქ ზღვა იყო და
იზრდებოდნენ ბალახები ვეებერთელა
ანგელოზები ისხდნენ მათზე და ქანაობდნენ
ბალახები კი უსმენდნენ იმათ მუსაიფს
იმახსოვრებდნენ სიტყვებს და მერე
იპრესებოდნენ ტორფად რომელიც
თავის თავიდან წურავდა ტენს და
სუყველაფრის არსი ხდებოდა
მწვანე ტოტებით იფარებოდა
ხოლო მორები
ეს სიტყვები ანგელოზური
ქარს ვერ მოჰქონდა
და ამიტომ მსუბუქდებოდა
და ნახშირის სახეს იღებდა
ამიტომაა რომ დღეს მაღარო თითოეული –
არის წიგნი
ანგელოზების სიტყვებით და
მისი ფურცლები
ქურებში იწვის
და არის სანთლები ვეებერთელა –
გაფანტული სადღაც სტეპებში

ამიტომაა რომ დონბასის ქარხნებს ასდის
ფერადი კვამლი
და საჯარო სივრცეების



© ქეთი მჭედლიძის ფოტო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკრძალვები მოწევაზე
აქ არ ვრცელდება
ქარხნის შიდა მოედნები ხომ სახლებია მაღაროელთა
სახლში კი როგორც მოგეხსენებათ
თუ მოუნდა გაბოლება
გააბოლებს ულვაშა კატაც

ვაგონი კი მოჰქრის: ტრა-ტა,
ტრა-ტა-ტა, ტრა-ტააა...

## სიბერისაგან

მოკვდნენ ბებია და ბაბუა
ერთ დღეს მოკვდნენ
ერთ საათში
ლამის ერთ წუთში –
ხოლო ხალხი ამბობდა, რომ სიბერისაგან

ჩაბარდნენ პატრონს მათი ქათამი
თხა და ძაღლი
(კატა სახლში არც კი ყოფილა)
ხოლო ხალხი ამბობდა, რომ სიბერისაგან

ჩამოიშალა მათი სახლი
ნანგრევებად იქცა ფარდული
სარდაფს მიწა ზედ ეყრებოდა
ხოლო ხალხი ამბობდა, რომ ეს ყველაფერი
ჩამოიქცა სიბერისაგან

მოვიდნენ ბებიას და ბაბუას დასამარხად მათიანები
ორსული ოლია
მთვრალი სერგეი
სამი წლის სონია
და ისინიც დაიხოცნენ
ხოლო ხალხი ამბობდა, რომ სიბერისაგან

ყვითელი ფოთლები ცივმა ქარმა ააფრიალა
და მათ ქვეშ დაფლა ბებია, ბაბუა, ოლია, სერგეი და სონია,
რომლებიც მოკვდნენ სიბერისაგან

## სარიტუალო მომსახურება

ბუჩქს ნაგავს ეს ტერორისტი
ქარში თრთის და უკანასკნელი ფოთოლი სწყდება
ნესტოებიდან ორთქლს უშვებს – სუნთქავს
სურდა ბუჩქი ყოფილიყო და
ეს ვერ გათვალა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თოვლს ცდილობს ჰგავდეს ეს ტერორისტი
ფუმფულა და თეთრია, მაგრამ
თბილი აქვს კანი. ვერ გათვალა ეს მომენტი და
ვერ მოაჩვენებს ხალხსაც თავს თოვლად

ლამაზ გოგოს ჰგავს ეს ტერორისტი
ღიმილის და იმედი აქვს, რომ დავკოცნი და
შესაძლოა მის ტერორიზმს
უფრო ღრმადაც კი გამოვიკვლევ,
მაგრამ მე მიყვარს ბიჭები და
ესეც ისაა, რაც ვერ გათვალა.

ეს ტერორისტი იმ კატაფალკით მიდის, რომელსაც
„სარიტუალო მომსახურება" აწერია და
მართლაც, მისი მომსახურება არის ასეთი
და თავადაც არ უხარია
და წევს კუბოში
ისე ფერმკრთალი როგორც მკვდარი
და გაცივდა როგორც თოვლი
და არ სუნთქავს როგორც ბუჩქი
საკუთარ გულსაც კი ასწავლა გაჩერება ბლოკპოსტებზე,
საკუთარ გულსაც კი ასწავლა გაჩერება
და გაუჩერდა კიდეც სრულიად მოულოდნელად

ეს ტერორისტი არის სრულიად იდეალური
თუ ვირწმუნებთ რომ ადამიანი კი არ არის
არამედ მხოლოდ ტერორისტია

## გაუპარსავი ფეხი

გავიპარსე ერთი ფეხი, მეორე კი გადამავიწყდა
გამოვიპრანჭე მექანიკურად
თეთრი კოფთა
მოკლე კაბა
შავი საყურე
წითელი ტუჩი
და წავედი სამუშაო შეხვედრაზე
დავჯექი და გადავიდე ფეხი ფეხზე –
გაპარსული გაუპარსავზე

– უი! შენ ხომ ფემინისტი ხარ! – მეუბნებიან, –
და განზრახ არ გაიპარსე, ეხვდებით, ფეხები
კოლეგებო, გთხოვთ რომ იყოთ ობიექტურნი
აგერ მარჯვენა – გაპარსულია, მარცხენა კი – არა, ასე რომ,
ვერ იტყვით რომ
ორივე ფეხი გასაპარსია
მარცხენას ბეწვი მოსდებია
მარჯვენა კი პრიალაა და სალუქია
ერთი მართლაც ფემინისტური, ბანჯგვლიანია
ხოლო მეორე – პატრიარქალური – აბრეშუმივით

– მათი ასე შეთავსება სად გაგონილა? – აღშფოთებას გამოხატავს ქალების გუნდი
– გარეთ ასე სიარული სად გაგონილა? – არ აკლებენ აღშფოთებას სხვა ქალბატონებიც

სახლში ვბრუნდები და ვუყვები ჩემს მამაკაცს ამის შესახებ
თან ერთი ფეხი მეორეზე მაქვს გადადებული
ფემინისტური პატრიარქალურზე
მერე პირიქით
პატრიარქალური ფემინისტურზე
ჩემი კაცი კი მიცუცქდება დაბლა, ფეხებთან
კოცნის მათ და თან ჩამჩურჩულებს:

„ჩემო კარგო, მე მიყვარხარ
ამ ცხოვრების ხარ შენ არსი
შიშველიც და ტანჩაცმულიც
გაპარსულიც, გასაპარსიც"

## როგორ ავაწყოთ ქალი

სამეცადინოდ
ჯერ მიყიდეს პანანინა პირამიდა და
კონუსს ვაცვამდი სხვადასხვა რგოლებს
წითელი, ყვითელი, მწვანე, წითელი...
შემდეგ კონსტრუქტორს ვაწყობდი ხოლმე –
სახლებს, მანქანებს და ერთ ტანკს კიდევ
ამის მერე კი რადიომიმღები დავუშალე ბაბუას და
ავაწყვე ისევ:
არაფერი დამიკარგავს
არც გამიტეხავს
და რათა სივრცე შემეგრძნო კარგად
მთელ ქალაქს ფეხით შემოვუარე
ხოლო მერე წრე დავარტყი ველოსიპედით
წითელი, ყვითელი, მწვანე, წითელი...

შემდეგ ვსწავლობდი ანატომიას:
ძვლები, სახსრები,
კუნთები, გრძნობათა ორგანოები
და ორგანო ემოციების –
ტვინს ვგულისხმობ, ის არ გეგონოთ რაც გაიფიქრეთ

ეს ყველაფერი კი იმიტომ რომ
გამართულად
ლამაზად, ზუსტად
დავწოლოდი
ქალს ისე რომ
არასოდეს არ გამეტეხა

*ი. ბ.-სთვის*

***თარგმნა შოთა იათაშვილმა***

ელექტრონული
ბიბლიოთეკა

# 2 პოეზია

## *თეა თოფურია*

*  *  *

არა აქვს ბედი არც ამ სიყვარულს,
რალაცნაირად უშნოს და ნატრევს.
მე კი გადავრჩი უამრავ სიკვდილს,
სანამ მოვედი ამ სიკვდილამდე...

და ახლა ვდგავარ, თითქოს უეცრად
შენში დიდი ხნის მტერი ვიცანი.
ასე გამოდის, უამრავ სიკვდილს
გადავრჩი, აქ რომ მომკვდარიყავი.

*  *  *

დრო მირბის, ამ სიტყვებიეით,
ბანალურად და სწრაფად.
ხვალეს იტყვი და ის წუთიც
იქვე იქცევა „ხვალად".
ხვალეს იტყვი და (ძალლივით)
ხელში გეჭიროს ჯოხი.
ნეტავი, მე ვინც მიყვარდა,
იმას მეც ვყვარებოდი.
ნეტავი, რამე მომესწრო
წუწუნა ლექსის გარდა.
დრო მირბის – ამ სიტყვებივით,
ბანალურად და სწრაფად.

*  *  *

ხანდახან წითლად თენდება დილა,
ტონი ეცვლება ბარდის, ვარდის ფერს.
ბარდნის ვარდისფრად წითელი ციდან,
ღამე ამოდის მთვარე – სამიზნე,
და ვარსკვლავს, როგორც გასროლილ ტყვიას
საკუთარ თავზე ბებერი მიწა
ასცქერის, აქ კი ქუჩაში მწევარს
ათოვს. უფრო შორს დაათოვს მნვერვალს.
წევს ნადირი და მშიერი კუჭი
აღარ აძინებს, მთების გადაღმა.
ასე სიყვარულს იტანენ ჩუმად,
ანდა უხსნიან, ასე – ხმამაღლა.

*  *  *

ნეტავი, სიკვდილი ვიყო
მინას აკრული ქვემოდან.
შენი გზაც, როგორც ყველასი
ჩემს ფერხთით დამთავრდებოდა.
დაგიხვდებოდი სამოთხის
სადაც იწყება მიწები.
შენს სახლში ჩაძინებული,
ჩემს სახლში გაიღვიძებდი.
გგონია ცუდი რამეა,
იყო მკვდარი და იმ დილით,
რომელიც არ გათენდება
შეყვარებული სიკვდილი
მოვიდე, ჩაგეხუტო და
ველარ მოგვაგნონ ეულებს?
ყველაზე ცუდი ბედი აქვთ,
ცოცხლებს და შეყვარებულებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

ლექსზე მინდა მოვყვე,
რომლის წერაც დავიწყე
და გზადაგზა გადავიფიქრე.
რატომ უნდა ვიწუწუნო, ვთქვი
და არ დავწერე ორი სტროფი, სადაც უნდა მეწუწუნა.
გასალანძღია, რა თქმა უნდა, მაგრამ დავიკიდებ
და კიდევ რამდენიმე წინადადება არ დავწერე.
თავის ქება არ მეკადრება – წაიშალა ხუთი სტრიქონი.
ეს ფრაზა ვინმეს აატირებს, მაგრამ, მოდი, ნუ იტირებენ.
სიყვარულიც ბანალურია, თავისი სევდით, მონატრებით,
თავის ყველაფრით – აქ წაიშალა სამი გვერდი, თითქმის მეოთხეც...
მერე მინდოდა დამეწერა, მაგრამ უკვე დაწერილი იყო
ლექსი, რომელშიც ჯეკმა სახლი ააშენა
და ხელი ავიღე ლექსზე, რომელშიც ჯეკმა ააშენა სახლი
და იმ ლექსზეც, რომელიც კინაღამ დავწერე.

* * *

როგორი ძლიერი გამოდგა ეს სიყვარული,
რამდენ ხანს გასტანა,
ჩემზე დიდხანს იცოცხლა.
რა არ იკადრა, რომ გადარჩენილიყო,
იმათხოვრა, იტირა, იწუწუნა...
თავიც მოიმკვდარუნა,
მერე ისევ გამოტყვრა ომში დაკარგული კაცივით.
როგორ ჰგავს ჩემი სიყვარული ჩემსავე ქვეყანას,
ყოველდღე კლავენ, გახედავ და მაინც ცოცხალია.

## მკვდრის ვიზიტი გარებიძაშვილებთან

ჰო, ვერასდროს მოვაღწიე თქვენამდე,
მაგრამ დღეს მოვედი,
მოვკვდი და მოვიცალე.
აღარც სამსახურში ვიყავი წასასვლელი,
აღარც სალონში, არც ექიმთან.
მომიყევით, როგორა ხართ.
ბავშვები რას შვრებიან,
საერთოდ რამდენი გყავთ, ეგეც არ მახსოვს.
მოკლედ, ყველაფერი მომიყევით.
ახლა მოგისმენთ,
ახლა გადამდგარი პრეზიდენტივით ვარ –
ბევრი დრო მაქვს.

# ბექა ჩანტლაძე

## დანაწევრება

რა დააშავე შენ, თუკი ის გადაგცდა დღეს,
რაც ვერ დაღეჭე გუშინ?
ეს ხომ ყოველთვის
ტყუილებით იწყებოდა.
და მერე შენ გიწევდა მკვდარ ფანჯრებთან შეგუება,
კედლიდან გამოსულ მოჩვენებებთან საუბარი,
საკუთარი კანის ჭამა
და ჭუჭყიანი წვიმის წყლის სმა.
შენმა გონებამ უკვე დიდი ხანია,
შეწყვიტა ოცნებების წარმოება.
ამიტომ ცხრასა და ათს შორის
ზღვარზე გავლა გარისკე, რადგან
დასაკარგი არაფერი გქონდა.
მაგრამ ამის გამო წაგიყენეს ბრალი
და აღმოჩნდი განსასჯელის სკამზე.
ოცდახუთი დღის შემდეგ
გაგამართლეს და შენც
დაბრუნდი შენს ოთახში,
სადაც ყვავილებთან ერთად
ლარნაკებიც გარდაცვლილიყვნენ.
მხოლოდ ტელევიზორი აგრძელებდა ყვავილობას.
ახალი მეზობელიც გაიცანი, მაგრამ
იმედი გაგიცრუვდა, რადგან
ძველის მსგავსად, ისიც ვერ დაფრინავს.
და მკვდარ თევზებზე წერს.
ფოსტალიონს ისევ ცუდი ამბებით სავსე
წერილები მოაქვს.
მტრედები ბომბებით მოფრინავენ.
ლექსები კი ფრჩხილებს გაძრობენ.
ამიტომ შენ არაფერი დაგრჩენია გარდა იმისა,
რომ ჰკითხო ხმებს, შენს თავში თუ
სად არის ახლა შენი მეგობარი?
ის ხომ სასამართლო დარბაზშიც არ ყოფილა.
ალბათ არ იცის, რომ, მართალია,
უდანაშაულოდ გცნეს, მაგრამ
მაინც საკუთარ თავს ადანაშაულებ სიკვდილში.
მან ალბათ ისიც არ იცის,
რომ ლიმონის გარდა,
რომელსაც შენი კედლები ისხამს,
საჭმელი სხვა არაფერი გაქვს.
შენ პირობით გაგათავისუფლეს.
ორშაბათობით არ უნდა აირეკლოს სარკეში
შენი უფორმო სხეული.
უნდა იკვებო მხოლოდ ლიმონით,
უნდა იცხოვრო ჩონჩხებს შორის
და ეთაყვანო აყვავილებულ ტელევიზორს.
გაინტერესებს, სად არის შენი მეგობარი?
ჰკითხე პეპლებს.
ისინი გეტყვიან, რომ ის
აუცილებლად მოვა შენთან,
თავისი ყვითელი სვიტერით
და მის თვალებში არეკვლით
შენ ყველა ბრალი მოგეხსნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რადიოაქტიური ყვავილები

ჩვენ მოვკვდით.
იმიტომ არა, რომ ძილი დაგვაკლდა
ან საკუთარ თავს დავდეთ ბრალი ყველა დანაშაულში.
არც იმიტომ, რომ ჩვენი თავები ხმაურმა ააფეთქა.
მოვკვდით იმიტომ, რომ საკუთარი აზრები
ასჯერ შემოგვიტრიალდნენ ბრალდებად
და სამჯერ ვნახეთ კოსმონავტების ჯვარცმა,
მაგრამ მხოლოდ ორს გავუძელით.
მესამე ჯერზე თვალები ბუდიდან გადმოცვივდნენ,
ჩვენმა ხერხემალმა კი დნობა დაიწყო და სხეულები
გეომეტრიულ ფიგურებად დაიშალნენ.
ისინი ფიქრობდნენ, რომ დაგვამარცხეს
და დამშვიდებულებმა ჩვენი გვამები
მდინარეს გაატანეს,
მაგრამ მდინარის ღმერთმა მკვდრეთით აღგვადგინა
ას ოცი დღის შემდეგ
და დავსახლდით ტყის პირას,
ხის სახლში, რომლის სამზარეულოშიც
შადრევნები ჩქეფდნენ,
იატაკზე პეტუნიები იზრდებოდნენ,
უკანა ეზოში კი გვქონდა ბაღი,
სადაც ყოველ მზიან დღეს
რადიოაქტიურ ყვავილებს ვრგავდით,
ღამით კი ვსვამდით
ნიუ-იორკისა და ტოკიოს ხმაურს,
და დეჟა-ვიუებს და მთვარეს ვლეჭავდით.
ასე მშვიდი იყო ჩვენი ცხოვრება მანამ,
სანამ მათ ჩვენი მოხიბვლა არ სცადეს
სასახლეში გამართული ნადიმით,
მაგრამ მაგიდაზე ციტრუსი არ იდო,
ამიტომ ჩვენ თვალი არ დაგვრჩა
მათ მდიდრულ სუფრაზე.
ესეც რომ არა, მთელი დედამიწა ჯიბით დაგვქონდა
და ლუციფერი გვყავდა მსახურად.
პოდა რა ჯანდაბად გვინდოდა
მათი ჯართი სასახლე.
ერთადერთი, რაც გვსურდა,
იყო ძილი და ის, რომ გვეყურებინა,
ჩვენი სულები როგორ იძირებოდნენ სიჩუმეში.
შემდეგ მათ ჩვენთან მოახლოება
მოინდომეს, და ამან ცოტა შეგვაშინა,
მაგრამ როგორც კი ერთი ნაბიჯი გადმოდგეს,
კბილები ვაჩვენეთ,
შედეგად კი კიდურები დაკარგეს
და უმწეო თევზებად იქცნენ.

მას შემდეგ ათი მზე მოკვდა,
ჩვენ ისევ ტყეში, მდინარის პირას,
ხის სახლში ვცხოვრობთ,
ჩვენი სახლის იატაკზე პეტუნიების,
ეზოში კი რადიოაქტიური ყვავილების რიცხვმა მოიმატა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამზარეულოში ისევ მადრევნები ჩქეფს,
მხოლოდ ახლა უკვე აღარ გვეშინია მათი მოახლოების,
რადგან ვიცით, რომ კბილები არასდროს გვიღალატებენ,
და უფრო მეტიც, ჩვენ თვითონ ვართ
რადიოაქტიური ყვავილები და
ნებისმიერი არმია უძლურია ჩვენ წინააღმდეგ.

## სხვა სცენარი

ჩვენ ყველა სიზმრის ნახვა დაგვჭირდა იმის მისახვედრად,
რომ არც ძილი იყო ჩვენი საქმე
და არც ეს თამაში იყო ჩვენთვის.
არადა, რამდენი იმედი ჩავრგეთ იატაკში,
ჩვენი ნეკნების გვერდით და მას საკუთარი ნერწყვით ვრწყავდით.
ჩვენი თირკმელები სამჯერ უფრო მეტი დატვირთვით მუშაობდნენ
და იტანდნენ იმას, რაც მხრებით ვერ ვათრიეთ,
თვალებმა უამრავ თეთრ კოშმარს გაუძლეს,
ფილტვებში კი მთელი ქალაქი მოვათავსეთ.
მაგრამ თამაშის ყველა ეტაპზე დავმარცხდით.
მიუხედავად იმისა, რომ მონიტორის ზედა მარცხენა კუთხეში
წითელი გულების რაოდენობა იყო სამი,
ჩვენ სამოცჯერ მოვკვდით და ყოველ ჯერზე
თავიდან ვცადეთ, მაგრამ უშედეგოდ.
ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ აღარ ვითამაშოთ.
არასდროს დავწეროთ ოდა სასაფლაოებისთვის,
როგორც ამას ადრე ვაპირებდით,
არასდროს მივუგზავნოთ მკვლელები ჩვენს მხსნელებს
და შევჭამოთ ჭიამაიები, რომლებმაც
ხელცუმბარები მოგვიტანეს.
გადავწყვიტეთ, თავი შორს დავიჭიროთ
სხვისი სამოთხისგან, თუკი ჩვენი არ გვექნება,
დავწეროთ ლოცვა ფსიქიატრიული საავადმყოფოებისთვის,
უადამიანო სახლებისთვის,
და კორპუსების და მაღაროების მიერ შეჭმული მუშებისთვის.
ადამის ვაშლში დამიზნებით მოვკლათ ყველა ღმერთი,
მათი გვამები კი კორპუსის სახურავზე დავწვათ
ფოსტალიონის მოტანილ წერილებთან ერთად.
მერე კი გინდ ძველი მატარებლით და გინდ „კადილაკით"
გავცვდეთ ამ ჩონჩხების ნადიმს და
წავიდეთ ფორთოხლის პლანტაციების სანახავად,
სადაც მე გავხსნი შენი ჯინსის ღილებს,
ვაკოცებ შენს ბოქვენს და
მივხვდები, რომ შენც ფორთოხლის გემო გაქვს.
მერე კი ძველი მატარებლით ან „კადილაკით"
ისევ გადავსეროთ ქალაქები,
საკუთარ სხეულში შევიფაროთ ობობები,
უდანაშაულოებისთვის ვწეროთ ლექსები,
შორიდან ვუყუროთ მათ, ვინც საკუთარ დამარცხებას ზეიმობს,
და ამ დროს კბილის ტკივილივით ვიგრძნოთ,
რომ ჩვენ ვართ ხმაური, რომელიც არასდროს შეწყდება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## სასხვათაშორისო სიცარიელე

*(საყელო)*

მე ვწევარ საწოლზე და ვიხსენებ ერთ-ერთ იაფფასიან
ჟურნალში ამოკითხულ სტატიას სათაურით:
„კაცის პერანგის საყელოზე დაკვირვებით
მასზე ბევრი რამის თქმა შეგიძლიათ" .
შენ იცი, რომ არასდროს მჭრიდა თვალს მსგავსი სათაურები,
და უფრო მეტიც, ასეთ სტატიებს სრულ ბოდვად ვთვლიდი,
მაგრამ ახლა, როცა არ ხარ ჩემთან,
არც ვიცი, სად ხარ და მეც სასხვათაშორისო სიცარიელეში დავიკარგე,
ძალიან მინდა, რომ მოხვიდე,
დააკვირდე ჩემი პერანგის საყელოს და მასზე აუცილებლად შეამჩნევ
წყნარი ოკეანის წვეთებს,
რომელთაც ყოველ ღამით ვსვამ,
და მეგაპოლისებში აღმართულ ცათამბჯენების ნამცეცებს,
რომლებსაც ძლიერი შიმშილისას ერთ ლუკმაზე ვჭამ.
ხოლო თუ ყურადღებით მოუსმენ მას,
ის გეტყვის, რომ თუკი სხვები მთვარეს ეთაყვანებიან,
ის ჩემთვის უბრალოდ ნათურაა,
რომ მინდა, კიანუ რივზის მსგავსად ვიცილებდე
არასასურველ ადამიანებს და მოვლენებს,
რომ ყოველდღე ათასი სისულელე მტვერივით მედება,
რომ უკვე რახანია, საკუთარი სიბრაზის მოწევა დავიწყე,
რომ თვალები მხოლოდ მაშინ დავინდე,
როცა ისინი სიკვდილის პირას მივიდნენ,
რომ ფეხებზე მკიდია მათი ბეჭდები,
რადგან ჩემი თხელი თითებისთვისაც კი ისინი ზედმეტად პატარაა,
რომ მე ვიცნობ ღამის მბრძანებლებს,
ღამის მეომრებს და კედლიდან გადმოსულ მოჩვენებებს,
რომ მე შემიძლია, გიგრძნო მაშინ, როცა ღრმად ვსუნთქავ,
გიგრძნო წინ გადადგმულ ნაბიჯებში,
გიგრძნო მაშინაც, როცა ცივი ქარი სახის კანს მაცლის,
გიგრძნო ძილში და ტირილის სუნთქვაშიც კი.
მოდი ჩემთან ახლა, როცა მე ვიხსენებ
იაფფასიან ჟურნალში ამოკითხულ სტატიის სათაურს.
მოდი ისე, თითქოს ალუბლისფერი ჟაკეტი დაგრჩა,
მაგრამ ამის ნაცვლად კარგად დააკვირდი
ჩემი ძველი პერანგის საყელოს და თუ ის არაფერს იტყვის,
მაშინ მითხარი მე ყველა ტყუილი, რომელიც აქამდე
არც გითქვამს და არც მოგისმენია:
მომატყუე, რომ თავს კი არ იკლავ, არამედ თავს აკლავ;
რომ გადაიდო ყველა მატარებლის გასვლა
და თვითმფრინავის ყველა რეისი;
რომ ყველაფერი რიგზე გაქვს და არასდროს გიოცნებია,
ხერხემალი ამოგეცალა, ნაგავში გადაგეგდო
და მედუზასავით გეცხოვრა.
მოდი ჩემთან, რომ აღარ ვიფიქრო უაზრო სტატიის სათაურზე,
თუ გინდა, ჩემი პერანგის საყელოსაც არ დააკვირდე,
მომატყუე, რაც გსურს და როგორც გსურს,
ოღონდ დარჩი აქ, რადგან მე მინდა, გიგრძნო მანამ,
სანამ ბოლომდე დავშლი საკუთარ თავს
ამ სასხვათაშორისო სიცარიელეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 3 პროზა

# წითელი ცხელი მწარე წიწაკა

*ნათია ჩხაიძე*

ჩემმა კლასელმა თეკომ მიხრა, რომ ენტონი კიდისივით უნიჭო ვიყავი. პირველად მაშინ დავარტყი გოგოს ხელი. იმავე დღეს ვიჯექი დირექტორის კაბინეტში და მაგიდის ქვემოდან გამოყოფილ მის ფეხსაცმელებს ვუყურებდი, რომლებიც საგულდაგულოდ გაეპრიალებინა. სკოლიდან გარიცხვის კანდიდატი პირველად არ ვყოფილვარ. ჩემი პირადი საქმე სავსე იყო უარყოფითი შეფასებებით. თვე არ გავიდოდა, დირექტორის კაბინეტში თავი არ ამომეყო და ისე შევისწავლე ის ოთახი, რომ ერთხელ, როცა ოთახის რემონტის დეტალების დასაზუსტებლად მუშები მაინცდამაინც ჩემი „საქმის" განხილვის დროს შემოვიდნენ და დირექტორს უთხრეს, კაბინეტს ოცდათვრამეტი კვადრატული მეტრი თავისუფლად ეყოფაო, დარწმუნებული ვიყავი, დააკლდებოდათ. მე კი ბედი მწყალობდა. დატუქსვებისა და ხელწერილების დაწერის შემდეგ სკოლაში მტოვებდნენ. ამაზე ლიად არავინ საუბრობდა, მაგრამ ყველამ ვიცოდით, რომ ჩემი „მფარველი ანგელოზი" ჩვენი ქიმიის მასწავლებელი მანანა იყო, რომელიც ჩემ მეზობლად ცხოვრობდა და რომელიც ყოველთვის ისე მიყურებდა უსწორმასწოროდ წასმული ლაინერის „სტრელკებიანი" თვალებით, როგორც შუახნის გასათხოვარი ქალები უყურებენ ახლადწვერულვაშამოსულ ჭაბუკებს. სიმართლე გითხრათ, სულაც არ მსიამოვნებდა ეს ამბავი. რამდენჯერმე ჩხუბიც კი მომიწია უბანში მაგის გამო, რადგან შეყვარებულებად მოგვიხსენიეს. ყველაზე უარესი ის იყო, რომ, როცა უბანში ოდნავ მაინც ავუწევდი ხმას, ზუსტად მაშინ გააღებდა მანანა მასწავლებელი ფანჯარას და დაყვავებით მარიგებდა ზევიდან ჭკუას, რომ არ უნდა მეჩხუბა, რომ ჩემი ჭკუის პატრონი ქუჩაში არ უნდა ვმდგარიყავი. ეს კი მასთან რაიმე კავშირის უარყოფას დამაჯერებლობას უკარგავდა. ამიტომ სულ ვცდილობდი, მაქსიმალურად თავი შემეკავებინა სახლის სიახლოვეს ნებისმიერი კამათისგან. თუმცა ისიც ვიცოდი, ამჯერად არ გამიმართლებდა. თეკოს რომ ხელი დავარტყი, იქვე მყოფ მანანა მასწავლებელს ჩვეული მზერით აღარ შემოუხედავს და მივხვდი, დრო იყო, სერიოზულად გამომეყენებინა ის ჭკუა, რომელზეც ასე დაჟინებით მიმითითებდა ჩემი გადამრჩენელი. ბოდიშის მოხდაზე დავფიქრდი, მაგრამ ენტონი კიდისის შეურაცხყოფას რომ არავის ვაპატიებდი, ეგეც უნდა გამოკვეთილიყო ჩემს შემდეგ ნოქმედებებში. დირექტორი კი საგულდაგულოდ გაპრიალებულ ფეხსაცმელებს არ აჩერებდა, ურიტმოდ აქანავებდა მაგიდის ქვეშ და აზრებს მიფანტავდა. მეგონა, ყველაფერი ჩემ წინააღმდეგ განეწყო, მაგრამ ზუსტად იმ დროს შევამჩნიე, რომ დირექტორის გაპრიალებულ ფეხსაცმელებს ელვა-შესაკრავი გაკერილი ჰქონდა და უშნოდ გადაჭრილ ძაფებს თავი რომ არ ამოეყოთ, ვერავინ იფიქრებდა, ელვა-შესაკრავი შეკრული რომ არ იყო. ღრმად ჩავისუნთქე და მხრებში გავსწორდი. ძალების გათანაბრებას ვგრძნობდი. უკვე სამი სამზე ვიჯავით – დირექტორი, ქიმიის მასწავლებელი მანანა და თეკო – ჩემი ენტონი კიდისის და მტრის ბანაკში შეპარული ახლართული თავამოწვერილი ძაფების წინააღმდეგ. განაჩენის გამოტანის მოლოდინში გავინაბე. მაგრამ დირექტორი არა და არ ჩქარობდა გადაწყვეტილების მიღებას. მონდომებით ჩაჰკირკიტებდა ტელეფონს და ბედნიერი სახით უსვამდა ცერა თითს ეკრანს. თავს ისე ვგრძნობდი, როგორც კისერში ყულფწაჭერილი სიკვდილმისჯილი ფეხქვეშ საყრდენის გამოცლის მოლოდინში.

მოულოდნელად დირექტორი ფეხზე წამოდგა, ფანჯარასთან მდგარ სკამთან მივიდა, სკამზე გადაკიდებული გაუთოებელი პერანგი აიღო და კაბინეტის უკან პატარა ოთახში გაუჩინარდა. იმ ოთახში არასდროს შემიხედავს, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, იქ ჭერამდე თაროები იყო, ალაგ-ალაგ საქა-

ღალდეების კოშკებით, კიდევ პატარა მაცივარი, დღესასწაულებზე მორთმეული შოკოლადების და შამპანურების შესანახად, და ცარცით სავსე ყუთები. ყოველთვის, როცა ცარცი გვითავდებოდა კლასში, მასწავლებელი დირექტორთან გვაგზავნიდა, მას კი უკანა ოთახიდან ორ-ორი ნატეხი ცარცი გამოჰქონდა. დირექტორი უკან გამოცვილი პერანგით დაბრუნდა. ჰალსტუხი აილო და ისევ შებრუნდა. კარი აღარ დაუკეტავს.

– შენ რაზე დაგიბარე? – გამომძახა.

– ენტონი კიდისის გამო. – მხრები ავიჩეჩე.

– ეგ ჩვენთან სწავლობს?

– არა, ჩვენთან თეკო სწავლობს.

– აბა, ეგ სად სწავლობს?

– არ სწავლობს. მღერის.

– სად მღერის?

– „წითელ – მწარე – ცხარე – წინაკებში".

– ეგ სახელი თვითონ მოიფიქრა?

– აბა, მე რა ვიცი. – უკვე მაღიზიანებდა დირექტორის კითხვები და მერჩია, პირდაპირ ეთქვა, რომ ხვალიდან შემეძლო, სადაც მინდოდა იქ მივებრძანებულიყავი იმიტომ, რომ სკოლიდან გარიცხული ვიყავი.

უკანა ოთახიდან დაბრუნებული დირექტორი გასასვლელ კართან, მაღალ კარადასთან მივიდა. კარადის გვერდით მდგარ სკამზე ფეხით შედგა და კარადის თავიდან გადამალული ყვავილების თაიგული ჩამოიღო. ყვავილები იღლიაში ამოიჩარა. კარი გააღო და მანიშნა, გავდივარ და შენც შენი გზით წადიო. სწრაფად გადაკეტა კაბინეტის კარი. თვალის დახამხამებაში ისე გაქრა სკოლის შენობის უკანა გასასვლელიდან, გაოგნება ვერ მოვასწარი.

კლასში დაბრუნება აღარ მინდოდა. ფეხს ვითრევდი კიბეებზე, რომ რაც შეიძლება მეტი დრო გამეყვანა, სანამ მესამე სართულზე ავიდოდი. დრო კი აშკარად ჩემ წინააღმდეგ იყო. კართან რომ მივედი, შევყოვნდი. ვერ გადამეწყვიტა, კარი ფეხით გამეღო და უწმაწური სიტყვებით გამემყარებინა ჩემი პოზიცია, რომ ენტონი კიდისს არავის დავაჩაგვრინებდი, თუ ზარის დარეკვამდე ტუალეტისთვის შემეფარებინა თავი და ყველა რომ წავიდოდა, მერე წავსულიყავი სახლში. უცებ საკლასო ოთახის კარი თეკომ გააღო. სახელურზე ხელის გაშვება ვერ მოვასწარი და ინერციით წინ წასული მას ჩავეხუტე. გაოგნებისგან გავშეშდით. ყელზე ნამნამების შეხება რომ ვიგრძენი, ისეთმა ჟრუანტელმა დამიარა, კინაღამ დამავიწყდა, ვის ვეხუტებოდი და სად ვიყავით. ჩახველების ხმამ გამოგვაფხიზლა. დუნდარტყმულებივით უკან გადავბრუნდი და ჩემს ადგილზე დავჯექი. არავინ ხმას არ იღებდა, ჩათვალეს, რომ კვლავ გადავრჩი გარიცხვას, რაც იმდენად უინტერესო იყო, რომ ერჩიათ, ხაზვის მასწავლებლის მოყოლილი თუთიყუშების ამბებისთვის ესმინათ. უკნიდან ბიჭებმა ქაღალდის ნაგლეჯი გადმომიგდეს მერხზე. „შენი ტურფა შეუძლოდ გახდა და წავიდა." – ეწერა ქაღალდზე. დავკუჭე და უკან ვესროლე. მორიგმა შენიშვნამაც არ დააყოვნა.

სახლში გვიან მივედი. ხან სად ვიბოდიალე, ხან სად. დედაჩემი წნევის აპარატით მომარჯვებული დამხვდა. მამაჩემს ფანჯარა გამოეღო და სიგარეტს ისე ექაჩებოდა, ლამის სამ ნაფაზში ფილტრამდე ჩადიოდა. მე რომ დამინახა, ფანჯარა დაკეტა, დედაჩემის გვერდით დადგა. დედაჩემმაც ყურებიდან ფონენდოსკოპი ნერვიულად მოიხსნა და ფეხებთან მესროლა. სხვა დროს მანანა მასწავლებელიც ესწრებოდა ხოლმე ასეთ ოჯახურ კონფლიქტებს. მიუხედავად იმისა, რომ თვითონ მოჰქონდა ამბები ჩემებთან, თვითონვე მიცავდა მათგან. ჯერ დაბეჯითებით მტკიცებას დაიწყებდა, ჩემი საქციელი ჩემი გარდატეხის ასაკის ფსიქოლოგიური თავისებურებების გამოვლინება რომ იყო, მერე კი დედაჩემს და მამაჩემს არწმუნებდა, ჩემი ჭკუის პატრონს მალე ასეთი საქციელი მომბეზრდებოდა და უფრო მნიშვნელოვანი საქმეებით დავკავდებოდი. ბოლოს იმასაც აღნიშნავდა, რომ ქიმიის პედაგოგობაზე არანაკლებ ფსიქოლოგობა იყო მისი მოწოდება და იქამდე არ გავიდოდა ჩვენგან, მანამ დასაძოლად არ წავიდოდი. მეც მოჯადოებულივით მალევე მეძინებოდა. ძილ-ბურანში მესმოდა წასვლის წინ რამდენჯერმე რომ უხდიდნენ დედაჩემი და მამაჩემი მადლობას. ისიც, თავის მხრივ, დირექტორთან ყველაფრის მოგვარებას ჰპირდებოდა, ოღონდ როცა ამას ამბობდა, ჩურჩულებდა.

– ეს გინდოდა? – კბილებიდან გამოსცრა მამაჩემმა.

– თუ ჩემი სიკვდილი გინდა, აიღე დანა და ახლავე მომკალი. – ასლუკუნდა დედაჩემი.

– არავისი სიკვდილი არ მინდა, საიდან მოიტანეთ? კი, ზედმეტი მომივიდა, მაგრამ ღირსი იყო! – ვაიმე! ეს ჩემი შვილი არ არის! მომაშორეთ... – სლუკუნიდან კივილზე გადავიდა დედაჩემი. – ეს რა მესმის? ღირსი იყოო ... არა, ეს ჩემი შვილი არ არის! წადი!

– არავის ვაპატიებ ენტონი კიდისის ცუდად მოხსენიებას. არასდროს!

– ვინ ჩემი ფეხებია, ბიჭო, ენტონი? რას ბოდავ ? – ახლა მამაჩემი აღრიალდა. – წაეთრიე ახლა აქედან და ბოდიში მოუხადე იმ შენს კლასელს და მანანას, თორემ თუ სკოლიდან გაგრიცხეს, სახლიდანაც ააცვამ, გაიგე?

უხმოდ გავტრიალდი. მიკეტილი კარის მიღმა კიდევ კარგა ხანს მესმოდა დედაჩემის ტირილის ხმა. არ მინდოდა ბოდიშის მოხდა არავისთვის. მერჩივნა, სკოლიდან გავერიცხე, ვიდრე უკან დამეხია. მერჩია, ისევ მანანა შემოსულიყო და იმას მოეგვარებინა ყველაფერი. ან სახლიდან იმაზე ადრე

წავსულიყავი, ვიდრე გავარკვევდი, მართლა გამრიცხეს თუ არა. ბოლო-ბოლო თითქმის ყველა წარმატებულ უცხოელს ხომ ეს გზა ჰქონდა გავლილი?! მაგრამ ზუსტად ისიც ვერ გავიხსენე, მათ შორის ენტონი კიდისიც თუ იყო და ახლა იმაზე დავიწყე ფიქრი, ენტონის თუ ბავშვობა ქუჩაში არ ჰქონდა გატარებული, ჩემი მხრიდან ზედმეტი ხომ არ იქნებოდა ამხელა თავგანწირვა. დავიბენი. ალბათ კიდევ ბევრს ვიფიქრებდი სახლიდან წასვლაზე, მანანა მასწავლებლის სახლიდან ჩურჩულის ხმა რომ არ გამეგო. სმენა დავძაბე, მაგრამ მაინც ვერ გავარჩიე სიტყვები, რას ლაპარაკობდნენ. კარის მხარეს გადავინაცვლე და ნელ-ნელა ყური მივადე კარს. არც ამჯერად გამიმართლა. კარი ისევ მოულოდნელად გაიღო, მე კი ისევ ვერ მოვასწარი თავის შეკავება და ახლა მანანა მასწავლებელს ჩავეხუტე. წამწამების ყელზე შეხებამდე ვინ მიმიყვანა?! ძლიერმა ხელმა კისერში ისე მომიჭირა, სუნთქვა შემეკვრა. ხელმა ჰაერში ამწია და უკან გადამსვა. ხმის ამოღება ვერ მოვახერხე. რამდენჯერაც პირი გავაღე, ავხრიალდი.

– არაფერი დაუშავო, გაუშვი! – ჩურჩულით, მაგრამ მკაცრად უთხრა მანანა მასწავლებელმა ჩემს ზურგსუკან მდგომს. მერე მე მომიტრიალდა. – აქ რას აკეთებ?

– მე? მე მოვედი... არა არ ვაპირებდი.... – ენა დამება და ავბლუყუნდი.

– ხო, შენ. რას არ აპირებდი? – ხმა უფრო გაუმკაცრდა მანანა მასწავლებელს, თუმცა ისევ ჩურჩულებდა.

– მოსვლას და ბოდიშის მოხდას. – რამდენიმე წამიანი პაუზის შემდეგ ამაყად ვუპასუხე. კეფამიც ისევ წამეჭირა ის მძიმე ხელი. აშკარად ხმამაღლა მომივიდა თქმა. კვლავ ავხრიალდი. მანანა მასწავლებელმა ისევ ანიშნა, გაუშვიო. ერთი გავიფიქრე, რაც არის არის, მივტრიალდები და მუშტს სახეში ავარტყამ, ამას როგორ უნდა შევარჩინო ასე მწარედ ხელის კისერში წავლება-მეთქი, რომ თავად გადმოინაცვლა ჩემ წინ. თვალები შუბლზე ამივიდა მის დანახვაზე. ჩემ წინ არც მეტი, არც ნაკლები, ჩვენი სკოლის დირექტორი იდგა.

– შენ მიდიოდი, მე მგონი, ხო?! – კარისკენ მიუთითა დირექტორს მანანა მასწავლებელმა. ასეთი მკაცრი არასდროს მენახა.

– კი, მივდივარ და პირველი რასაც გავაკეთებ, შენი სამსახურიდან გათავისუფლების განცხადებას დავწერ. ამოვიდა უკვე ყელში შენი უარი. მეც ადამიანი ვარ და მოთმინება გამაჩნია, მაგრამ აივსო უკვე. – ერთი ფეხი გადადგა კაცმა კარის ზღურბლზე, გაჩერდა, შემოტრიალდა და ისევ ჩურჩულით გააგრძელა, – და ამ ლაწირაკსაც მოგაყოლებ ზევიდან. აწი ვისთანაც გინდა, იმასთან დააფარე ხელი ამ ხულიგანს. – ნელ-ნელა სიბრაზისგან ხმას აუწია და ბოლოს ისე ხმამაღლა დაიყვირა, – ბიჭოს?! არ გამომიყვანა წყობიდან?! – რომ მანანა მასაწავლებელმა ლეოპარდივით ისკუპა და გაშლილი ხელი მიაფარა ტუჩებზე დირექტორს.

– სუ! ჩუმად! არ გაიგოს, თორემ... – თვალები აუწყლიანდა ჩემს კარის მეზობელს.

– გაიგოს, ერთი მაგის კარგიც... – ველარ დააბოლოვა, პირზე ისევ ხელი მიაფარეს. თუმცა უკვე გვიანი იყო. სადინებლიდან ვიღაცის ლანდი დაიძრა და ჩვენკენ წამოვიდა. სიბნელეში რაც გავარჩიე, კაცის სილუეტი იყო. დინჯი ნაბიჯებით [illegible] და ჩვენკენ. სამზარეულოსა და [illegible] შორის დადგა. ჯერ სიგარეტს მოუკიდა. სანთებელა რომ სახესთან აანთო, მისი ნაკვთები მეცნო, მაგრამ ვერაფრით გავიხსენე, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო. გონებაში თითქმის ყველა მეზობელი კაცი გადავათვალიერე. სხვა იყო. თან ნაცნობი. მაგრამ ვინ? მეორე ნაფაზის შემდეგ ცალი ხელი ზურგსუკან წაიღო და პისტოლეტი ამილო. ეზოდან შემომავალ შუქზე წამით გაანათა იარაღის გაპრიალებულმა მეტალმა. ლულა დირექტორის შუბლს მიებჯინა. დირექტორს ოფლმა დაასხა და აკანკალდა. ხრინწიანი ხმით ძლივს ამოილუღლუღა:

– არ მომკლა რა, გთხოვ?! – დაიღრიჭა. მეორედ გაიელვა ეზოდან შემომავალ შუქზე იარაღის გაპრიალებულმა მეტალმა და დირექტორი ჩაიკეცა.

– მოკალი? – მანანა მასწავლებელი მივარდა ძირს გაშოტილ კაცს, მაგრამ ყელზე თითები რომ მიადო და დარწმუნდა, პულსი ესინჯებოდა, გულზე მოეშვა. ასეთი უემოციო არასდროს მინახავს მანანა მასწავლებელი. არც მაშინ უთქვამს რამე, როცა სილუეტმა დირექტორს ფეხებში ხელი წაავლო და ოთახში გააფორთხიალა. თითქოს კმაყოფილიც კი იყო, ყველაფერი ასე რომ შემობრუნდა. მაინც არ მასვენებდა იმაზე ფიქრი, ვინ იყო ეს სილუეტი? საიდან მეცნობოდა? და თუ მეცნობოდა, რატომ აქამდე არ მინახავს მანანა მასწავლებელთან მოსული, მითუმეტეს, ერთ სართულზე ვცხოვრობდით. არც სხვას ეყოლებოდა შემჩნეული, თორემ აქამდე მოალებდნენ პირს უბნის ბიჭები და დამცინებდნენ.

კიდევ ბევრს ვიფიქრებდი ალბათ, მოულოდნელად თავზე ტომარა რომ არ ჩამოეცვა და მეც იმ ოთახში არ გაეეყვანე სილუეტს, სადაც რამდენიმე წუთის წინ დირექტორს მიაფორთხიალებდა. დაყვირება მოვინდომე, მაგრამ მიმიხვდა სილუეტი. კისერში ყრუ ტკივილმა გონება დამიბინდა და ჩამობნელდა.

არ ვიცი, გონებაზე მალე მოვედი თუ არა. თვალების გახელამდე საუბარი ჩამესმა. მანანა მასწავლებელს კაცის ხმა არწმუნებდა, რომ არასრულწლოვანი ვიყავი და ამის გაკეთება ჯერ არ შეიძლებოდა, რადგან დაიჭერდნენ. თავის მხრივ მანანა მასწავლებელი სთხოვდა, ისეთ ქვეყანაში გაქცევაში დახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარებოდა, სადაც ვერავინ გვიპოვიდა. თავი მისკდებოდა, აზრებს თავს ვერ ვუყრიდი, მაგრამ ვერ ვხვდებოდი, მე რაში ვჭირდებოდი მანანა მასწავლებელს, ან რისთვის ვიყავი პატარა, რის ჩადენას აპირებდა, რის გამოც დაიჭერდნენ? ყველაზე მეტად კი, ის უცნობი მაინტერესებდა, ვინ იყო. თითქოს მისი ხმაც მეცნობოდა.

– მოხსენი უკვე. – უთხრა უცნობმა.

ჯერ ისევ ღამე იყო, მაგრამ ოთახში ანთებული შუქის დანახვამ თვალი მომჭრა და თავი დავხარე. დირექტორი ჩემ გვერდით, სკამზე იყო მიბმული. ის უკვე გონზე იყო. ცდილობდა, ხელები გაეთავისუფლებინა თოკებისგან, მაგრამ არ გამოსდიოდა და ჭარხალივით უნითლდებოდა სახე სიბრაზისგან. მანანა მასწავლებელი ჩემ წინ იდგა. ნანტირალები ჩანდა. უსწორმასწოროდ წასმული ლაინერის „სტრელკები" გადღაბნოდა და უპეები ჩაშავებოდა. უცნობი არ ჩანდა. ჩემს ზურგსუკან გადაენაცვლა.

– არ მინდოდა ასე მეთქვა, მაგრამ ... – დარცხვენით დაიწყო ლაპარაკი ქალმა. – მეც მიყვარხარ და თანახმა ვარ შენთან ერთად ვიცხოვრო. მამაჩემიც დავითანხმე. ამერიკაში წაგვიყვანს და იქ დავიმალებით მანამ სრულწლოვანი გახდები. ისეთი ბედნიერი ვარ... ისეთი... – უცებ მეცა და კოცნა დამიწყო.

– რას აკეთებთ, მანანა მასწავლებელო?! შეიშალეთ?! – ძლივს მოვიშორე გაშმაგებული ქალი.

– ეეე, შენ ჩემს შვილს წესიერად ელაპარაკე, თორემ გაგიხვრიტე შუბლი!

ყველაზე მძაფრსიუჟეტიან ფილმშიც შემეძლო ხოლმე ამომეცნო რეჟისორის ჩანაფიქრი, მაგრამ ახლა მართლა საოცრება ხდებოდა. სრული გადატრიალება. საფეთქელთან მობჯენილი ლულის მეორე მხარეს ენტონი კიდისი იდგა. თავიდან გადავაწყვე გონებაში, მისი საძინებლიდან გამოსვლა, სიგარეტის წოკიდებისას სანთებელის შუქზე დანახული სახის ნაკვთები, ყველა მისი მოძრაობა, ხმის ტემბრი... ის იყო! ნამდვილად ენტონი კიდისი იყო! მაგრამ მანანა მასწავლებლის მამობას ნამდვილად არ ველოდი.

– მატყუებდი? – მანანა მასწავლებელი აფსლუკუნდა.

– რას გატყუებდით?

– რომ გიყვარდი, მატყუებდი? რასაც მეუბნებოდი, მართალი არ იყო?

– როდის გეუბნებოდით? საიდან მოიტანეთ?

– დილა შენით იწყებოდა და ღამე დაუმშვიდობებლად რომ არ იძინებდი, დაგავიწყდა? დაგავიწყდა, რომ მეუბნებოდი, შენი შვილების მამა მინდა ვიყოო? ყველაფერი ტყუილი იყო?

– აკი მითხარი, ყველაფერი გარკვეულიაო, ამხელა გზაზე ამისთვის ჩამომიყვანე? – ენტონის ხმაში სიბრაზე გაუკრთა.

– ეგრე იყო, მა, შენც ხომ გაჩვენებდი ნაწერებს? შენ მაინც რა გჭირს? – ფსლუკუნიდან ბღავილზე გადავიდა მანანა მასწავლებელი.

– მე არ ვყოფილვარ, რეებს მაბრალებთ? რანაირად უნდა შემყვარებოდა ამხელა ქალი? ან რას ჰგავს? ეს რანაირად უნდა შეგიყვარდეს? – სილა რომ გამაწნა მანანა მასწავლებელმა, მივხვდი, რომ ზედმეტი მომივიდა.

– არამზადა! – მუშტები დამიშინა.

– არ გაინძრეთ! – დირექტორმა დაიყვირა. თოკებიდან გაეთავისუფლებინა ხელები, ენტონის პისტოლეტი ხელში ჩაეგდო და გვიმიზნებდა. – თუ ძალიან გაინტერესებს, იმ მესიჯებს მე გწერდი, ქალბატონო. ისე ნუ მიყურებ, თითქოს უცოდველი იყო. გეტყობოდა მესიჯებში, რა კახპაც იყავი, – ზიზღს აფრქვევდა ლაპარაკისას, – ძალიან კი გავერთე; სიმართლე გითხრათ, კარგი ყოფილა ამ მტერის სახელით ქიმიის მასწავლებლის შებმა. როგორ უცებ გაები?! ლაწირაკებთან უკომპლექსო ხდები, არა?! გეგონა, გაპატიებდი უარს? ზედ გადაგყევი, სკოლაში მოგაწყე, ამ ლეწჩის გამოხტომებს ვიტანდი და არ ვრიცხავდი სკოლიდან შენ გამო, შენ კი რით გადამიხადე სამაგიერო? რა დამიწუნე? რა აქვს ისეთი, ჩემზე რომ უარი თქვი? – სულ ძლივს ითქვამდა გაცეცხლებისგან, – ხოდა, ახლა საიქიოს რომ გაგისტუმრებთ, იქ ვერავინ მოგაგნებთ ახალდაქორწინებულებს...

სიტყვა არ ჰქონდა დამთავრებული დირექტორს, თვალები მაღლა აატრიალა და წაიქცა. მის უკან ტაფამომარჯვებული თეკო გამოჩნდა.

– ყველანი უნიჭოები ხართ! – ტაფა დაბლა დააგდო და წავიდა.

* * *

დალასამდე კიდევ ორი საათის გზა იყო დარჩენილი. საგასტროლო ავტობუსი რწევა-რწევით მიიწევდა წინ ასსამოცდამეთხუთმეტე გზატკეცილზე. დალასში დიდი კონცერტი იყო დაგეგმილი. წითელ ცხარე მწარე წიწაკებს ათასობით გულშემატკივარი ელოდა ქალაქში. დამღლელი დღის შემდეგ საკონცერტო ტურნეებს მიჩვეული ჯგუფის წევრები ვიწრო საწოლებზე იწვნენ და დაბალ ხმაზე ჩართულ ტელევიზორს უყურებდნენ. მხოლოდ ენტონი კიდისს ეძინა, თუმცა აშკარა იყო, სასიამოვნო სიზმარს არ ნახულობდა. ლუღლუღებდა და ხელებს იქნევდა. მასთან ჩედ სმითი მივიდა, მისკენ დაიხარა და ენტონის გაღვიძება სცადა. ხელის შეხებაზე ენტონი ფეხზე წამოხტა, მაგიდას დაეჯახა და წყლით სავსე ჭიქა ძირს გადააგდო.

– Are you ok? – ჰკითხა სმითმა.

– F*ck, what the dream was it?!

# დედლაინი

*ნიკუშა ანთაძე*

დედლაინი სიკვდილივითაა – მასზე ფიქრი გაშინებს, მაგრამ როგორც კი მოვა და გადააბიჯებ, დამშვიდდები, მიხვდები, რომ არც ისეთი საგანგაშო ყოფილა. დედლაინამდე დრო ძალიან სწრაფად გადის. ორი კვირა რომ გქონდეს დარჩენილი, გინდაც ერთი თვე, ან სამი წელი, ან თუნდაც ხუთი – ეს დრო ისე ჩაიქროლებს, ვერც კი გაიგებ, როგორ აორთქლდა. სამაგიეროდ, ბოლო წუთებია უძვირფასესი. დრო უკიდურესად ნელდება, ბევრდება, უსასრულოდ იწელება თუ საერთოდ იკარგება მისი აღქმა და გეუფლება შეგრძნება, რომ ყველაფერს მოასწრებ. საუკეთესო იდეები და გადაწყვეტები მოგდის თავში და არცერთის დათმობა არ გსურს. ბოლო წუთებში ყოველი წამი მნიშვნელოვანია.

## 15:52:01

ოთახში შემორბის გაფითრებული მენეჯერი და გეუბნება, რომ დედლაინამდე 8 წუთიღა დარჩა, გასაგზავნი პრეზენტაცია კი ჯერ მზად არ არის. კლავიატურა თითებში გადნება, წამში 200 სიტყვას კრეფ და 20 სლაიდს აწყობ. ამ დროს ვერ იხსენებ, როგორ არის ინგლისურად უწყისი და ურთიერთშეთანხმება, სავარაუდოდ, არც იცოდი. სასწრაფოდ ეძებ ონლაინ ლექსიკონს, მაგრამ ინტერნეტი არ მუშაობს. პროგრამისტს უძახი, ის პაბს არესტარტებს და შენ საჭირო სიტყვებს თარგმნი.

## 15:52:02

გახსენდება ფოტო, რომელიც შემდეგ სლაიდს იდეალურად შეეფერება. გახსენდება, მაგრამ არ იცი, როგორ იპოვო, რადგან მხოლოდ ერთხელ გაქვს ნანახი და ვერ ხვდები – სად. რა ეწერა? როგორ უნდა დასერჩო? სხვა ფოტო გამორიცხულია! სად? ფეისბუქში? გუგლში? საფეხბურთო ჟურნალში? ბაბუაშენის ნაჩუქარ კატალოგში? გამოფენაზე? მინსკის მეტროში, სარეკლამო აბრაზე? ამ დროს ტელეფონი გირეკავს, უცხო ნომერია. აპირებ, არ უპასუხო, მაგრამ უცებ ძალიან ინტერესდები, ვინ შეიძლება იყოს და ხმის გათიშვის ნაცვლად, პასუხობ. უცნობი მამაკაცის ხმა გეუბნება, რომ შენი ნომერი იმ ქალის ბოლო დარეკილებში აღმოაჩინა, რომელსაც ტელეფონი მის მანქანაში დარჩა. წამით იძაბები, რადგან საუბარი აშკარად შენს მეუღლეზეა, მერე კი ხვდები, რომ ხაზზე უბრალოდ ტაქსის მძღოლია და სანერვიულო არაფერი გაქვს. ოფისის მისამართს ეუბნები და შეხვედრას უთქვამ ზუსტად 9 წუთში. თან გიხარია – ცოლის დაბადების დღე მოდის და შენ მოგიწევდა ახალი სმარტფონის ყიდვა. მენეჯერის შუბლიდან ცივი ოფლი წვეთავს და გესმის, როგორ ეცემა იატაკზე წკაპუნით.

## 15:52:14

ფოტოს პოულობ! ის მართლა იდეალურად ერგება სლაიდს და ამ გამარჯვებას გულში ზეიმობ. შემდეგ სლაიდზე გადადიხარ, ტექსტს უკირკიტებ და ერთ წინადადებაში ერთ სიტყვას 6-ჯერ უცვლი ადგილს. მენეჯერს უფროსი მენეჯერი ურეკავს და ისე უყვირის, მთელ ოთახში ისმის ღრიალის ექო. გახსენდება, რომ დილიდან არ მოგიფსამს და შარდის ბუშტი გისკდება. ტუალეტისკენ მიდიხარ, დერეფნის ბოლოს. დაკავებულია. როგორც იქნა, თავისუფლდება, შერბიხარ და უნიტაზს გულმოდგინედ უმიზნებ. გგონია, რომ ყვითელი სითხის ნაკადი აღარასდროს შეწყდება – 3 ლიტრით თავისუფლდები. შვებით სუნთქავ, მაგრამ ატყობ, რომ მაინც ძალიან დაძაბული ხარ და ხვდები – პრეზენტაციის მშვიდად დასასრულებლად, ახლა საუკეთესო გადაწყვეტილება მასტურბაციაა. იხსენებ ბოლო სექსს ცოლთან. არ ვარგა. იხსენებ ბოლო შემთხვევით სექსს მივლინებაში. ნელ-ნელა გიდგება. წარმოიდგენ ფავორიტ ვიდეოებს პორნჰაბის კოლექციიდან და უკვე მზად ხარ. ანძრევ. გონებაში ერთმანეთს ენაცვლებიან მოყვარული და პროფესიონალი პორნოვარსკვლავები, შენი ცოლი და მინსკელი ოფიციანტი. ამ დროს მათ შორის საიდანღაც გამოერევა კონკურენტი კომპანიის თანამშრომელი, რომელსაც შენზე მეტი ხელფასი აქვს და ფანტაზიას გიბინდავს. ცდილობ, თავი დააღწიო და იქვე მისი ცოლი გახსენდება, უზარმაზარი მკერდითა და მოტკეცილი კაბით. ხელში მათრახს აჭერინებ და აიძულებ, სამუშაო მაგიდაზე გადაკუზულ ქმარს ურტყას. მის ჯინაზე უფრო ძლიერად ანძრევ. ათავებ. გათხუპნულ უნიტაზის ლილაკს ტუალეტის ქაღალდით წმინდავ და პერანგს შარვალში იტანიებ.

## 15:52:35

ოთახში დაწყნარებული შედიხარ. ზუსტად იცი, რომ მოასწრებ. მენეჯერი საკუთარ ტუჩებს იჭამს და ფრჩხილებს აყოლებს. მომდევნო 6 სლაიდს რეკორდული სისწრაფით აწყობ, თავს Power Point-ის მეფედ გრძნობ. რამე მუსიკა მოუხდებოდა ამ ტემპში მუშაობას. სად არის ყურსასმენები? ხმამაღლა ვერ ჩარ-

თავ, აკრძალულია ოფისში. სად არის? გახსოვს, რომ აქ გედო, ბლოკნოტებთან. ალბათ ვინმემ ითხოვა, მაგრამ ბრაზდები, დაუკითხავად რომ მოკიდეს ხელი და ოთახში ყველას ეკითხები, ვინ აიღო შენი ლურჯი ყურსასმენები. მაგრამ აქედან არც არავის აუღია და არც დაუნახავთ, ვინ აიღო. მენეჯერი მაშინვე გთავაზობს თავისას, მაგრამ უარს ეუბნები – შენ შენი გინდა. ჯერ მეზობელ დეპარტამენტებში ეძებ, მერე ყველა სართულს შემოირბენ, ყველა უჯრას და თაროს ათვალიერებ, იჭყიტები მითინგ რუმებში, ბუღალტერთანაც კი შედიხარ, დაცვას აწიოკებ, მანქანას ჩხრეკ საბარგულიანად, გადიხარ კაფეში, სადაც ლანჩზე იყავი, მაგრამ არსად არ არის. ხელჩაქნეული ბრუნდები, უკვე ყველა იმედი გადაწურული გაქვს და ამ დროს, სრულიად მოულოდნელად, ხედავ ყურსასმენებს, მაგიდაზე, ზუსტად იქ, სადაც გეგულებოდა – ბლოკნოტებთან. იკეთებ, მუსიკას რთავ და კიდევ 6 სლაიდს ანადგურებ.

**15:52:52**

რატომ დაგავიწყდა, რომ დღეს იმ ხუჭუჭა გოგოს დაბადების დღეა, გაყიდვების დეპარტამენტიდან? პრინციპში, ალბათ არც იცოდი. ბუშტს გაძლევენ, გთხოვენ გაბერო და სამზარეულოში ჩახვიდე ერთი ნაჭერი ტორტის საჭმელად. საერთო მხიარულებას ჭრელი ბუშტით ხელში უერთდები, სხვებთან ერთად მღერი Happy Birthday-ს ქართულ ვერსიას და საკვანძო მომენტში სახელი გავიწყდება, თუმცა არ იმჩნევ და პირს მაინც აღებ უხმოდ. იუბილარს გაჭყლეტვამდე ეხუტები და უსურვებ, კიდევ მის 150 დაბადების დღეს შეხვდეთ ერთად. ტორტი უკიდურესად უგემურია, მაგრამ აქებ, მეორე ნაჭერსაც ითხოვ და დაწვრილებით კითხულობ, სად შეუკვეთეს, რა ღირდა, შეკვეთიდან რამდენ ხანში ამზადებენ, თვითონ მოაქვთ, თუ უნდა წამოიღო. შამპანურის ბოთლი იხსნება. იუბილარს ყველა სათითაოდ ადღეგრძელებს.

**15:53:27**

მენეჯერი წყობიდან გამოდის და შედის, გამოდის და შედის. ამ დროს გაფიქრდება დეტალი, რომელიც რეალურად ყველაზე მნიშვნელოვანია პრეზენტაციაში. რალაცების გადაწყობა გიწევს, მაგრამ სხვა რა გზაა. თავდაჯერება გემატება, სლაიდებს ადგილებს უცვლი, შესწორებები შეგაქვს. ძალიან კარგი გამოდის! ამ თვის ბონუსი გარანტირებული გაქვს და ბიჭებთან ერთი კაი სუფრა შენზეა. ისე, რამდენი ხანია არ გინახავს ბიჭები? გუშინაც გირეკავდა ბავშვობის ძმაკაცი, შეხვედრაზე ვერ უპასუხე და მერე გადარეკვა დაგავიწყდა. თავს დამნაშავედ გრძნობ და მის ნომერს კრეფ, სანამ ისევ ამოგვარდნია თავიდან, ებოდიშები, უხსნი, როგორი დაკავებული ხარ და როგორ გენატრება, მერე ბოლო 3 თვის სიახლეებს ცვლით. იგებ, რომ მისი და ისევ ორსულადაა, იგებს, რომ მამაშენმა თვალის ოპერაცია გაიკეთა და კარგადაა, იგებ, რომ მისი სახლის წინ ახალი კორპუსის მშენებლობა დაიწყეს და ხედი უფუჭდება, იგებს, რომ ბოლო ფეხსაცმელი, რომელიც ცოლმა გიყიდა, პატარა გაქვს და აღარც იცვლება, იგებ, რომ სესხების ლარიზაცია გაიზარდა, იგებს, რომ ფოსტალიონს მოუწერე ხელი მეზობლის მაგივრად, რომელიც პარკინგის ჯარიმებს არ იხდის და ფოსტალიონს ემალება, იგებ, რომ სპარტაკმა კარადები ნაილო, იგებს, რომ ქეთინოს შვილმა გაიგო, მამამისი რომ მამამისი არ არის, იგებ, რომ გენოს სულ 2 ზედა აქვს, მეტი არა, იგებს რომ ტატიანა ქმარს გაშორდა, იგებ, რომ ბარსას მეოვედფინალში ჩარჩენას დიდი კუში აქვს, მაგრამ შანსიც დიდია, იგებ, რომ სტამბული-თბილისი დღეს 16:55-ზე დაეშვება. გახურებული ტელეფონი მხარსა და ყურს შორის გაქვს მოქცეული, გვერდულად უყურებ ლეპტოპს, ამთავრებ აქამდე აწყობილი სლაიდების გადალაგებას და ხვდები, რომ პრეზენტაციის 25% უკვე მზად გაქვს.

**15:54:12**

იჭედები. ინფორმაცია გჭირდება, რომელიც მხოლოდ უფროს მენეჯერს აქვს, მაგრამ ახლა რომ ჰკითხოთ, არ გამოვა – მიხვდება, რომ მზად არ ხართ და იღრიალებს. შენც იცოდი, მაგრამ ზუსტად ვერ იხსენებ. მოწევა გინდა, მაგრამ ოფისში არ ეწევიან. უკვე გარეთ ხარ, როცა აღმოაჩენ, რომ ჯიბეში ცარიელი კოლოფი გიდევს. მარკეტში შედიხარ. შენ წინ მხოლოდ ერთი კაცია, მაგრამ ქეში არ ჰყოფნის, ბარათით ვერ იხდის, სათვალეს იკეთებს, პინ-კოდს ეძებს ტელეფონში, ვერ პოულობს, ყველაფერს აბრუნებს და მიდის. შენ მარტივად იხდი და გარეთ გამოდიხარ. ეწევი. ითვლი, რამდენ ფულს დაზოგავდი, რომ არ ეწეოდე. დღეში მინიმუმ ერთი კოლოფი გჭირდება, რაც 10 დღეში 60 ლარია, ანუ თვეში 180, წელიწადში კი 2160 ლარი. ბევრია. რომ გაანახევრო და დღეში საშუალოდ 10 ღერზე დახვიდე, 2 წელიწადში დაზოგავ 2160 ლარს და ამ ფულით შეგიძლია სამოგზაუროდაც კი წახვიდე სადმე... მაგალითად ბერლინში!

**15:54:41**

– რა დროს მოწევა იყო?! – წითელი ბარათივით წითელი გხვდება მენეჯერი და თვალებიდან სასოწარკვეთილი მრისხანება ეღვრება, – შენ ძალიან ხომ არ აგივარდა თავში პატარა წარმატებები და ხომ არ გათავხედდი?! ამ დედლაინს თუ გადავაცილებთ, მე შენ ხელს აღარ დაგაფარებ არც დაგვიანებებზე, არც ადრე გასვლებზე და არც სიგარეტის მოსაწევად ჩასვლებზე დღეში ათჯერ!

„ეს ყლე ნახე რა!" – ფიქრობ და მზად ხარ, მთელი საგვარეულო აგინო, მაგრამ ახლა ამის დრო არ არის, ლიფტში იმ კვლევის შედეგები გაგახსენდა, რომელიც გჭირდებოდა და

სასწრაფოდ უნდა შეყარო პრეზენტაციაში. ცდილობ, კონცენტრირდე და არაფერი გამოგრჩეს, მაგრამ აღელვების გამო მაინც გიწყდება აზრი და მნიშვნელოვანი დეტალები გიფრინდება თავიდან. საშინლად ბრაზდები. „ამის დედას შევეცი! ეს როგორ გამიბედა, რაღაც ნახევარი წუთის გამო?! არც კი... თან თანამშრომლების თანდასწრებით!.. ამის დედაც მოვტყან, ამ პრეზენტაციასაც შევეცი და ამ სამსახურსაც! ერთი წელია, ხელფასის მომატებას მპირდებიან და სად არის, აბა? დაწინაურებაზეც ხმას არ იღებენ. არ გავარტყი აქაურობას? შემიძლია დღესვე წავიდე!" – ფიქრობ განრისხებული და jobs.ge-ზე შედიხარ, გინდა დარწმუნდე, რომ უკეთესი სამსახურის მოძებნა არ გაგიჭირდება. შენი შესაფერისი ვაკანსიები ბევრია, მაგრამ ყველგან მკაცრად ითხოვენ ინგლისურის კარგად ცოდნას. არა უშავს, შეგიძლია CV-ში ჩაწერო, რომ თავისუფლად ლაპარაკობ და თუ აგიყვანენ, მერე სწრაფ კურსებზე ივლი. მთავარია, რომ მეტი ხელფასი გექნება და ასეთი არაკაცების ატანა არ მოგიწევს ოფისში, ვითომ რო გემეგობრებიან და მეორე წუთში შეუძლიათ გაგწირონ. ამ დროს მენეჯერი უახლოვდება შენს მაგიდას და ცხელ ყავას გიდგამს. აღიარებს, რომ ზედმეტად გამოვიდა წყობიდან, რადგან ძალიან ნერვიულობს შესაძლო დაგვიანებაზე და გებოდიშება. გეკითხება, ხო ყველაფერი კარგად მიდის. ჯერ თვალს არიდებ, ყავას სულს უბერავ, ერთ ყლუპს სინჯავ, მერე მენეჯერს უღიმი და ეუბნები:

– ყველაფერი რიგზეა, ვასწრებთ!

## 15:55:12

ოთახში ის ხუჭუჭა გოგო შემოდის, რომლის სახელიც ისევ არ გახსოვს – იუბილარი. ხელში ძალიან საყვარელი ბიგლი უჭირავს, ლეკვი. ყვება, რომ თაყვანისმცემელმა მოუყვანა საჩუქრად, მაგრამ სახლში ვერ წაიყვანს, რადგან დედამისს ალერგია აქვს და უნდა, სასწრაფოდ გააჩუქოს, სანამ შეუყვარდება. შენ ძაღლებზე დიდად არ გიჟდები, მაგრამ უცებ გენიალური იდეა მოგდის – ცოლის მოახლოებული დაბადების დღე გახსენდება, ის კი უკვე რამდენი ხანია ოცნებობს ძაღლზე. საჩუქრის ფულსაც დაზოგავ – ეტყვი, რომ უყიდე და რას გაიგებს. ბიგლის იბარებ. ხუჭუჭა აღფრთოვანებულია შენი მჯისიერი გადაწყვეტილებით, გულში ალბათ შინაური ცხოველების უდიდეს მოყვარულად გნათლავს, ხმამაღლა კი ას მადლობას გეუბნება და შენც რაღა დაგრჩენია – თავმდაბალი ღიმილით უნდა შეიფერო. გიმხელს, რომ თვითონ ალბათ პრინცესუკას დაარქმევდა, მაგრამ შენ შეგიძლია, რაც გინდა ის დაუძახო და გთხოვს, რომ მერე, ხანდახან, ფოტოები აჩვენო ხოლმე. ბოლოჯერ ეხუტება ლეკვს, შენც გეხუტება გაჭყლეტვამდე და გტოვებთ. მორიახლოს ვეტ. კლინიკა გეგულება, ბიგლის გვერდით სავარძელზე ათავსებ და მანქანას ქოქავ. ჯანმრთელს ჰგავს, მაგრამ მაინც ხომ უნდა გადაამოწმო. ულებ სისხლის საერთო ანალიზს და ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციურ სინჯებს, უკეთებ იმუნიზაციას, უდგენ ელექტროლიტური ბალანსის მაჩვენებელს, უტარებ ულტრაბგერით გამოკვლევას და გამორიცხავ კენჭების, სიმსივნეების, კისტების, ჰემატომების, ან ანთებითი პროცესების არსებობას მის ორგანიზმში. მერე აბანავებენ, აშრობენ და ამუშავებენ ეგზოპარაზიტებზე – მხოლოდ შეფუთვაღა აკლია საჩუქარს.

## 15:55:50

ტვინიც და თითებიც ელვის სისწრაფით მუშავებს. პრეზენტაციის ნახევარზე მეტი უკვე მზად არის და გრძნობ, რომ რაღაც საოცრება გამოგივა. უფროსებიც აღფრთოვანდებიან და კლიენტიც. ახალ თანამშრომლებს ონბორდინგებზე ამის მიხედვით აუხსნიან, რა უნდა აკეთონ და როგორები უნდა გახდნენ. ლექტორები სტუდენტებს აჩვენებენ სამაგალითოდ. პრეზენტაციების მუზეუმი რომ არსებობდეს, იქ გამოფენდნენ უიშვიათეს ექსპონატად და ფოტოებს გადაიღებდნენ მის ფონზე. ბონუსზე ხომ საუბარიც ზედმეტია, იქნებ ორმაგი ხელფასიც კი ჩაგერიცხოს ამ თვის ბოლოს... მაგრამ თვის ბოლომდე ერთ კვირაზე მეტია დარჩენილი, ანგარიშზე კი თითქმის არაფერი. ინტერნეტ ბანკს ხსნი და ბალანსს ამოწმებ. ხოო, ეს შეიძლება მარტო ლანჩებს და სიგარეტსაც კი ვერ გაწვდეს ამ დღეებში. ბარსელონას კარგი კუში გახსენდება, ბავშვობის ძმაკაცმა რომ გირჩია. იქნებ მოიგო? აბა ამ თანხას რომ გაუფრთხილდე, რა აზრი აქვს, მაინც ვერაფერზე იმყოფინებ. სასწრაფოდ შედიხარ ონლაინ კაზინოში და ხელფასამდე დარჩენილი ფულის ნახევარი შეგაქვს – სჯობს, ახლავე დადო, მერე შეიძლება კუში დავარდეს. საკუთარ ბედში და ძმაკაცის ალღოში დარწმუნებული აკეთებ ტოტალიზატორის ბილეთს და უკვე წარმოგიდგენია, საღამოს რამხელა სიამოვნებით უგულშემატკივრებ მესის ტრავმის გამო დასუსტებული ბარსას გავარდნას. ამასობაში ხვდები, რომ ფულის მეორე ნახევრის დატოვებასაც არ აქვს აზრი, სჯობს, გარისკო და პოკერი ითამაშო. მთლიანად რიცხავ. თავიდანვე გიმართლებს, ორი დამა მოგდის და ფლოპზე მესამეც, ვიღაც თევზი ოლ-ინზე მოგყვება და ჩიპებს აორმაგებ. ფრთხილად აგრძელებ, რამდენჯერმე კარგ კარტსაც კი ყრი, ერთხელ ბლეფობ და გამოგდის, მერე მოგდის ორი ტუზი და ფლოპზე მესამეც. ოლ-ინს შედიხარ, მაგრამ მეტოქე სტრიტს კრავს და გიგებს. დარჩენილ ხურდებს სლოტებში აგებ – მარწყვები იღბლიანად არ ლაგდებიან.

## 15:56:39

მენეჯერი გახსენებს, რომ დედლაინამდე 4 წუთიღა დარჩა. არ უსმენ, ნაგებაზე გწყდება გული, საკმაოდ არ გესიამოვნა 0-ზე რომ დარჩი, მაგრამ საღამოს მოგების იმედი გამხნევებს. მთელი ყურადღება სლაიდებზე გადაგაქვს და კიდევ რამდენიმეს ულებ ბოლოს. ამ დროს ბანკისგან სარეკლამო მესიჯი მოგდის.

**„გადაიღალე? აიღე სამოგზაურო სესხი რამდენიმე წამში და დასვენება არ აგცდება. *მეტი ინფორმაციისთვის ეწვიე ჩვენს ვებ-გვერდს Boga.net და შეავსე განაცხადი.“***

ამ შეტყობინებას ნიშნად ღებულობ, დაუყოვნებლივ შედიხარ საიტზე და მოკლე განაცხადს ავსებ. მაშინვე მოგდის მეორე მესიჯი, რომელიც უკვე სესხის დამტკიცებას გიდასტურებს. სახეზე ბედნიერი ღიმილი გეკვრება. ბერლინი? რა თქმა უნდა!

## 15:57:02

ასეთ ევროპაში პირველად ხარ, ყველაფერი გაყლევებს. პირლია ათვალიერებ ქუჩებს და ადამიანებს, ფოტოებს უღებ ძეგლებს, შენობებს და ნახატებს შენობებზე, იღებ სელფებს და ინსტაგრამს ბომბავ. დამტვრეული ინგლისურით ესაუბრები ოფიციანტებს და სინჯავ ასნაირ სარდელს, იჭყიპები ლუდით. მოსანევს ყიდულობ შემხვედრი ბარიგებისგან. გაოცებს, რომ ქუჩებში მარიხუანას სუნი დგას და შენც ეწევი, მაგრამ ხვდები, რომ ტრუხა პლანი შემოგაჩეჩეს. მერე გასწავლიან, რომ ხარისხიანი გორლიცერის პარკთან უნდა იყიდო. იქ პოულობ მაროკოელ ჯიგრებს, საუკეთესოს გაძლევენ, იქვე პარკში ეწევი და გიჟივით მონეულს თავი ცოტა ხანი მზესუმზირა გგონია. სინჯავ მუსტაფას შაურმას. გახარებს ჭრიმარკ-ის სიიაფე და ყიდულობ ტანსაცმელს ზაფხულისთვის, ზამთრისთვის, სამსახურისათვის, ქორწილებისთვის, პანაშვიდებისთვის, სავარჯიშოდ, საქმიანი შეხვედრებისთვის, ცოლისთვის, ბავშვებისთვის, რომლებიც ჯერ არ გყავს და ყიდულობ შავებსაც, კლუბებში რომ შეგიშვან. ღამე ბერგჰაინის 1500 კაციან რიგში დგახარ დარწმუნებული, რომ შიგნით მოხვდები, მაგრამ კართან ფეისკონტროლი მაინც გიწუნებს. სხვა რიგში ჩადგომა გეზარება და ურიგო სტრიპტიზ-ბარს პოულობ, რომელიც სინამდვილეში BDSM კლუბი აღმოჩნდება და დაკუნუთლი ნიღბიანი კაცები სხვა ნიღბიან კაცებს გატყნავენ თავზე. მაინც ახერხებ, იპოვო საშენო გოგო, რომელიც თოკებით გაბაწრული ჭკიდია ჭერზე და სასმელზე პატიჟებ, ის კი კეტამინს გთავაზობს და იყნოსავ და მსუბუქდები და სამყაროს ცენტრი გეკარგება, მაგრამ ასწორებს. გოგო შენთან სასტუმროში მიგყავს და თანახმაა, რომ მოგცეს, მაგრამ სანაცვლოდ გთხოვს, რომ შენც მისცე და ჩანთიდან უზარმაზარ სტრეპონს აძრობს. შენ გეშინია, მაგრამ თან იცი – ამას სამსახურში ვერავინ გაიგებს.

## 15:58:06

ჯდომისგან უკვე ტრაკი გტკივა, მაგრამ ახლა აღარაფერი არ შეიძლება – პრეზენტაციის ფინალი ძალიან მნიშვნელოვანია, ბოლო სლაიდები შთამბეჭდავად უნდა მიამთავრო. წარმოუდგენელ სიჩქარეს ანვითარებ, პრეზენტაციების აწყობა რომ ოლიმპიური სახეობა იყოს, დოპინგ-ტესტზე შეგამოწმებდნენ. ახლოს ხარ კულმინაციასთან, პარალელურად კი მენეჯერი ცოფებს ყრის, მერე კრეფს და თავიდან ყრის – ჩაშლილი ბიუჯეტი მზად ეგულებოდა და ახლა ირკვევა, რომ ბუღალტერიაში თურმე ხვალ ჰგონიათ დედლაინი. ციფრების გარეშე ყველაფერს აზრი დაეკარგება. რა გაეწყობა – უნდა დაელოდოთ. მენეჯერი ლოცვას აძლიერებს, შენ კიდევ ერთი ღერის მოსაწევად გადიხარ გარეთ. საფერფლის გარშემო შეკრებილი თანამშრომლები იმ სერიალზე ლაპარაკობენ, რომლის ბოლო სეზონიც გამოდის მალე, შენ კი არცერთი ეპიზოდი არ გინახავს. მხოლოდ ის იცი, რომ სადღაც გამოგონილ კონტინენტზე ვითარდება სიუჟეტი, მთავარი გმირები სულ მოულოდნელად კვდებიან, ყველა ყველას ტყნავს, ზამთრის ეშინიათ, მგონი დრაკონებსაც ტყნავენ და ერთ-ერთმა მთავარმა გმირმა საერთოდ არაფერი იცის, მერე მასაც კლავენ, მაგრამ ცოცხლდება. ოთახში გადაწყვეტილებით ბრუნდები – სანამ ბიუჯეტს ელოდებით, ჩამე ოფ თჰრონე-ის შვიდივე სეზონს უყურებ!

## 15:59:05

მენეჯერის სახე შუქნიშანს ემსგავსება და მონაცვლეობით ანათებს, ხან წითლად, ხან ყვითლად, ხან შავად, ოღონდ ეს იმდენად სწრაფად ხდება, ეჭვი გაქვს, რომ შეიძლება გადაიწვას. საბედნიეროდ ჩაშლილი ბიუჯეტი მოდის – პირადად გულამოვარდნილ მთავარ ბუღალტერს შემოაქვს ფლეშკაზე ჩაწერილი. ალუბალივით ათავსებ ბოლოსწინა სლაიდზე (სულ ბოლოზე მადლობა უნდა ეწეროს დიდი ასოებით) და მენეჯერს ფერი უბრუნდება. ახლა ერთხელაც უნდა გადაუაროთ თავიდან. შესაშურად გამართული პრეზენტაციაა, მხოლოდ მინიმალური შესწორებები შეგაქვთ და ერთ სლაიდზე დაეობთ, მაგრამ არწმუნებ, რომ ასე სჯობს, სამაგიეროდ, მისი გემოვნებით არჩევ ფონტს ბოლო მადლობისთვის.

## 16:00:00

– გაგზავნილია! – თვალები უბრწყინავს მენეჯერს და უნდა, რომ ჩაგეხუტოს, მაგრამ ამ დროს ტელეფონი გირეკავს, უცხო ნომერია. პასუხობ და მამაკაცის ხმა გეუბნება:

– ისა, უკაცრავად, მოვედი მე, თქვენი მეუღლის ტელეფონი მოვიტანე.

ჯერ კიდევ თბილი ყავის ბოლო ყლუპს სვამ, მენეჯერს ღიმილით უქახუნებ ჭიქას შუბლზე და ლეპტოპს ხურავ.

ამჯერადაც გადარჩი, მაგრამ ერთხელაც ვერ გადარჩები – გადააბიჯებ დედლაინს და დამშვიდდები, მიხვდები, რომ არც ისეთი საგანგაშო ყოფილა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# გზა თავისუფლებისკენ მხოლოდ ულმობელ დაპირისპირებებზე გადის

*ლელა კოდალაშვილი*

ალბათ გეხსომებათ მიქელანჯელო ანტონიონის კონტრკულტურაზე გადაღებული ერთი ფილმი, „ზაბრისკი პოინტი" და ამ ფილმის ფინალი, სადაც პინკ ფლოიდის კომპოზიციის, „Come in Number 51, Your Time Is Up"-ის ფონზე ნაგავი, ნივთები, საგნები – ყველაფერი ჰაერში ირევა. სწორედ ასეთია დღევანდელი საქართველო, სადაც პოლიტიკური პარტიები, ეკლესია, ჰომოფობები, რასისტები, ძველი ბიჭები – ყველა და ყველაფერი ერთმანეთშია არეული და სწორედ ამ ფონზე ჩნდებიან ახალგაზრდები, რომლებიც თავისებური ფორმით გამოხატავენ ამ ყველაფრის მიმართ პროტესტს... ესენი არიან ნონკონფორმისტები, რომლებიც ხან მთავრობის სახლის წინ, აქციაზე დგანან, ხან ხატავენ ან წერენ, ხან კი, უბრალოდ, კლუბებში მიდიან, სვამენ, ეწევიან და დილამდე ცეკვავენ. ისინი 60-იანი წლების ჰიპსტერული თაობის მსგავსად არ არიან გამომწვევად აგრესიულები, არაეთიკურები ან პროვოკაციულად ჩაცმულნი, მაგრამ პროტესტის დოზა არ აკლიათ და კლიშეებად ქცეული საზოგადოების მენტორული ტონიც სწორედ მათზეა მომართული. უფრო მეტიც, ზოგი მათგანი სძულთ კიდეც, როგორც სძულთ „ზაბრისკი პოინტის" პერსონაჟები, რადგან მათ ვერავინ ატყუებს და ისინი არ ეგუებიან კლიშეების ღმერთებს. სწორედ ამ ჭუჭყიდან, ამ ჰაერში არეული ნივთების დალექვისას გამოჩნდებიან ხოლმე ავტორები, რომელთაც პათეტიკის, ამ ყველაფერს მოდებული საზიზღარი შლეიფის გარეშე შეუძლიათ, აღწერონ რეალობა, რათა დაეხმარონ სხვებს ჩაბეტონებული დოგმებიდან გამოცალკევებასა და საკუთარი თავის შორიდან დანახვაში.




სწორედ ასეთ თანამედროვე „ჟამთააღმწერელს" ჰგავს მიხეილ იოჰანი, დებიუტანტი ავტორი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის მიერ სულ ახლახან გამოცემული საინტერესოყდიანი (დიზაინერი თათია ნადარეიშვილი) წიგნით, „მიბრუნება". მაშინ, როცა მსოფლიოს რომანების ალბათ ძალიან დიდი ნაწილი გაქცევებზე მოგვითხრობს, იოჰანის ტექსტი პირიქით – გაქცეულის დაბრუნებაზე, კონფლიქტიდან თავის დაღწევაზე, დისონანსური ხმების ჰარმონიაში მოყვანაზე, სიძულვილის და გაუცხოების ფონზე სიყვარულის მცდელობაზეა.

„მიბრუნება" ოცი მოკლე თავისგან შემდგარი რომანია. თითოეული თავი ცალკე პაწია

ისტორიაა მთავარი პერსონაჟების თუ მათი გარემომცველი ადამიანების შესახებ. საბოლოოდ ასე შეიძლება დავალაგოთ – ნაწარმოების ცენტრში არის ერთი ჩვეულებრივი ქართული ოჯახი საშუალო რაოდენობის წევრებით, შემდეგ შრეს ქმნიან მათ გარშემო მოძრავი მეორეხარისხოვანი პერსონაჟები და კიდევ უფრო გარე შრეს ქმნის ის ქვეყანა, ის მოვლენები, ის სამყარო, რომელშიც ყველა ამ ადამიანს უწევს ცხოვრება.

ეს წიგნი არ არის ისტორიული ექსკურსი ან ინტელექტუალური დერეფანი, სადაც ავტორი მკითხველის წინაშე დემიურგის როლს ასახიერებს და მიუძღვება მას ჭეშმარიტების არსის საძიებლად. იოჰანი თხრობას ახალგაზრდა გოგონას სულიერი კრიზისის მინიშნებებიდან იწყებს და შორს დგას ისტორიკოსის მიდგომებისგან, აღწეროს ადამიანის თუ ქვეყნის ის შტრიხები, რომელსაც ხშირად იყენებენ ხოლმე, როგორც მერე განვითარებული მოვლენების ერთგვარ გამართლებასა და ახსნას. ის განიხილავს ჩვენი სოციუმის ცნობიერებას, რომელმაც თავისი დეკადანსი დღეისათვის სრული დაღმასვლით დააგვირგვინა.

მიხეილ იოჰანის ენა იმდენად უპრეტენზიო, ჰაეროვანი და სადაა, რომ მას შეიძლება, მწერლის ენა არც კი ვუწოდოთ. ის უფრო მცდელობას ჰგავს, მკითხველი ისე შეაცუროს რომანში აღწერილი მოვლენების ეპიცენტრში, რომ მან ეს ვერც კი გაიგოს. პირველი გვერდები საკმაოდ მოსაწყენია, იმის დეტალური აღწერით, თუ როგორ მოძრაობს აეროპორტში საქართველოში გამოსამგზავრებელი მთავარი გმირი, მაგრამ თუ მოთმინება გეყოთ, ცოტა ხანში ისე აღმოჩნდებით თხრობაში ჩათრეული, რომ მხატვრული ტექსტის ეფექტი მთლიანად გაგიქრებათ და თქვენ უბრალოდ თვალს მიადევნებთ ოჯახის ისტორიას, რომელიც ჩვენს დღევანდელ რეალობაში იხრჩობა. ჩნდება შთაბეჭდილება, რომ ავტორის მიერ აღწერილი ქაოსი ბროუნის მოძრაობის პრინციპით ლივლივებს ჰაერში და უნებლიე ბრძოლას უცხადებს წარსულიდან გადმოყოლილ არქეტიპებს, როგორც ფანტომურ გზისამრევთ.

ავტორი ახერხებს, არ აქციოს ტექსტი ენჯეომნიკურ ნარატივად, არ აღმოჩნდეს გზის ერთ თუ მეორე მხარეს და ყველაფერი ისე მოგვითხროს, თითქოს არის და არც არის, სასხვათაშორისოდ, გაკვრით, ზედმეტი პედალირების და კონვულსიების გარეშე. ყველაფერი კი ჩვენი დროის, სულ რაღაც გუშინდელი თუ გუშინწინდელი ამბების ფონზე ხდება. ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და დაძაბული პასაჟი – „ბასიანის" დარბევის მომენტი, რომანის ერთგვარ სიმბოლოდაც აღიქმება, როგორც თავისუფალი სულის ნგრევის მცდელობა გაბატონებული ოფიციოზ-მარიონეტების მხრიდან.

თუ წიგნების უმრავლესობაში შეყვარებულების ცხოვრება და დრამებია, აქ და-ძმის ამბავია, ერთმანეთთან თუ გარშემო მყოფებთან მიმართება, კომუნიკაციის დეფიციტი, უფრო სწორად, ამ კომუნიკაციის მახინჯი ფორმები, რომელიც მომენტიდან მომენტამდე იბურდება, ერთმანეთში ძაფივით იხლართება და შიში გიპყრობს, რომ ამ ძაფების გამოთავისუფლება მარტო სადღაც გაწყვეტის ხარჯზე შეიძლება მოხდეს.

იოჰანის რომანი შეკითხვებს სვამს და, შეიძლება ითქვას, რომ პასუხებს არ იძლევა. კიდევ ერთი შტრიხი, რაც მას ხდის სიმპათიურს, სწორედ ისაა, რომ არ აქვს მენტორის გალიზიანებული ტონი, არ ამტკიცებს, რომ კარგი კარგია და ცუდი ცუდი, არ ირჩევს პოზიციას და მერე იმ პოზიციის სიმაღლიდან არ გიმტკიცებს საკუთარი მოსაზრების უპირატესობას. ამ ეფექტს ნაწილობრივ თხრობის დოკუმენტურობა განაპირობებს, ანუ ყველაფერი ჟანრის „ბრალია". ნაწილობრივ კი – თვითონ ავტორის ძალიან მოზომილი, დელიკატური მანერების. ის არ ირჩევს რაღაც ერთ კონკრეტულ პრობლემას, პირიქით – ბარიერები იმდენად ყოველ ფეხის ნაბიჯზეა, რომ მთლიანი სივრცეა გაჟღენთილი მძიმე, დამყაყებული ჰაერით. აქ მთავარია, დაფიქრდე: შენ, როგორც პერსონაჟს, რისი შეცვლა შეგიძლია და როგორ უნდა შეებრძოლო სტრუქტურას, ძირგამომპალ ინსტიტუტს, მენტალიტეტს, როცა თითოეული ამ საფრთხობელის წარმომადგენლად შენივე ახლობელი ადამიანები წარმოუგზავნია ცხოვრებას.

ჰომოფობია, ქურდული მენტალიტეტი, დისკრიმინაცია, ტრადიცია, უბანი, ქართველობა – ეს ყველაფერი, რაც სულ რაღაც რამდენიმე წლის წინ სადღეგრძელოებში ამაყად სათქმელი ლოზუნგების სადეკლამაციო სივრცეს იძლეოდა, იოჰანის ტექსტში ვადაგასული, ამჟავებული პროდუქტივით უსიამოვნო სუნს აფრქვევს და გახვედრებს, რომ ის, რაც ნაგვად იქცა, უნდა გადაიყაროს, ადამიანს უნდა ჰქონდეს ძალა, შეელიოს მენტალურ გვამებს.

მიხეილ იოჰანი მშვიდი, გაწონასწორებული ავტორია. აშკარაა, რომ მას ნერვები არ ღალატობს. არაა დახარბებული სპეცეფექტებს და ეპატაჟს. თუ მისი წინამორბედი ავტორები მამების თაობასთან ურთიერთობაზე უფრო მძაფრად წერდნენ, იოჰანი ამას აგრესიული დაპირისპირების გარეშე ახერხებს. მისი იმიჯი რაღაცნაირი, დროში დადინჯებული ჰიპის იმიჯი უფროა, ვიდრე იმ ახალგაზრდული ბუნტის, რომელიც, ზოგადად, ქვეყანაში მწიფდება. თუმცა მაინც, პერსონაჟების გაცნობასთან ერთად თქვენი შიში და ძრწოლაც თანდათან იზრდება, გაქვთ მოლოდინი, რომ რაღაც უნდა მოხდეს, რაღაც საშინლად დრამატული, რომელიც ბედისწერის თემასავით გასდევს ტექსტს. მაგრამ ეს ალბათ ის მარადიული



შიშია, შიში იმისა, რომ ეს ყველაფერი ვერ დაიძლიოს, შიში იმისა, რომ ურთიერთობები კიდევ მერამდენილაცედ არ გაფუჭდეს, რომ ყველანი კარგად ვიყოთ და რომ სიმახინჯნე გადაშენდეს.

იოჰანი უბრალოდ საუბრობს მძიმე თემებზე და არ აკეთებს მათ რევიზიას, არა აქვს თვითრეფლექსიები, რომელსაც ხშირად მიმართავენ ხოლმე ახალგაზრდა მწერლები და ჩვენც იძულებული ვხდებით, მათ დასველებულ ცხვირსახოცებს შევეხოთ. ის არ წუწუნებს, არ შემოგჩივის, არ გიმახვილებს ყურადღებას. უბრალოდ, აღწერს, მოგითხრობს, და ეს ამბები იმდენად მძიმეა, რომ დამატებით განმარტებას აღარ საჭიროებს. არსად არცერთი სენტიმენტი არ ეპარება ავტორს. და სწორედ გრძნობების გვერდის ავლით ახერხებს, იყოს მგრძნობიარე. თანამედროვე მწერლობა ვერ ჰგუობს ვრცელ აღწერებს. ეს სტილი ჯერ კიდევ მე-19 საუკუნემ და მე-20-ის დასაწყისმა დაამთავრა. თანამედროვე ადამიანის ცხოვრების რიტმიც დაჩქარებულია. მისი თვალი ელვის უსწრაფესად აღიქვამს ქვეყნიერებას. მას ინტერნეტ-სამყარო აქვს და არ სჭირდება გარემოს თუ ამა თუ იმ ნივთის ვრცელი აღწერა. თუმცა იოჰანს ხანდახან ღალატობს ზომიერების განცდა და ის ნებით თუ უნებლიეთ წელავს, აგემოვნებს, სცდის თავის თუ მკითხველს ნებისყოფას. რაკი ლაფსუსებზე ჩამოვარდა ლაპარაკი, აქვე იმასაც აღვნიშნავ, რომ რამდენადაც ცხადად და რეალისტურად ხატავს მთავარ პერსონაჟებს, იმდენად ზოგჯერ უსახური და ყალბია ზოგიერთი მეორეხარისხოვანი გმირი. მაგალითად, დემნას ბებია, რომლის (მის გარეშეც) გატკეპნილი ტექსტები იმდენად გადატკეპნილია რომანში, რომ თვით ასეთი ბებიებიც კი აღარ იყენებენ იმ ლექსიკას, იდიომატურ გამოთქმებს. თითქოს მათთვისაც გადაცვდა, ხელში თუ პირში შემორჩენილი ეს სუპერსიმტერე და ანეკდოტად ექცათ.

დემნას საკუთარი ხმაც ესმის და ესმის თავისი დის – ხატიასიც. გაქვს განცდა, რომ ეს ყველაფერი, რაც აქაა მოთხრობილი, არის ფეიერვერკი, მაგრამ იმდენად შავი, რომ ერთი სული გაქვს, გააღწიო დღის სინათლეზე. ესაა რომანი ადამიანის მნიშვნელობაზე და უმნიშვნელობაზე, ესაა რომანი ტკივილზე, ადამიანის კრიზისზე.

თუმცა კი, ტექსტი უფრო მოიგებდა, თუ ავტორი მას შედარებით კომპაქტურად დაწერდა და არ გაბერავდა ზედმეტი ჰაერით.

ზოგიერთი ესთეტიკოსი ამტკიცებდა, რომ ლიტერატურა იდეის გრძნობადი გამოვლინებაა. მეორე სკოლა მიიჩნევდა, რომ ის წმინდა მჭვრეტელობაა. მაგრამ ეს ხდებოდა მე-19 საუკუნეში. დღევანდელი ავტორის, მიხეილ იოჰანის პერსონაჟები გრძნობად სახეებს არ ქმნიან. ისინი მხოლოდ კონფლიქტის მსხვერპლნი არიან. ის იცავს ერთგვარ ესთეტიკურ დისტანციას და მიგვანიშნებს, სიმრავლეში წარმოვიდგინოთ ერთიანობა. ასეთ კონტექსტში კი ნებისმიერი მსჯელობა სენტენციას ემსგავსება და ის კონცეპტუალური და ლამისაა დამტკიცებადი ხდება, მიუხედავად იმისა, რომ თხრობა რბილია, შემპარავი, და გექმნება შთაბეჭდილება, რომ თავის დაღწევის, ერთგვარი „გაძრომის“ შანსს გიტოვებს ავტორი, უფლებას გაძლევს, უცებ უფრო საღ პოზიციაზე გადათამაშდე, თავი მიამსგავსო, ვთქვათ, დემნას და არა მამამისს, ხატიას და არა მეზობელ ნიკოს... იოჰანი არაა პროპაგანდისტი. ის, უბრალოდ, ცდილობს, ნაგიყოლოს და განგიმარტოს, მერე შენს ენაზე მოგანოდოს და ჩაგითრიოს ამ მრავალპერსონიან თამაშში, სადაც ყოველგვარი უხერხულობის გარეშე შეგიძლია, ვისაც გინდა, იმას დაუდგე გვერდით.

თავისუფლებისათვის ბრძოლა სიმშვიდისა და განვითარების საშუალებაა. გზა კი მხოლოდ ულმობელ დაპირისპირებებზე გადის. რამდენად გამოუვიდა ამ რთული პროცესების აღწერა მიხეილ იოჰანს – ალბათ ამას თითოეული მკითხველი თავისი სუბიექტური აღქმის, გააზრების უნარის, ესთეტიკური პოზიციის და სიღრმის შესაბამისად გააანალიზებს.

# ფორმალიზმის და სოციალისტური რეალიზმის შესახებ

*დავით ჩიხლაძე*

ერთ დროს ისეთი მოდური მიმდინარეობები, როგორიცაა ფუტურიზმი და დადაიზმი, 1930-იანი წლების ბოლოსთვის საქართველოში მართალია სრულიად აღმოიფხვრა, მაგრამ სინამდვილის სუმბურულ-ნატურალისტური ფორმალისტური ასახვა აქა-იქ მაინც წამოჰყოფდა ხოლმე თავს. ამიტომაც, ჟურნალ „ნიანგს" საჭიროდ მიუჩნევია ხელოვანთა მსგავს გატაცებებზე მკითხველისთვის პერიოდულად მიეწოდებინა სხვადასხვა სახის მარჯი და შიგადაშიგ თვალსაჩინო ნიმუშებიც დაერთო. ფუტურისტული პოეზიის ეტალონად წარმოდგენილი იყო ნიკოლოზ ჩაჩავას ლექსი 1925 წელს გამოცემული კრებულიდან „ლიტერატურა და სხვა":

მკერდი
ხერდი
ქონდარს წიბური
ეგდო
ხენდრო
ურდო ნიდური...

(უნდა აღინიშნოს, რომ ნიკოლოზ ჩაჩავას თითქმის ასეთივე ფუტურისტული ხასიათის ლექსი „კომში, კომში, კომარა" საფუძვლად დაედო ანსამბლ „მზიურის" პოპულარულ საბავშვო სიმღერას, რომელსაც 1970-იან წლებში ქეთინო დეკანოზიშვილი ასრულებდა).

ვნახოთ, როგორი განმარტება აქვს აბსურდს. აბსურდი – ცნებაა, რომელიც მოგვაგონებს იმ მოსწავლეთა პასუხს, რომელთაც გაკვეთილები არ მოუმზადებიათ.

ცხადია, მკითხველი ამას ვერ გაიგებდა, მკითხველს კი არა, თვით ავტორსაც გაუჭირდებოდა თავისივე ნათქვამის მიხვედრა. ამიტომ, ეს შენიშვნა ნიკოლოზ ჩაჩავას გაუთვალისწინებია და 1940-იან წლებში სულ სხვა ხასიათის და სრულიად გასაგები ლექსი, სათაურით „ჩელუსკინელთა ხიდი", დაუწერია ბავშვებისთვის.

ჩელუაკინელთა ხიდი
რა ფართეა და დიდი.
ზედ ავტო დასრიალებს,
ჩვენი ტრამვაიც დაჰქრის.
შორიდან მოსჩანს კოშკი
ასბინიანი სახლის.

მძაფრ კრიტიკას იმსახურებდა საბავშვო წიგნებში არარეალისტურად შესრულებული ნახატები. ჟურნალ „ნიანგის" ერთ-ერთი ნომრის გარეკანზე დახატულია ცხოველთა საპროტესტო დემონსტრაცია, სადაც ცხოველებს მოაქვთ ტრანსპარანტები: „მოვითხოვთ ბოლო მოეღოს ჩვენს დამახინჯებას", „დაგვხატეთ როგორიც ვართ", „ძირს ხალტურა!".

იმ დროს, როდესაც მწერალთა სასახლეში ფორმალიზმის წინააღმდეგ გაცხარებულნი კამათობდნენ, ტფილისის სამკერვალო ფაბრიკები ხელოვნების ამ მოდური მიმდინარეობით პირიქით ძალზე დაინტერესებულან – წელში ძლიერ ვიწრო ტანსაცმელს კერავდნენ, ქვედა საცვლებსაც სულ რაღაც 60-70 სანტიმეტრი სიგანისა ჰქონიათ წელი. მაგრამ წერწეტი ფორმის ტანსაცმელს ვინღა ჩიოდა, როდესაც მამაკაცის ფეხსაცმელიც ქალის „პლეტიონკას" ჰგავდა:

გადაეწყვიტე მემქინა
ფეხსაცმელი ერთი წყვილი.
პედაგოგი, დახუჟლი
ფეხსაცმელით ხომ არ ვივლი?
გამოვედი სიამაყით,
ცოლს ვახარე საქმე ხელად.
ფეხსაცმელი ლამაზია,
მენანება ჩასაცმელად.

შემდეგ ყველაფერი სავალალოდ ვითარდება, რადგან ფეხსაცმელი მალევე გადამსკდარა:

გაკვეთილზე შევედი და...
თითი ისე სჩანდა ტუფლში,
ახალ მოდის ტუფლებს ჰგავდა
(ქალებს ეცვათ ამ ზაფხულში).

ფორმალიზმის კრიტიკა კიდევ უფრო გამძაფრდა 1946-1948 წლებში. თუ 1936 წელს მსგავსი მოვლენების მიმართ არსებულ კრიტიკულ დამოკიდებულებას ჯერ კიდევ დაჰკრავდა მსუბუქი იუმორისტული ელფერი, საქმე სულ სხვაგვარად შემობრუნდა ანდრეი ჟდანოვის მოხსენების შემდეგ ჟურნალების „ზვეზდისა“ და „ლენინგრადის“ შესახებ სკპ (ბ) ცეკას 1946 წლის 14 აგვისტოს დადგენილების საფუძველზე. მასში ხაზგასმული იყო, რომ: „ამხანაგმა სტალინმა ჩვენს მწერლებს ადამიანის სულის ინჟინრები უწოდა და ამიტომაც საბჭოთა ლიტერატურაში არ შეიძლება ადგილი ექნეს დამპალ, უშინაარსო, უიდეო და უხამს ნაწარმოებთ. ლიტერატურა ვალდებულია განავითაროს ხალხის გემოვნება, კიდევ უფრო აამაღლოს მისი მოთხოვნილებანი, გაამდიდროს იგი ახალი იდეებით, წინ წაიყვანოს ხალხი. უნდა განდევნონ ლიტერატურიდან უიდეობა და უხამსობა...პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დახურა ჟურნალი „ლენინგრადი“, რომელიც მიჩნეულ იქნა რეაქციული ბნელეთის მოციქულობისა და პორნოგრაფიის ქაობად. ეს ჟურნალები მიჩნეულ იქნა დამპალ ადგილებად, რომლებსაც დეზორგანიზაცია შეაქვთ ჩვენს ახალგაზრდობაში, სწამლავენ მას. „უკან შუასაუკუნეობრიობისაკენ“ – ასეთია მანდელშტამის, ანა ახმატოვასა და აკმეისტების იდეალი. უკან მაიმუნისაკენ – ეხმაურება მათ ზოშჩენკო...“.

ამავე ჟურნალებს ბრალი დასდეს ე. წ. „უსამშობლო კოსმოპოლიტიზმის“ იდეის პროპაგანდისთვის ჯანსაღი ინტერნაციონალიზმის სანაცვლოდ.

მალევე, ფორმალიზმის კრიტიკამ მუსიკაშიც გადაინაცვლა. 1948 წლის 10 თებერვალს გამოქვეყნდა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ისტორიული დადგენილება ვანო მურადელის ოპერის „დიადი მეგობრობის“ შესახებ, სადაც ნათქვამი იყო, რომ: „საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია, რომ ოპერა „დიადი მეგობრობა“ (მუსიკა ვ. მურადელისა, ლიბრეტო გ. მდივანისა), რომელიც სსრ კავშირის დიდ თეატრში დაიდგა ოქტომბრის რევოლუციის 30 წლისთავის დღეებში, როგორც მუსიკალური, ისე სიუჟეტური მხრივ, მანკიერი, ანტიმხატვრული ნაწარმოებია. ძირითადი ნაკლოვანებანი უწინარეს ყოვლისა მდგომარეობს ოპერის მუსიკაში. იგი ბუნდოვანი და დისჰარმონიულია, აგებულია მთლიან დისონანსებზე, ყურთასმენის წამღებ ბგერათშეთანხმებაზე. ცალკეული სტრიქონები და სცენები, რომელთაც მელოდიურობის პრეტენზია აქვთ, უეცრად სწყდება უაზრო ხმაურით, რაც სრულიად უცხოა ნორმალური ადამიანის სმენისათვის და დამაღონებლად მოქმედებს მსმენელებზე... კომპოზიტორმა ვერ ისარგებლა ხალხური მელოდიების, სიმღერების, ჰანგების, საცეკვაო მოტივების სიუხვით...




მურადელის ოპერის ჩავარდნა არის შედეგი საბჭოთა კომპოზიტორის შემოქმედებისათვის ყალბი და დამღუპველი ფორმალისტური გზისა, რასაც ამხ. მურადელი დაადგა... ფორმალისტურმა, ანტიხალხურმა მიმართულებამ თავისი უაღრესად სრული გამოხატულება ჰპოვა ისეთი კომპოზიტორების ნაწარმოებებში, როგორიც არიან ამხანაგები დ. შოსტაკოვიჩი, ს. პროკოფიევი, ა. ხაჩატურიანი და სხვ., რომელთა შემოქმედებაშიც განსაკუთრებით თვალსაჩინოდ წარმოდგენილია ფორმალისტური დამახინჯებანი, ანტიდემოკრატიული ტენდენციები მუსიკაში. დამახასიათებელია ატონალობის, დისონანსისა და დისჰარმონიის ქადაგება, რომლებიც თითქოს წარმოადგენენ „პროგრესისა“ და „ნოვატორობის“ გამოხატულებას მუსიკალური ფორმის განვითარებაში. გატაცება უაზრო, ნევროპათიული ბგერების შეთანხმებით, რომლებიც მუსიკას კაკოფონიად, ბგერების ქაოტურ გროვად აქცევს. ამ მუსიკას ძლიერ ასდის ევროპისა და ამერიკის თანამედროვე მოდერნისტული ბურჟუაზიული მუსიკის სუნი, რომელიც ასახავს ბურჟუაზიული კულტურის მარაზმს, მუსიკალური ხელოვნების უარყოფას, მის ჩიხს... საბჭოთა კომპოზიტორების კავშირის საორგანიზაციო კომიტეტი (ამხ. ხაჩატურიანი) არსებითად აქეზებდა საბჭოთა ხალხისათვის უცხო, ფორმალისტურ მიმართულებას. აქ შეიქმნა დამპალი ატმოსფერო... დაგმობილ იქნას ანტიხალხური მიმართულება... გატაცება მონოტონური უნისონური მუსიკითა და სიმღერით, ხშირად უსიტყვებოდ, რაც წარმოადგენს ჩვენი ხალხისათვის ჩვეული

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრავალხმოვანი მუსიკალურ-სასიმღერო წყობის დარღვევას, და მუსიკის გაღარიბებასა და დაცემას ინვევს".

რაც შეეხება შოსტაკოვიჩს, მისი შემოქმედება ჯერ კიდევ 1936 წელს იქნა გაკრიტიკებული ანტიხ- ალხური, ფორმალისტური დამახინჯებებისთვის (ოპ- ერა „მცენსკის მაზრის ლედი მაკბეტი"). როგორც მოგვიანებით გამოჩნდა, ასეთ კრიტიკას საფუძველი ნამდვილად გააჩნდა, რასაც ცალსახად ადასტურებს შოსტაკოვიჩის მიერ ქართული პოპულარული სიმ- ღერის, „სულიკოს" მოტივზე შექმნილი უაღრესად ცინიკური და უგემოვნო ნაწარმოები „ანტიფორმალ- ისტური სამოთხე", რომლის გამომზეურებაც მან სტალინის გარდაცვალების შემდეგ გაბედა.

დიმიტრი შოსტაკოვიჩი განაწყენებული ჩან- და სატირისა და იუმორის რუსულ ჟურნალ „კრო- კოდილზე" (ნიანგზე) და ალბათ ამიტომაც დაწერა „ხუთი რომანსი" ჟურნალ „კროკოდილის" ტექსტებზე 1965 წელს. ცხადია, ანტი-ფორმალისტურ კამპანია- ში ქართული ჟურნალი „ნიანგიც" იღებდა მონაწილ- ეობას, რომელიც ამ აურზაურით თვითონაც ძალზე ნერვებმოშლილი გახლდათ. მაგალითად, 1948 წლის თებერვალში ჟურნალი „ნიანგი" გამოეხმაურა კომ- პოზიტორების ქრიჭინობელის, ღრიანკელის, რახუნ- აშვილის, წივილაშვილის, ყვირილაიას, კაკო ფონიას და ქართველი კაკოფონისტების შემოქმედებას და მათ სპეციალური სერიაც მიუძღვნა სათაურით „ის- მენდიან, გაჰკვრიდიან, რა აყვირდის – ატირდიან". აი, როგორ დიალოგებს ნააწყდებოდით ჟურნალის იმდროინდელი ნომრების გვერდებზე:

– რატომ არ გინდა დღეს სიმფონიის მოსასმენად წამოსვლა?
– იმიტომ რომ ხვალ ნერვების ექიმთან წასვლა არ მინდა!

– კომპოზიტორი ღრიაჭკელი ხალხური მუსიკიდან არის გამოსული.
– ეგ შესანიშნავია!
– დიახ, იმდენად შორს არის განოსული, რომ მას ხალხისა არ ესმის არაფერი და ხალხს კი – მისი!

(რადიო)
– რა ხშირად ხრიალებს, კიდევ გაფუჭდა?
– არა, ოპერიდან ახალი სიმფონიის გადმოცემაა!..

1930-იან წლებში, საშველი რომ არსაით ჩანდა, ფორმალიზმის გააფთრებული შემოტევებისგან თავ- დაცვას ზოგჯერ თხოვნა-მუდარითაც ცდილობდნენ:

პარახოდმა მოიტანა ნავები,
რად დაგვჩხავით თავზე როგორც ყვავები.
პარახოდმა მოიყვანა ტურები,
მაგ ხალტურამ გაგვიჭედა ყურები.
პარახოდი თუ არ დგება, ჩერდება, –
თქვენ გაჩერდით, შეგვისრულეთ ვედრება!
*1935*

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ლავრენტი ბერიასადმი მიძღვნილი ერთადერთი ნაწილობრივ შემონახული სიმღერა „მკაცრი ღირსების ერთგული რაინდი" (სერგეი მიხალკოვის ტექსტზე, დავით გამ- რეკელის შესრულებით, 1946 წ.) სწორედ ვანო მუ- რადელს ეკუთვნის. ფორმალიზმში დადანაშაულების შემდეგ არამ ხაჩატურიანმა 1949 წელს დაწერა მუსი- კა ფილმისთვის „სტალინგრადის ბრძოლა", ხოლო დიმიტრი შოსტაკოვიჩი 1950 წელს მიწვეულ იქნა კომპოზიტორად მსოფლიო კინოს ყველაზე ძვირ- ადღირებულ ფილმად აღიარებულ (როგორც ეს სულ ახლახან, 2012 წელს ცნობილმა კულტუროლოგმა და ფილოსოფოსმა სლავოი ჟიჟეკმაც დაადასტურა) მიხ- ეილ ჭიაურელის ფილმში „ბერლინის დაცემა".

ახალი ესთეტიკის დამკვიდრება, რომელიც დევიზით „ფორმით ეროვნული, შინაარსით კაცო- ბრიული" გამოიხატა, 1932 წლიდან იწყება. საბჭოთა საქართველოს პოეზიაც სწორედ ამ პერიოდიდან იწ- ყებს ჩამოყალიბებას. მის ერთ-ერთ პირველ განმსაზ- ღვრელ ნიმუშად იოსებ დავითაშვილის ლექსი „სამშ- ობლო" (1881 წ.) შეიძლება იქნეს მიჩნეული, კერძოდ კი ამ ლექსის ადაპტირებული ვერსია კომპოზიტორ ანდრია ყარაშვილის იმავე სახელწოდების სიმღერი- სათვის. საბჭოთა პერიოდში საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის გადაცემები სწორედ ამ სიმღერის მელოდიით ან თვით სიმღერით იწყებოდა.

სამშობლო, სამშობლო, ჩემო ლამაზო,
ზურმუხტო, ზურმუხტო ანუ ალმასო!
ვიდრე შენს მკერდზე მე დავდივარ,
გთხოვ მწარე რომ არ მასო, გთხოვ მწარე რამ არ მასო!
*(იოსებ დავითაშვილი, „სამშობლო",*
*სასიმღერო ტექსტის ვარიანტი)*

ახალი ქართული საბჭოთა პოეზიის ასეთივე წინსწრებულ ნიმუშად ახალგაზრდა სტალინის ლე- ქსი „დილა" (1895 წ.) შეიძლება ჩაითვალოს, რომე- ლიც ვერსიფიკაციულად იმითაც არის საინტერესო, რომ დამაბოლოებელ სტროფად მასში ბულბულის ციტატაა მოცემული, რაც ლირიკული თხრობის ავტორისეულ ხაზს სრულად ენაცვლება და მის სი- მულტანურ – თუ არ სიმულაკრულ – გადაფარვას წარმოადგენს.

ვარდს გაეფურჩქნა კოკორი,
გადაჰხვევოდა იასა,

ზამბახსაც გაჰღვიძებოდა
და თავს უხრიდა ნიავსა.

ტოროლა მაღლა-ღრუბლებში
ჭრიალ-ჭრიალით გალობდა,
ბულბულიც გახარებული
ნაზის ხმით ამას ამბობდა:

„აჰყვავდი, ტურფა ქვეყანავ,
ილხინე, ქართველთ მხარეო,
და შენც, ქართველო, სწავლითა
სამშობლო გაახარეო".

1920-იანი წლების დასასრულამდე ხელოვნებაში რადიკალური მემარცხენე ესთეტიკა ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად ინარჩუნებდა წამყვან პოზიციებს, მაგრამ მალევე დეკადენტურ და სიმბოლისტურ განწყობილებებთან ერთად საბოლოოდ იქნა გვერდზე გადადებული, როგორც სოციალისტური ქვეყნის ამოცანებისთვის შეუსაბამო და უშინაარსო მიმართულება. თუმცა, იმავე პერიოდში, ყოველგვარი უარყოფების გარეშე და სწორედ ფუტურისტული ესთეტიკის ბაზაზე იწყებს გამოვლინებას ახალი მიმართულება სოციალისტური რეალიზმისა პოეზიაში, რომლის მკაფიო მაგალითიცაა სანდრო შანშიაშვილის 1927 წელს ქვეყნის ელექტროფიკაციისადმი მიძღვნილი ლექსი „ელექტროს არმაზი" – თუნდაც, ამ ლექსის ცალკე აღებული სათაურიც კი.

ძმებო! წარსული საუკუნის რღვევის ეპოქებს
ვეტყვით: მშვიდობით! და ახალთან მივალ ალავერდს.
...ძველად არაგვი, ალაზანი მტკვართან სტიროდნენ,
დღეს მანქანებით აზრიალდნენ მთვარის ლილებად,
დასხდნენ თბილისზე ფერიებად და ელიმებათ!
ზემო-ავჭალა! ძველი მცხეთა – ქართლის ცხოვრება
კვლავ ნათელს ილებს და ირთვება სხივით გავაზი!
და გამარჯვება საქართველოს ეამბორება!
ყველას ახარებს დღეს ელექტროს ცეცხლი – არმაზი –
დიდი ზაჰესი – საბჭოს ფესვი – ქართლის ცხოვრება!

1920-იანი წლების ბოლოსთვის გამოკვეთილი სახით იწყებს გამოჩენას გამარტივებული ფორმისა და სათქმელის კონტურები, მაგრამ გალაკტიონ ტაბიძის ქვემოთ მოყვანილ მაგალითში შინაარსობლივად ჯერ კიდევ სჭარბობს უკვე დიდი ხნის წინ განხორციელებული რევოლუციის საგანმანათლებლო აპოლოგეტიკა, ვიდრე გამარჯვებული სოციალიზმის ყოფა-ცხოვრების სურათების აღწერა.

იმიტომ ხდება რევოლუცია,
მისთვის გაისმის ტყვიის ზუზუნი,
რომ პოეტების არ გაისმოდეს
უიმედობა, კვნესა, წუწუნი!

სასონარკვეთა, უსასოობა,
ძველ ხანას ჩვენთვის რომ მოუცია,
უნდა გადიწვას და აღიგავოს,
ამიტომ ხდება რევოლუცია.
*(„იმიტომ ხდება რევოლუცია", 1928)*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთივე შინაარსი იმდროინდელ ხალხურ პოეზიაშიც იყო მოცემული, შესაძლოა, უფრო მეტი საგანმანათლებლო დატვირთვითაც კი, როგორც, მაგალითად, ეს ნიმუში, რომელიც ბურჟუაზიის საიმედო და ბოლო დასაყრდენს – სოფლის საშუალო გლეხებს, სხვა წვრილმესაკუთრეთ და წვრილმოვაჭრეთ ნარმოაჩენდა და ცოტათი დასცინოდა კიდეც:

მუშანია, გვრიტინია,
ანილია, ბაწილია:
სთქვით: – ლენინიზმს და თქვენ შორის
კვლავ რამდენი მანძილია?
*1927*

1930-იანი წლებიდან კი ადგილს იმკვიდრებს სოციალისტური რეალიზმის პოეზია – ლექსები, რომლებიც განადიდებენ საბჭოთა მშრომელებს, მფრინავებს, კოლმეურნეებს, მეპარაშუტეებს... მაგალითად, სევერიან ისიანის პოეზიაში ბუნებრივად იმკვიდრებს ადგილს ინდუსტრიალიზაციის თემა:

როცა მეტევის ცეცხლი ჩაღდება,
როცა ნინსვლაა ჩვენი ფუნქცია, –
ტრანსპორტი ითხოვს გაჯანსაღებას,
ტრანსპორტი ითხოვს რეკონსტრუქციას.

უმოქმედობას მახვილი დასცხე,
როცა ტემპისთვის ფრონტზე ომია,
გახსოვდეს მუდამ სანვავ და საცხებ
მასალის მკაცრი ეკონომია.
*(სევერიან ისიანი, 1932)*

სიყვარულისა და ახალი რომანტიზმის მოტივებია მოცემული გიორგი ქუჩიშვილის ლირიკულ ლექსში „ტრფიალება":

ახალსოფლელი ბიჭი ვარ,
მიწის მუშა, მხნეო;
მე რომ ერთი გოგო მომწონს,
სჩანს კოლმეურნეო.
მოხდენილად მართავს საქეს
ახალ ტრაქტორზეო;
ვდნები, როცა მინდვრად გასულს
კოცნას უწყებს მზეო.
ერთი სოფლელი ბიჭი ვარ,
მიწის მუშა, მხნეო;
მე რომ გოგო მომეწონა,
სჩანს კოლმეურნეო.




დილდილობით, ვიდრე სოფელს
შუქს მოჰფენდეს მზეო, –
ის უკვე მინდვრად გასული
მღერის ტრაქტორზეო.

მისივე ლექსი „პირველი აჭარელი პილოტი გოგონა" (1939) სანვრთნელი ფრენის დროს დაღუპულ მფრინავ ქალს, ფადიკო გოგიტიძეს ეძღვნება:

ნეტავ იგი ვინ არის,
მხედრულად რომ აცვია;
სიმამაცის მჩინარი
ქალია თუ კაცია?!

სწორედ ქალიშვილია –
გოგიტიძე ფადიმე,
მას ცა დაპყრობილი აქვს,
მას მზე ჰყავს მონადიმე!

სულ თვრამეტი წლისაა
ეს პილოტი გოგონა,
გული კი ცეცხლისა აქვს,
აჩენს ჭიაკოკონას!

ეს პირველი ქალია
საბჭოთა აჭარიდან,
ვინც დალენა გალია,
ვინც აისხა ფრთანი და...
ლაჟვარდ ცის კამარიდან
ვინც სალამს გვიგზავნიდა!

ალექსანდრე ქუთათელი მეპარაშუტე ქალის სურათს გვიხატავს:

გუშინ ისევ ჩამოვეშვი
მანქანიდან პარაშუტით,
ვით ყაყაჩო მეპურა ხელში
ქოლგა მზისგან განამუქი.

გიორგი შალვაშვილის ლექსი „ორთქმავალი № 431" (1951) მემანქანე გოგოს ეძღვნება:

ჯართს და რკინას მოაქანებს
მოჭქრის წოეჩქარება,
გაჩიცინებს მემანქანე
გოგო ცისფერთვალება.

გიშრის თმები მხრებს უმშვენებს,
გმირულ შრომით ამაყობს,
ყველას უყვარს, ყველა ეძებს
მიზეზს სალაპარაკოს.

როცა არ ჩანს მისი კვალი,
ვწუხვარ, მეტად ვღელდები,
თვალწინ მიდგას ორთქმავალი
ოთხას ოცდათერთმეტი.

ილია სიხარულიძე კი თავის საბავშვო ლექსს „დედაჩემი ვატმანია" (1951) უკვე არა ორთქმავლის, არამედ ტრამვაის ვატმანს უძღვნის:

მე ტრამვაით სეირნობა,
იცით, რატომ მიყვარს?!
დედაჩემი ვატმანია,
მას ტრამვაი მიჰყავს.
და ტრამვაის როგორ ზუსტად,
როგორ კარგად მართავს!
ნკრრ-ნკრრ... მოსწევს სახელს,
ელექტროდენს ჩართავს.
წაიყვანს და გააქროლებს,
ხალხიც ბევრი მიჰყავს!
დედაჩემი ვატმანია,
მე ის ძლიერ მიყვარს!

ლექსები ეძღვნება რკინიგზას:

რკინის გზამაც ლიანდაგით შეაერთა თანდათანა,
ბორჯომულა წყალტუბოსთან და ტფილისი სოხუმთანა,
ჩვენა სოფლებს და ჩვენს ქალაქებს რომ
უვლიდით განდაგანა, –
ეხლა ყველგან გაგვიხშირდა ორთქმავალი და მანქანა.
*(კოლექტიური ლექსი „საბჭოთა საქართველოს მშრომელთა წერილი ხალხთა ბელადს დიდ სტალინს", 1936)*



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— თვითმფრინავებსა და გემებს:

მიწაა, ზეცაა, ზღვაა თუ სხვა არი,
ვინ იცის, პოლუსი რა არი, რა!
იქ მარად ცივია სივრცე და ჰაერი,
ხშირია ღრუბლების ბურვა და ძვრა.

მიდიან... ვერ ხედვენ მთებსა და ჩანჩქერებს,
მიდიან... ჰაერის ქარი ხრის, სცემს;
ვერც ყინვა, ვერც თოვლი, ვერც ნისლი აჩერებს
წინმავალ საბჭოთა ყინულმტეხ გემს.
*(ვარლამ ჯურული, „ყინულმჭრელი „კრასინი", 1928)*

— მეტროს:

მიმოქრიან ელმავლები
და ლამაზი ვაგონები,
აღარ ჩანან არც სახლები,
აღარც მწვანე მთაგორები.

გვიხარია, შიგ რომ ჩავალთ
ჩვენებურად აღარ ვცეტობთ (ლექსი საბავშვოა, — რედ. შენიშვნა).
გვიხარია, დედა — თბილისს
რომ ამშვენებს ახლა მეტროც.
(ლადო სულაბერიძე, „სიმღერა მეტროზე", 1966)

ლექსები ეძღვნება საბაგირო გზასაც. ასეთია, მაგალითად, თინათინ კვირიკაძის ლექსი „ალმა-დალმა", 1960:

ჩემისთანა სამგზავრო გზა
ვის უნახავს, აბა, ვისა?
არც ფრთები აქვს თვითმფრინავის,
არც ბორბლები მანქანისა.
რონოდა ვარ საბაგირო,
შემეტყობა განა დაღლა!
რკინის თოკზე გამობმული
დავსრიალებ ალმა-დალმა.

და სამგზავრო და საბავშვო მატარებლებს:

ხალხით სავსე ბაქანი,
ვინ სად მიდის — ვინ იცის.
ლიანდაგზე ჩამოდგა
„ქუთაისი-თბილისი".
...შორაპანს და ძირულას,
ხარაგოულს, მარელისს
მატარებლის სარკმლიდან
ვუცქერთ ფართე თვალებით.
გავიარეთ ხაშური,
აგარა და ქარელი,
გვესალმება გზისპირზე
მწიფე პურის თაველი.
რა ხანია გვესმოდა
გორის ციხის სახელი,
თურმე ბევრის მომსწრეა,
თურმე ბევრის მნახველი.
...გავიარეთ დიდუბე,
ნაძესი და ავჭალა,
ჩქარი მატარებელი
მიგვაქროლებს ჩქარ-ჩქარა.
...გორგასალის ქალაქი
მზის სხივებში კიაფობს,
რასაც ვნახავთ, ჩამოვალთ
და ყველაფერს გიამბობთ!
*(ლილი ნუცუბიძე, „მატარებელი ქუთაისი-თბილისი", 1979)*

ან:

ჩვენო პატარა „გუგული",
პატარა მატარებელო,
მთელი ბორჯომის ხეობის
ბავშვების გამხარებელო!
პატარა მატარებელო,
ჩვენო კოპწია „გუგულო!"
გვინდა, რომ დილა-საღამოს
შენს ავლა-ჩავლას ვუყუროთ.
ქშენით მიაპობ ფიჭვ-ნაძვნარს,
გულში გიხუტებს ხეობა,
შენი ავლა და ჩამოვლა
ზეიმია და დღეობა.
*(თამარ აბაშიძე, „პატარა მატარებელი", 1954)*

საგზაო მოძრაობას და ავტოინსპექტორ გოგონას:

...გალხა-გამოლმა — ხალხის და ავტომობილთა მდინარე!..
შუაში — მილიციელი, გოგონა ქვითარმჩინარე!
მინდა მისვლა და მილოცვა, მის სახეს ვხედავ მცინარეს,
მაგრამ ვერაფრით გადაველ ამ ადიდებულ მდინარეს!
*(ზაურ ბოლქვაძე, „მოგილოცავთ ახალ 1975 წელს!", 1974)*

ცხოვრების ახალ წეს-ჩვეულებებს:

მაგრამ მე ვიყავ ერთ ქარხანაში
სადაც ახალი რამ შევამჩნიე,
სადაც ნაცნობი მყავს ამხანაგი
მუშა და ქეიფს იყო ნაჩვევი, —
გულგასარკულად გაშალეს სუფრა,
არა ძველებურ ყანწით და ბოთლით,
შეხვდნენ მუშები ახალ წელიწადს,
რძიანი ჩაით და ბუტერბროდით.
*(ფრიდონ ხალვაშვილი, „კიდა-ცხოვრებიდან", 1929)*

ვხვდებით ე. ნ. სანიტ-სამეულის, პოეტური სანიტარული ტროიკის ანტი-კლერიკალურ პოეზიას:

ჩვენს ეკზარხოსს მოესურვა
ძველებურად ტაბლის ჭამა.
ადგა, ჯვარი გადისახა
და ახსენა ზეცის მამა.
იხმო ღვდლები... უთხრა: ვნახოთ
რამე ღონის ძიებაო,
თორემ სიმშილ-წყურვილითა
დაგვემართა ციებაო.
ეკლესიის საკურთხებლად
გვპატიჟობენ სვირშიაო,
კომუნისტებს აღარ სცნობენ,
ყველა იმათ ძვირშიაო.
–
ეკლესია აკურთხეს და
თანაც იძლევა მუცლებიო
და იქედან მხიარულნი
გამობრუნდნენ ხუცებიო.
ქუთაისში რომ მოვიდნენ
შეეგებათ იმათ ჩეკა;
ნუ იფიქრებთ – გაუკეთეს
ან „ობისკი“ ან და ჩხრეკა.
ტკბილად უთხრეს: კურთხეულნო,
ვეღარ გავძლებთ ჩვენ ულვთოთო
და ამიტომ გევედრებით
ჩეკაც უნდა გვიკურთხოთო.
–
მოუსმინეს, უკან გაჰყვნენ
ყველა ჩეკის საკურთხებლად;
აკურთხეს და იგი ბინა
იმათ დარჩათ საკუთრებად.
*(ანონიმური, „კურთხევა – ხალხური ახალი სიმღერა“, 1924)*

მედროვეობის ამსახველ შარჟებს:

სურამელი ხახამი –
უმტაცტოდ რომ არ დარჩეს,
სხვა ხელობას ჰკიდებს ხელს,
როგორს? – ამას არ არჩევს.

ზის ხახამი და ფიქრობს:
– ვარ მე პიონერიო,
თორაში ვლოცულობ და
ქუჩებში კი ვმღერიო...

ნეტა როს-ღა მოვესწრა –
გავხდე კომკავშირლაო...
ან როს-ღა გავიარო
მე პარტიის სკოლაო!

მაგრამ სჯობს გვიან, ვიდრე
არასდროს... – ნათქვამია...
უნდა დროს „შეეხორცო“ –
ასე ჩემო ძამია!..
*(სვ ზმან ერთაწმინდელი, „ხახამი – „პიონერი“, 1930)*

ცალკე ადგილს იკავებენ რევოლუციონერები და პოლიტიკური მოღვაწეები. ალექსანდრე აბაშელის ლექსში „უხსენებელი“ (1938) მკითხველთან ინტერაქტიური პარადიგმის ფორმითაა მოცემული ლევ ტროცკის სახელი.

და დაძრწის მხეცი პირდაღრენილი,
და მიწას სცხვენის მისი ტარება.
სინათლისაგან ყველგან დევნილი
ბნელ ჯურღმულებში მოიპარება.

ალბათ, იქ მიწაც ზიზღით ხურდება
და მუდმივ დენას აჩერება დროც-კი,
სადაც გაივლის ღამის ქურდივით
პირსისხლიანი იუდა –

აქ კი ეს რითმა თვითონ გახსენით, –
ვეღარ დასწერა ის ჩემმა ხელმა:
ლექსში ამ სახელს მე ვერ ვახსენებ,
რომ არ ინივლოს სტრიქონში გველმა.

კალე ფეოდოსიშვილის ლექსში ასეთივე ფორმით არიან დასახელებულნი რევოლუციური და პარტიული მოღვაწეები მიხა ცხაკაია და ფილიპე მახარაძე:

იცი მუშებმა თუ რამდენი სისხლი დაღვარეს,
ჩვენი მამები მიყვებოდნენ რომელ ბილიკებს,
რისთვის იბრძოდნენ? რად დამარცხდნენ?
რად გაიმარჯვეს?
ამაზე გეტყვის ბელადების დიდი ტომები,
ცოცხალ საუბრებს გაგიმართავს მიხა, ფილიპე.

– და საშა გეგეჭკორი იეთიმ გურჯის ლექსში, რომელიც საინტერესოა იმითაც, რომ ავტორის ხელისმოწერასთან ერთად, რომელიც აშუღური, ზეპირი ტრადიციებიდან გამომდინარე ყოველთვის ლექსის ბოლოს თავსდებოდა, იქვეა მოცემული მიძღვნაც:

ჩვენი იყავ და ჩვენი ხარ
შენსა სახელს ქება, ვაშა
იეთიმ-გურჯიც გიმღერის
გეგეჭკორი, ჩვენო საშა.

საერთაშორისო მასშტაბით სოციალისტური რეალიზმი და კომუნისტური იდეები გამოძახილს პოულობს ავანგარდისტული, მემარცხენე ესთეტიკის მქონე ხელოვნების წამყვან წრეებში, ისეთ ცნობილ პოეტებთან და მხატვრებთან, როგორებიც არიან პაბლო ნერუდა, პოლ ელუარი, ლუი არაგონი, ჟორჟი ამადუ, პაბლო პიკასო, პიერ პაოლო პაზოლინი, ანდრე სტილი, ტრისტან ტცარა, თეოდორ დრაიზერი, მარგარეტ დიურასი, ლენგსტონ ჰიუზი და სხვ. აი, მაგალითად, პაბლო ნერუდას ერთი ლექსის ფრაგ-

მენტი, რომელიც ეხმიანება უოლტ უიტმენის უნივერსალიზმის მოტივებს და ამავე დროს ქრონოლოგიურად მნიშვნელოვნად უსწრებს წინ ამ ესთეტიკაზე დაფუძნებულ ბიტნიკების პოეტიკას:

შენ – არკანზასში, აჩრდილივით მდგარო გოგონავ,
ვესტ-პოინტელო ახალგაზრდავ, ოქროსთმიანო,
შენც, დეტროიტში რომ მისტირი დღეებს, ხარატო,
და ძველ ორლეანს რომ აკვდები, ტვირთმძიმე მუშავ, –
თქვენ გეუბნებით, გიმეორებთ კიდევ ათასჯერ:
ნაბიჯი მტკიცედ! მოუსმინეთ, ქვეყნიერების
ხალხი რას ამბობს, რაზე ფიქრობს ადამიანი!
არა ჭაბუკი უსაქმური, ქუჩას რომ სტკეპნის,
არც აქციების მესაკუთრე გაცოფებული, –
გესაუბრებათ მეგობარი, ძმა და პოეტი,
შორ სამხრეთიდან აქ, ჩრდილოეთს გადმოხვეწილი.
პატაგონიის რკინიგზაზე დავტოვე მამა,
სხვის სამსახურში ათენებდა უძილო ღამეს.
ვარ თქვენი კაცი და თქვენსავით ამერიკელი,
ანდის მთიანი ჰაერივით თქვენთან მყოფელი.
ვაი, რომ ახლა დევნილი ვარ მშობელ მიწიდან,
სადაც კვლავ მეფობს საპყრობილე, გვემა ნამება
(იქ უცხოელი სოვდაგრების ჯიბეებს ავსებს
კრიალა ნავთი ოქროსფრად რომ სდის დედამიწას!).
შენ კერპი არ ხარ, ცალ ხელში რომ ოქრო უჭირავს
და მეორეში – ჩუმად ბომბა აქვს ჩაბღუჯული.
შენ ის ხარ, რაც მე, რაც ვიყავი, რაც ახლა გავხდი,
რისთვისაც ორთავ ბრძოლა გვმართებს ამ ქვეყანაზე;
ჩვენ ამერიკის მიწა-წყალზე, უბრალო ხალხთან, –
ჩვენსავით ხალხთან საერთო გვაქვს გზაც და მიზანიც.
იქ, შორს, ჩემი ძმა სხვისთვის ჰკერავს მოსირმულ ჩექმას.
შენი ძმა ჯონიც თავჩახრილი სხვისთვის მუშაობს.
ჩემი ჰუანა, – საყვარელი და, უბედური,
როგორც შენი და, სხვის ნასუფრალს მისჩერებია.
და მეც იმავე სისხლისა ვარ, როგორც შენ, ძმაო,
როგორი სისხლიც აქვთ ქვისმთლელებს, მეშაღაროებს.
როგორი სისხლიც მეზღვაურებს უდუღთ სხეულში....

*(„დაე, მეისრემ გამოიღვიძოს", 1948,*
*თარგმანი ილო მოსაშვილისა)*

გამოჩენილმა ფრანგმა ავანგარდისტმა პოეტმა პოლ ელუარმა პაბლო ნერუდას მსგავსად თავისი ლექსი „იოსებ სტალინი" სტალინის 70 წლის იუბილეს მიუძღვნა. იგი თავადვე კითხულობს ამ ლექსს საკუთარ ფილმში „სტალინი, ადამიანი, რომელიც ყველაზე მეტად გვიყვარს" (Staline, l'Homme que nous aimons le plus, 1949).

იბადებოდა ხალხი მრავალი,
ჰქრებოდა ბევრი თავდადებულად,
ანუხდნენ, ეტრფოდნენ ოქროს მომავალს,
ცხოვრობდნენ, მაგრამ ნისლი ებურათ;
მიწის ბრუნვა თუ მნათობთა ქროლვა
მიაჩნდათ ღვთისგან დამტკიცებულად.

მსგავსნო კაცისა, გაჰქრით ძლიერნო,
მონობამ რისხვად გადაგიარათ,
ცხოვრება გსურდათ ბედნიერი,
როგორც ნათელი სარკე კრიალა,
შიგ რომ სახე სჩანს ადამიანის.

გამოჩნდა კაცი მარქსის სახელით,
მილიონებთან დადგა ლენინი,
დიდი მომავლის გამომსახველი,
სტალინი მხსნელად გვყავს მოვლენილი,
კაცი მსოფლიოს გონების ტოლა –
ადამიანი, მარადისობა.

მისგან არ ვიცით, რაა ზამთარი,
სტალინი მუდამ ახლად იწყება,
ვცხოვრობთ იმედის ფიქრით გამთბარი,
ვქმნით მომავალს და ჩვენი იქნება.
ამ დღემ ხვალისთვის კარი გაგვიხსნა,
დგას განთიადი მომავლისა.

სტალინი ხალხთა გულში ანთია,
ადამიანი და თმაჭაღარა,
გვათბობს, ანთია, განთიადია,
სტალინი ხალხთა შორის ჩამდგარა.

დიდი სიამე დიდ შრომაშია, –
გვითხრა, მივყვებით, ვუსმენთ, ვიწამეთ,
ხალხმა სტალინი ამოირჩია
ხალხთა იმედად დედამიწაზე!

*(თარგმანი გიორგი ქავთარაძისა)*

ნებისმიერი ლექსი – როგორც versus – მიუხედავად იმისა, ფორმალისტურია ის თუ რეალისტური, მუდმივ უკან დაბრუნებას ნიშნავს. თუმცა, უკან დაბრუნება აუცილებელი არაა, რომ მაინცდამაინც ლექსის ფორმით განხორციელდეს, მითუმეტეს დღეს, როდესაც ვერსიფიკაციამ ახალ ხერხებსაც მიმართა და თავის ნაცად პოეტიკურ იარაღთან – ფიგურასთან ერთად უკვე სრულიად პროზაული, ესეისტური ნანარმოები შეიძლება წარმოდგენილი იყოს როგორც პოეტური ფიგურა. ეს კი შეიძლება უკვე ჩვეულებრივ ფორმალიზმზე მეტიცაა. მაგრამ, იმგვარადვე, როგორც უბრალო ადამიანური შრომა ყოველთვის იყო და დარჩება კიდეც ადამიანისათვის, როგორც არა მხოლოდ არსებობის წყარო, არამედ როგორც ცხოვრების საზრისის პოვნისა და თვითგამოხატვის საშუალება, ამგვარადვე, ლექსიც, სხვადასხვა ფორმით, გადაინაცვლებს სხვადასხვა დროში, რათა შემოინახოს და გააცოცხლოს ისტორია და მისი მთავარი დანიშნულებაც სწორედ ამ მოვალეობის აღსრულებაში მდგომარეობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვლადიმირ გრიბი ბალზაკი ბურჟუაზიულ საზოგადოებაში პიროვნების ბედის შესახებ



ვლადიმირ გრიბი (1908-1940) საბჭოთა მარქსისტი ლიტერატურათმცოდნე და კრიტიკოსია. იგი ღარიბ ოჯახში დაიბადა. მამამისი ვეტერინარი იყო, ხოლო დედა – სოფლის სკოლის პედაგოგი. საშუალო განათლების მიღების შემდეგ გრიბი სწავლობს იურისპრუდენციას, ხოლო მოგვიანებით – ხელოვნებათმცოდნეობასა და ლიტერატურას. 20-იანი წლების ბოლოდან სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებში ფილოსოფიის, ესთეტიკისა და ლიტერატურის პრობლემებზე იწყებს სტატიების გამოქვეყნებას, რომლებშიც უკვე შეიმჩნეოდა ავტორის ფართო ერუდიცია, საკითხისადმი ორიგინალური მიდგომა. 1934 წელს იცავს საკანდიდატო დისერტაციას ლესინგზე. მიუხედავად იმისა, რომ ვ. გრიბი ნაადრევად, 32 წლის ასაკში დაიღუპა და მისმა ნიჭმა სათანადო განვითარება ვერ ჰპოვა, მან საკმაოდ ნაყოფიერი ცხოვრება განვლო: არაერთი საინტერესო სტატია და ნარკვევი შექმნა კლასიკური ლიტერატურის შესახებ, რომელთაგანაც განსაკუთრებით გამოსარჩევია მონოგრაფია ლესინგზე („ლესინგის ცხოვრება და შემოქმედება", საკანდიდატო დისერტაციის გადამუშავებული ვარიანტი), სტატიების ციკლი ბალზაკზე, სტატიები და ლექციები მოლიერზე, ლოპე დე ვეგაზე, კალდერონზე, აბატ პრევოზე, რასინზე, კლასიციზმსა და ბაროკოზე და ა.შ. გრიბმა აგრეთვე შეადგინა ანთოლოგია „ბალზაკი ხელოვნების შესახებ" (1941). მისი რჩეული სტატიებისა და ლექციებისგან შემდგარი კრებული გრიბის სიკვდილიდან 15 წლის შემდეგ, 1956 წელს გამოვიდა.

გრიბი იყო ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და აქტიური მონაწილე არაფორმალური ფილოსოფიურ-ესთეტიკური გაერთიანებისა (ე.წ. „течение", „მიმდინარეობა", როგორც მონათლეს ის იდეურმა ოპონენტებმა – სტალინური ხელისუფლების იდეოლოგებმა), რომელსაც წარმოადგენდნენ ისეთი მოაზროვნეები, როგორებიც არიან ფილოსოფოსები და კრიტიკოსები – მიხ. ლიფშიცი და გეორგ ლუკაჩი, კრიტიკოსები – ელენა უსიევიჩი, იგორ საცი, ბორის ალექსანდროვი, მწერალი ანდრეი პლატონოვი და სხვ. ვ. გრიბი კითხულობდა ლექციებს დასავლურ ლიტერატურაზე მოსკოვის ფილოსოფიის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტში (**МИФЛИ** ან უბრალოდ **ИФЛИ**, როგორც ყველა მოიხსენიებდა). გრიბის ლექციები დიდი პოპულარობით სარგებლობდა ახალგაზრდებში და სტუდენტების საყვარელი ლექტორი იყო. გრიბის ყოფილი სტუდენტი, ფილოლოგი, ასტრიდ ლინდგრენის, სტრინდბერგის, იბსენის, ბიოლის, ჰამსუნის, ჰაუპტმანის მთარგმნელი ლილიანა ლუნგინა იგონებს მისი ცხოვრების უკანასკნელ პერიოდს: „გრიბი მაშინ 32 წლის იყო. მხედარივით იჯდა სკამზე ან მის კიდეზე. ლექციების დროს ეწეოდა და საოცარი შთაგონებით, გატაცებით, რაღაცნაირად ლამაზად საუბრობდა. ის გვაჩვენებდა დასავლურ ალბომებს, უზარმაზარ რეპროდუქციებს, პირველად – ჩვენ ხომ აქამდე ეს ყველაფერი არ გვენახა. სრულიად გამოვშტერდით, მაგრამ ეს მალევე შეწყდა – ვლადიმირ რომანიჩმა მხოლოდ ორჯერ წაგვიკითხა ოთხსაათიანი ლექცია „შესავალი აღორძინების ეპოქაში", შემდეგ კი დასნეულდა. ეს სისხლის დაავადება იყო, გართულებული დეპრესიით, რომელიც მას შემდეგ აწვალებდა, რაც კოლექტივიზაციისა და შიმშილის შემსწრე გახდა უკრაინის სოფლებში, სადაც გაიზარდა და სადაც დედამისი მასწავლებლად მუშაობდა. **ИФЛИ**-ს ყველა სტუდენტი საავადმყოფოში დადიოდა, მორიგეობდნენ, შოულობდნენ წამლებს". გრიბი იყო

ჟურნალების „ლიტერატურნი კრიტიკ" („მიმდინარეობის" ერთგვარი თეორიული ორგანო) და „ლიტერატურნოე ობოზრენიე" რედაქციის წევრი. თავის საუბრებში უნგრელ ფილოსოფოს ლასლო სიკლაისთან მიხ. ლიფშიცი მას თავის უახლოეს მეგობრად და მოსწავლედ მოიხსენიებს. ლიფშიცის საარქივო ჩანაწერებიდან ვიგებთ, რომ გრიბს უყვარდა დოსტოევსკის შემოქმედება და სიყმაწვილეში თვითმკვლელთა კლუბის წევრიც ყოფილა; „თავისთვის" წერდა ლექსებს, რაც აისახებოდა კიდეც მისი ნაშრომების ხატოვან, „ბიუროკრატიზმებისგან" დაცლილ, ემოციურ და ცოცხალ სტილზე.

მეთოდოლოგია, რომლითაც ვ. გრიბი აანალიზებდა ლიტერატურულ ტექსტებს (ეს მიდგომა ყველაზე პირდაპირი ფორმით გამოითქვა „მიმდინარეობის" ერთგვარ მანიფესტში, მიხაილ ლიფშიცის სტატიაში „ლენინიზმი და მხატვრული კრიტიკა") და რომელიც საერთო იყო „მიმდინარეობის" სხვა წევრებისთვისაც (იხ., მაგ., გეორგ ლუკაჩის სტატია ბალზაკის „გამქრალ ილუზიებზე", გამოქვეყნებული „ახალი საუნჯის" 2019 წლის ივლის-აგვისტოს ნომერში) ჩამოყალიბდა ვულგარულ-სოციოლოგიურ მიმდინარეობებთან დებატში, რომლებიც წინამორბედი ეპოქების ლიტერატურის ინტერპრეტაციისას მარქსიზმის აბსტრაქტულად გაგებული ზოგიერთი კონცეფტით (მაგ. კლასების თეორია; ცნობიერების ყოფიერებით დეტერმინირებულობის თეზისი) ხელმძღვანელობდნენ, უგულებელყოფდნენ კლასიკური მხატვრული ლიტერატურის ჰუმანისტურ და თავისი არსით დემოკრატიულ შინაარსს, ხოლო ნაწარმოების ღირებულების განმსაზღვრელი აბსტრაქტული ფორმალური „ოსტატობა" და ავტორის „პროგრესული" მსოფლმხედველობა, ისტორიულად მოწინავე კლასების იდეოლოგიის გამოხატვა ითვლებოდა; ვულგარული მარქსისტები უარყოფნდნენ ხელოვნებისა და ლიტერატურის ხალხურობას (იმ გაგებით, რა გაგებითაც ბელინსკი ამტკიცებდა, რომ პუშკინის პოეზია უფრო მეტად არის ხალხური, ვიდრე ფოლკლორის ნიმუშები) და მხოლოდ გაბატონებული კლასებისა და ფენების ინტერესების, მათი შეზღუდული მსოფლმხედველობის გამოხატვამდე დაჰყავდათ; ამხელდნენ ბალზაკს, როგორც არისტოკრატიული რეაქციის მგოსანს, პუშკინს კაპიტალიზირებადი თავადაზნაურობის მეხოტბეს უწოდებდნენ, ტოლსტოის მემამულეთა ყოფის მემატიანეს და ა.შ. ლიფშიცის, ლუკაჩის, გრიბისა და „მიმდინარეობის" პოზიცია უარყოფდა ამგვარ „ფსიქოანალიზს" და ცდილობდა, კლასიკური ესთეტიკური და კრიტიკული აზრის (პლატონიდან და არისტოტელიდან ლესინგამდე, ჰეგელამდე და ბელინსკის, ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის კრიტიკულ სკოლამდე) მემკვიდრეობის განვითარებასა და მოდიფიცირებას, მის კორექტირებასა და შევსებას შემოქმედებითად გაგებული მარქსიზმის მეთოდოლოგიით, რომელიც არ დაიყვანება აბსტრაქტულ ფორმულებამდე. ეს მიდგომა მხატვრულ კრიტიკაში, განსხვავებით პლეხანოვისა და მისი შეხედულებების გავლენით წარმოშობილი სოციოლოგიური კრიტიკისაგან, არ ანაწევრებდა მხატვრულ ტექსტს შინაარსად (რისი თქმა სურდა ავტორს) და ფორმად (ტექნიკური ხერხებისა და საშუალებების ანალიზი) და იმას კი არ ეძებდა, რომელი ექსპლუატატორი კლასის თუ ფენის ინტერესები გამოიხატა ნაწარმოებში, არამედ, განიხილავდა რა ლიტერატურას გარემომცველი რეალობის ობიექტურ სარკედ, ყურადღებას აპყრობდა მათში ასახულ სინამდვილის სახეებსა და ხატებს და მათი გამოსახვის სიმართლეს, რეალისტურობას, ფორმის ჭეშმარიტებას, რომლის გარეშეც ავტორის ყველაზე კეთილშობილი და ჰუმანისტური ზრახვები თავის საპირისპირო მოვლენად შეიძლება გადაიქცეს, მაშინ როდესაც რეალისტური მხატვრული მეთოდი შემოქმედის ყველაზე რეაქციულ იდეასა და ტენდენციას შეიძლება, ანეიტრალებს, რაც მარქსიზმში „რეალიზმის გამარჯვების" სახელით არის ცნობილი. (იხ. ბალზაკის „გლეხები", ან ტოლსტოის „კროიცერის სონატა", სადაც ავტორის სუბიექტურად ქალთმოძულე მოტივები მარცხდება გამოსახვის რეალისტური მანერის შედეგად და ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ქალის ჩაგრული და დაქვემდებარებული როლის წინააღმდეგ გალაშქრებად იქცევა.) ამრიგად, გრიბისთვის მნიშვნელოვანი ის კი არ არის, სუბიექტურად რისი თქმა სურდა ავტორს თავისი ნაწარმოებით, არამედ ის, თუ რა გამოითქვა, გამოისახა მასში მწერლის პირადი შეხედულებების და მისი შეზღუდული მსოფლმხედველობის საპირისპიროდ. (საგულისხმოა, ენგელსისეული ბალზაკის შეფასება, გამოთქმული ბრიტანელ მწერალ მარგარეტ ჰარკნესთან მიმოწერაში, რომელმაც დიდი გავლენა იქონია „მიმდინარეობის" ესთეტიკური თეორიის ჩამოყალიბებაზე. ენგელსი მიიჩნევდა, რომ ბალზაკთან, მიუხედავად მისი ლეგიტიმიზმისა და მონარქისტული შეხედულებებისა, არისტოკრატიის ყველაზე მწვავე კრიტიკას ვხედავთ, ხოლო „ერთადერთი ადამიანები, რომლებზეც დაუფარავი აღტაცებით წერს, ეს მისი ყველაზე გააფთრებული ანტაგონისტები არიან, *Cloitre Saint Merri*-ის რესპუბლიკელი გმირები, რომლებიც იმ დროს ნამდვილად იყვნენ სახალხო მასების წარმომადგენლები".) 30-იანი წლების „მიმდინარეობის" წარმომადგენლებმა ეს თვალსაზრისი განავითარეს და დაამტკიცეს, რომ სინამდვილის რეალისტური და ყოველმხრივი ასახვა და კონსერვატორი ავტორების (როგორებიც არიან, მაგალითად, გოეთე, ბალზაკი, ტოლსტოი, დოსტოევსკი) შემოქმედებაში ობიექტურად პრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

*გრესული ტენდენცია იმარჯვებდა არამხოლოდ ამ ავტორთა რეაქციული მსოფლმხედველობის საწინააღმდეგოდ, არამედ გარკვეულწილად ამ მსოფლმხედველობის წყალობითაც (თუმცა, ცხადია, უნდა გავმიჯნოთ ერთმანეთისგან, მაგ., პობედონოსცევის კონსერვატიზმი და დოსტოევსკის კონსერვატიზმი). გრიბის მოცემულ ესეში ეს თეორია პრაქტიკული და კონკრეტული ფორმით არის მოცემული.*

*ბალზაკი ერთ-ერთია იმ ავტორთაგან, რომელთა შემოქმედებაც „მიმდინარეობის" წევრების განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენდა. ბალზაკის რომანების ანალიზს გ. ლუკაჩის არაერთი სტატია მიეძღვნა, ვრცელი გამოკვლევა „ბალზაკის მხატვრული მეთოდი" დაწერა მიხაილ ლიფშიცმაც. ღირსეულ ადგილს იკავებს მათ გვერდით ვლადიმირ გრიბის ბალზაკზე დაწერილი სტატიების ციკლიც.*



I

„შაგრენის ტყავის" გამოქვეყნება მნიშვნელოვანი თარიღია ბალზაკის შემოქმედებით განვითარებაში. ამ რომანით სრულდება მწერლის „მონაფეობის წლები" და იწყება მისი მხატვრული სიმწიფის პერიოდი. „შაგრენის ტყავში" ბალზაკი აჯამებს თავისი სიყმაწვილის იდეურ და ლიტერატურულ ძიებებს და წარმოგვიდგება, როგორც სავსებით შემდგარი ხელოვანი, რომელსაც დასრულებული მსოფლმხედველობა აქვს შემუშავებული. ამ ნაწარმოებზე მუშაობის დროს ბალზაკი თავისი მთავარი შემოქმედებითი ამოცანის, თავისი ცხოვრების ამოცანის – „ადამიანურ კომედიაში" თანამედროვე საზოგადოების უნივერსალური სურათის შექმნის – გაცნობიერებამდე მიდის. „შაგრენის ტყავი" – გიგანტური ჩანაფიქრის თავდაპირველი მონახაზია, რომელშიც უკვე გენიალური შტრიხებით არის მონიშნული „ადამიანური კომედიის" მთავარი კონტურები, მისი კომპოზიცია, ძირითადი თემატური კვანძები, სიტუაციები, კონფლიქტები და ხასიათები, უფრო მეტიც – მისი ძირითადი დასკვნები ბურჟუაზიული საზოგადოების კანონებისა და ბედის შესახებ. „შაგრენის ტყავი" „ადამიანური კომედიის" ერთგვარი შესავალია, რომელიც მთლიანი ნაშრომის მიზნებსა და შინაარსს რიგი ფორმულების საშუალებით გადმოსცემს, ფორმულების, რომლებიც სრულად „კომედიის" მომდევნო რომანებში გაიშლება და იშიფრება. ამგვარად განიხილავდა ამ რომანს თავად ბალზაკიც. „შაგრენის ტყავი, – წერდა ის მონტალამბერს, – ადამიანური სიცოცხლის ფორმულა, ინდივიდუალური ყოფიერებების აბსტრაქციაა, და, როგორც ამბობდა ბალანში, აქ ყველაფერი – ალეგორია და მითია. ის – ჩემი საქმის საწყისი წერტილია; შემდგომ თანდათანობით შეივსება ცალკეული ინდივიდუალობები, თვითმყოფადი ყოფიერებანი, ყველაზე დაბლით დაწყებული, მეფითა და სასულიერო პირებით – ჩვენი საზოგადოების ბოლო საფეხურებით დამთავრებული".

ბალზაკის შემოქმედებით განვითარებაში „შაგრენის ტყავის" ეს გარდამტეხი როლი მას თავისებურ დაღს ამჩნევს, რაც საგრძნობლად განასხვავებს სხვა რომანებისგან, სძენს რიგ უპირატესობებსა და რიგ ნაკლოვანებებს მათთან შედარებით.

თემების სიმდიდრით, იმით, თუ როგორი სიფართოვითა და უნივერსალურობით მოიცავს ცხოვრებას, მხატვრული განზოგადებების სიმაღლით „შაგრენის ტყავი" ბალზაკის ყველა სხვა ნაწარმოებს აღემატება. მწერალი ბურჟუაზიული ჯოჯოხეთის ყველა შრეზე გვატარებს: ბოროტმოქმედებისა და გარყვნილების პირქუში ბუნაგებიდან მას წესიერ მეშჩანურ ოჯახში მივყავართ, სამორინედან და მევახშის დუქნიდან – ბანკირის სასახლეში, არისტოკრატიული სალონიდან – სტუდენტის მანსარდაში, მეცნიერის ოთახში. სხვა სიტყვებით, აქ მთელი „ადამიანური კომედიაა" მინიატურაში. რომანის მრავალი სცენა – ბალზაკის მომდევნო ნაწარმოებების აშკარა ჩანასახებია. მაგალითად, ტაიფერთან გამართული ორგიის სცენაში უკვე მონიშნულია „გამქრალი ილუზიების" თემა და ტონი, რაფაელის ნაამბობში – „მამა გორიო", რაფაელის ანტიკვართან საუბარში – „გობსეკი". ასეთივე

მდიდარი და მრავალფეროვანია რომანის ხასიათები, რომლებიც აგრეთვე „ადამიანურ კომედიაში" მოქმედი ძირითადი ხასიათების პირველსახეებს წარმოადგენენ. რაფაელი მამათავარია ბალზაკის ყველა იმ „ახალ ადამიანთა", ვინც იძულებული იყო, გზა გაეკაფა ბურჟუაზიულ საზოგადოებაში: რასტინიაკის, ლუსიენის, შარლ გრანდეს; გრაფინია თეოდორა – პირველსახეა ბურჟუაზიული ზნე-ჩვეულებებით გარყვნილი მაღალი წრის ქალებისა: მარკიზა დ'ესპარის, ჰერცოგინია დე მონფრინიეზის და სხვ.; ტაიფერიდან მომდინარეობენ „ადამიანური კომედიის" კაპიტალისტები: ნუსინგენი, დიუ ტიიე და ა.შ.; მოხუცი ანტიკვარიდან – ბალზაკისთვის ესოდენ საყვარელი კაპიტალისტური დაგროვების ფილოსოფოსები და ფანატიკოსები: გობსეკი, გრანდე და სხვ.

მაგრამ ეს, თვით ბალზაკისთვისაც უჩვეულო შინაარსის სიმდიდრე, ამავდროულად, ვნებს კიდეც რომანს ერთიანობის, მხატვრული ეფექტის თვალსაზრისით. ერთ რომანში იმ მასალის ჩატევისკენ სწრაფვა, რომელიც ათობით ნაწარმოებს ეყოფოდა, საკუთარი თავის შეზღუდვის უუნარობა – არახელსაყრელად აისახა „შაგრენის ტყავის" კომპოზიციაზე. რომანის მრავალი სცენა, თავისთავად ბრწყინვალე, მაგ., ექიმების თათბირი რაფაელის სარეცელთან ან მისი ვიზიტები ექიმებთან, რომანის მთავარი კონფლიქტის გაშლის თვალსაზრისით ზედმეტად გრძელი და გაწელილია, ასუსტებს მოქმედების ტემპს, დრამატიზმის ზრდას. მთელ რომანში ნათლად იგრძნობა ახალგაზრდა მწერლისთვის ესოდენ დამახასიათებელი ყველაფრის ერთბაშად თქმის სურვილი, ციებცხელებიანი გულსწრაფობა, რომლითაც ბალზაკი ჩქარობს, დაიტანოს ქაღალდზე ყველა თავისი განაზრება და დაკვირვება, და არც ისე ზრუნავს მხატვრული მთელის არქიტექტონიკაზე.

## II

„შაგრენის ტყავის" იდეური ჩანაფიქრი, ისევე, როგორც მისი მოვლენები და მთავარი პერსონაჟები, უნივერსალური და სინთეტური ხასიათით გამოირჩევა. რომანს, ბალზაკის აზრით, მხატვრული ფორმით მისთვის თანადროული ცხოვრების ძირითადი პრინციპების რეზიუმირება უნდა მოეხდინა. „შაგრენის ტყავი", – წერდა ის ჰერცოგინია დე-კასტრის, – ჩვენი ახლანდელი საუკუნის, ჩვენი ახლანდელი ყოფის, ჩვენი ეგოიზმის ფორმულად დარჩება". შემთხვევითი არ ყოფილა, რომ შემდგომ, როდესაც „ადამიანური კომედიის" გეგმა უკვე საბოლოოდ ჩამოყალიბდა, ბალზაკმა „შაგრენის ტყავი" „კომედიის" ფილოსოფიურ განყოფილებას მიაკუთვნა, რომელშიც ბურჟუაზიულ საზოგადოებაზე მწერლის დაკვირვებების შედეგები უნდა თავმოყრილიყო.

„შაგრენის ტყავში" თავისი ანალიზის საგნად ბალზაკი ირჩევს ბურჟუაზიული საზოგადოების უმარტივეს „სასიცოცხლო უჯრედს" – ბურჟუაზიულ ინდივიდს. მისი ბედისწერა, მისი ცხოვრების გზაზე მომხდარი კონფლიქტები ბალზაკის თანადროული მთელი საზოგადოების ბედისწერასა და შინაგან კონფლიქტებს აირეკლავს.

რაფაელის მდგომარეობაში, რომლიდანაც გარდაუვლად გამომდინარეობს მისი ყველა ქმედება და ტრაგიკული აღსასრული, არაფერია განსაკუთრებული. რაფაელი მარტოსულია, ხალხმრავალ პარიზში უფრო მიტოვებულია, ვიდრე რობინზონი თავის კუნძულზე, ის არავისგან უნდა ელოდოს შველას, მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა ჰქონდეს; "არც მშობლები გამაჩნდა, არც მეგობრები, მარტოდმარტო ვიყავი უსაშინლეს უდაბნოში, ქვებით მოფენილ, სულიერ, მოაზროვნე ცოცხალ უდაბნოში, სადაც ყველანი შენთვის მტრებზე უარესნი, სრულიად გულგრილნი არიან!" მაგრამ, არსებითად, რაფაელის მდგომარეობაშია ყოველი ინდივიდი ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, სადაც ადამიანთა ურთიერთობების ნიადაგს მხოლოდ პირადი გამორჩენა წარმოადგენს. თითოეული მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნავს, ერთი ადამიანი მეორეს მხოლოდ რაიმე სარგებლის მიღების შესაძლებლობის შემთხვევაში ეხმარება, მიისწრაფვის რა ამასთან გასცეს იმაზე ნაკლები, ვიდრე მიიღოს. რაფაელს არ აქვს ფული, არც ძალაუფლება, ამიტომ ის, შეიძლება, შიმშილით მოკვდეს – მასზე არავინ იზრუნებს. „სიკვდილის შემდეგ იგი ორმოცდაათი ფრანკი ღირებულა, – ირონიულად შენიშნავს ბალზაკი, – სიცოცხლეში კი ნიჭიერ კაცს წარმოადგენდა... ნამდვილი სოციალური ნული იყო, გამოუსადეგარი სახელმწიფოსთვის, რომელიც, თავის მხრივ, სრულიადაც არ იტკივებდა თავს მისთვის".

ეს, როგორც რასტინიაკი ამბობს, რაფაელის „ამოსავალი პუნქტი", ბურჟუაზიული ინდივიდის ამოსავალი პუნქტი, რკინის აუცილებლობით განსაზღვრავს მის შემდგომ ბედისწერას. ან უარი უნდა თქვა ყოველდღიურ „ყველას ბრძოლაში ყველას წინააღმდეგ" მონაწილეობაზე ან პირდაპირ უნდა ჩაება მასში, – შუალედი არ არსებობს და ვერც იარსებებს. და ბალზაკი ორივე გზას გამოსახავს, როგორც თანაბრად დამღუპველს რაფაელისთვის, თუმცაღა ურთიერთსაპირისპირო მიზეზების გამო.

თავისი ცხოვრების ბედისწერის პირველი შესაძლო ვარიანტის პირველსახეს რაფაელი სტუდენტურ მანსარდაში გატარებულ წლებში, გოდენების ოჯახის ცხოვრებაში ხედავს. სიმდიდრესა და ამაო სიამოვნებებზე უარის თქმა, ეგოისტური ლტოლვებისგან თავისუფალი, გაწონასწორებული, წყნარი არსებობა, სულიერი სიმშვიდე, სულ მცირედით დაკმაყოფილების,

ბედნიერების, ასე ვთქვათ, თავად არსებობის პროცესში პოვნის უნარი... ამგვარ პერსპექტივას უსახავს რაფაელს პოლინასთან – ამ „ფლამანდური“, „გაუბრალოებული“ ცხოვრების ცოცხალ განსახიერებასთან – შეუღლება. კეთილი, კეთილშობილი არსება, ღრმა მტკიცე მიჯაჭვულობა, მშვიდი ოჯახური ბედნიერების უბრალო სიამენი... რაფაელს პიროვნების ყველა საუკეთესო თვისება პოლინასკენ, ამ ესოდენ ჰარმონიული და აღუშფოთველი ცხოვრებისაკენ მიიზიდავს.

მაგრამ რაოდენ ძვირი საფასურია გადასახდელი ამ ყველაფრისთვის!

უნდა შეეგუო მატერიალურ სიდუხჭირეს, მუდმივ სიღარიბესა და ნახევრადმათხოვრულ ყოფას, საკუთარი თავისთვის ყველაფერზე უარის თქმას, იძულებითი მექანიკური შრომის უღელში გაჰყო თავი, რომ როგორმე თავი გაიტანო, დათანხმდე უშინაარსო, მონოტონურ, ყოველდღიურ, უფერულ ყოფას, დაიყვანო საკუთარი თავი მექანიკურად ფუნქციონირებად „მოარსებეზე“, აზრი და ვნება უმარტივესი ინსტინქტებით ჩაანაცვლო. სხვა სიტყვებით, ეს სულიერად სიკვდილს, საკუთარი ნიჭის მოკვდინებას, საკუთარი ძალების ჩაკვლას, ადამიანიდან ლოკოკინად გადაქცევას ნიშნავს.

რაფაელი კი ნიჭიერი, მშფოთვარე, მგზნებარე პიროვნებაა, დიდი ვნებებითა და მხურვალე სურვილებით, პიროვნება, ზღვარს რომ სცდება ყველაფერში – შრომასა და სიამოვნებაში, სიყვარულსა და მეცნიერებაში, უცხო მეშჩანური ზომიერებისთვისა და „ოქროს შუალედისთვის“. რაფაელს სურს, იცხოვროს არა უშინაარსო, არამედ დაძაბული, მრავალფეროვანი ცხოვრებით, რომელიც შთანთქავს და ათავისუფლებს მის ყველა სულიერ და ფიზიკურ ძალას. ამიტომ, რაოდენ მიმზიდველიც არ უნდა იყოს რაფაელისთვის „გაუბრალოებული სიცოცხლე“, მას არ შეუძლია და არც უნდა, ამ ჰარმონიისთვისა და სიმშვიდისთვის სულიერი სიკვდილით გადაიხადოს საფასური. და, მიუხედავად იმისა, რომ პოლინას აღტაცებაში მოჰყავს, რაფაელი წყვეტს მასთან ურთიერთობას. რაოდენ სათნოც არ უნდა იყოს პოლინა, მას არ ჰყოფნის ბრწყინვალება, სიკაშკაშე, სინატიფე, სხეულისა და გონების კულტურა, ის კულტურა, რომელიც მხოლოდ ლაღი ცხოვრებით, სიმდიდრითა და ფუფუნებით მიიღწევა. ის ზედმეტად უბრალოა და არაფრით გამორჩეული, მისი გულუბრყვილობა თუმცა კი აღმაფრთოვანებელია, მაგრამ მაინც მოსაბეზრებელია აზრისა და პოეზიის სფეროში ცხოვრებას მიჩვეული ადამიანისთვის. პოლინასადმი სიყვარული რაფაელს ღრმა, თუმცა ძალასა და განცდათა მრავალფეროვნებას მოკლებულ გრძნობას უქადის. შეუძლია კი პოლინას მისცეს „სიყვარული, რომელიც ადამიანს კლავს ან ყველა ადამიანურ ნიჭს განსაცდელში აგდებს“, ის სიყვარული, რომელზეც ოცნებობს?

რაფაელი უარყოფს პოლინას, უარყოფს პატიოსან სიღარიბეს, ბურჟუაზიული საზოგადოების თვინიერი „პატარა ადამიანების“ ცხოვრებას. მისთვის მხოლოდ იქ, საზოგადოების მწვერვალზე, მცირერიცხოვანი რჩეულების, არისტოკრატებისა და მდიდრების წრეში არსებობს ფუფუნებით აღსავსე და თავისუფალი ცხოვრება, მხოლოდ იქ იფურჩქნება დიადი გრძნობები და ვნებები. გახდეს ამ რჩეული უმცირესობის ნაწილი – ასეთია რაფაელის მიზანი. ის მიიჩნევს, რომ მისი გონება და ნიჭი ამისთვის ყველასათვის აშკარა უფლებას აძლევს. რაფაელის ოცნებები მშვენიერ გრაფინია თეოდორაში, მისი „ყველა სურვილის სიმბოლოში“ ისხამს ხორცს. თეოდორა მისთვის მშვენიერი პოეტური სამყაროს ცოცხალი ხატია. თეოდორაშია თავმოყრილი ყველაფერი – მისი ქალის იდეალი და გზა წარმატებისკენ. თეოდორას დაპყრობა მთელი საზოგადოების დაპყრობას ნიშნავს. ამიერიდან რაფაელის დევიზი „თეოდორა ან სიკვდილი!“ ხდება.

მაგრამ რაფაელის პირველი ნაბიჯები „მაღალი საზოგადოების“ წრეში ძალიან მალე ამსხვრევს მის ილუზიებს სიმდიდრისა და პირადი ცხოვრების სისავსის შესახებ. თუმცა აქ არც ისე იშვიათია კაშკაშა ხასიათები, ძლიერი ვნებები, ადამიანები, რომლებიც დაძაბული და მჩქეფარე ცხოვრებით ცხოვრებენ. როგორც პიროვნებები, თეოდორა და რასტინიაკი, ტაიფერთან ორგიის მონაწილეები განუზომლად აღემატებიან პოლინასა და დედამისის მსგავს უფერულად-სათნო ლატაკებს. მაგრამ ეს საერთოდ არაა ის მძლავრი სიხარული და ყოფიერების სისავსე, ის ჯანსაღი, მტკიცე ადამიანები, თავისუფლად და ყოველმხრივ რომ ავითარებენ თავიანთ ბუნებით მონაცემებს, რომლებიც რაფაელს ეზმანება. ეს – სულიერი ძალების ხელოვნური, არანორმალური, ავადმყოფური აღგზნება, გადატვირთვაა, ხასიათების ცალმხრივი, არანორმალური განვითარებაა, მგლური კანონებითა და კონკურენციით რომ წარმოიშობა. „ყველას ბრძოლა ყველას წინააღმდეგ“ ისე ავითარებს ადამიანურ ინდივიდუალობას, რომ აიძულებს უკიდურესობამდე დაძაბოს საკუთარი ძალები, რათა გაიმარჯვოს, მაგრამ ავითარებს ცალმხრივად, დამახინჯებულად, აყენებს რა ყველა ადამიანურ თვისებასა და უნარს მტაცებლობის სამსახურში. შემზარავად გაზრდილი ეგოიზმი ავსებს ადამიანს, შიგნიდან აღწევს მის ყველა გრძნობასა და მისწრაფებაში და, აძლიერებს რა წარმოუდგენელ ზომებამდე, ამავდროულად ანგრევს მათ, აქცევს ფლობის ცხოველურ წყურვილად. „არსებობის მჩქეფარე ნაკადი“, რომელშიც გადაეშვა რაფაელი, სათავეს ყველაზე ბინძური და არაჯანსაღი წყაროებიდან იღებს. მგზნებარე ვნებები, საოცარი განცდები – სხვა არაფერი აღმოჩნდება, თუ არა უხამსი ლტოლვისა და მშრალი ანგარიშს-

ნორების პროდუქტი. მომხიბვლელი გრაფინია თეოდორა, რომელიც დასაწყისში რაფაელისთვის „მეტი იყო, ვიდრე ქალი, იგი რომანი იყო", ეს სილამაზის, გონების, სულის, ვნების ხილული განსხეულება, სინამდვილეში, ნამდვილი ურჩხულია კოშმარული ზღაპრებიდან, იმდენად ყრუ არის ის ყოველგვარი ადამიანური გრძნობის მიმართ, გარდა თავკერძობისა და პატივმოყვარეობისა. მისი ნაზი გამოხედვები, ალერსიანი ღიმილი, პოეზიითა და მეცნიერებით გატაცება – ეს ყველაფერი ხელოვნური და ნაძალადევია, ეს ყველაფერი – საკუთარი პატივმოყვარეობის შექცევის, საკუთარი თავკერძობის დაკმაყოფილების საშუალებაა. როცა რაფაელი აღარ აღაგზნებდა მის ცნობისმოყვარეობას, როცა თეოდორამ გამოიყენა რაფაელის არისტოკრატიული კავშირები, მან ის განზე მოისროლა, როგორც გატეხილი, მობეზრებული სამშვენისი.

ამგვარად, ვიწრო-პირადი ინტერესებისთვის, საკუთარი „მეს" კულტისთვის ბრძოლის გზას სულიერ გადაგვარებასა და თვითგანადგურებისკენ მივყავართ. ამ პროცესის ცალკეულ საფეხურებსა და დეტალებს ბალზაკი თავად რაფაელის ისტორიის მაგალითზე აჩვენებს.

თეოდორას დაუფლებისთვის, საზოგადოების დაპყრობისთვის ბრძოლაში რაფაელი მალევე ფლანგავს თავისი სიყმაწვილის გულუბრყვილო, მაგრამ კეთილშობილ იდეალებს. ამ ბრძოლიდან ის გამოდის მოტეხილი, დამსხვრეული, დაცარიელებული და გაცივებული გულით, გონებით, რომელსაც არაფერი წმინდა აღარ სწამს. ამიერიდან, არსებითად, სულერთია, როგორ წარიმართება გარეგნულად რაფაელის ბედი, მოუტანს მას შიმშილით სიკვდილსა თუ მილიონებს, – შინაგანად ის უკვე დაღუპვის პირასაა. ის გრძნობს, როგორ გაღარიბდა მისი სულიერი ძალები, როგორ კვდება ერთმანეთის მიყოლებით მისი უკეთილშობილესი მისწრაფებები. „თეოდორამ თავისი პატივმოყვარეობის კეთრი გადამდო, – ეუბნება ის ემილს, – როცა ჩემი სულის სიღრმეები გამოვიკვლიე, ვიგრძენი, რომ მას სრესვილი ღრღნიდა, რომ იგი დამპალი იყო კიდეც".

თეოდორას პრინციპების, ბურჟუაზიული არსებობისთვის ბრძოლის პრინციპების გათავისების შემდეგ რაფაელი ეგოისტად და ცინიკოსად გადაიქცევა. მისი ერთადერთი მიზანი სიამტკბილობები ხდება. მათში ცდილობს, ჩაახშოს თავისი შინაგანი სიცივე, იპოვოს ხსნა სულიერი კვდომის მტანჯველი განგრენისგან. მაგრამ ეს არათუ კურნავს, არამედ, პირიქით, ასწრაფებს ხრწნის პროცესს, რადგან რაფაელისეულმა სიამოვნების გაგებამ დაკარგა თავისი კეთილშობილი, ამაღლებული მისწრაფება, განიმსჭვალა მდაბალი, ეგოისტური სულით. ახლა რაფაელი სიხარულს არა შემოქმედებაში, სიყვარულში, ესთეტიკურ ტკბობაში, არამედ ქეიფში, ლოთობაში, გარყვნილებაში ხედავს, ე.ი. ტლანქ, ცხოველურ მგრძნობელობაში, რომელიც მოკლებულია ადამიანურ ფორმას, გულგრილია ტკბობის საგნის ხარისხისადმი. ამიტომ, ეს მგრძნობელობა არ აღიარებს დაკმაყოფილების საზღვრებს, მან მხოლოდ თვითგამოფიტვაში, სიჭარბეში, ზედმეტობებში შეიძლება ჰპოვოს დაკმაყოფილება. „მე მინდა, ავხორცობის ბოდვამ და ღრიანცელმა თავისი ოთხცხენიანი ეტლით გაგვიტაცოს, ამ ქვეყნის საზღვრებს გადაგვატაროს და უცნობ ნაპირებზე გადაგვისროლოს! დაე, სულები ზეცაში ავიდნენ ან ნუმპეში ჩაეფლონ. არ ვიცი, ამაღლდებიან ისინი მაშინ თუ დამდაბლდებიან, მაგრამ ეს სულერთია! ...დიახ, მე მინდა ცისა და მიწის სიამოვნებანი უკანასკნელ მოხვევნაში ვიგემო და კიდეც დავაკვდე მათ". რაც უფრო ძლიერად ეფლობა რაფაელი ამ მომაკვდინებელ სიამტკბილობებში, მით უფრო სწრაფად ფიტავს თავის ფიზიკურ და სულიერ ძალებს, სანამ, ბოლოს და ბოლოს, არ გადაიქცევა განსახიერებად წმინდა ეგოიზმისა, თვითგადარჩენის შიშველი ინსტინქტისა, რომელიც ბოლო წვეთამდე სანსლავს მის სულიერ სიმდიდრეებს, მის ნიჭსა და გონებას, მის ვნებებსა და ოცნებებს. საკმარისია მხოლოდ ბიძგი, საბაბი, რომ რაფაელის სულიერი სიკვდილის შემზარავი სანახაობა მთელი თავისი საძაგელი სიშიშვლით გაიშალოს. როცა საიდუმლოდ გაჩენილი სნეულება მას სიკვდილის პირისპირ აყენებს, რაფაელი, მანამდე რომ ნატრობდა სიკვდილს, რომელიც უშინაარსო ცხოვრებას ერჩივნა, ახლა მზადაა გაილოს ყველაფერი, ოღონდ კი იცოცხლოს. მის წინაშეა პოლინა, გადაქცეული იმ იდეალურ ქალად, რომელზეც ის ოცნებობდა, მის წინაშეა ზღაპრული სიმდიდრეები, ყველაზე ქიმერული ფანტაზიების ასრულების შესაძლებლობა, – ყველაფერი ის, რისთვისაც, სანამ ადამიანი იყო, საკუთარ სიცოცხლესაც განირავდა. მაგრამ ახლა, როცა სულიერად ცხოველი გახდა, როცა მასში მოკვდა ყველა მოთხოვნილება, გარდა ზოოლოგიური სიცოცხლის წყურვილისა, ის უარს ამბობს იმ ყველაფერზე, რაც ადამიანურ ცხოვრებას შეადგენს. „ამ ნაპრალების ლოკოკინად გადაქცევა, თავისი ნიჟარის გადარჩენა რამდენიმე დღით... მისი პირადი მორალის საფუძვლად გადაიქცა, ადამიანის არსებობის ჭეშმარიტ ფორმულად... გულში ულრმესი ეგოიზმის აზრი შეეჭრა, მასში ჩაინთქა მთელი სამყარო. მისთვის სამყარო აღარ არსებობდა, იგი მთლიანად მის არსებაში შევიდა".

აი, რაში ხედავს ყოფიერების საზრისს ადამიანი, რომელიც „ნიაღვარივით ბობოქარ" ცხოვრებაზე ოცნებობდა. და მისი სიკვდილის შემზარავი სცენა აჩვენებს, რომ მასში მისხალი ადამიანურობაც აღარ დარჩა, ის უძლური, საზიზღარი ლტოლვის შემოტევის დროს კვდება.

III

ამგვარად, ინდივიდუალური ცხოვრების სისავსე და ჰარმონიულობა მიუღწეველია საგანთა ისეთი წესრიგის პირობებში, როცა „ადამიანი ადამიანისთვის მგელია". ადამიანური არსებობა გადაუჭრელი ტრაგიკული კოლიზიების წყებად იქცევა, უნდა აირჩიო ორ პერსპექტივას შორის: მონობა ან ბატონობა, პატიოსანი სიღარიბე ან ბოროტმოქმედებით მოპოვებული სიმდიდრე, მექანიკური, მცენარეული უშინაარსო არსებობა ან მახინჯი ვნებები, პატრიარქალური პრიმიტივიზმი ან ცივილიზებული გადაგვარება... „ერთი სიტყვით, – ეუბნება ემილი რაფაელს, – ჩვენ ორში ერთი უნდა ავირჩიოთ: ან გრძნობები მოვკლათ და სიბერემდე ვიცოცხლოთ, ან ვნებათაღელვის მოწამეობრივი გვირგვინი მივიღოთ და ახალგაზრდანი დავიხოცოთ". სიცოცხლე და ტკბობა, ნორმალური ცხოველქმედებისა და ინდივიდუალური განვითარების პირობები გამიჯნულია. და ამ ორ ურთიერთსაპირისპირო „ყოფიერების სისტემას" მივყავართ თანაბრად დამღუპველ შედეგამდე, ადამიანში ყველაფერ ადამიანურის კვდომამდე, პიროვნების განადგურებამდე; პირველ შემთხვევაში ხდება ადამიანის ნიველირება, პიროვნების დაკარგვა, მისი დაყვანა ავტომატის დონემდე, მეორე შემთხვევაში – ინდივიდუალობის ავადმყოფური ჰიპერტროფია, გადაგვარება, სიმახინჯე. ასეთია თანამედროვე საზოგადოების საბედისწერო კანონი, შაგრენის ტყავის საზარელ სახეში ხორცშესხმული: „ადამიანი იშრიტება ორ ინსტინქტურად შესრულებულ აქტში... ორი სიტყვა გამოხატავს ყოველ ფორმას სიკვდილის ამ ორი მიზეზისა: სურვილი და ძალა". „სურვილი გვწვავს, ძალა გვანადგურებს". შაგრენის ტყავში, იდუმალი ანტიკვარის სიტყვებით, „ძალა და სურვილია შეერთებული. აქაა თავმოყრილი თქვენი სოციალური იდეები, თქვენი გადაჭარბებული სურვილები, თქვენი თავშეუკავებლობა, თქვენი სიხარული, რომელიც ადამიანს კლავს, თქვენი მწუხარება, რომელიც სიცოცხლეს ამძაფრებს..." გინდა იარსებო, – იცხოვრე უსაზრისოდ, ისწავლე მცენარეებისგან, მოლუსკებისგან უაზრო, უფიქრო თვლემა, მექანიკური ფუნქციონირება. გინდა იცხოვრო, განვითარდე, შექმნა, დატკბე, – ჩაები შენი თითოეული სურვილის განხორციელებისთვის შეუპოვარ სასიკვდილო ბრძოლაში, ბრძოლაში, რომელიც სპობს სასიცოცხლო ძალას, აუძლურებს ტვინს, ახმობს გულს.

ბალზაკის მიერ დახატული ეს პირქუში სურათი გვაოცებს ისტორიული დიალექტიკის კანონებში შეღწევის სიღრმით.

„შაგრენის ტყავში" ბალზაკმა მოახერხა, შეექმნა ფართო განზოგადება, ბურჟუაზიული საზოგადოების ერთ-ერთი ყველაზე არსებითი წინააღმდეგობის გამოხატვა.

ბურჟუაზიული ცივილიზაცია, რომელიც გაძლიერებულად ავითარებს საზოგადოების მატერიალურ ძლევამოსილებას, ამავდროულად, ადამიანებს თავიანთი ინსტინქტებისა და ძალების მონებად აქცევს. ინდივიდი მის მიერვე წარმოებულ საგნებზე დამოკიდებული ხდება. მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ადამიანის მიერ სამყაროს „ათვისება" ამავდროულად ადამიანის მიერვე შექმნილის ადამიანისგან „გაუცხოებაა". კერძო საკუთრების ბატონობის დროს „ყოველი [illegible] რომ მეორე ადამიანი [illegible] ძალაზე დამოკიდებული გახადოს, რათა ამაში თავისი საკუთარი, ანგარებიანი მოთხოვნილება დააკმაყოფილოს. ამიტომ, საგანთა რაოდენობის ზრდასთან ერთად, იზრდება ბატონობა უცხო არსებათა, რომელთაც დამორჩილებულია ადამიანი, და ყოველი ახალი პროდუქტი – ურთიერთმოტყუებისა და ურთიერთექსპლუატაციის ახალი საფეხურია".

ამ „გაუცხოების" შედეგად შრომაცა და ტკბობაც, განვითარება საზოგადოებრივი და ინდივიდუალური ძალებისა ერთმანეთისადმი დაპირისპირებული ხდება. ეს წინააღდეგობა თავის საფუძველს და უმაღლეს გამოხატულებას ექსპლუატირებული და ექსპლუატატორი კლასების ცხოვრების დაპირისპირებულობაში პოულობს. მშრომელი მასები, პროლეტარები, განწირულნი არიან, მათ არაფერი დარჩენიათ, გარდა უშინაარსო მექანიკური შრომისა, ხულიგნური გაველურებისა, პიროვნების დაკარგვისა, „გაპირუტყვებისა და მოთხოვნილებების სრულიად აბსტრაქტული გამარტივებისა"... „სინათლე, ჰაერი და ა.შ., უმარტივესი, თვით ცხოველებისთვისაც დამახასიათებელი, სისუფთავე აღარ არის ადამიანის მოთხოვნილება... სრული არაბუნებრივი უწესრიგობა, ხრწნადი ბუნება მისი ცხოვრების ელემენტი ხდება. არცერთი მის შეგრძნებათაგან უკვე არა მხოლოდ ადამიანური, არამედ არაადამიანური და, ამიტომ, არც ცხოველური სახითაც კი აღარ არსებობს... ადამიანი კარგავს არა მარტო ადამიანურ, არამედ ცხოველურ მოთხოვნილებებსაც".

მეორე მხრივ, ინდივიდუალური განვითარება ბურჟუაზიულ გარემოში წყვეტს კავშირს ცხოვრების ნამდვილ შინაარსთან, შრომასთან, შემოქმედებასთან, და გადაიქცევა ან ზოოლოგიური მტაცებლური, „ძლიერი პიროვნების", „ქერა გაიძვერას" თვისებების ანდა პარაზიტული „სინატიფის" კულტივირებაში, „სინატიფის", რომელიც ათასგვარი ხრიკით ცდილობს არსებობის შინაგანი სიცარიელის ამოვსებას. „ეს – სიმდიდრის სახმარი ფორმაა, რომელსაც ადამიანური საარსებო ძალების განხორციელება ესმის მხოლოდ როგორც საკუთარი საშინლად გარყვნილი ლტოლვებისა და უცნაური, ფანტასტიკური ახირებების განხორციელება".

ამგვარად, ბურჟუაზიული ცივილიზაცია,

ავითარებს რა ადამიანის ფიზიკურ და სულიერ პოტენციებს, ამდიდრებს და აფართოებს რა მის ტკბობის უნარს – ადამიანის ბუნებაზე ბატონობის ამ სუბიექტურ მხარეს, ამავდროულად, კაცობრიობის უდიდეს ნაწილსართმევს ინდივიდუალური განვითარების ყოველგვარ შესაძლებლობას, უფრო მეტიც – ართმევს საყოფაცხოვრებო მინიმუმს, მეორე მხრივ კი, გაბატონებული უმცირესობა მიჰყავს ცივილიზებულ ბარბაროსობამდე, გადაგვარებამდე, ხრწნამდე.

ასეთია ის ღრმა ობიექტური შინაარსი, რომელიც დევს რაფაელის ამ, თითქოსდა, ესოდენ ფანტასტიკურ და წარმოუდგენელ ისტორიაში. „შაგრენის ტყავის" ფანტასტიკა – ეს თავად ბურჟუაზიული სინამდვილის გადახლართულობის, აბსურდულობის, წინააღმდეგობრიობის ასახვაა.

მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რომანის ობიექტური შინაარსი სულაც არ შეესატყვისება ავტორის სუბიექტურ ჩანაფიქრს, იმ ინტერპრეტაციას, რომელიც ბალზაკმა მისცა მის მიერვე ასე სწორად და ღრმად გამოსახულ მოვლენებს.

იმ საბედისწერო დილემას, რომელმაც რაფაელი დაღუპა, ბალზაკი არა დროებით, არამედ ერთგვარ მარადიულ, უცვლელ მნიშვნელობას ანიჭებს. მის საფუძველს ბალზაკი ეძებს არა გარკვეულ ისტორიულ პირობებში, არამედ ზოგადად „ადამიანური ბუნების" თანშობილ თვისებებში.

ადამიანს თანდაყოლილი აქვს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ლტოლვა: გვარის ინსტინქტი, შენი მსგავსისადმი მიზიდულობა და თვითგადარჩენის ინსტინქტი. პირველი – ადამიანს საერთო ცხოვრებით, გვარის ცხოვრებით, უბრალო სტიქიური არსებობით დაკმაყოფილებისკენ უბიძგებს, მეორე – პირიქით, საკუთარი ცხოვრებისკენ, საკუთარი ინტერესებისაკენ სწრაფვისკენ. ამ თვალსაზრისით, ყოველი პიროვნული საწყისი, ყოველი სურვილი და განცდა უპირისპირდება ადამიანურ ცხოველმოქმედებას, ბიოლოგიურ ფუნქციონირებას. და ის ბრძოლა, რომელიც რაფაელის სულში „გაუბრალოებული" ცხოვრებისკენ სწრაფვასა და „გართულებული" ცხოვრებისკენ სწრაფვას შორის მიმდინარეობს, ამ ძირეული დაპირისპირებულობის ასახვას წარმოადგენს. ეს არის თავად ცხოვრება, გამოსახული „სურვილთან, ნებისმიერი ვნების საწყისთან, შერკინებაში", როგორც განსაზღვრავს ბალზაკი რაფაელის ტრაგედიის სიმბოლურ „ფილოსოფიურ" შინაარსს.

თითოეული ამ ორი „ყოფიერების სისტემიდან", რომელთა შორისაც მერყეობს რაფაელი, სხვა არაფერია, თუ არა ადამიანური ბუნების ამ ძირეული საწყისებიდან ერთ-ერთის ცალმხრივი განვითარება. მცენარეული, „გაუბრალოებული" ცხოვრება საკუთრივ გვარის ინსტინქტის სიჭარბეს ემყარება, „უძლები სიცოცხლე" – თვითგადარჩენის ინსტინქტს, ანუ ეგოიზმს.

ბალზაკის მიხედვით, წინააღმდეგობა, რომელიც ირად ხლეჩს რაფაელის ცხოვრებას, შეუძლებელია, მოისპოს, რადგან მისი ფესვები ადამიანის ბუნებაშია. საუბარი შეიძლება მხოლოდ მის შერბილებაზე, შერიგებაზე, ადამიანის ალტრუისტული და ეგოისტური ლტოლვების ერთგვარ ურთიერთშეწონასწორობაზე. ბალზაკი თანმიმდევრულად არ ავითარებს ამ დასკვნას, ის მხოლოდ სუსტ მინიშნებას იძლევა, როცა რომანის მეორე ნაწილში მეტამორფოზაგანცდილი პოლინა შემოჰყავს. პოლინა, რომელიც საკუთარ თავში უბრალო ცხოვრებისა და ცივილიზაციის ღირსებებს აერთიანებს. ეს – ჭკვიანი, ახალგაზრდა ქალია, ხელოვნების მოყვარული, „რომელსაც პოეტებიც ესმის და პოეზიაც, და კომფორტის წიაღში ცხოვრობს. ერთი სიტყვით, ეს იგივე თეოდორა იყო, მხოლოდ მშვენიერი სულით აღჭურვილი, ან უკეთ, გაკეთილშობილებული პოლინა, მილიონების მფლობელი". პოლინა წარმოადგენს „დასრულებულ სატრფო ქალს, საოცნებოს".

ამგვარად, ბურჟუაზიული „ეგოიზმისა" და ინდივიდუალობების განვითარებისთვის მისი საზიანო შედეგების კრიტიკის მთელი სიმკაცრის მიუხედავად, ბალზაკი აღიარებს ამ „ეგოიზმის" ამოძირკვის შეუძლებლობას. ბალზაკის მიერ აღწერილი „ადამიანური ბუნება" სხვა არაფერია, თუ არა მესაკუთრის ბუნება. აქ ბალზაკი ნათლად აჩვენებს თავის შეზღუდულობას, უუნარობას, გაარღვიოს მესაკუთრე კლასების თვალსაწიერი, მივიდეს მის მიერ ასახული წინააღმდეგობების საბოლოო, გადამწყვეტ საფუძვლამდე – კერძო საკუთრებამდე. ბურჟუაზიული ცივილიზაციის მხილებაში ესოდენ ძლიერი, ბალზაკი უმწეო აღმოჩნდება ამ ცივილიზაციის მანკიერებების გამოსწორების რეცეპტებში.

„გენიოსის კალამი ყოველთვის მასზე უფრო დიდია", – ამბობს ჰაინე. ბალზაკის მიერ გამოსახული ფაქტების ობიექტური ლოგიკა მისეულ შეფასებაზე ძლიერი და დამაჯერებელია. მისმა წარმოუდგენელმა სიმართლემ და სიფხიზლემ ის თავისსავე ცრურწმენებზე მაღლა დააყენა და შესაძლებლობა მისცა, მხატვრული ფორმით ბურჟუაზიული საზოგადოების უმნიშვნელოვანესი წინააღმდეგობა აღმოეჩინა, მიუხედავად იმისა, რომ ამ აღმოჩენის არსი თავად ბალზაკს სათანადოდ არ გაუცნობიერებია. ეს „შაგრენის ტყავს" ჩვენთვის ჯერაც ინტერესით აღსავსე, შინაარსიან, ღრმად რეალისტურ ნაწარმოებად აქცევს.

*რუსულიდან თარგმნა ნორიკ ბადოიანმა*

II

იმავე ზაფხულს, მოხუცმა განდეგილმა სილვესტრომ გაიგო თუ არა, იმ სოფელში ღვთიური ცოტა რამეაო, გადმოვიდა და ახლოს დასახლდა. ტისიდან ათ კილომეტრში, ერთ განმარტოებულ გორაკზე ეკლესიის ნანგრევები იყო, უფრო სწორად, დარჩენილი ლოდები. სილვესტრომ ძველი ნაგებობიდან შემორჩენილი კედლის კუთხე იპოვა და მის უკან მოთავსდა; ღამით იქ იძინებდა, დღისით კი ერთ ლოდზე ადიოდა და ღვთის სადიდებლად ლოცვებს წარმოთქვამდა, ბალახითა და კარუბით იკვებებოდა. იქვე ახლოს წყაროც მოჩუხჩუხებდა.

ამ მაღალი ადგილიდან სილვესტრო ტისის სახლებს კარგად ხედავდა. ზოგის მხოლოდ სახურავი ჩანდა. მის წინაშე ასევე ფოსას, ანდრონისა და ლიმენას დასახლებებიც იშლებოდა. განდეგილი ვინმეს იქ გამოჩენას ამაოდ ელოდა. მის მიერ ცოდვილთა გამო წარმოთქმული მხურვალე ლოცვები მაღლა ცაში ყოველგვარი შედეგის გარეშე ადიოდა, მაგრამ ქვეყნის შემქმნელის დიდებას მაინც აგრძელებდა, მარხვასაც მიჰყვებოდა, და ჩიტებთან საუბარს, რაოდენ მოსაწყენიც არ უნდა ყოფილიყო, არ წყვეტდა. არსად ადამიანის ჭაჭანება არ იყო. ორი ბიჭი შეამჩნია მხოლოდ ერთ საღამოს, მას რომ უთვალთვალებდნენ; სიყვარულით დაუძახა, მოდითო, მაგრამ ისინი გაიქცნენ.

III

შუალამობით გლეხები მიტოვებული ეკლესიისკენ უცნაურ სინათლეს ამჩნევდნენ. სინათლე ტყის ხანძარს ჰგავდა, მაგრამ შუქი თეთრი ჰქონდა, თანაც მსუბუქად ციმციმებდა. საცხობში მომუშავე ფრიჯიმელიკამ ცნობისმოყვარეობას ვეღარ გაუძლო და ერთ საღამოს იქაურობის სანახავად წავიდა, თუმცა გზაზე მისი მოტოციკლეტი გაფუჭდა და ვინ იცის, რატომ, ფეხით გაგრძელება აღარ მოინდომა. უკან რომ დაბრუნდა, გლეხებს უთხრა, უზარმაზარი შუქი, რომელიც არც ცეცხლს ჰგავდა და არც ნათურას, განდეგილის გორაკიდან ცაში ადიოდაო. მათაც, ღვთის სინათლე იქნებოდაო, ყოველგვარი ეჭვის გარეშე ირწმუნეს.

ტისიდანაც კარგად ჩანდა, როგორ ამოდიოდა ზოგჯერ ეს შუქი, მაგრამ განდეგილის არსებობა და მისი უცნაურობები მალე ყველასთვის ჩვეულებრივი რამ გახდა და რელიგიური რომც ყოფილიყო, ყურადღება იმდენად აღარ ექცეოდა. ამ თემაზე ისე საუბრობდნენ, თითქოს დიდი ხნის შემჩნეული ჰქონდათ ყველაფერი და მის გარჩევას არც ფიქრობდნენ. „განდეგილთან ცეცხლი ამოდის", ისე ჩვეულებრივად ითქმოდა ხოლმე, როგორც „ამაღამ იწვიმებს" ან „ქარი ამოვარდება".

ხალხისთვის ეს ყველაფერი რაღაც უმნიშვნელოს რომ წარმოადგენდა, სილვესტროს მარტო დატოვებითაც დამტკიცდა, და მასთან სალოცავად მისვლა ხომ მთლად სასაცილო რამ იქნებოდა!

IV

ერთ დილას, დეფენდენტე საპორი ღარიბებს პურს რომ ურიგებდა, ეზოში ძაღლი შევიდა; მაწანწალას ჰგავდა და საკმაოდ დიდი ზომის იყო, ბეწვი უხეში ჰქონდა, სახე კი – ლმობიერი. ძაღლმა რიგში მდგარი მათხოვრები გაიარა, კალათს მიუახლოვდა, ერთი პური აიღო და ეზოდან ნელ-ნელა გავიდა, მაგრამ ქურდივით კი არა, მშვიდად, თითქოს მისი წილის წასაღებად იყო მოსული.

– ეი, ფიდო! მოდი აქ, საზიზღარო ცხოველო! – უყვირა დეფენდენტემ და გამოეკიდა. – ქურდები ისედაც ბევრნი არიან და ძაღლები მაკლია ახლა კიდევ!

მაგრამ ძაღლი უკვე ეზოს გარეთ იყო გასული. მეორე დღესაც იგივე განმეორდა – ისევ ის ძაღლი მოვიდა და ისევ ისე მოიქცა. ამჯერად მეპურე ძაღლს გზამდე დაედევნა და ქვები დაუშინა, მაგრამ ვერცერთი ვერ მოახვედრა. საინტერესო ის იყო, რომ ქურდობა ყოველ დილით, ერთსა და იმავე დროს ხდებოდა. საოცარი იყო მართლაც ძაღლის მიერ პურის აღების მეთოდი, ანუ როგორ ზუსტად არჩევდა ის ქურდობის დროს; ისე ზუსტად, რომ გაქცევაც არ სჭირდებოდა, ეზოდან მშვიდად გადიოდა. ტყვიაც რომ ესროლათ, ისე შორს იყო უკვე წასული, ეს ტყვია ვერც კი მიუსწრებდა. ყოველ დილას ღარიბებს შორის ისეთი სიცილის ხმა ისმოდა, რომ მეპურე სიბრაზისგან ჭკუიდან გადადიოდა.

გაბრაზებული დეფენდენტე ერთ დღეს ეზოს გასასვლელთან კეტით ხელში ბოძის უკან დაიმალა, მაგრამ უშედეგოდ: ძაღლი მხიარულ მათხოვრებს შორის მშვიდად, წყნარად შევიდა და თავისი მიზანი კვლავ ისე შეასრულა, თითქოს პური ჩვეულებრივ ეკუთვნოდა. მათხოვრებიც, რა თქმა უნდა, ხელს უწყობდნენ და თან სანახაობით ერთობოდნენ.

– დღესაც მოახერხა! – თქვა გზაზე განმარტოებით მჯდომმა მაწანწალამ.

– სადაა? სადაა? – იძახდა დეფენდენტე სამალავიდან.

– შეხედეთ, შეხედეთ, როგორ იბრძვის შესვლაზე! – უთითებდა მაწანწალა და მეპურის სიბრაზეზე იცინოდა.

სინამდვილეში, ძაღლი სულაც არ იბრძოდა. პური ყბებით ეჭირა და ეზოდან ისე მშვიდად გადიოდა, გეგონებოდათ, სინდისი სუფთა აქვსო.

თვალი დაეხუჭა? არა, დეფენდენტე ასეთ ხუმრობას ნამდვილად ვერ აიტანდა. უფრო და უფრო ბრაზდებოდა, ეზო-

ში მის დაჭერას რომ ვერ ახერხებდა. სულ ფიქრობდა, კიდევ თუ დაბრუნდება, აუცილებლად გარეთ გავაგდებო. შეიძლება, ძაღლი არც კი იყო მაწანწალა და პატრონი ჰყავდა, რომელიც აჭმევდა კიდეც, მაგრამ ასე გაგრძელება ნამდვილად აღარ შეიძლებოდა. იმ ძაღლის ყურებასა და თვალყურის დევნაში მეპურე სარდაფში ჩასვლას იგვიანებდა და ჩვეულებრივთან შედარებით ნაკლებ პურს ილებდა, ფულიც ფულად მიუდიოდა.

ეზოს შემოსასვლელში მოწამლული პურის დადებაც უშედეგო გამოდგა. ძაღლმა მისი სუნი შორიდან იგრძნო და არც კი გაეკარა, პირდაპირ კალათისკენ გაემართა. ყოველ შემთხვევაში, ვინც დაინახა, ასე თქვა.

V

თავისი გეგმა კარგად რომ განეხორციელებინა, დეფენდენტე საპორი გზის საპირისპირო მხარეს, ერთი სახლის კართან ველოსიპედით დადგა და ხელში სანადირო თოფი დაიჭირა. ველოსიპედი ცხოველის დასადევნებლად სჭირდებოდა, ორლულიანი თოფი კი – მის მოსაკლავად, ოღონდ თუ აღმოაჩენდა, რომ პატრონი არ ჰყავდა; წინააღმდეგ შემთხვევაში, დანაკლისის გამორთმევას აპირებდა და მიზეზად ისიც ეყოფოდა, რომ ეთქვა, ღარიბებისთვის მისაცემი პურები შემიჭამაო.

საიდან და რანაირად მოდიოდა აქ ძაღლი? საოცრება იყო პირდაპირ! მეპურემ, მიუხედავად იმისა, რომ სულ თვალებდაჭყეტილი იყო, მაინც ვერ შენიშნა, ეზოში როგორ შემოვიდა. ბოლოს, ყბებში გაჩრილი პურით მშვიდად რომ ტოვებდა იქაურობას, მაშინ დაინახა. ეზოდან სიცილის მწველი ექო გაისმა. დეფენდენტე ცხოველის იმ ადგილიდან გაცლას დაელოდა, მის დაფრთხობას მოერიდა, მერე ველოსიპედს შემოაჯდა და დაედევნა. ეგონა, ძაღლი სადმე ახლოს შეჩერდება და პურს შეჭამსო, მაგრამ არა, ცხოველი გზას აგრძელებდა; ეგონა ასევე, ცოტას გაივლის და სადმე სახლში შევაო, მაგრამ მაინც არაფერი, ძაღლს პური ყბებით ეჭირა და გზას მშვიდად, კედელ-კედელ მიუყვებოდა, მის დაყნოსვასაც არ ცდილობდა, არც ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება უნდოდა, როგორც ძაღლებს სჩვევიათ ხოლმე, არც რაიმეს მიმართ ცნობისმოყვარეობას ამჟღავნებდა. მიდიოდა მშვიდად და უკანაც არ იხედებოდა. სად აპირებდა შეჩერებას, აბა? დეფენდენტემ რუხ ცას ახედა. მგონი, წვიმასაც იწყებდა.

წმინდა აგნესას მოედანი გადაიარეს; დაწყებითი სკოლა, სადგური, სამრეცხაო უკან დაიტოვეს... ქალაქის ბოლოს იყვნენ უკვე მისულები და სპორტული მოედანიც ჩამოტოვებული ჰქონდათ, რომ ერთ დასახლებაში შევიდნენ. ეზოდან რაც გამოვიდა, ძაღლს უკან ერთხელაც არ მიუხედავს; სულ არ აინტერესებდა იმის გაგება, ვინმე მიჰყვებოდა თუ არა. იმედი იმისა, რომ მას პატრონი ჰყავდა, დეფენდენტეს უკვე უქრებოდა. უეჭველი მაწანწალა იყო, აი, ისეთი, გლეხების ეზოებში რომ შედიან და ქათმებს იპარავენ, ხბოებს გლეჯენ, მოხუცებს აშინებენ, მერე სოფლებში დაძრწიან და დაავადებებს ავრცელებენ.

ალბათ ერთადერთი გამოსავალი მისი თოფით მოკვლა იყო, მაგრამ რომ ესროლა, უნდა გაჩერებულიყო, ველოსიპედიდან ჩამოსულიყო და მხრიდან თოფი ჩამოეღო. ცხოველი ნაბიჯს მაინც არ უჩქარებდა. ამის გაკეთება შეიძლებოდა, მაგრამ საპორიმ მაინც დევნა არჩია.

VI

იარეს, იარეს და აი, ტყეც გამოჩნდა! ძაღლმა გზიდან გადაუხვია და ერთ ვიწრო ბილიკს მოქნილად აუყვა. რამდენი გაიარეს უკვე? ალბათ, რვა ან ცხრა კილომეტრი. რატომ არ ჩერდება ძაღლი საჭმელად? რას ელოდება? იქნებ პური ვინმესთვის მიაქვს? მალე ბილიკი დაქანებული შეიქნა და ველოსიპედს სვლა გაუძნელდა. საბედნიეროდ, ცხოველმა ნაბიჯი შეანელა და დეფენდენტეც ველოსიპედიდან ჩამოხტა, ფეხით სვლა განაგრძო, მაგრამ დაწევა მაინც ვერ მოახერხა.

ამდენი დევნა უკვე მობეზრებული ჰქონდა და თოფის სროლას აპირებდა, რომ მოშიშვლებულ აღმართზე ერთი დიდი ლოდი დაინახა. ლოდზე კაცი იყო დაჩოქილი. დეფენდენტეს გონებაში განდეგილმა, ღამის სინათლეებმა და ყველა გაგონილმა მოსაზრებამ გაუელვა. ძაღლი მინდორს მშვიდად აუყვა, ის კი თოფით ხელში ორმოცდაათი მეტრის მოშორებით გაჩერდა და თვალთვალი დაიწყო. განდეგილმა ლოცვა შეწყვიტა და ლოდიდან ძაღლისკენ გასაკვირი მოქნილობით გადაიხარა. ცხოველმა პური კუდის ქნევით ფეხებთან დაუდო. კაცმა აიღო, პატარა ნაწილი მოტეხა, მკერდზე ჯვარედინად გადაკიდებულ ჩანთაში ჩაიდო და დანარჩენი ძაღლს ღიმილით დაუბრუნა.

განდეგილი პატარა კაცი იყო, გამხდარი, სასიამოვნო შესახედავი, ბავშვური სიცელქით სახეზე. ტანზე ტომარასავით სამოსი ეცვა. დეფენდენტემ ძალა მოიკრიბა და ყველაფერზე პასუხის მისაღებად წინ გადაუდგა.

– კეთილი იყოს შენი ფეხი, ძმაო! – მიმართა სილვესტრომ, როგორც კი დაინახა. – საიდან აქეთ? სანადიროდ ხომ არ იყავი?

– სიმართლე გითხრათ, – უპასუხა მკაცრად საპორიმ. – სანადიროდ ვარ წამოსული, მაგრამ უფრო ერთ ძაღლზე, რომელიც ყოველდღე...

– აჰ, ეს შენ ხარ, საარსებოდ ყოველდღე რომ გემრიელ პურს მიგზავნი? – ლაპარაკი შეაწყვეტინა განდეგილმა. – ღვთის პურია ეს.

მართალია, ამოდენა პატივისცემა მე არ მეკუთვნის...

— გემრიელი? ვიცი, რომ გემრიელია. ყოველთვის ახალგამომცხვარია. ჩემი ხელობა მე კარგად გამომდის, ბატონო!.. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ უნდა მომპაროთ!

სილვესტრო ბალახს დააშტერდა.

— მესმის... — თქვა მოწყენილმა. — მართალი ხარ, რომ ჩივი... მაგრამ მე არ ვიცოდი... გამოდის, რომ გალეონე ქალაქში აღარ უნდა წავიდეს... ჩემთან მეყოლება სულ... სინდისი ძაღლსაც სუფთა უნდა ჰქონდეს... აღარ მოგაკითხავს, გპირდები!

— ოჰ, არა... — თქვა მეპურემ, ცოტა რომ დამშვიდდა. — ასე თუა, ძაღლს შეუძლია მოსვლა. ის დაწყევლილი ანდერძი დამიტოვეს, ყოველდღე ორმოცდაათ კილო პურს რომ მაყრევინებს... ღარიბებს უნდა დავურიგო, იმ ნაძირლებს, არაფრის გამკეთებლებს... და ერთი პურიც თუ აქამდე მოაღწევს... ერთი ღარიბით მეტს თუ ნაკლებს, რა მნიშვნელობა აქვს!

— ღმერთი გადაგიხდის, ძმაო!.. ანდერძის მიხედვით აკეთებ ამას თუ არა, შენ მაინც წყალობას სჩადი.

— მაგრამ მე მაინც ყველას დიდი სიამოვნებით დავურიგებდი.

— ვიცი, რატომაც ამბობ ასე... თქვენში, ადამიანებში ყოველთვის რაღაცნაირი სირცხვილის გრძნობა ძევს. ცუდ თვისებებს გამოხატავთ, მაგრამ შინაგანად თქვენ კარგი უფრო გახასიათებთ. ასეა რატომღაც ეს სამყარო.

ის სალანძღავი სიტყვები, რომლებიც დეფენდენტეს მომზადებული ჰქონდა, ველარ წარმოთქვა, აღარ გამოუვიდა; უხერხულობა იყო თუ იმედგაცრუება, გაბრაზება ვერ მოახერხა, თუმცა ის აზრი, რომ მთელ დასახლებაში განდეგილთან ურთიერთობა მხოლოდ მას შეეძლო, ძალიან მოეწონა.

იფიქრა, — განდეგილი ბევრი არაფერია, რაც არის, ის არის, ვერაფერ მოგებას ვერ ნახავ, მაგრამ რაღაცას ხომ მაინც შეიძლება ხელი გამოჰკრა. აი, მაგალითად, ვთქვათ, და რამე სასწაული მოხდა, განდეგილს წმინდანად ხომ აღიარებენ?! ჰოდა, აქ დიდ ცერემონიას გამართავენ. ღვთისმსახურები, ეკლესიის წარმომადგენლები და თანამდებობის პირები დაესწრებიან. მე განდეგილთან საიდუმლო ურთიერთობა რომ მექნება, შეიძლება ხელი სოფლის თავობასაც კი გამოვკრა. ჰოდა, რატომაც არა?!

— რა ლამაზი თოფი გაქვს! — უთხრა სილვესტრომ და მოულოდნელად გამოართვა. უცებ ტყვია გავარდა, რომელმაც მთელი ბარი გააყრუა; და ეს დეფენდენტეს გარეშე მოხდა. თითი ჩახმახისთვის მას არ გამოუკრავს.

— არ გეშინია, ასე დატენილი თოფით რომ დადიხარ? — ჰკითხა განდეგილმა.

— ბავშვი კი არ ვარ! — ცოტა წყენით უპასუხა მეპურემ.

— მართალია. — გააგრძელა სილვესტრომ და თოფი დაუბრუნა. — და მართალია, რომ ტისის ეკლესიაში კვირაობით ადგილის მოძებნა არ უჭირთ? გავიგე, ცოტა ხალვათობაა...

— ხელისგულივით ცარიელია იქაურობა. — გულახდილად უპასუხა მეპურემ, მერე შეასწორა, — ეჰ, ცოტანი ვართ უკვე, ვისაც ღვთის ჯერ კიდევ გვწამს.

— და წირვაზე? რამდენი ესწრებით წირვას ჩვეულებრივ? შენ და კიდევ რამდენი?

— კვირაობით, ალბათ — ოცდაათამდე, საშობაოდ კი ორმოცდაათამდე ვაღწევთ.

— და მითხარი, ტისში ღმერთს აგინებენ?

— ქრისტეს აგინებენ, და საკმაოდ ილადაც!

განდეგილმა შეხედა და თავი გააქნია.

— გამოდის, ცოტას სწამს ღმერთი...

— ცოტას? — თქვა დეფენდენტემ და გულში ჩაიცინა. — თითზე ჩამოსათვლელები არიან!

— და შენი შვილები? უმცებ მათ ეკლესიაში?

— ღმერთი სადაცაა, მეც იქ ვუშვებ. ნათვლა, აღსარება, ზიარება!..

— მართლა? პატარასაც?

— რა თქმა უნდა! ჩემს მეორე შვილს აქვს... — და ლაპარაკი შეწყვიტა. მიხვდა, რომ აჭარბებდა.

— აბა, ძალიან კარგი მამა ყოფილხარ შენ, შესანიშნავიც! — მკვეთრი ხმით უთხრა განდეგილმა (მაგრამ ასე რატომ იცინის?). — ისევ მოდი ჩემს სანახავად, ძმაო! ახლა წადი, ღმერთთან ერთად გევლოს! — თქვა და პირჯვარი გადასახა.

დეფენდენტემ მოულოდნელობისგან აღარ იცოდა, რა ექნა, ველარაფერი უპასუხა. სანამ გონს მოვიდოდა, თავი ოდნავ დასწია და პირჯვარი გადაიწერა. საბედნიეროდ, ამის დამნახავი, ძაღლის გარდა, იქ არავინ იყო.

## VII

განდეგილთან საიდუმლო ურთიერთობა ძალიან ლამაზი რამ იყო, მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ დეფენდენტეს ოცნების განხორციელებით შემოიფარგლებოდა, ანუ სოფლის თავის თანამდებობის დაკავების სურვილით. სინამდვილეში, ახლა თვალების კარგად გახელა სჭირდებოდა. პურს, მისი ნების მიხედვით იყო თუ არა, არიგებდა და ამას სხვების თვალწინ აკეთებდა, მაგრამ პირჯვარსაც იწერსო, რომ ეთქვათ?! კიდევ კარგი, განდეგილთან საიდუმლო შეხვედრის შესახებ არავინ იცოდა, თორემ რა უნდა ექნა? მართლა კი არ სწამდა ღმერთის! ძაღლის საქმე კიდევ როგორ უნდა მოეგვარებინა? ყოველდღიური პურის გაგზავნაზე უარს ველარ იტყოდა; არადა, მათხოვრებს მერე სალაპარაკოს რა გამოულევდა?!

სწორედ ამიტომ, მეორე დღეს, სანამ მზე ამოვიდოდა, დეფენდენტე სახლთან ახლოს იმ გზაზე გავიდა, რომელიც გორაკებიდან ჩამოდიოდა. როგორც კი გალეონე გამოჩნდა,

სტვენით დაუძახა. ძაღლმა იცნო და მიუახლოვდა. მან პურით ხელში, ღუმელის ახლოს და ფიცრის ქვეშ, იქ, სადაც შეშას აწყობდა, ადგილი მიუთითა და უთხრა:

დღეიდან აქედან წაიღებ შენს პურს!

გალეონე, როგორც მითითებული ჰქონდა, თავისი წილი პურის წასაღებად მეორე დღეს მართლა მოვიდა. დეფენდენტეს ის არც კი დაუნახავს, ისე აიღო თავისი ულუფა და წავიდა. ღარიბებმა შენიშნეს მხოლოდ, რომ მიდიოდა. მეპურე შეშის საწყობთან პურს ყოველდღე, მზის ამოსვლამდე დებდა, და განდეგილის ძაღლსაც მიჰქონდა, თანაც ახლა, შემოდგომა რომ იწყებოდა და დღეები იკლებდა, დილის ჩრდილებში ის ნაკლებად გამოირჩეოდა. დეფენდენტე საპორი ასე მშვიდად ცხოვრობდა და ღარიბებზე გასაცემი პურის კალათიდან რაღაც ნაწილის ჩუმად გამოლებისთვის უფრო მეტი შესაძლებლობა ჰქონდა.

VIII

გავიდა კვირები, თვეები და დადგა ზამთარი თავისი დამახასიათებელი ნიშან-თვისებებით: ფანჯრებზე მიკრული თოვლის ფიფქები, ბუხრებიდან ამომავალი კვამლი, ჩათბუნული ადამიანები, სიცივისგან აბუზული ბეღურები...

ერთ ყინულივით ცივ და ვარსკვლავიან ღამეს მიტოვებული ეკლესიისკენ ისეთი დიდი, თეთრი შუქი გამოჩნდა, რომლის მსგავსიც აქამდე არავის ენახა. ტისში განგაში ატყდა: ხალხი საწოლიდან გადმოცვივდა, კარ-ფანჯრები გაიღო, შეძახილები ერთმანეთში აირია, ქუჩებში ფაციფუცი დაიწყო... როცა დარწმუნდნენ, სილვესტროს ჩვეული განათებაა და სხვა არაფერი, რაც ღმერთის გამოჩენასთან იქნება დაკავშირებულიო, შეიკეტეს ფანჯრები და ცოტა არ იყოს, იმედგაცრუებულები და ტყუილად აფორიაქებულები კვლავ თბილ საბნებში შეძვრნენ.

მეორე დღეს, ვინ იცის, ვინ თქვა, მაგრამ ხმა კი გავარდა, იმ ღამით სილვესტრო სიცივისგან მომკვდარაო.

IX

რადგანაც კანონს გვერდს ვერ აუვლიდნენ, მესაფლავე, ერთი მუშა და ორი მინისმთხრელი განდეგილის დასამარხად გორაკისკენ გაემართნენ. მათ თან მღვდელი ტაბია გაჰყვა, რომლისთვისაც განდეგილი ძალიან მნიშვნელოვან ადამიანს არც კი წარმოადგენდა. მისულებმა ნესი რომ შეასრულეს, კუბო ვირშებმულ ეტლზე შემოდეს. ხუთივემ ნახა, მკვდარი სილვესტრო თოვლზე რომ იყო დაგდებული და ხელები გადაჯვარედინებული, თვალები კი დახუჭული რომ ჰქონდა; ზუსტად ისე იყო, როგორც წმინდანები არიან ხოლმე. მის გვერდით ძაღლი გალეონე იჯდა და ტიროდა.

ცხედარი კუბოში ჩაასვენეს, ლოცვები თქვეს და საკურთხევლის შემორჩენილი ნაწილის ქვეშ დამარხეს. მერე საფლავს ხის ჯვარი დაასვეს და ქალაქში დაბრუნდნენ, ძაღლი კი იქვე მოკუნტული დატოვეს. სოფელში მათთვის არავის უკითხავს რამე.

გალეონე აღარ გამოჩენილა. მეორე დილით, დეფენდენტე პურის დასადებად რომ მივიდა, ნახა, ის ძველი, წინა დღის პური ისევ იქ იდო. შემდეგ დღესაც იგივე მდგომარეობა დახვდა, გამხმარ პურს ჭიანჭველები დასეოდნენ, დაეხვრიტათ და გვირაბებით აევსოთ. გავიდა რამდენიმე დღე და აღარც საპორის უფიქრია მეტი ამის შესახებ.

X

ორი კვირის შემდეგ, როცა დეფენდენტე კაფე „ჩინიოში" მეწარმე ლუჩონისა და კავალერ ბერნარდისთან ერთად კარტს თამაშობდა, ერთმა ახალგაზრდამ მოულოდნელად, შეხედეთ, ის ძაღლი მოაბიჯებსო, წამოიძახა.

დეფენდენტე სკამიდან ელდანაკრავივით წამოვარდა, ფანჯარას მივარდა და მზერა დაძაბა. ერთი შეუხედავი, გამხდარი ძაღლი გზაზე მოაბიჯებდა და აქეთ-იქით ისე ქანაობდა, რომ გეგონებოდათ, თავი მოღრანცული აქვსო. განდეგილის ძაღლი შიმშილით კვდება ალბათ... როგორც საპორის ახსოვდა, უფრო მსხვილი და მსუქანი იყო, მაგრამ ორკვირიანი შიმშილობის შემდეგ, ვინ იცის, ცხოველი რა დღეში ჩავარდებოდა?! მეპურეს აზრით, მის წინ სწორედ ის ძაღლი იყო, მთელი ხნის განმავლობაში საფლავზე რომ იწვა და ტიროდა. ცხოველი შიმშილს დანებდა ალბათ, იქაურობა მიატოვა და სოფელში პურის საძებნელად ჩამოვიდა.

ეს ძაღლი მალე გათავდება. — თქვა დეფენდენტემ და სხვებისთვის თავისი ინდიფერენტულობა რომ დაენახვებინა, ჩაიცინა.

ნამდვილად არ მინდა, ის რომ იყოს. — ყბამოქცევით ჩაიცინა ლუჩონიმაც და გაშლილი კარტები დახურა.

ის, ვინ? არ მინდა, — გაიმეორა ლუჩონიმ. — განდეგილის ძაღლი რომ იყოს.

კავალერ ბერნარდისმა გააზრება დააგვიანა და უცნაურად წამოიძახა: მაგრამ ეს ცხოველი მე უკვე სადღაც ვნახე. ნამდვილად მყავს ნანახი აქეთ. შენი ხომ არაა, დეფენდენტე?

ჩემი საიდან უნდა იყოს?!

არ მინდა ვცდებოდე, მაგრამ მგონი შენს საცხობთან მყავს ნანახი. — დაუდასტურა ბერნარდისმა.

საპორიმ უხერხულობა იგრძნო: — იმდენი ძაღლი დაწანწალებს მაინც!.. შეიძლება, მართალიც ხარ, მაგრამ მე არ მახსოვს.

ლუჩონი ფიქრებმა წაიღო, და უცებ, თითქოს საკუთარ თავთან საუბრობსო, თქვა: კი, კი, განდეგილის ძაღლი უნდა იყოს.

და რატომ? – ჩაცინებით იკითხა ისევ მეპურემ. – რატომ უნდა იყოს მაინცდამაინც განდეგილის?

ჰგავს, გესმის? სიგამხდრით ჰგავს. დაუკვირდი, აბა!

დიდი ხანი იწვა საფლავზე... საერთოდ, ძაღლებს ასეთი რამ სჩვევიათ ხოლმე. მოშივდა მერე და... აი, ჩამოვიდა სოფელშიც!

მეპურე გაჩუმდა. ამასობაში, ცხოველმა აქეთ-იქით მიმოიხედა და ვიტრინის მიღმა მსხდომ სამ მამაკაცს მიაშტერდა. მეპურემ ცხვირს ჩაუბერა.

კი. დავიფიცებ, რომ მე ეს ძაღლი არაერთხელ მინახავს და თანაც, შენს საცხობთან. – თქვა ბერნარდისმა და დეფენდენტეს შეხედა. – შეიძლება... – უპასუხა მეპურემ. – მაგრამ მე, სწორედ რომ არ მახსოვს!

ლუჩონიმ ეშმაკურად ჩაიცინა: – მე ასეთი ძაღლი, მსოფლიოში არსებული ოქროც რომ მომცენ, მაინც არ მეყოლება.

ცოფიანია? – ჰკითხა ბერნარდისმა. – შენი აზრით, ცოფიანია?

რა ცოფიანი?! ასეთი ძაღლი მე არ მომეჩვეოდა-მეთქი...

ძაღლი, რომელმაც ღმერთი ნახა! როგორ თუ ღმერთი ნახა? განდეგილის ძაღლი არ იყო? მასთან ერთად არ იყო, როცა ის შუქი ელავდა? ყველამ კარგად იცის იმ შუქის შესახებ. და ძაღლი მასთან არ იყო? შენ გგონია, მე არ მინახავს ის შუქი? გგონია, რომ ასეთი სანახაობის დროს მეძინა? – თქვა და გემრიელად გაიცინა.

რა სისულელეა! – წამოიძახა კავალერმა. – ვინ იცის, რა შუქი იყო! ღმერთი კი არა!.. ამ ღამითაც ანათებდა...

ამ ღამით? – ჰკითხა დეფენდენტემ ცოტა იმედიანად.

ჩემი თვალით ვნახე. ისეთი ძლიერი არ იყო, როგორიც მაშინ, მაგრამ საკმაოდ ელავდა.

დარწმუნებული ხარ? ამ ღამით იყო?

ჰო. ზუსტად ისეთი ფორმის, როგორიც ადრე... ღმერთის გინდოდა, რომ ყოფილიყო?

ლუჩონის ეშმაკური სახე ჰქონდა: – და ვინ გეუბნება, რომ ამ ღამის შუქი მისთვის არ იყო? მისთვის? ვისთვის? ძაღლისთვის, ნამდვილად! შეიძლება, ღვთის მაგივრად თავად განდეგილი იყო სამოთხედან ჩამოსული. ხედავდა ალბათ, ძაღლი საფლავზე რომ იყო დაწოლილი და იფიქრა, საცოდავი, რა დღეშიაო!.. ჩამოვიდა მერე, მისთვის რომ ეთქვა, გეყოფა ახლა ტირილი და ნადი, საჭმელი იშოვე რამეო.

მაგრამ აქაური ძაღლი თუ არის?! – დაიჟინა ბერნარდისმა. – სინდისს ვფიცავ, საცხობთან ვნახე, როგორ დაწრიალებდა.

XI

დეფენდენტეს გონება მთლად აერია. რა არასასიამოვნო სიტუაცია შეიქნა! რაც უფრო აკვირდებოდა, მით უფრო რწმუნდებოდა, რომ ცხოველი განდეგილის იყო. სანერვიულო არაფერი იყო, რა თქმა უნდა; მაგრამ ყოველდღე უნდა დაუდოს პური ისევ? დაფიქრდა: – მე ახლა ამას საჭმელი რომ არ მივცე, მოპარვას ხომ დაიწყებს ეზოში?! აბა, როგორ მოვიქცე? ფეხისკვრით გავაგდო? გავაგდო ძაღლი, რომელმაც, რაც არ უნდა იყოს, ღმერთი ნახა?! და მე რა ვიცი ამ საიდუმლოების? იოლი საქმე არაა. ჯერ ისაა გასარკვევი, წინა ღამეს განდეგილის სული გალეონეს მართლა თუ გამოეცხადა. და რა უთხრა? რალაცნაირად მოაჯადოვა კიდეც? ვინ იცის, იქნებ, ძაღლს ახლა ადამიანების ენა ესმის?! შეიძლება, ერთ დღეს, ადამიანივით ლაპარაკიც დაიწყოს! ღმერთი სადაცაა, იქ ყველაფერია მაინც მოსალოდნელი. ბევრჯერ მსმენია ასეთების შესახებ.

დეფენდენტე სასაცილო მდგომარეობაში ჩავარდა... რომ გაიგონ, როგორ ეშინია!

სანამ სახლში დაბრუნდებოდა, შეშის საწყობთან მივიდა. ფიცრის ქვეშ თხუთმეტი დღის წინ დადებული პური აღარ დახვდა. ესე იგი, ძაღლი მოსულა და ჭიანჭველებიანი პური წაუღია?

XII

მიუხედავად იმისა, რომ დეფენდენტე იმედოვნებდა, ძაღლი არც მეორე და არც მესამე დილას არ მოსულა. სილვესტროს სიკვდილით მეგობრობის გამოყენების ყოველგვარი იმედი უკვე გამქრალი იყო. ამ შემთხვევაში, ძაღლი, უკეთესი იქნებოდა, თუ აღარ გამოჩნდებოდა, მაგრამ მეპურე შეშის საწყობთან მაინც მიდიოდა და ფიცრის ქვეშ მიტოვებულ პურს რომ ხედავდა, იმედი უცრუვდებოდა.

დეფენდენტე კიდევ უფრო ცუდად შეიქნა, გალეონე სამი დღის შემდეგ რომ ნახა – მოედანზე მოწყენილი მიაბიჯებდა, სიცივეში, და სულ აღარ იყო ისეთი, როგორც მაშინ, კაფედან დანახვისას. ახლა ფეხზე მაგრად იდგა, აღარ ქანაობდა; უფრო გამხდარი კი იყო, მაგრამ ბეწვი ნაკლებად უხეში ჰქონდა, ყურებიც დაცქვეტოდა და კუდიც ასწეოდა. ვინ აჭმევდა ნეტა? საპორიმ ირგვლივ მიმოიხედა. ხალხი გულგრილად მიდი-მოდიოდა, თითქოს ცხოველს ვერც კი ამჩნევდა.

თორმეტ საათამდე დეფენდენტემ ფიცრის ქვეშ ახალი პური დადო, მაგრამ ახლა უკვე ყველის ნაჭერთან ერთად. ძაღლი მაინც არ გამოჩენილა.

გალეონე დღითიდღე ძლიერდებოდა, მშვენდებოდა. ძველი ბეწვი სცვიოდა და ახალი, პრიალა ამოსდიოდა. ისეთი ხდებოდა, რო-

გორც თავადების ძაღლები იყვნენ ხოლმე. ესე იგი, გამოდის, რომ ვიღაც უვლიდა, ყურადღებას აქცევდა; და ასეთი შეიძლება, არაერთიც ყოფილიყო ერთდროულად, ერთმანეთისგან მალულადაც კი. ეგონათ ალბათ, ცხოველს ბევრი რამ აქვს ნანახი და მისი მოვლით ღვთის მადლს მოვიპოვებთო. ნუთუ, მთელი ტისი იყო ამ საქმით დაინტერესებული? ყოველი ოჯახი ცდილობდა სალამოობით ძაღლის თავისკენ მიზიდვასა და გემრიელი ლუკმის მიცემას?

ალბათ ამიტომ არ მიდიოდა გალეონე პურის ასაღებად, სხვებთან უფრო კარგად გრძნობდა თავს, მაგრამ არავინ საუბრობდა ამაზე, სიტყვაც არავის სცდებოდა. განდეგილის თემაზე, თუ ვინმე შემთხვევით რამეს იტყოდა, თემას მაშინვე ცვლიდნენ; და როცა ძაღლი გზაზე გამოჩნდებოდა, ისე იყურებოდნენ, სხვათა შორის, თითქოს უმნიშვნელო ყოფილიყო ის მათთვის. დეფენდენტეს ფიქრი ტანჯავდა: – ნუთუ მისი აზრი ვინმე უფრო გაბედულმა მოიპარა და რაღაც გამოსავლისთვის ძაღლს ჩუმად დაეპატრონა?

XIII

ღმერთი ენახა თუ არა, გალეონე მაინც უცნაური ძაღლი ჩანდა. რაღაცნაირად, ადამიანივით შემდგარი დადიოდა. შემოივლიდა ეზოებს, სახლებს, მაღაზიებს, სასადილოებს... იდგა და ხალხს ყურადღებით ათვალიერებდა; შებრუნდებოდა მერე და გზას წყნარად აგრძელებდა.

რა იმალებოდა იმ თვინიერი და მელანქოლიური თვალების მიღმა? ქვეყნის მქმნელის სახე ჩაჰსახოდა თითქოს!.. აცახცახებული ხელები მას ტორტების ნაჭრებსა და ქათმის ბარკლებს სთავაზობდნენ. გამძალარი გალეონე ადამიანებს თვალებში უყურებდა, თითქოს მათ ფიქრებს კითხულობსო. ვერავინ იკავებდა თავს მის წინაშე. სხვა მაწანწალა ძაღლებს თუ ჯოხის ქნევით აგდებდნენ, მასთან მსგავს რამეს ვერავინ ბედავდა. გალეონეს ყველას პატივს სცემდა.

ადამიანებმა თანდათან რაღაც შეთქმულებასავით შექმნილ წრეში ამოყვეს თავი, მაგრამ ამის აღიარებას ვერავინ ბედავდა, ერთმანეთს ვერ უტყდებოდნენ. დიდი ხნის მეგობრებიც კი ისე საუბრობდნენ, თითქოს პასუხის ამოკითხვასა და მონაწილის ამოცნობას ერთიმეორეში ეძებდნენ; და ამგვარ ვითარებაში პირველს თავი ვის უნდა წარმოეჩინა?! ამიტომაც გაბედულ ნაბიჯს ვერავინ დგამდა, იყვნენ თავისთვის. ლუჩონი... ის იყო მხოლოდ, თემას წარბშეუხრელად რომ ეხებოდა.

– აი, აი, მოაბიჯებს ჩვენი კეთილი ძაღლი, ღმერთი რომ ნახა! – წამოიძახებდა, როგორც კი გალეონეს დაინახავდა, და იმ ადამიანებს დასცინოდა, მასზე თვალის არიდებას რომ ცდილობდნენ.

ზოგიერთები ისე იქცეოდნენ, თითქოს საქმის ვითარებაში ვერც ერკვეოდნენ და დაბნეულები თავის ქნევით განმარტებას ითხოვდნენ, მერე კი იტყოდნენ: – სასაცილოა პირდაპირ! ჭორიკანა ქალების მოგონილი იქნება ნამდვილად!

ჩუმად ყოფნა, ან მეტიც – მეწარმე ლუჩონის სიცილის აყოლა მისი მხარდაჭერა უფრო გამოდიოდა, ამიტომ საუბარს სულელურ ხუმრობად თვლიდნენ და სხვა თემაზე გადაიოდნენ, მაგრამ კავალერი ბერნარდისი თუ იქნებოდა, სულ პასუხობდა: – განდეგილის კი არა, ერთი ჩვეულებრივი ძაღლია. ტისში დაწანწალებს, წლებია; ყოველდღე ვხედავდი ადრე, საცხობს რომ უტრიალებდა!

XIV

ერთ დღეს დეფენდენტე სარდაფში ჩვეული საქმიანობის შესასრულებლად რომ ჩავიდა და ფანჯარა გამოაღო, ყვირილი შემოესმა. ცოლისა და მომსახურე ბიჭის ხმა ისმოდა, რიგში მდგომი მათხოვრების დაწყნარებას რომ ცდილობდნენ. უკვე გამოცდილმა საპორიმ კალათს ქვედა მხარე გაუხსნა და ახალგამომცხვარმა პურებმა ტომარაში სწრაფად იწყეს ცვენა. ამ საქმეში იყო ჩართული, რომ თვალის კუთხიდან შეამჩნია, რაღაც შავი, ნახევრად ჩრდილში მყოფი შეინძრა. ელდანაკრავივით მობრუნდა და მის წინ მშვიდად მდგარი ძაღლი დაინახა.

გალეონეს იმ ნახევრად ჩაბნელებულ ოთახში თვალები ფოსფორისებურად უბრწყინავდა. იდგა ასე სარდაფის კართან და ყველაფერს ყურადღებით აკვირდებოდა. დეფენდენტე საპორი მოულოდნელობისგან გაქვავდა.

გალეონე, გალეონე!.. – თბილი ხმით უთხრა მერე. – მოდი, გალეონე... – და ერთი პური გადაუგდო.

ცხოველმა, თითქოს უკვე მობეზრებული აქვსო, პურს არც კი დახედა, შებრუნდა და კიბისკენ გაემართა.

მარტო დარჩენილი, იმედგაცრუებული და გაბრაზებული დეფენდენტე გარეთ გამოვიდა.

XV

ძაღლმა, რომელმაც ღმერთი ნახა, ვინ იცის, რა საიდუმლოებების შესწავლა მოახერხა! ადამიანები ერთმანეთს უყურებენ, თითქოს რაღაც ხელის ჩასაჭიდს ეძებენო, მაგრამ არავინ ლაპარაკობს, ხმის ამოღებას ვერავინ ბედავს. ერთმა კი გაიფიქრა, მხოლოდ ჩემი მოსაზრებაა მგონი, თორემ სხვებიც იტყოდნენ რამესო, და გაჩერდა.

გალეონე შინაურულად გრძნობდა თავს ყველასთან. ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდა. სახლებს, დუქნებსა და მაღაზიებს სტუმრობდა. არც ელოდებოდნენ, ადამიანების

წინაშე ისე ჩნდებოდა. დადგებოდა კუთხეში და მშვიდად იყურებოდა, იქაურობას ყნოსავდა. ღამითაც, როცა სხვა ძაღლებს ეძინათ, მისი ჩრდილი თეთრ კედლებს მიუყვებოდა; მშვიდი და მოქნილი ნაბიჯებით მიდიოდა. სახლი არ ჰქონდა? არც საძაღლე? ადამიანები თავს მარტო აღარ გრძნობდნენ, მაშინაც კი, როცა სახლში ჩარაზულები იყვნენ. ყოველთვის ესმოდათ გალეონეს ფეხის ხმა, მსუბუქად და დინჯად რომ მიაბიჯებდა ბალახზე, ტროტუარზე, გზაზე, ქვიშაზე... – ბუკ, ბუკ, ბუკ. – ისმოდა ხან აქ, ხან იქ. გალეონე არასოდეს ბრაზობდა, ყოველთვის მშვიდად დადიოდა.

არაფერია, ალბათ მე შემეშალა ანგარიში, – უთხრა გამყიდველმა მეუღლეს, ფულის გამო რომ წაეჩხუბა.

მოკლედ, ამჯერად, თვალებს დავხუჭავ და გაპატიებ, მომავალში კი... – გამოუცხადა საცხობში მომუშავე ფრიჯიმელიკამ დამხმარე ბიჭს, მის გათავისუფლებაზე უარის თქმა რომ მოუწია.

საერთო ჯამში, ერთი ლამაზი ქალია! – მანამდე გამოხატული აზრის საწინააღმდეგოდ, მოულოდნელად დაასრულა ქალბატონმა ბირანძემ, მასწავლებელს რომ ესაუბრებოდა სოფლისთავის ცოლზე.

ბუკ ბუკ, ბუკ... – ისმოდა ყველგან მაწანწალა ძაღლის ნაბიჯები. შეიძლება, დაეყეფა კიდეც, თუ ძაღლს, ჩრდილს, პეპელას ან მთვარეს დაინახავდა, არ იყო გამორიცხული, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უყეფდა ადამიანს, თუკი მის მიერ ჩადენილი ბოროტების შესახებ ამბავს არ გაიგებდა.

გალეონე მოულოდნელად ბუღალტერ ფედერიჩის სანყობშიც გაჩნდა, სადაც ის მის უფროსს, საკონდიტრო წარმოების ხელმძღვანელს ანონიმურ წერილს უწერდა და აფრთხილებდა, მოანგარიშე როსის დივერსანტებთან აქვს კავშირიო.

ბუღალტერო, რას წერ? – ეკითხებოდნენ თითქოს გალეონეს დიდი და დინჯი თვალები.

ფედერიჩიმ თბილი სახით კარისკენ მიუთითა: ჰე, ლამაზო, წადი ახლა გარეთ! – და გულში წარმოქმნილი

საყვედურების თქმა ველარ გაუბედა. მერე გასასვლელთან დადგა, მიაყურადა, ცხოველმა იქაურობა თუ დატოვაო, და ბოლოს, მეტი სიფრთხილისთვის, წერილი ცეცხლში შეაგდო.

გალეონე შემთხვევით გაჩნდა ასევე ხის კიბის ძირას, რომელიც ლამაზი, მაგრამ უსირცხვილო ქალის, ფლორას ბინას უკავშირდებოდა. შუაღამე იყო უკვე, თუმცა კიბის საფეხურები მაინც აჭრიჭინდნენ მებაღე გუიდოს, ხუთი შვილის მამის ფეხქვეშ. გალეონეს დიდმა, დინჯმა თვალებმა აქაც იწყეს ბრჭყვიალი.

ჯანდაბა! – წამოიძახა კაცმა ხმამაღლა, ცხოველის დაჟინებული მზერა რომ იგრძნო. – სიბნელეში ყოველთვის შეიძლება შეცდე, ეს ხომ ნოტარიუსის სახლი არ არის! – და ძირს უცებ ჩავიდა.

საყვედურის მსგავსი ყეფა დაიწყო მაშინაც, პინინი და ჯონფა საწყობში ველოსიპედის მოსაპარავად რომ შევიდნენ.

– ტონი, მგონი ვიღაც მოდის! – წაიჩურჩულა შეშინებულმა პინინმა.

– მეც შემომესმა. – თქვა ჯონფამაც. – სჯობს, გავიქცეთ! – და ვერც კი მოახერხეს რაიმეს მოპარვა, ისე გავარდნენ გარეთ.

საცხობის კედელთან ზოგჯერ სწორედ იმ დროს გაისმის მისი გაბმული ყმული, როცა დეფენდენტე კარს ორჯერ კეტავს და ცარიელი ტომრით ღარიბებისთვის განკუთვნილი პურის მოსაპარად სარდაფისკენ მიემართება. მეპურე სიბრაზისგან კბილებს აკრაჭუნებს: როგორ ხვდება ეს საძაგელი ძაღლი?! – მაგრამ ჯერ, ხელების მაღლა აწევას რომ ცდილობს, თავში ისევ უელვებს: – ვინმესთან რომ დამაბეზღოს, მთელ ჩემს ქონებას დავკარგავ!.. – და ცარიელი, დაკეცილი ტომრით იღლიაში კიბეებზე ასვლას იწყებს.

რამდენ ხანს გაგრძელდება ყველაფერი? ეს ძაღლი აღარ წავა აქედან? და რომ დარჩეს ქალაქში, რამდენი ჩელი იცოცხლებს კიდევ? იქნებ მისი თავიდან მოცილების რამე მეთოდი არსებობდეს?!

## XVI

საქმე ისაა, რომ საუკუნეების მანძილზე უყურადღებოდ დარჩენილ ეკლესიაში ხალხმა ნელ-ნელა იწყო სიარული. კვირაობით, წირვაზე, დიდი ხნის მეგობარი ქალები ერთმანეთს შეხვდნენ. ყოველ მათგანს თავისი სათქმელი აღმოაჩნდა: რას გეტყვი, იცი? ამ სიცივეში, ეს ერთადერთი ადგილია, სადაც თბილად შემიძლია ვიყო. კედლებია სქელი და ზაფხულში დაგროვილ სითბოს ახლა გამოყოფს! მეორემაც: მართლაც რომ დალოცვილია მღვდელი ტაბია. იაპონური მცენარის თესლებს დამპირდა... ხომ იცი, ყვითელი, ლამაზი ფოთლები რომ აქვს? სხვანაირად არ შეიძლება... ეკლესიაში თუ არ გამოვჩნდი, ბრაზდება; ჰგონია, თუ ვივიწყებ...მესამეც კიდევ: გესმით, ქალბატონო ერმინია? ისეთი მინდა მოვქარგო, საკურთხეველს რომ აფარია. სახლში წაღება არ შეიძლება, მსგავსის გასაკეთებლად, ამიტომ აქ მოვდივარ, ვაკვირდები, უკეთ რომ შევისწავლო; და რომ იცოდეთ, ეს იოლი საქმე არ არის!

ქალები ერთმანეთისას ისმენდნენ, ილიმებოდნენ, და თითოეული საკუთარი ამბავით თავის მოწონებას ცდილობდა.

მერე, – მღვდელი ტაბია გვიყურებს! – ერთმანეთს მოსნავლეებივით გადაუჩურჩულებდნენ და წირვის წიგნში თავით ჩაძვრებოდნენ.

მიზეზის გარეშე არავინ მოდიოდა. ქალბატონ ერმელინდას, მაგალითად, ეკლესი-

ის ორლანისტის გარდა სხვა ვერავინ ეპოვა, მისი შვილისთვის სიმღერა რომ ესწავლებინა, მუსიკაზე ასე ძლიერ რომ იყო გატაცებული, და ახლა, სწორედ, მის მოსასმენად იყო აქ მოსული; მსახური ქალი დედას შეხვედრის ადგილს ეკლესიაში უნიშნავდა, რადგან სახლში მისი ნახვა ქმარს აღარ უნდოდა; ექიმის ცოლიც კი, ზუსტად რამდენიმე წუთის წინ, მოედნაზე ფეხი რომ გადაუბრუნდა, დასასვენებლად ეკლესიაში შევიდა. უფრო იქით, საკურთხევლისკენ, მაგრამ გვერდით მხარეებში, მტვრისგან განაცრისფერებულ და ჩრდილში მოქცეულ კონფესიონალურ კაბინებთან რამდენიმე კაცი ბოძივით იდგა. დონ ტაბიაც საკურთხევლიდან განცვიფრებული იყურებოდა და წარმოსათქმელ სიტყვებს ძლივს პოულობდა.

გალეონე გარეთ, მზის გულზე ისე იწვა, თითქოს დამსახურებულად ისვენებსო. წირვის დასასრულს კი ეკლესიიდან გამოსულებს ბეწვის შეურხევლად დაუწყო ყურება. ქალები გამოვიდნენ და სხვადასხვა მხარეს ისე გაემართნენ, ძაღლი ვერც შეამჩნიეს, მაგრამ კუთხეში მოხვევამდე, ზურგში ორი ნვეტიანი მახვილივით ჩხვლეტა კი იგრძნეს.

### XVII

სხვა ძაღლის ჩრდილიც, გალეონეს რომ ჰგავედეს, ადამიანს შიშში ჩააგდებს. იქ, სადაც ხალხია, მაგალითად, ბაზარში ან საღამოს, სეირნობისას, ეს ოთხფეხა ცხოველი არსად არაფერს აკლდება; და აბსოლუტური სიამოვნება ეტყობა მათგან განსხვავებით, ვინც მარტო და თავისთვისაა. ხალხი სახელს ეძახის, საჭმელს სთავაზობს...

– ეჰ, ის ძველი, ლამაზი დრო!.. – წამოიძახებენ ხოლმე ადამიანები, ისე, დაუფიქრებლად, დაუზუსტებლად. ყველა ხვდება, ეს როგორი წამოძახილიცაა. ლამაზ დროში იგულისხმება, როცა ყველაფრის კეთება შეიძლება, რასაც მოინდომებ, იქნება ის გართობა, რაიმეს მოპარვა თუ კვირაობით შუადღემდე ლოგინზე გორაობა. მაღაზიაში ახლა ყველაფერს ზუსტად წონიან, მომსახურე გოგოს აღარ სცემენ; კარმინე ესპოზიტომ თავის სააგენტოში ყველაფერი შეფუთა და ქალაქში გადავიდა; უფროსი ვენარიელო მოწყენილობითა და ტყუილად ყოფნით არაქათგამოცლილი კარაბინიერების ყაზარმის წინ მზეზე წამოწვა, ქურდები კი გაეანადგურეო, მშვიდად იყო; როგორც მანამდე, დღეს აღარც იგინებიან ისე... ყველას რაღაცის შიში აქვს, ყველა ფრთხილობს, სადმე ძაღლი არ იმალებოდეს.

დღეს ვინღა ბედავს ასე თავისუფლად ყოფნას?! ვიღას შესწევს იმის გამბედაობა, რომ გალეონეს ფეხი მოუქნიოს ან ერთი მოწამლული კატლეტი გადაუგდოს?! არადა, ყველას სურვილი ესაა! არც ღვთის სამსახურში მყოფებს შეუძლიათ რამის კეთება. ლოგიკის მიხედვით, ისინი გალეონეს მხარეს უნდა იყვნენ და ვინმეს ყურადღების მისაქცევად მიაბარონ, მაგრამ...

ერთ ქარიშხლიან და წვიმიან ღამეს ისეთი ელვა და ჭექა-ქუხილი იყო, გეგონებოდათ, სამყარო იქცევაო. დეფენდენტე საპორის ძალიან კარგი, კურდღელივით ყურთასმენა ჰქონდა და ჭექა-ქუხილის ხმა ხელს სულაც არ უშლიდა რაიმეს გაგონებაში. ეზოში ქურდები უნდა ყოფილიყვნენ...

დეფენდენტე ლოგინიდან წამოვარდა, თოფს ხელი სტაცა და ფანჯრის დარაბებიდან ჭვრიტინი დაიწყო. ორი ტიპი შეამჩნია, საწყობის კარის გაღებას რომ ცდილობდნენ. გაელვებაზე თვალი მოჰკრა, შუა ეზოში, იმ თავსხმა წვიმაში დიდი, შავი ძაღლი გაუნძრევლად იწვა. ის უნდა ყოფილიყო, ის დაწყევლილი! იმ ორი ბანდიტის ხელის შესაშლელად იყო ალბათ მოსული.

დეფენდენტე სიბრაზემ მოიცვა, ჩაზმახი გამოსწია, დარაბის ჭრილში ლულა გაჰყო, ელვის ახალ განათებას დაელოდა და ძაღლს დაუმიზნა.

პირველი ნასროლი მთლად გრუხუნში აირია.

ქურდი, ქურდი! – დაიწყო ყვირილი მეპურემ.

თოფი ისევ დატენა, ისროლა და ქშენა-ქშენით სხვა ოთახებში გავარდა. ბრახუნსა და ყვირილზე ლოგინებიდან მისი ცოლი, შვილები და მოსამსახურე ბიჭი წამოვარდნენ. ყველა შეშინებული იყო.

ბატონო დეფენდენტე! – გაისმა ეზოდან. – იცოდეთ, რომ თქვენ ძაღლი მოკალით!

ამ სამყაროში შეცდომის დაშვება შესაძლებელია, მით უმეტეს, ასეთ ღამეში... და გალეონეც გაშეშებული ეგდო წყლის გუბეში. ტყვიას მისთვის შუბლი გაეხვრიტა, მაშინვე მოეკლა, აღარ ინძრეოდა. დეფენდენტე მის სანახავად არც კი გასულა. ის მხოლოდ საწყობის კარის შესამოწმებლად ჩავიდა, ქურდებს ხომ არ გაუტეხიათო. მერე, თითქოს არაფერი მომხდარაო, ყველას მშვიდობიანი ღამე უსურვა და საბანში შეძვრა. – როგორც იქნა! – გაიფიქრა და ღრმა ძილისთვის მოემზადა, თუმცა თვალის მოხუჭვა ვერანაირად ვერ მოახერხა.

### XVIII

დილით, როცა ჯერ კიდევ ბნელოდა, ორმა მოსამსახურე ბიჭმა მკვდარი ძაღლი ეზოდან გაიტანა და მინდვრისკენ დასამარხად წაიღო. დეფენდენტეს მათთვის არ უთქვამს, ეს ამბავი არავის გააგებინოთო, ხალხში ეჭვის წარმოშობას მოერიდა, თავის თავზე ლაპარაკის აცილებას შეეცადა.

ვინ გაახმაურა აბა ეს ფაქტი? საღამოს, მეპურე კაფეში

როგორც კი შევიდა, მაშინვე მიხვდა, ყველამ ყველაფერი რომ იცოდა. ყავას სვამდნენ და უყურებდნენ, მაგრამ თვალს ერთ წამშივე აწყვეტდნენ, მისი აფორიაქება რომ არ გამოეწვიათ.

ვისროლეთ ღამით, არა?! – უთხრა მოულოდნელად ბერნარდისმა, როგორც კი მიესალმა. – დიდი შერკინება გქონია ამ ღამით საცხობში.

ვინ იცის, ვინ იყვნენ?! – უპასუხა დეფენდენტემ. – საწყობის გატეხვა უნდოდათ იმ ბანდიტებს, ქურდბაცაცებს! ისე ვისროლე, ბრმად...

ბრმად? – ჰკითხა ლუჩონიმ ცბიერი ხმით. – და რატომ არ ესროლე პირდაპირ, თუკი უკვე ისროდი?

რა უნდა დამენახა იმ სიბნელეში?! კარზე ფხაჭუნი გავიგონე და ისე ვისროლე, სხვათა შორის.

და ასე... ასე იმქვეყნად გაუშვი საცოდავი, უდანაშაულო ცხოველი...

ჰო, მართლა!.. – თქვა მეპურემ, თითქოს ფიქრებში ყოფილიყო გართული. – ძაღლს გავარტყი. ვინ იცის, ეზოში როგორ შემოვიდა?! ჩემთან ძაღლები საერთოდ ვერ შემოდიან.

რაღაცნაირი სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა მას მიაჩერდა. მექალალდე ტრევალია ადგა და გასასვლელისკენ გაემართა:

– ეჰ, მშვიდობიან საღამოს გისურვებთ, ბატონებო! – მერე, თითქმის მარცვლებად, – მშვიდობიანი საღამო თქვენც, ბატონო საპორი! – თქვა და გავიდა.

– დიდი პატივია! – უპასუხა მეპურემ და ზურგი შეაქცია.

რისი თქმა უნდოდა იმ დებილს? ბრალად დებდნენ, განდეგილის ძაღლი მოკალიო, იმის მაგივრად, რომ კმაყოფილები დარჩენილიყვნენ! ყველას ჩამოაშორა ის მაწანწალა, გაათავისუფლა მისგან და ახლა კიდევ ცხვირს უბზუებდნენ! რა ემართებოდათ?! ერთხელ მაინც ყოფილიყვნენ გულახდილები!

ბერნარდისმა სცადა, აეხსნა:

იცი, დეფენდენტე, ზოგი ამბობს, უკეთესი იქნებოდა, ისცხოველი არ მოეკლაო.

და რატომ? ძალით ხომ არ მიქნია?

ძალით ქენი თუ არა, ნახე, ძაღლი განდეგილის იყო, ამბობენ, და თან ამბობენ, ცოცხალი რომ ყოფილიყო, უკეთესი იქნებოდაო; და იმასაც ამბობენ, რომ ყველაფერი უკან დაგვიბრუნდება... კი იცი, რასაც ნიშნავს ამგვარი ლაპარაკი!..

მე რა ვიცი განდეგილების ძაღლები? ჩემი გასამართლება უნდათ მაგ სულელებს? – და გაცინება სცადა.

მაშინ ლუჩონიმ დაილაპარაკა: მშვიდად, მშვიდად, ბიჭებო! ვინ თქვა განდეგილის ძაღლიაო? ვინ გაავრცელა ეს სისულელე?

დეფენდენტე: თვითონ თუ არ იციან! – და მხრები აიჩეჩა.

ჩაერია კავალერიც: ზუსტად ისინი ამბობენ, ვინც ამ დილით დამარხა, მარცხენა ყურის წვერზე თეთრი ლაქა ჰქონდაო.

და შავი იყო მთლად?

ჰო, შავი. – უპასუხა ერთმა იქ მდგომმა.

დიდი ზომის და ფომფორა კუდით?

ზუსტად!

ანუ განდეგილის ძაღლი? ამის თქმა გინდათ?

დაიხ, განდეგილის.

შეხედეთ, ეგერ მოდის ის თქვენი ძაღლი! – წამოიძახა ლუჩონიმ და ხელი ქუჩისკენ გაიშვირა. – შეხედეთ, წინანდელზე მეტად ჯანმრთელი და ცოცხალია!

დეფენდენტე ცარცივით გაფითრდა. გალეონე თავისი მოქნილი ტანით გზაზე მოაბიჯებდა; ერთი წამით კაფეს ვიტრინასთან შეჩერდა, მის მიღმა მყოფ მამაკაცებს დააკვირდა და მერე გზა მშვიდად გააგრძელა.

XIX

რატომ აქვთ მათხოვრებს იმის შეგრძნება, რომ თითქოს დილაობით ჩვეულებრივზე მეტ პურს იღებენ? რატომ არის მათი ყუთები დღეს სავსე, როცა წლების მანძილზე შიგ ფულის ნასახი არ იდო? რატომ დადიან ბავშვები ახლა სიამოვნებით სკოლაში, როცა აქამდე მოუთვინიერებლები იყვნენ? რატომ რჩება ყურძენი ვაზზე რთველამდე, თუკი მანამდე იპარავდნენ? რატომ აღარ ესვრიან ქვებსა და გაფუჭებულ გოგრებს მარტინოს კუზზე? რატომ ეს და ყველაფერი სხვა? რატომ ხდება დღეს ასე და სხვა დროს არ ხდებოდა? არავინ არაფერს აღიარებს. ტისის მაცხოვრებლებს არაფერი სცდებათ. მათი ტუჩებიდან სიმართლე არასოდეს გამოდის. ძაღლის ეშინიათ, მაგრამ არა იმიტომ, რომ უკბენს, არამედ ცუდ აზრს შეიქმნის მათზე.

დეფენდენტე შხამს აფრქვევს. მონობა იყო. მოსვენება ღამითაც არ შეიძლებოდა. რამხელა ტვირთია ღმერთი მისთვის, ვისაც მისი არსებობა არ უნდა; და ღმერთი აქ რაღაც ზღაპარივით კი არ იყო ეკლესიის სანთელსა და საკმეველს შორის, არამედ სახლებში ტრიალებდა, ძაღლის სახით აქეთ-იქით დადიოდა და თავის სათქმელს ამბობდა.

ქვეყნის მქმნელის ერთი ნამცეცი, სულის ერთი შებერვა იყო გალეონეში ჩასახული, რომლის თვალებითაც ის სამყაროს ხედავდა და ანგარიშს უწევდა.

ძაღლი რომ დაბერდებოდა? ძალადაკარგული წლების მანძილზე ერთ კუთხეში რომ დარჩებოდა, თავს აღარავის შეაწყენდა?

და წლები გადიოდა... ეკლესია სამუშაო დღეებშიც სავსე იყო. გოგოები კოლონებს შორის სასეირნოდ აღარ დადიოდნენ და შუაღამისას ჯარისკაცებთან ერთად აღარ კისკისებდნენ. დეფენდენტემ, ის ძველი კალათი რომ დაუზიანდა, ახალი იყიდა, მაგრამ საიდუმლო კარს პურის მოსაპარად აღარ

ალებდა, ვერც ბედავდა, სანამ გალეონე აქეთ-იქით წრიალებდა. ოფიცერ ევნარიელოს ახლა კარაბინიერების ყაზარმაში ჭილის სავარძელში ჩაფლულს ეძინა.

გავიდა წლები და ძაღლი გალეონე დაბერდა, მაგრამ მაინც მოქნილად დადიოდა, თუმცა ნელა, სანამ ერთ დღეს უკანა ფეხების პარალიჩი არ დაემართა და სიარული ველარ შეძლო.

საბედნიეროდ, ეს ინციდენტი მას მოედანზე შეემთხვა, საკათედრო ტაძრის კედელთან რომ ეძინა, რომლიდანაც მიწა მდინარემდე დაქანებულად ჩადიოდა. ეს ადგილი და პოზიცია მისთვის ჰიგიენური თვალსაზრისით კარგი იყო, რადგან ბუნებრივი მოთხოვნილებებით არაფერს სვრიდა და პირდაპირ მდინარეს უერთდებოდა, მაგრამ ცუდი ის იყო, რომ იქაურობა ქარისა და წვიმისაგან არ იფარებოდა.

ახლაც, ბუნებრივია, არავინ შეიმჩნია ძაღლის იქ არსებობა, თუმცა ყველა ხედავდა. მისი მტანჯველი მდგომარეობით, ცოტა არ იყოს, რაღაც იმედიც გაუჩნდათ. ძაღლი, უპირველეს ყოვლისა, აქეთ-იქით ველარ იელიდა, ერთი მეტრითაც ველარ გადაადგილდებოდა, მეტიც, ვინ მისცემდა მას საკვებს ყველას თვალწინ? ვინ აღიარებდა პირველი ცხოველთან საიდუმლო კავშირს? ვინ ჩაიგდებდა თავს სასაცილო მდგომარეობაში? აქედან გამომდინარე, ყველა იმედოვნებდა, რომ გალეონე შიმშილით მაინც მოკვდებოდა.

სადილის წინ კაცები მოედნის ირგვლივ, ტროტუარზე სეირნობდნენ და ჩვეულებრივ, უმნიშვნელო თემებზე ლაპარაკობდნენ, როგორიც იყო, მაგალითად: კბილის ექიმის ახალი ექთანი, ნადირობა, ტყვიების ფასი, ბოლოს ნაჩვენები ფილმი... მოსეირნეები თავიანთი პიჯაკების ბოლოებით ძაღლის ცხვირს ედებოდნენ, რომელიც სასიკვდილოდ სუნთქავდა და კედლის კიდიდან გადავარდნას რისკავდა. ადამიანები ცხოველს ზემოთ ულამაზეს პეიზაჟს ხედავდნენ, მდინარეზე მზის ჩასვლა რომ ისახებოდა. რვა საათისთვის ჩრდილოეთიდან დიდი ღრუბლები წამოვიდა, მოედანზე წვიმა დაუშვა და იქაურობა დაცარიელდა.

მაგრამ შუაღამისას, ძლიერი წვიმის დროს, სახლების გასწვრივ საიდუმლო შეთქმულების მონაწილეებივით ჩრდილებიც გამოჩნდნენ, რომლებიც ქურდულად, წელში მოხრილთა და დიდი ნახტომებით მოედნისკენ გაემართნენ. იქ სვეტებსა და კოლონებს ამოეფარნენ და შესაფერის მომენტს დაელოდნენ. ლამპიონები იმ დროს ნაკლებად ანათებენ და იქაურობას მეტწილად ბნელში ტოვებენ. ადამიანის რამდენი ფიგურაა? ალბათ, ათამდე. ძაღლისთვის საჭმელი მიაქვთ, მაგრამ თითოეული ისე აკეთებს, რომ შეუცნობელი იყოს. ძაღლს არ სძინავს, კედელთან ახლოს, ხევის შავ ფონზე წევს. ორი მწვანე და ფოსფორისებური თვალი ისევ ანათებს. დროგამოშვებით მისი გაბმული კვნესა ისმის, რომელიც მოედანზე ექოსავით გადადის.

ერთიც გამოჩნდა... სახეზე გრძელი შარფი შემოეხვია, ველოსიპედისტის ქუდი შუბლზე კარგად ჩამოეწია; როგორც იქნა, ძაღლს მიუახლოვდა. არავინ გამოსულა მის შესაცნობად. ისედაც, ყველას საკუთარი თავის გამოჩენის ეშინოდა.

ერთმანეთის მიყოლებით, გრძელი ინტერვალებით, შეხვედრების თავიდან აცილების მიზნით, ამოუცნობმა პირებმა საკათედრო ტაძრის კედელზე რაღაცები დადეს. ყმუილი შეწყდა.

დილით გალეონემ წყალგაუმტარი პლედის ქვეშ გაიღვიძა. გვერდით, კედელზე ღვთისგან ნაბოძებივით ყველაფერი იდო: პური, ყველი, ხორცის ნაჭრები, რძით სავსე ჯამიც კი.

## XX

გალეონეს სიარული რომ აღარ შეეძლო, მოსახლეობამ თითქოს ამოისუნთქა, მაგრამ ეს მხოლოდ მათი ხანმოკლე ილუზია იყო. კედლის კიდიდან ძაღლის ორი თვალი ყველაფერს უყურებდა. ტისის უმეტესი ნაწილი მისი ყურადღების ქვეშ მაინც იმყოფებოდა. და ვინ იცოდა, თუ რამდენად მწვეილი იყო ეს გამოხედვა?! გარეუბნებში არსებულ სახლებსაც კი, გალეონეს მზედველობის გარეთ რომ იყო, ყმუილის ხმა წვდებოდა. ახლა ძველი ჩვევები ისევ უნდა დაებრუნებინათ? ძაღლის გამო უკვე ბევრი რამ იყო შეცვლილი და ეს გაუთვითცნობიერებელი ცრურწმენა წლების მანძილზე მთელი ყურადღებით ინახებოდა! დეფენდენტეც კი, რომლის საცხობი ცხოველის თვალთახედვიდან საკმაოდ შორს იყო, გინების ჩვევას არ დაბრუნებია და სარდაფის ფანჯრიდან არც პურის მოპარვა უცდია.

გალეონე ახლა წინანდელზე უფრო მეტს ჭამდა და გაუნძრევლად წოლის გამო, ღორივით სუქდებოდა. ვინ იცის, რამდენი ხნის სიცოცხლე ჰქონდა კიდევ დარჩენილი! სიცივეების დასაწყისში რაღაცის იმედი ისევ გაჩნდა: მიუხედავად იმისა, რომ წყალგაუმტარი ქსოვილი ეფარა, ძაღლს ქარი მაინც უბერავდა და შეიძლებოდა გაციებულიყო.

ყველა ილუზია ამჟამადაც იმ საძაგელმა ლუჩონიმ დაარღვია. ერთ საღამოს, კაფეში, ნადირობის ამბავს რომ ჰყვებოდა, თქვა, დიდი ხნის წინ, ღამე თოვლში გავატარე, რის შედეგადაც ძაღლს ცოფი დაემართა და იძულებული შევიქენი მომეკლა, გული ახლაც მტკივა, რომ ვიხსენებო.

და ის ძაღლი!.. – კავალერი ბერნარდისი იყო, სულ რომ არასასურველ თემებს ეხებოდა. – ის ძაღლი, პარალიზებული რომ წევს ეკლესიის კედელთან და ზოგიერთი დებილი საჭმელს აჭმევს, ჩვენთვის საშიში არ იქნება?

ისიც ცოფიანი რომ გახდეს? – ჰკითხა დეფენდენტემ. – მაინც ველარ ინძრევა, და!

და ვინ გითხრა?! – უპასუხა ლუჩონიმ. – ცოფი ძალას მატებს. არ გამიკვირდება, ერთ დღეს თხასავით ხტუნვა რომ დაიწყოს.

ბერნარდისი უსიტყვოდ დარჩა: – ჰო, მაშინ...

ოჰ, მე სულაც არ მაინტერესებს! ერთი ნამდვილი მეგობარი ყოველთვის თან მყავს. – თქვა ლუჩონიმ და ჯიბიდან რევოლვერი ამოიღო.

შენ, შენ! – თქვა ბერნარდისმა. – შენ რომ ჩემსავით სამი შვილი გყავდეს, დამიჯერე, სულერთი მართლა არ იქნება, პირიქით!..

მე გითხარით და ახლა თქვენ იფიქრეთ!.. – თქვა მეწარმემ და პისტოლეტის ტარი სახელოზე ჩამოისვა.

XXI

რამდენი წელი გავიდა განდეგილის სიკვდილიდან? სამი, ოთხი, ხუთი... ვინმეს თუ ახსოვს, ნეტა?! ნოემბრის დასაწყისისთვის ძაღლის დასაბინავებლად ხის ყუთი თითქმის მზად იყო. რადგანაც დიდ თანხებს არ უკავშირდებოდა და მოკლე დროშიც შეიძლებოდა, გაეკეთებინათ, თემა სოფლის საბჭოს სხდომაზეც განიხილეს. ძაღლის მოკვლის ან სადმე, სხვა ადგილას გადაყვანის შესახებ, საქმე იოლად რომ მოეგვარებინათ, წინადადება არავის წამოუყენებია. ხის საძაღლის გაკეთება და მისი წითლად შეღებვა დურგალ სტეფანოს დაავალეს, ეკლესიის კედლებთან ცოტა შესაფერისი რომ ყოფილიყო.

რა უაზრობაა! რა სისულელეა! – ამბობდა ყველა, თითქოს მათ არ ეკუთვნოდათ ეს აზრი.

და ეს რას ნიშნავდა? ძაღლისადმი შიში, რომელსაც ღმერთი ჰყავდა ნანახი, უკვე საიდუმლო აღარ იყო?

მაგრამ საძაღლის გაკეთების იდეა აღარ განხორციელებულა. ნოემბრის დასაწყისში, დილის ოთხ საათზე, საცხობში სამუშაოდ მიმავალმა ბიჭმა, ეკლესიის კედელთან რომ გაიარა, რაღაც შავი, უმოძრაოდ დადებული დაინახა; მიუახლოვდა, შეეხო და საცხობისკენ მოჰკურცხლა.

კიდევ რაღა მოხდა? – იკითხა დეფენდენტემ, აქოშინებული ბიჭი რომ დაინახა.

მოკვდა, მოკვდა! – ბლუკუნებდა ბიჭი.

ვინ მოკვდა?

ის ძაღლი. ძირს დაგდებული ვნახე და ქვასავით მაგარი იყო.

ამოისუნთქეს? სიხარულით ცას ეწივნენ? ღვთის ის არასასურველი ნაწილი, მართალია, როგორც იქნა, გამქრალიყო, დიდი ხანიც დაეყო უკვე მათთან ერთად. უკან დაბრუნება და თავიდან დაწყება როგორ შეიძლებოდა? იმ წლებში ახალგაზრდებს სხვანაირი ჩვევები ჰქონდათ უკვე გამომუშავებული. კვირის წირვა ყველაფრის შემდეგ მათთვის ამოსუნთქვასავით იყო, სულიერი თავისუფლებასავით; და ის გინებაც ახლა უკვე სხვანაირად ჟღერდა, უფრო ყალბი წამოძახილივით ისმოდა. ამოსუნთქვას ელოდნენ, და პირიქით მოხდა...

და მერე: ის ძველი ჩვეულებები რომ წამოეწყოთ ისევ, ესენი აღიარებასავით არ გამოუვიდოდათ? ამდენი ინვალიდს რომ დაემალათ, და ახლა სირცხვილის გრძნობა მზის სინათლეზე უნდა გამოეტანათ? ქალაქს მთელი ცხოვრება და ჩვევები ერთი ძაღლის გამო შეეცვალა? სად არ იცინებდნენ ამაზე!

და მაინც: სად უნდა დაემარხათ ცხოველი? პარკში? არა, არა, სოფლის გულში არასოდეს! ხალხს უკვე საკმარისადაც ჰქონდა მისგან ნანახი. კანალიზაციაში? ადამიანებმა ერთმანეთს გადახედეს, ხმის ამოღებას ვერავინ ბედავდა.

კანონი ამის უფლებას არ იძლევა! – შენიშნა ბოლოს საბჭოს წარმომადგენელმა, უხერხულობიდან რომ გამოსულიყო. კრემაცია მოეხდინათ? და მერე რამე ინფექცია რომ გამოეწვია? მაშინ სადმე სოფელში უნდა დაემარხათ, და აი, სწორი გადაწყვეტილებაც ეს იქნებოდა! მაგრამ რომელ სოფელში? ამის ნებას ვინ დართავდა? წინააღმდეგობას გაუწევდნენ, არავის ენდომებოდა მკვდარი ძაღლის თავისთან დამარხვა.

და განდეგილთან ახლოს?

ძაღლი, რომელმაც ღმერთი ნახა, ერთ პატარა ყუთში ჩადეს, ეტლზე შედეს და გორაკისკენ წაიღეს. კვირა დღე იყო, და გართობის მიზნით ბევრი უკან გაჰყვა. ქალებითა და კაცებით დატვირთული ექვსი-შვიდი ეტლი დაიძრა. ხალხი თავს ძალას ატანდა და მხიარულ ხასიათზე ყოფნას ცდილობდა. მზე სანამ ამოვიდოდა, გაციებული მინდვრები და შიშველი ხეები რა თქმა უნდა ლამაზ სანახაობას ვერ ქმნიდნენ.

გორაკს რომ მიუახლოვდნენ, ეტლებიდან ჩამოვიდნენ და ძველი ეკლესიის ნანგრევებისკენ გზას ფეხით აუყვნენ. ბავშვები წინ მირბოდნენ.

დედა, დედა! – ისმოდა ზემოდან ყვირილი. – ჩქარა!

მოდით, ნახეთ!

ნაბიჯს აუჩქარეს, სილვესტროს საფლავს მიუახლოვდნენ. იმ დღის მერე, რაც ის დაასაფლავეს, იქ არავინ ასულა. ხის ჯვრის ძირას, ზუსტად განდეგილის თავზე ერთი პატარა ჩონჩხი ესვენა. თოვლს, ქარსა და წვიმას ის მთლად გაენადგურებინა, ძაფივით დაეწვრილებინა და გაეთეთრებინა.

ძაღლის ჩონჩხი...

***იტალიურიდან თარგმნა მაია ტურაზელიძემ***

ეროვნული ბიბლიოთეკა

## *საძაი ბუდაგლი*

*(1955)*



აზერბაიჯანელი მწერალი და მთარგმნელი. დაამთავრა მოსკოვის გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი. სამი პროზაული წიგნის ავტორია. კრებულისთვის „მოგება", რომელიც მოსკოვში რუსულ ენაზე დაისტამბა, დაჯილდოებულია გორკის სახელობის ლიტერატურული პრემიით. იგი ასევე ლაურეატია ყოველკვირეული გამოცემისა „ნედელია". 1982 წელს დაიმსახურა ჟურნალის „დრუჟბა ნაროდოვ" პრემია წლის საუკეთესო მოთხრობისათვის; 2009 წელს კი მიენიჭა აზერბაიჯანის კულტურის სამინისტროს პრემია „ოქროს სიტყვა".

# გვალვიანი ამინდები

გუშინ, ტუალეტიდან გამოსვლისას, ქამარს იკრავდა და დაბოღმილი ფიქრობდა, ეგებ თვითმკვლელობით დავამთავრო სიცოცხლეო.

ამინდი უცებ შეიცვალა და აცივდა. დაიძინეს, დილით რომ გაიღვიძეს, დაინახეს, რომ გუშინდელი სიცხის ნატამალიც აღარაა. წვიმს, ცივი ქარი უბერავს. ხალხს თბილად აცვია. ცოლმა ჭურჭლის ხმაურში გარეული ხმით აუწყა, დღეს ოცდაორი სექტემბერია, ანუ შემოდგომის პირველი დღეაო. ის კი ერთ დღეში სამოსგამოცვლილ ადამიანებს, ჟინჟღლიან ქალაქს უმზერდა და ბუნების ეს ამბავი უკვირდა.

მაგრამ გაკვირვებამ მალე გაუარა, რადგანაც პატარა-პატარა საზრუნავებმა წაართვა თავი: სეზონის შესაბამისი ფეხსაცმელები უნდა ეყიდა და სანვიმარი ქიმწმენდაში მიეტანა; გარდა ამისა, ალბათ ცოლ-შვილსაც უნდა უყიდოს რაღაც-რაღაცები.

არც ამ პატარ-პატარა საზრუნავებს შეუწუხებია დიდხანს. წლობით დაგროვილი გამოცდილებით იცოდა, რომ შემოდგომაც გაივლიდა, მერე მას ზამთარიც მიჰყვებოდა ფეხათრევით, ზამთარს კი გაზაფხული შეცვლიდა თავისი თბილი დღეებით. თანდათან დათბებოდა და მასაც გაუთბობდა გათოშილ სხეულს. დაავიწყებდა ამ უჟმურ ამინდებს, როგორც, მადლობა ღმერთს, მრავალი ასეთი ჟამი მისცემია დავიწყებას.

იმ წვიმიანი დღის შემდეგ, რომელმაც მისი პლაჟზე წასვლის ამაო იმედები საბოლოოდ ჩააცხრო, ერთიანად აგრილდა. მზიანი დარი იდგა. როგორც პოეტები იტყვიან, ნამდვილი ოქროს შემოდგომა იყო. იმის გამო, რომ ერთბაშად აგრილდა ზაფხულის პაპანაქების შემდეგ, შეებით ამოისუნთქა. შემოდგომის ასეთი დარები რატომღაც გაზაფხულს ახსენებდა, თანაც, ერთი რომელიმე წლის გაზაფხულს არა...

ასე, თავისთვის იყო და უცებ საიდანღაც ცხვირში ნაძნვის სუნი, ჭიაკოკონას სურნელი ეცემოდა ხოლმე. მერე ამ სურნელს რაღაც გრძნობაც გაერეოდა და ნოვრუზ ბაირამსა და უზრუნველ ბავშვობას ახსენებდა.

შეიძლება, ამ შემთხვევაში სიტყვა გახსენება უადგილოც კი იყოს, რადგანაც ბავშვობა ნამიერად გაიელვებდა ხოლმე მის სულში, ბავშობისდროინდელი ამბები, სიხარულები და განცდები, რაღაცნაირად, ერთ წამში იყრიდა თავს. ამიტომაც იგი, ამ ერთი წამით დატყვევებული, ბოლომდე ვერ ხვდებოდა, რა დაემართა, რატომ აუჩქროლდა გული, ტირი-

ლის სურვილი დარდისგანაა თუ ბედნიერების გამო.

ეს, ჩიტის გალიის მაგვარი, ორსართულიან სახლებში განლაგებული ბინები ერთმანეთისგან ფიცრის კედლებით იყო გამიჯნული და სიარულისას საქანელა ხიდებივით ირხეოდა. პატარა ხმაურზე ყველა კრთებოდა. ხმები და სიტყვები ბინიდან ბინაში, პირიდან პირში გადადიოდა, ითქმოდა-ილექებოდა, ქუჩაში გადიოდა და შინაარსსა და ელფერს ისე იცვლიდა, რომ უკან მობრუნებულს თავისი პატრონიც კი ველარ სცნობდა. ამიტომაც ყველა ცდილობდა, ნერვები მოეთოკა, ნაკლებად ემოციური ყოფილიყო და მშვიდი ცხოვრების წესით ეცხოვრა. შორიდან ისე მოჩანდა, რომ ამ სახლში ყველა ბედნიერია. ასეც იცოდა, ან, უფრო სწორად, უნდოდა, ასე სცოდნოდა, რადგანაც თუ ჩაუღრმავდებოდა, ყოველთვის რაღაცას გამოჩხრეკდა ხოლმე. მერე კი ეს რაღაცა მოსვენებას არ აძლევდა. ერთი ეგ იყო, რომ დედაბერი ხეირი მას გასაქანს არ აძლევდა. ეტყობა, მოხუცი დღე-ღამის მონაცვლეობას ველარ გრძნობდა და ნებისმიერ დროს ჩლიფინებდა, ან თავისთვის რაღაცებს ბუზღუნებდა ხოლმე.

როცა არ ლაპარაკობდა, მისი სუნთქვა მოისმოდა, ისეთ ხმას გამოსცემდა, გეგონება, გამოქვაბულიდან უბერავსო. ქალი გაძვალტყავებული იყო, აღარც კარგი ახსოვდა და აღარც ავი, კაცმა რომ თქვას, არც თავისი თავი ახსოვდა, არც გარდაცვლილი თუ ბედად გადარჩენილი შვილები. წინ საჭმელი ედო და თავის ქალიშვილს აგინებდა, ლანძღავდა, ამბობდა, შიმშილით ამომალპოო, საჭმელს არ მაჭმევსო. ერთთავად სიკვდილს ნატრობდა. მაგრამ როცა აბანავებდნენ, ფართხალებდა, ყვიროდა, ტიროდა, ეგონა, უკანასკნელი განბანვაა – აბანავებენ, სუდარაში გაახვევენ და დამარხავენ.

ამ დედაბერს მასთან არაფერი ესაქმებოდა, იგი მისი არაფერი იყო, ამას ხშირად იმეორებდა, მაგრამ თავს ვერ ერეოდა. ხმაური, რომელიც კედლის იქითა მხრიდან მოისმოდა, განწყობას უშხამავდა. როცა მეზობელთან არავინ იყო, დედაბრის ხმაზე თავად რეაგირებდა, მიდიოდა მასთან, თავისიანები თუ შინ იყვნენ, დასახმარებლად ვინმეს აგზავნიდა, წამალს შოულობდა, ახტავას უვსებდა, ეზოში გაყვანილს მხარს უმარჯვებდა, ერთი სიტყვით, ყველანაირად ცდილობდა, რომ დედაბერს გულის გამაწყალებელი ტონით ნაკლებად ებუზღუნა... ეგ იყო, რომ ყველაფერ ამას მხოლოდ გონებაში აკეთებდა. ამ წესით იგი მრავალს ეხმარებოდა, გასაჭირში ხელს უმართავდა. ამიტომაც, როცა ამ ადამიანებისგან საპასუხო სიკეთის მაგიერ გულგრილობას ანდა სიავეს ხედავდა, არ იცოდა, ბრაზისგან რა ექნა.

ბოლო დროს კვლავ მოუხშირა სარკეში ყურებას. მგონი, სიცოცხლე ნელ-ნელა ულევდა ბოლოს: თმა სცვიოდა, აქა-იქ უჭაღარავდებოდა. სახის კუნთები ეშვებოდა და კბილები ულპებოდა. ალბათ ზოგიერთი სნეულებების შესახებ ჯერ არ უწყოდა, ალბათ ის დაავადებები ჯერ გზად იყვნენ, მისი ორგანიზმის რომელიღაც ნაწილში ღვივდებოდნენ. და ერთხელაც იქნება, დაინახავს, რომ უკვე მზადაა რადიკულიტი, შაქარი, ასთმა, მიოკარდი...

ცუდი ეგ იყო, შეუმჩნევლად შეცვლილ სახის ნაკვთებს სარკეში რომ ხედავდა, ნერვიულობდა, მერე ამ ნერვიულობაზე კიდევ უხერხულობას გრძნობდა და რცხვენოდა. თავის თავსა და ამ გრძნობას რომ შორეოდა, რა უჭირდა. თუმცა კი გრძნობები ისეთი აღარ ჰქონდა, როგორც ადრე, ცოტა დაბლაგვებოდა, უნინდელივით მჭრელი არ იყო. თავადაც უფრთხილდებოდა, აღვირს უნევდა, შიშობდა, ნალები სადმე არ დაეყარა, ზედმეტ აყალმაყალს თავს არიდებდა, ემოციების ამმძვრელ საქმეებში არ ერეოდა, იორღა სვლით მისთვის ცნობილი ბილიკებით მიერეკებოდა ცხოვრებას. მღელვარება, მოუთმენლობა და უძილო ღამეები გადატანილი ჰქონდა. უწინ გადაეტანა. თავის თავს აჩქარებდა, მალე, მალე, მალე გაიზარდოს, დამოუკიდებელი გახდეს, მეგობარი შეიძინოს, გაიცნოს, დაოჯახდეს, ბავშვები ეყოლოს, ქალს უღალატოს, იეჭვიანოს, აეჭვიანოს... მალე, მალე, მალე... ბევრი რამ ნახა ამქვეყნად და უცებ მიხვდა, რომ შეუძლია, აღარ იჩქაროს, გრძნობები უკვე ერთმანეთს იმეორებენ, ყველაფერი მეორდება, თითქოს ახლა მოძრაობა ზოგჯერ საჭირო არცაა, შეგიძლია, ლოგინში წამოგორდე და ბევრი რამ წარმოიდგინო.

შეიძლება, წარმოსახვის გრძნობის გამო იყო, რომ სალვისთან შესახვედრად ასე ხშირად აღარ მიილტვოდა. ზოგჯერ რაღაც მიზეზით შეხვედრას რომ გადადებდა ხოლმე, უხაროდა. მერე კი თავის თავს საყვედურობდა, ხვეწნა-მუდარით ნაშოვნი გასაღებისა და სხვის ოთახში გატარებული ერთი-ორი საათის გამო ნეტარებდა, ღმერთს ლოცვა-კურთხევას სწირავდა, რომ იგი სალვის შეახვედრა.

სალვი ავტობუსში გაიცნო. დილით ბავშვი საბავშვო ბაღში რომ დაჰყავდა, ყოველთვის გადაჭედილი ავტობუსით უწევდა მგზავრობა. ერთ მშვენიერ დღეს ერთმა შავგვრემანმა, მიმზიდველმა გოგონამ ბავშვი გამოართვა და კალთაში ჩაისვა. ეს რამდენჯერმე განმეორდა, მერე, როგორც იტყვიან, ამ შემთხვევით შეხვედრებს შეეგუვნენ. გოგონას სიამოვნებდა, რომ ბავშვი მასთან უყოყმანოდ მიდიოდა. ისიც თმაზე და ლოყაზე ეფერებოდა. რაღაცებს ეუბნებოდა. უფრო მეტიც, ბოლო დროს ჩანთაში ბავშვისთვის კანფეტიც ჰქონდა ხოლმე.

როცა ისინი პირველად შეხვდნენ ერთმანეთს, ზამთარი იყო: პალტო, ქუდი, წითელი შარფი...

ზამთარი გავიდა და გაზაფხული დადგა. სალვიმ ფაფუკი თმები, ნაზი ყელ-კისერი გამოაჩინა. სალმი ჩაცმა-დახურვას დიდ ყურადღებას აქცევდა, ყოველდღე ისე გამოიყურებოდა, გეგონება, სპეციალურად ემზადებოდა მასთან შესახვედრად. თითქოს ოთახში ავეჯს საგანგებოდ უცვლიან ადგილს, რომ ყურადღება მიიპყრონო. ზოგჯერ არ ხვდებოდნენ, მერე სალვი თვალებით საყვედურობდა, ზოგჯერ კი ბავშვი არ ახლდა, სალვიმ აღარ იცოდა, რა ექნა... ხან კი ბავშვს რომ ეთამაშებოდა, უეცრად გაინაბებოდა, ერთ წერტილს მიაშტერდებოდა და ასე იდგა ერთხანს მეოცნებე თვალებით... იგი ამის მიზეზს კარგად ხვდებოდა, იცოდა, იმ წუთში სალმის გულში რა ედო: – ნეტავ, მას გაეჩინა ეს ბავშვი... ერთად წაეყვანათ საბავშვო ბაღში, იქიდან ერთად წამოეყვანათ. რიდის ზღვარი გადაელახა და მასთან თავისუფლად ესაუბრა, შიგადაშიგ იდაყვი წაეკრა და რაღაც ეთქვა, არავის მორიდებოდა, მისთვის გაეღიმა და მისი ღიმილით დამტკბარიყო... მან დიდხანს არ ალოდინა სალვი... კიდევ კარგი, სალვი სულს არ უფორიაქებდა, ემოციებსა და ნერვებს არ უწეწავდა. არც ის მოუწოდებდა სალვის წესიერებისკენ. არ უჩიჩინებდა, რომ ცოლშვილიანი კაცი ახალგაზრდა გოგოს შესაფერისი არაა, რომ დროა, იგი გონს მოეგოს. ადრე თუ გვიან, ისედაც დაშორდებოდნენ ერთმანეთს, ეს ან უცებ მოხდებოდა, ან ნელ-ნელა, უმტკივნეულოდ. ისედაც ეს ცხოვრებაც ხომ დროებითია და წარმავალია: რადიკულიტი, მიოკარდი, ასთმა, ან... ავტოკატასტროფა.

ზოგჯერ მისი მეუღლე დაიწუწუნებდა, რა მოხდება, ერთხელ ჩვენც რომ გაგვიმართლოს და რამე ვიპოვოთ, ან ლატარეაში მანქანა მოვიგოთო. მართალია, არ უმართლებდათ, ლატარეაში მანქანასა თუ სხვა რამეს ვერ იგებდნენ, მაგრამ რამდენი იყო ისეთი, ვინც ავტოკატასტროფაში იღუპებოდა, წყალში იხრჩობოდა, ან კიბიდან ვარდებოდა. ისინი, ამ მხრივ, მადლობა უფალს, საღ-სალამათნი იყვნენ. როგორც ამბობენ, ამ მხრივაც არ „უმართლებდა" მათ ოჯახს. ამისთვისაც მადლობა გამჩენს.

ზოგჯერ თუ რაღაც ეწყინებოდა და შეხვედრაზე არ მიდიოდა, მოულოდნელად სალვი ისე მოენატრებოდა, რომ ჩიტივით მიფრინავდა მისკენ. უნდოდა, შორიდანაც ედევნებინა თვალი, მისი ღიმილი შორიდან ენახა, ენახა, როგორ უღიმოდა სხვებს, როგორ დადიოდა, ხალხში როგორ იქცეოდა, უნდოდა, ემზირა და შორიდან გატანჯულიყო მისი სილამაზითა და ეჭვიანობით.

სალვის ოთახი ერთობ პატარა იყო. ამ პატარა ოთახში შესასვლელთან დიდი სარკე დაეკიდა. სალვი იმ სარკესთან ირთვებოდა, თმას ივარცხნიდა, ეზოში რომ ჩადიოდა, ან უბრალოდ მაღაზიაში რომ მიდიოდა, აუცილებლად შეყოვნდებოდა ხოლმე სარკის წინ. ქალი თუ ირთვება, ესე იგი, სურს, მოსაწონი იყოს, ყურადღება მიიქციოს და ვინმეს შეუყვარდეს. მაგრამ მამაკაცების უმრავლესობა გულუბრყვილოა, ჰგონია, ქალმა თუ გრძნობები შეამჩნია, არ დაუფასებს, მასზე ცუდი აზრი შეექმნება და ბოლო ჯამში წაგებული დარჩება. მაგრამ არცერთ ქალს არ ეწყინება, თუ იგრძნობს, რომ უყვართ. თავი განაწყენებულადაც რომ მოგაჩვენოთ, არ ეწყინება. ესეც ხშირად მივიწყებულ ჭეშმარიტებათაგანია.

სალვი დედისერთა ქალი იყო. უფროსი დაიკო სამი წლის ასაკში მოჰკვდომია... ერთხელ ნათესაობა შეკრებილა და მთაში საქეიფოდ ასულა. მხიარულებაში ისე გართულან, რომ ბავშვი გადავიწყნიათ. როცა გახსენებიათ, ბავშვი ირგვლივ არსად ყოფილა. დიდხანს უძებნიათ, მაგრამ ვერ უპოვნიათ. დედამისი, თურმე, თავში იცემდა და მოსთქვამდა: ეს ყველაფერი მესიზმრაო, სიზმარში ურმით მივდიოდითო, უცებ ბატკანი გადმოვარდაო, რამდენი არ ვიყვირე და ვიწივლეო, ვერავინ გაიგოო, დავტოვეთ და წავედითო...

ბავშვი დილით მობრუნებულებს უპოვიათ, გუშინდელი სუფრის სიახლოვეს. თურმე ნუ იტყვი, როცა ისინი მხიარულობდნენ, პატარას იქვე, ბუჩქის ძირას ჩასძინებია. ამიტომაც, როცა ეძებდნენ, ხმა არ გაუგია. მერე კი ახლად გამოღვიძებულსა და შეშინებულს ირგვლივ მინა უფხოჭნია...

ამ ამბის მოსმენის შემდეგ ის გოგონა არ ავიწყდებოდა, ერთთავად თვალწინ ედგა. საოცარია, როგორ ვერ იპოვეს? თავში არავის მოუვიდა, რომ სამი წლის ბავშვი შორს ვერ წავიდოდა? ან სახლში რა გულით დაბრუნებულან? ბოლოს ვერ მოითმინა და იმ დღესა და იმ დროში დაბრუნდა. ერთ ღამეს იმ ტყისკენ გასწია. ტირილისგან ქანცგაწყვეტილი ბავშვი იპოვა და იმედგადაწურულ მშობლებს დაუბრუნა.

ის გოგონა სალვი იყო. ეს მან არ იცოდა, მაგრამ მათთან სახლში იმიტომ მივიდა, რომ ყველა დაწყნარებულიყო, ამიტომ იყო, რომ ამ ამბავს ასე იოლად იხსენებდნენ. ამ ამბის მისეული ვერსია სალვის არ უთხრა. არადა, თქმას რა აზრი ჰქონდა. მთავარი ის იყო, რომ ბავშვი გადარჩა. მან არ დაუშვა, რომ ტყის სიბნელეში უპატრონოდ მიტოვებული ბავშვი დაღუპულიყო და ისედაც ცოდვილ ქვეყანას ამით კიდევ ერთი ცოდვა მიმატებოდა.

ქვეყნად ყველა ცდილობს, დარდი როგორმე განიქარვოს და რაღაცნაირად, სუ-

ხ 67/52

ლიერი სიმშვიდე მოიპოვოს. ცხოვრება მართლაც ძნელი საქმეა. რა არ მოეფიქრებინათ და რაღა არ გამოეგონებინათ: სკოლაც ჰქონდათ და ქარხანაც, არმიაცა და საპყრობილეც, კომუნისტიც ჰყავდათ და კაპიტალისტიც, გარდა ამისა, ტომობით კანონიც ჰქონდათ... და ეს ყველაფერი ვითომ იმისთვის იყო მოგონილ-შექმნილი, რომ არსებას, რომელსაც ადამიანი ეწოდება, ერთი ლუკმა პური და თავს ზემოთ ჭერი ჰქონდეს, რათა ქარსა და წვიმაში მას თავი შეაფაროს? და კიდევ, ქვეშაგები ჰქონდეს თავისი პირმშოსა და ჯალაბობისთვის. ბეჭდით დამოწმებულებს თავი გავანებოთ და, დაუწერელ კანონებზე რას იტყვი: ამას ნუ იზამ, იმას ნუ შეხედავ, სული დაიგუბე, გიყვარდეს მშობლები, ნამუსი, სინდისი და მრავალი ამისთანა... მოდი და ახლა ამ ყველაფერში ნუ დაიკარგები, ნუ აითქვიფები, ნუ წაიბორძიკებ და ნუ დაეცემი...

ბოლო დროს დედამისი ერთ მკითხავს ხშირ-ხშირად იხსენებდა. იხსენებდა და გაოცებული იმათ აგინებდა, ვისაც ღმერთში ეჭვი ეპარებოდა. ეს ამბავი დიდი ხნის წინ მომხდარა, მაშინ ის არცა ყოფილა დაბადებული. მაგრამ მკითხავს უთქვამს, ერთი ბიჭიც გეყოლებაო. მამამისის დაპატიმრება, „შორეული მგზავრობის" შემდეგ სხვაზე გათხოვება, დედის წელის ტკივილი და ის, რომ ეს სენი დედას სიკვდილამდე არ მოურჩებოდა, სულ მართალი აღმოჩნდა. მკითხავმა, თურმე, უფროსი ვაჟის ბედ-იღბალიც ზედმიწევნით ზუსტად უთხრა. თანაც ეს რამდენჯერმე გაუმეორა.

მას ბედისწერისა სჯეროდა. მაგრამ ენა არ უბრუნდებოდა, ბედნიერიაო, ეთქვა თავის ძმაზე, რომელიც თავის ცოლთან დამნაშავესავით სდუმდა, ვახშმობისას რაღაცას მოიმიზეზებდა, ოთახში გადიოდა, იქ ჩუმად ას გრამს გადაჰკრავდა და ისე მობრუნდებოდა, ვითომც არაფერი. ვინ იცის, ეგებ ღმერთის თვალში ბედნიერება ის არის, რომ ადამიანი მდიდარი იყოს, კბილები არ დასცვივდეს, კუჭის ტკივილებმა არ შეაწუხოს, ცოლ-შვილის

პატრონი გახდეს, შვილიშვილებს მოესწროს, დიდხანს იცოცხლოს, ისე დიდხანს, რომ როგორც დედაბერ ხეირის, ყველაფერი, კარგიცა და ავიც გადაავიწყდეს, არც გადატანილი ტკივილები ახსოვდეს და არც სიხარული. ასეთ ედემიანს სიკვდილი რას დააკლებს? ვერაფერს. ერთადერთი, შეიძლება, ის ტკივილი გაუყუჩოს, რომელსაც იმ წუთში გრძნობს.

რაც შეეხება სიყვარულს, სიავესა თუ სიკეთეს, – ეს ყველაფერი როგორ უნდა გავიგოთ, როგორ უნდა გვესმოდეს, – ჩანს, უფალმა ადამიანის ნებასა და შეგნებას მიანდო, როგორც გინდა, ისე გაიგეო. მოდი, ეგრე თუა, ქალბატონო სალვი, ჩვენ სხვანაირად ვიფიქროთ, ვთქვათ, რომ ადამიანი ამქვეყნად სატანჯველად მოდის. ასე ვიფიქროთ და ჩვენს ხვედრს შევეგუოთ. ვინ იცის, ეგებ მაშინა ვართ ბედნიერები, როცა ჩვენს ხვედრს ვეგუებით?

მაგრამ სალვის თავისი საიდუმლოც ჰქონდა, რომელსაც მას არ უმხელდა. ეგონა, არ იცოდა, რომ ღამღამობით ამ პატარა ოთახში ბაყბაყ-დევები სტანჯავენ. დევებს გული შევარდნიათ სალვიზე, უნდათ, რომ პირველ სიყვარულზე გული აუცრუონ, აითვალისწინონ იგი და ეჭვით აღივსოს მის მიმართ. ჯერ ძალა არ შესწევთ, სალვის სიყვარულს ვერ უმკლავდებიან. აი, ქალს ეს სიყვარული რომ გამოელევა, მაშინ ისინი სალვის მოიტაცებენ და ცხრა მთას იქით გადახვეწავენ.

ამიტომაც სალვისგან ოდნავ გულგრილობას რომ იგრძნობდა, მაშინვე იცვლებოდა, მოსიყვარულე მამაკაცად, ყურადღებიან საყვარლად და ნამდვილ ვაჟკაცად იქცეოდა ხოლმე. შეიძლება, სალვის შეჰგუებოდა კიდეც, მაგრამ დამარცხებას ვერ შეეგუებოდა. შიშობდა, რომ მარცხის ტკივილს, თანაც ამ ასაკში, ვერ გაუძლებდა. თანაც უნდოდა, თავი მოესინჯა, აინტერესებდა, დევებთან საბრძოლველად ძალა შესწევდა თუ არა, ჯერ კიდევ შეეძლო თუ არა რაღაც.

გამორიცხულია, მისი წარმავალი მღელვარება ცოლს არ შეენიშნა, სულ რომ არაფერი, ლოგინში მაინც ექნებოდა შენიშნული. ეგ იყო, რომ სხვა რამეზე არ ეჭვიანობდა, ამას კარგ ამინდს, ან იმ საღამოს გემრიელ კერძს მიაწერდა.

როცა ცუდ ხასიათზე იყო, ცდილობდა, ლამაზად ჩაეცვა, სახეს იპარსავდა. სუნამოს შეიფრქვევდა და ძალად იღიმებოდა. ღიმილი გამოსდიოდა. ზოგჯერ არ ლაპარაკობდა, უბრალოდ იღიმებოდა. შინ, თუ გარეთ, მისით ყველა კმაყოფილი იყო. რადგანაც მან ყველას სუსტი წერტილი იცოდა და ცდილობდა, იმ წერტილს არ შეხებოდა.

ისიც იცოდა, მდიდარი რომ ყოფილიყო, იგი უფრო ძლიერ ეყვარებოდათ, ნაცნობ-მეგობრებზე რომ არაფერი ვთქვათ, შინაურები უფრო თბილად მოეპყრობოდნენ, თავს შემოევლებოდნენ, შინ დაბრუნებულს კართან შეეგებებოდნენ, ფეხსაცმელების გახდაში დაეხმარებოდნენ, ზედმეტად არ შეწუხდესო, პიჯაკს ჩამოართმევდნენ და მოეფერებოდნენ.

იგი ამნაირი სიყვარულის ციალს ხანდახან ბავშვების სახეზე ხედავდა ხოლმე. და არ ნაღვლობდა იმის გამო, რომ ყოველთვის ასე არ იყო, იცოდა, რომ ეს ბუნებრივი ამბავია. ყოველივე ეს რომ იცოდა და არ ენაღვლებოდა, გულში ამის გამოც სცემდა პატივს თავის თავს. მის ცოლს კატები უყვარდა, ამიტომაც ზოგჯერ კატად იქცეოდა ხოლმე.

*აზერბაიჯანულიდან თარგმნა იმირ მამედლიმ*

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# „ახალი საუნჯის“ გამოწერა!

GE59BG0000000210646500

დანიშნულებაში მიუთითეთ: „ახალი საუნჯე“,

საკუთარი ტელეფონის ნომერი და მისამართი.

## 2019 წლის 8 ნომერი - 16 ლარი

2-10

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახალი საუნჯე

ISSN 0134-9848

9 770134 984002